

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ლაშა ფანჭულიძე

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საბაჟო წესის
დარღვევისათვის

ხელმძღვანელი: ნონა თოდუა
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია
სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2019 წ.

სარჩევი:	
გამოყენებული აბრევიატურა	5
შესავალი	6
კარი I. საბაჟო სამართლის ცნება და სისტემა.....	11
თავი 1. საბაჟო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული წანამძღვრები.....	11
თავი 2. საბაჟო რეგულირების საგანი, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, სისტემა და წყაროები საბაჟო ურთიერთობების სფეროში.....	13
თავი 3. საბაჟო რეგულირების პრინციპები და საბაჟო სამართლის სუბიექტები	17
კარი II. საბაჟო ღირებულების ცნება, მისი არსი და განსაზღვრის კრიტერიუმები, სსკ–ის 214–ე მუხლის შენიშვნის მიხედვით	22
თავი 1. საბაჟო პროცედურები.....	23
1.1 საბაჟო დეკლარაციის შევსება.....	23
1.2 სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები.....	27
1.3 სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული წესით შევსების შემთხვევები.....	28
1.4 საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დასრულება.....	29
თავი 2. საქონლის საბაჟო ღირებულების ცნება და მისი არსი.....	32
თავი 3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის გასათვალისწინებელი გარემოებები	35
3.1 გარიგების ფასის დადგენის მეთოდი საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას.....	37
3.2 იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი.....	44
3.3 მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი.....	48
3.4 საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი.....	51
3.5 შედგენილი ღირებულების მეთოდი.....	52
3.6 სარეზერვო მეთოდი.....	54
თავი 4. იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები	58
თავი 5. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემოწმება.....	59
კარი III. საბაჟო კონტროლის ფორმა და მეთოდები	63
თავი I. საბაჟო კონტროლის არსი, ცნება და სახეები.....	63

თავი 2. საბაჟო კონტროლის ზონა - სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები	68
თავი 3. საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმები და საქართველოს საბაჟო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის ფარგლები	76
კარი IV. ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი საბაჟო სამართალდარღვევისთვის	87
თავი 1. თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი საგნების წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	89
1.1 კულტურული მემკვიდრეობის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	91
1.2 ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	96
თავი 2. თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნების გადატანა ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	101
2.1 რადიაქტიური ნივთიერებების წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	101
2.2 შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	106
2.3 მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად მასალის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	112
2.4 ფეთქებადი ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	118
2.5 ცეცხლსასროლი იარაღის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	120
2.6 შეიარაღების და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა	123

თავი 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დაუმთავრებელი დანაშაულის დროს.....	126
თავი 4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის თანამონაწილეობის დროს.....	133
თავი 5. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული ცალკეული წესების დარღვევისთვის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები.....	136
თავი IV. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საბაჟო ურთიერთობების სფეროში.....	149
კარი V. საბაჟო რეგულირების შედარებით–სამართლებრივი ანალიზი.....	171
თავი 1. საბაჟო საკითხების სამართლებრივი რეგულაციის ფარგლები საფრანგეთის მაგალითზე	171
თავი 2. საბაჟო საკითხების სამართლებრივი რეგულაციის ფარგლები ცალკეული ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით	195
თავი 3. საბაჟო კონტროლის საერთაშორისო–სამართლებრივი.....	203
რეგულაციები.....	203
თავი 4. საბაჟო ურთიერთობების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკისა და სამართლებრივი რეგულაციების იმპლემენტაცია	212
და ს კ ვ ნ ა.....	227
ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.....	237
ქართულენოვანი ლიტერატურა:.....	237
ნორმატიული მასალა:.....	238
ფრანგულენოვანი ლიტერატურა.....	241
ინგლისურენოვანი ლიტერატურა:.....	242
რუსულენოვანი ლიტერატურა:.....	243

გამოყენებული აბრევიატურა

ა. შ. --- ასე შემდეგ

აშშ --- ამერიკის შეერთებული შტატები

დღგ --- დამატებული ღირებულების გადასახადი

კგ --- კილოგრამი

კმ --- კილომეტრი

გრ --- გრამი

მაგ. --- მაგალითად

მსო --- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

სეს ესნ --- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა

სს ---

სსიპ --- საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სსკ --- სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ --- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სხვ. --- სხვა

შპს --- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

წ. --- წელი

ე.ი. --- ესე იგი

ე.წ. --- ეგრეთ წოდებული

GATT --- General Agreement on Tariffs and Trade (ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება)

OECD --- Organization for Economic Cooperation and Development (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია)

შესავალი

კვლევის აქტუალობა. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, რომლებიც მოიცავს საბაჟო ორგანოებსა და პირებს (როგორც იურიდიულ, ასევე, ფიზიკურ) შორის ურთიერთქმედების კონკრეტულ ეტაპზე სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში მოწესრიგებულ ყველა საბაჟო პროცედურას, ასევე, მოიცავს საბაჟო სამართლის, უფრო კონკრეტულად კი საბაჟო წესების რეგულაციების, ამ წესების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ მექანიზმებსა და ასეთი მექანიზმების ამოქმედებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს. იმ ფონზე, როდესაც 2011 წლის 1-ელი იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც გარკვეულწილად აისახა საბაჟო რეგულაციები და რომლის საფუძველზეც გაუქმდა მოქმედი საბაჟო კოდექსი, წარმოდგენილ კვლევას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება და უფრო მეტად აქტუალური ხდება.

სამართლებრივი თვალსაზრისით, თემის აქტუალობა დიდია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც. საბაჟო დარღვევების დროს წარმოებული პროცედურები განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა, რაც ძირითადად აიხსნება იმ დანაშაულებრივი სქემით, რომელიც, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და ევროკავშირის ფინანსურ ინტერებს ეწინააღმდეგება. ასეთი სახის დანაშაულების გამოვლენა საკმაოდ რთულია დამნაშავეთა მიერ გამოყენებული გაყალბების მეთოდებიდან გამომდინარე. წარმოდგენილ ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ საჭიროა ხელისუფლების მმართველი რგოლის ძალაუფლების მნიშვნელოვნად გაძლიერება, როგორც საბაჟო დარღვევების აღმოჩენის დონეზე, ასევე, საპროცესო მოქმედებებისა და სანქციების განსაზღვრა-გამკაცრების თვალსაზრისით. მაშინ, როდესაც საბაჟო სამართლის შემადგენლობა მოიცავს სისხლისსამართლებრივი დანაშაულებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ასევე, საგადასახადო და საფინანსო დავების განხილვას, მიზანშეწონილია, საბაჟო სამართალი განვითარდეს ამ მიმართულებებით - თავისი განსხვავებულობით მან უნდა უპასუხოს როგორც სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი პროცედურების მოთხოვნებს, ასევე, უნდა შეესაბამებოდეს საგადასახადო პროცედურებს, რა თქმა უნდა, სამართლებრივი რეგულაციების ფარგლებში.

მეცნიერთა შორის დღესაც სადავოა საკითხი იმის შესახებ, საბაჟო სამართალი უნდა განიხილებოდეს, როგორც ცალკეული დარგი, თუ - ადმინისტრაციული სამართლის ქვედარგი. საბაჟო საზღვარზე საბაჟო ბიზნესის სპეციფიკა საქონლის გადაადგილების საკმაოდ მკაცრი პროცედურის წინაპირობას მოიცავს, საბაჟო საზღვარზე გადამსვლელი პირების მოქმედებების ალტერნატივა დასაშვებია მკაცრად განსაზღვრული პარამეტრების ფარგლებში.

ეს ალტერნატიული ქმედებები საშუალებას იძლევა, დაარეგულიროს ზემოაღნიშნული ქმედებები შესაბამისი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმებით. ფაქტია, რომ საბაჟო წესების დარღვევის შემთხვევაში სათანადო სანქციები განსაზღვრული როგორც ადმინისტრაციულ, ასევე, სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში, რაც წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.

ჩვენს თანამედროვეობაში, ასევე, აქტუალურად ითვლება საბაჟო სამართალში სისხლისსამართლებრივი კუთხით სადამსჯელო მოქმედებებისა და სანქციების ამოქმედების მექანიზმების შესწავლა, მასთან დაკავშირებული თავისებურებების გაანალიზება და მიზნების შეცნობა. იმის გარკვევა, საბაჟო სამართალი არსებობს სისხლის სამართლის პროცედურაში განცალკევებით, თუ წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს, საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავების სამართლებრივ რეგულაციებში გარკვეული ნოვატორული წინადადებისა და ინიციატივების შემოთავაზება წარმოადგენს სწორედ წინამდებარე ნაშრომის მეცნიერული კვლევის მიზანს.

ცნობილია, რომ სამართლის ნებისმიერი დარგის საგანია კონკრეტული დარგობრივი ნორმებით რეგულირებული სოციალური ურთიერთობების წრე, საბაჟო სამართლის საგანი კი - საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული ის ურთიერთობებია, რომლებიც ემსახურება ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის უზრუნველყოფას, საბაჟო წესების დაცვასა და უზრუნველყოფას, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების და სოციალური მდგრადობის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია. უკვე აღინიშნა, რომ საბაჟო სამართალი მოიცავს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადატანა-გადმოტანასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რაც შესაბამისად რეგულირდება როგორც სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული, ასევე, საკონსტიტუციო, სამოქალაქო, საერთაშორისოსამართლებრივი, ფინანსური, საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობის ნორმებით და წარმოადგენს საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობებს. საბაჟო კავშირის ობიექტი საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების პროცედურაა, იურიდიული ურთიერთობების სუბიექტები არიან ამ ურთიერთობების კონკრეტული მონაწილეები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბაჟო კანონმდებლობის მონაწილეები არიან საბაჟო ორგანოები, ასევე, საბაჟო ორგანოებისა და იურიდიული პირების მოხელეები, ასევე, კერძო პირები, რომელთა მიზანს წარმოადგენს საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების დაფარვა, საბაჟო ბიზნესის ორგანიზება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილება, საბაჟო რეჟიმის რეგულირება, საბაჟო გადასახდელების შეგროვება, წინასწარი ოპერაციები, განბაჟება, საბაჟო კონტროლი საბაჟო საზღვარზე ტრანსპორტირებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, საბაჟო ორგანოებში საჯარო სამსახურის ორგანიზება და საბაჟო ორგანოებზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.

კვლევის მიზანი: ჩვენს თანამედროვეობაში საბაჟო სამართალი მოიაზრება, როგორც სახელმწიფოსთვის შექმნილი (სანქცირებული) სამართლის კომპლექსური დარგი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა განსხვავებული დარგობრივი კუთვნილების სამართლებრივი ნორმების სისტემას, ანუ სხვადასხვა დარგობრივი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას და მიზნად ისახავს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებას, საბაჟო გადასახადების, საბაჟო ოპერაციების, საბაჟოებისა და საბაჟო პოლიტიკის განხორციელების კონტროლს, ასევე, სხვა საშუალებებს, როგორც შიდა და საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა შორის დღემდე მიმდინარეობს დავა საკითხზე, თუ როგორ ჭრილში უნდა განიხილებოდეს აღნიშნული სოციალური ურთიერთობები. სწორედ საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები და საბაჟო სამართალი წარმოადგენს საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობებს, აღნიშნულ საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობებში კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევის რეგულაციების სამართლებრივი პრობლემების შესწავლა, აგრეთვე, საბაჟო სფეროში ქმედების დანაშაულად აღიარებისა და მისი დანაშაულად კვალიფიკაციის სადავო საკითხები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზი არის სწორედ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის კვლევის მიზანი.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი: კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, დედუქციისა და ინდუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ასევე, კვლევის სხვა მეთოდები.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 კარის, 17 თავის, 18 ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა საბაჟო წესების დარღვევის რეგულაციების პრობლემებზე, ხოლო სხვა საკითხები, განხილულ იქნა საბაჟო წესების დარღვევასთან კავშირში. შესავალში განხილულია სამეცნიერო ნაშრომის კვლევის მნიშვნელობისა და აქტუალურობის საკითხები, გამახვილებულია ყურადღება ნაშრომში წარმოდგენილ რეგულაციებზე, აგრეთვე, იმ ძირითად სამართლებრივ პრობლემებზე, რომლებსაც ვაწყდებით საბაჟო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაციების პროცესში.

სამეცნიერო ნაშრომის პირველ კარში - „საბაჟო სამართლის ცნება და სისტემა“, განხილულია საბაჟო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული წანამდღვრები, აგრეთვე, საბაჟო რეგულირების საგანი, სისტემა და წყაროები, საბაჟო სამართლის სუბიექტები, გადმოცემულია საბაჟო რეგულირების არსებული მეთოდები და პრინციპები. აღნიშნულ ნაწილში გარკვეულწილად

ნოვატორული წინადადებებია განხილული საბაჟო რეგულაციების მეთოდებთან მიმართებით.

ნაშრომის მე-2 კარში - „საბაჟო ღირებულების ცნება, მისი არსი და განსაზღვრის კრიტერიუმები, სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით“, ზოგადადაა მოცემული საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები (საბაჟო დეკლარაციის შევსება; სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები; სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული წესით შევსების შემთხვევები); აგრეთვე, გამოკვლეულია საქონლის საბაჟო ღირებულების ცნება და მისი არსი; საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ძირითადი მახასიათებლები (გარიგების ფასის მეთოდი; იდენტური და მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდები; საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი; შედგენილი ღირებულების მეთოდი; სარეზერვო მეთოდი); იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები და საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემოწმება.

მე-3 კარში - „საბაჟო კონტროლის ფორმა და მეთოდები“, განხილულია ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიცაა: საბაჟო კონტროლის ცნება და სახეები; საბაჟო კონტროლის ზონა - სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები; საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმები და საქართველოს საბაჟო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის ფარგლები. ნაშრომის ამ ნაწილშიც ისევე, როგორც თითქმის კვლევის ყველა ასპექტში, რამდენიმე ინოვაციური წინადადება გვაქვს შეთავაზებული, საბაჟო კონტროლის სამართლებრივი რეგულაციების თვალსაზრისით.

ნაშრომის მე-4 კარში - „ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი საბაჟო სამართალდარღვევისთვის“, წარმოდგენილია, ასევე, საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საბაჟო წესების სამართალდარღვევის სახეები (საბაჟო სამართალდარღვევის ცნება და დახასიათება); ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საბაჟო წესების დარღვევისთვის (საბაჟო დანაშაულის ცნება, სახეები და ჩადენის ფორმები); კულტურული მემკვიდრეობის საგნების გადატანა ან გადმოტანა (კულტურული მემკვიდრეობის ცნება, სახეები; კულტურული მემკვიდრეობის საგნებით საბაჟო წესის დარღვევის ფორმები; განსაკუთრებული საბაჟო კონტროლის წესები კულტურული მემკვიდრეობის საგნებზე); სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნების გადატანა ან გადმოტანა (სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნების ცნება და სახეები; სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნებით საბაჟო წესების დარღვევის ფორმები; განსაკუთრებული საბაჟო კონტროლის წესები სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ საგნებზე); ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევების გამიჯვნის პრობლემები საბაჟო სამართალში; ასევე, წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებების ანალიზი; საქართველოს საბაჟო საზღვარზე

საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული ცალკეული წესების დარღვევისთვის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამაძიმებელი გარემოებები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საბაჟო ურთიერთობების სფეროში.

ნაშრომის მე-5 კარში - „საბაჟო რეგულირების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი“, საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე, განხილულია საბაჟო რეგულირების პრობლემები და საერთაშორისო სამართლებრივი წესები საბაჟო კონტროლზე, განხილულია საბაჟო რეგულირების ფარგლები და იურიდიულ პასუხისმგებლობათა გამიჯვნის, ასევე, საბაჟო ურთიერთობების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკისა და სამართლებრივი რეგულაციების იმპლემენტაციის საკითხები. ნაშრომის ამ ნაწილში, ასევე, ნოვატორად წარმოსდგებით, რადგან შემოთავაზებული გვაქვს, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის ანალიზის ფონზე, სამართლებრივი რეგულაციების საუკეთესო გამოცდილების ქართულ კანონმდებლობაში შესაბამისი ნორმების იმპლემენტაცია.

დასკვნაში ერთგვარად შეჯამებულია ნაშრომში წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის შედეგები.

კარი I. საბაჟო სამართლის ცნება და სისტემა

თავი 1. საბაჟო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული წინამძღვრები

საქართველოს სახელმწიფო თავისი უძველესი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის ცდილობდა ხალხის ცხოვრების ისე წარმართვას, რომ მათ მუდმივად ჰქონოდათ სულიერი არსებობისთვის აუცილებელი სტაბილური ბაზა, მათ შორის, ეკონომიკური თვალსაზრისითაც. უძველესი დროიდან, თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მდებარეობდა რა ბიზანტიური და სპარსული ცივილიზაციების შესაყარზე, საქართველო საუკუნეთა განმავლობაში იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძირითადი საყრდენი. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი გარანტი იყო არა მხოლოდ სატრანზიტო ვაჭრობა, არამედ სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და მეცხოველეობის განვითარებაც. გარდა აღნიშნულისა, საქართველო კავშირებს ამყარებდა და მჭიდროდ ურთიერთობდა შავი ზღვის მიმდებარე და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებთან და ახერხებდა ნამეტი პროდუქციის გადაცვლას ამ ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. სწორედ ამ დროიდან წარმოიქმნა ვაჭრების მიერ საქონლისა და სხვადასხვა ნივთების მალულად გადატანა-გადმოტანის მცდელობის საწყისები. შესაძლებელია, სწორედ ამ დროიდან იღებს საწყისებს ურთიერთობები, რომლებსაც ჩვენს თანამედროვეობაში საბაჟო ურთიერთობებს უწოდებენ. საქმე ისაა, რომ იმთავითვე საბაჟო ურთიერთობების მთავარი მახასიათებელი სწორედ ქვეყნების საზღვარზე, უფრო კონკრეტულად - საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადატანასა და გადმოტანასთან, მათ შორის, უკანონო გადატანა-გადმოტანასთან, ე.წ. კონტრაბანდასთან, დაკავშირებით აღმოცენებული ურთიერთობები იყო. სწორედ საბაჟო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაციები - საბაჟო წესების უზრუნველყოფისა და ამ წესების დარღვევასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობების პრობლემური საკითხების განხილვა და აღნიშნული პრობლემების მოწესრიგების გზების ძიება წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის მიზანს, და, საერთოდ, საბაჟო სამართლის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი საკითხიც ხომ საბაჟო წესების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულაციებია.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა მყარი საფუძველი შექმნა, საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების რაციონალიზაციის თვალსაზრისით. მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციამ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობამ ხელი შეუწყო საბაჟო ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო პოლიტიკის პრაქტიკასთან ჰარმონიზაციასა და უნიფიკაციას. საბაჟო

პოლიტიკის განხორციელებისას საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ისეთ ამოსავალ დებულებებს, როგორებიცაა: სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა; ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე; შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად სატარიფო მეთოდების გამოყენება; ეკონომიკური რეფორმების წახალისება; დაგების გადაწყვეტა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით; საბაჟო ტარიფების თანდათანობით შემცირება; ბაზარზე მოთხოვნადი საქონლის პროგნოზირებადი და მზარდი დაშვება კონკურენტუნარიან გარემოში თავისუფალი ვაჭრობის მიზნით.

მას შემდეგ, რაც საგარეო ვაჭრობაზე გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლია და მოხდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია, სახელმწიფოს მიდგომა საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, უფრო კონკრეტულად კი საბაჟო რეგულაციებთან მიმართებით, შეიცვალა, უფრო მობილური გახდა. აღნიშნულზე აშკარად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2010 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 2011 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა და რომლის ამოქმედების შედეგად გაუქმდა მოქმედი საბაჟო კოდექსი. თუმცა, რამდენად ეფექტური და შედეგიანი იყო ეს გადაწყვეტილება, მიგვაჩნია, რომ ეს უკვე ცალკე კვლევისა და მსჯელობის საგანია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას იმთავითვე არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. მეცნიერთა მიერ სრულიად არგუმენტირებულად იყო გაანალიზებული და მეცნიერულად დასაბუთებული როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. თუმცა, ხსენებული საკითხისადმი მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ნაწილის სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, ქართული პროდუქციის განვითარებული ქვეყნების ბაზარზე შეღავათიანი პირობებით გასვლის შესაძლებლობებს და, რაც მთავარია, საბაჟო კანონმდებლობის დახვეწის თვალსაზრისით, მუშაობის გააქტიურებას.

ზემოხსენებულთან მიმართებით, არ შეიძლება, აღნიშვნის გარეშე დავტოვოთ საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებული ნორმების საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ასახვისა და აღნიშნული ნორმების გამიჯვნის სადავო საკითხები. უფრო კონკრეტულად, საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობა საბაჟო სფეროში ჩადენილ დანაშაულს, საბაჟო წესების დარღვევას, როგორც წესი, სახელმწიფო დანაშაულების ნაწილში (ტრადიციულად - „კონტრაბანდის“ სახელწოდებით) განიხილავდა, როგორც საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ხელყოფას.¹

¹ საქართველოს საბაჟო კოდექსი, 21.10.1992, მუხლი 81.

როგორც უკვე აღინიშნა, მას შემდეგ, რაც საგარეო ვაჭრობაზე გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლია და მოხდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია, შეიცვალა ამ კონკრეტული დანაშაულის არსიც. საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედმა კოდექსმა აღნიშნული დანაშაული - „საბაჟო წესების დარღვევის“ სახელწოდებით, ეკონომიკურ დანაშაულებს მიაკუთვნა და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა შორის პირველი ადგილი დაუთმო. მიგვაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკურია, რადგან აღნიშნული დანაშაულის უშუალო ობიექტი ხომ, სწორედ სახელმწიფოს ეკონომიკური, უფრო კონკრეტულად კი ფინანსური ინტერესებია, კერძოდ, ზიანი, უპირველეს ყოვლისა, ადგება სახელმწიფოს ეკონომიკას, რადგან ბიუჯეტში არ შედის საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები.

თავი 2. საბაჟო რეგულირების საგანი, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, სისტემა და წყაროები საბაჟო ურთიერთობების სფეროში

ცნობილია, რომ სამართლის თითოეული დარგი აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სფეროს. საბაჟო სამართლის რეგულირების სფერო, როგორც უკვე აღინიშნა, საბაჟო ურთიერთობებია, რომლებსაც ქმნის ამ ურთიერთობების სფეროში არსებული საბაჟო პოლიტიკა. დღესდღეობით არ არსებობს საბაჟო სამართლისა და მისგან გამომდინარე საბაჟო პოლიტიკის თაობაზე ერთიანი ცნება. ამ საკითხთან დაკავშირებით როგორც პრაქტიკოსებს, ისე მეცნიერთა შორის განსხვავებული მოსაზრებები და შეხედულებები არის გამოთქმული. კერძოდ, ამ მოსაზრებებისა და შეხედულებების გაანალიზების შედეგად, საბაჟო სამართალი - საბაჟო ურთიერთობები წარმოადგენს შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებულ სოციალური ურთიერთობების წრეს, რომელიც დაკავშირებულია საბაჟო საქმიანობასთან, ხოლო საბაჟო პოლიტიკა, ზოგადად, შეიძლება განისაზღვროს, როგორც სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სხვა ფართომასშტაბიან ღონისძიებათა სისტემად - საკანონმდებლო ნორმების ერთობლიობით მოწესრიგებულ სისტემად, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური ინტერესების დაცვას. აღნიშნული სამართლებრივი ნორმების დარღვევა, ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი და სანქცირებული საბაჟო წესების დარღვევა იწვევს სათანადო პასუხისმგებლობას - სისხლისსამართლებრივს ან ადმინისტრაციულს.

საბაჟო ურთიერთობების სფეროში ჩადენილი დანაშაულით, ასევე, შესაძლებელია ზიანი მიადგეს საზოგადოებრივ უშიშროებას, როდესაც მის საგანს წარმოადგენს იარაღი, საბრძოლო მასალა, რადიაქტიური ნივთიერებები და თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული სხვა საგნები, რაც განსახილველ სპექტრში დამატებით უშუალო ობიექტად განიხილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაჟო წესების დარღვევა წარმოადგენს არა მხოლოდ საფინანსო სფეროში ჩადენილ ეკონომიკური ხასიათის დანაშაულს, არამედ ხელყოფს საქართველოს უშიშროებას, არღვევს მის ეკოლოგიურ, კულტურულ და სხვა ინტერესებს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პრაქტიკოსთა გარკვეული ნაწილი საბაჟო წესების დარღვევას, იგივე კონტრაბანდას, განიხილავს, როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს, რადგან მიიჩნევს, რომ აღნიშნული დანაშაული წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსების უშუალო წყაროს, იარაღს, ასევე, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებებისა თუ თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული სხვა საგნების არალეგალური ბრუნვის განხორციელების საშუალებას, აგრეთვე, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფისა და სხვა მძიმე დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების ერთ-ერთ წყაროს.

სახელმწიფოს მიერ საბაჟო საქმიანობის განხორციელების პროცესში ისევე, როგორც ნებისმიერი საქმიანობის დროს, როგორც წესი, წარმოიქმნება ორგვარი ურთიერთობა - საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციისა და ამ საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. საბაჟო საქმიანობის სამართლებრივი ორგანიზაცია გულისხმობს ამ საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების სტრუქტურის, ფუნქციებისა და ამოცანების, უფლებამოსილებათა დადგენას. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციისა და ამ საქმიანობის დროს წარმოშობილ ურთიერთობათა გაიგივება დაუშვებელია. საბაჟო სამართლის საგანი არის სახელმწიფოს საბაჟო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები და არა თვით საბაჟო საქმიანობა.

საბაჟო ურთიერთობათა რეგულირების მიზნით სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმები შეიცავს ქვევის განსაზღვრულ წესებს, რომელთა სისტემა ქმნის სწორედ სამართლის დარგს, რომელსაც საბაჟო სამართალი ეწოდება. საბაჟო სამართლის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები ისევე, როგორც ნებისმიერი სამართლის დარგში, ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით.

საბაჟო სამართლის სფეროს გარეთ წარმოქმნილ ურთიერთობებს საბაჟო სამართალი არ არეგულირებს, პირიქით, სახელმწიფოს საბაჟო საქმიანობის სფერო იმდენად მრავალმხრივია, რომ ხშირ შემთხვევაში საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების დროს დგება საკითხი საბაჟო ურთიერთობათა სამართლის სხვა დარგების ნორმებით რეგულირების აუცილებლობის თაობაზე (მაგ. სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმები, აგრეთვე, საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები).

ლოგიკურია, რომ საბაჟო სამართალი ძალზედ მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსა და საზოგადოების ბაზისთან და უშუალოდ ახდენს მასზე ზემოქმედებას, აწესრიგებს რა სახელმწიფოს საბაჟო საქმიანობის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს. აღნიშნული საქმიანობის

განხორციელებით საბაჟო სამართალი ხელს უწყობს სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი სახსრების მოზიდვას, შეგროვებასა და გამოყენებას, ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარებისა და გამყარების თვალსაზრისით, საზოგადოების სოციალური, მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდასა და საერთაშორისო ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას.

აუცილებლად მიგვაჩნია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ საბაჟო სამართალში ერთგვარ გამოხატულებას პოულობს ხელისუფლებისა და მმართველობის ადმინისტრაციული ორგანოების მრავალმხრივი საქმიანობა, თუმცა, საბოლოოდ, ეს საქმიანობა მაინც დაკავშირებულია სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერებასთან, სოციალური ფაქტორის გამყარებასთან, ფულადი სახსრების მოზიდვასა და მობილიზებასთან სახელმწიფო ბიუჯეტში. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საბაჟო სამართლის, ანუ ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის მიზანი, როგორც ეს ძველ საბაჟო კოდექსში იყო ასახული, საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება, ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისა და მისგან გამომდინარე სხვა ამოცანების განხორციელებაა.²

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენი გარკვეულწილად ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ საბაჟო კოდექსის გაუქმების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მართალია, საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები გარკვეულწილად აისახა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი დადებითი ეფექტები აქვს, მაგრამ საბაჟო ურთიერთობების სფეროს მარეგულირებელი აქტები, შეიძლება ითქვას, გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში (მაგ. როგორებიცაა, პრემიერ-მინისტრის დადგენილება; ფინანსთა მინისტრის და შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები; ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებები; წესები; ინსტრუქციები და ა.შ.). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული საკითხები (მაგ. როგორებიცაა: შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების შეფასების კრიტერიუმები, აღნიშნული ნივთიერებების ჩამონათვალი და სხვ.), არცერთი ნორმატიული აქტით არ წესრიგდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით და გამომდინარე მოსაზრებიდან, რომ კარგი იქნებოდა, საბაჟო ურთიერთობების სფეროში ყველა მარეგულირებელი ნორმა მოქცეული იყოს ერთ ნორმატიულ დოკუმენტში, მაინც მივიჩნევთ, რომ საბაჟო კოდექსის გამორჩეულ ნორმატიულ ბაზად არსებობა უფრო ნაყოფიერს

² საქართველოს საბაჟო კოდექსი, 14.11.1997, მუხლი 2.

და ეფექტურს გახდიდა საბაჟო ურთიერთობების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას.

ასევე, მიგვაჩნია, რომ საბაჟო სამართლის, როგორც სასწავლო დისციპლინის დამოუკიდებელი ხასიათი, განპირობებულია მის წინაშე მდგარი მიზნებითა და ამოცანებით. კერძოდ, თუ სამართლის დარგი არეგულირებს საბაჟო ხასიათის საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ხოლო მეცნიერება სწავლობს ამ რეგულირების კანონზომიერებებს, საბაჟო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა, ამასთან ერთად უზრუნველყოფს მეცნიერული თეორიის შესწავლის ჩვევების ათვისებას, სამართლის ნორმების სწორ ახსნა-განმარტებას, სამართლებრივი ურთიერთობებისა და იმ კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების გადაწყვეტას, რომლებიც საბაჟო-სამართლებრივი ნორმებით წესრიგდება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბაჟო სამართალი წარმოადგენს შესაბამისი დარგის, მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის, ანუ კურსის ელემენტთა ერთობლიობას.

საბაჟო სამართლის ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სამართლის დარგის სისტემა, წარმოადგენს საბაჟოსამართლებრივი ნორმების დიფერენციაციას მათი ურთიერთკავშირის საფუძველზე, ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით და კონკრეტული ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა თავისებურებების გათვალისწინებით.

საბაჟო სამართალში ასახული ნორმების სისტემატიზაცია დაკავშირებულია საბაჟო სამართლის წყაროების სისტემატიზაციასთან. თუ დავეყრდნობით სახელმწიფო სამართლის თეორიაში ასახულ სამართლის წყაროს განმარტებას, საბაჟო სამართლის წყარო წარმოადგენს სახელმწიფო ნების გამოხატულების კონკრეტულ ფორმას, რომელიც საბაჟო საქმიანობის ამოცანებითაა ნაკარნახევი და გამოვლენას პოულობს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ ქცევის გარკვეული წესების შემცველი აქტების გამოცემაში, „სამართლის წყაროები წარმოადგენს იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს.“³ იმავე მოსაზრებას ავითარებს პროფესორი გიორგი ხუბუა თავის ნაშრომში „სამართლის თეორია“, კერძოდ, იგი ამბობს: „სამართლის იურიდიული წყარო არის პრესკრიფციული (ნორმატიული) და არა დესკრიფციული (აღწერილობითი). იურიდიული წყარო ადგენს ქცევის შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნებს. სამართლის სოციოლოგიური წყარო ასეთ სავალდებულო მოთხოვნებს არ შეიცავს, მაგრამ მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს იურიდიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.⁴

საბაჟო სამართლის წყაროები მრავალგვარი და მრავალრიცხოვანია. ისინი, ძირითადად, ორ ჯგუფად იყოფა - სახელმწიფო ხელისუფლებისა და

³ იხ. გ. ინჭირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1977, გვ. 139.

⁴ იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2015, გვ. 130.

ადმინისტრაციული (მმართველობის) ორგანოების მიერ გამოცემულ აქტებად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ძირითადი კანონი - საქართველოს კონსტიტუცია, აგრეთვე, ის კონკრეტული საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ასევე, კანონები, რომლებიც აწესრიგებს საბაჟო რეგულირების სფეროში წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მეორე ჯგუფს, რა თქმა უნდა, განეკუთვნება ის კანონქვემდებარე აქტები და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტები (საქართველოს მთავრობისა და ფინანსთა თუ შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები), რომელთა შემცველ ნორმებში ასახულია საბაჟო ურთიერთობათა დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაცია და რის გამოც მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ. აღნიშნულ წყაროებზე უფრო დეტალურად და კონკრეტულად ჩვენ სამეცნიერო ნაშრომის მომდევნო ნაწილში გვექნება მსჯელობა.

თავი 3. საბაჟო რეგულირების პრინციპები და საბაჟო სამართლის სუბიექტები

თანამედროვე პირობებში, საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი მიზანია საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლება, სოციალური პირობების გამყარება, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და ამ მიზნით საქმიანობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა. საბაჟო ეკონომიკაზე გადასვლა სრულებითაც არ ამცირებს ეკონომიკის სფეროზე სამართლებრივი ზემოქმედების მნიშვნელობას, პირიქით, იგი უფრო იზრდება, საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროში ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენება და ცალკეული სათანადო ინსტრუმენტების მოქმედებაში მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აღნიშნული ფუნქციებით განისაზღვრება საბაჟო სამართლის როლი და მნიშვნელობა და სწორედ აღნიშნული ფუნქციების განხორციელების პროცესში ემყარება საბაჟო სამართალი კონკრეტულად განსაზღვრულ პრინციპებს.

სამართლის თეორიის მიხედვით, სამართლებრივი პრინციპი არის გარკვეული საწყისი, სახელმძღვანელო იდეა, რომლის შესაბამისად ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება.⁵ ეს პრინციპები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა იდეოლოგიური გამოხატულება და იგი ასახვას პოულობს მოქმედი კანონმდებლობის ნორმებში.

პროფ. გივი ინჭვირველის აზრით, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლის ნორმების მეშვეობით მოწესრიგება სხვადასხვა წესით,

⁵ იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2015, გვ. 130.

განსხვავებული საშუალებებით წარმოებს, ე.ი. სამართლებრივი რეგულირების მეთოდები სხვადასხვანაირია. ამ თვალსაზრისით, აღნიშნავს იგი, სამართლებრივი რეგულირების მეთოდები შეიძლება, ერთიმეორისგან განსხვავდებოდეს სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათით, მაგალითად, თვითონ ადგენენ კანონით დაწესებულ ფარგლებში თავიანთი უფლება-მოვალეობების შინაარსს.⁶

საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია კანონიერებისა და მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.⁷ უნდა აღინიშნოს, რომ რომის სტატუტის 22-ე მუხლში ჩადებულია კანონიერების პრინციპის ისეთი ფუნდამენტური დებულება, როგორცაა *nullum crimen sine lege* (არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე), ხოლო 23-ე მუხლი ადგენს ბრალეულის პასუხისმგებლობის პრინციპს: *nulla poena sine lege* (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე), ანუ პირი, რომელსაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართალი მიიჩნევს ბრალეულად, შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ სტატუტის ნორმების შესაბამისად.⁸ რომის სტატუტში დეკლარირებული განმარტება, რა თქმა უნდა, შესაბამისად ასახულია ქართულ კანონმდებლობაში.

აღნიშნული პრინციპის განუხრელი დაცვა ხელს უწყობს საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების სტიმულირებას თავისი ფუნქციების განხორციელების სფეროში და საბაჟო პოლიტიკის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების მარეგულირებელი აქტების საფუძველზე მოქმედი სატარიფო (იმპორტის გადასახადი) და არასატარიფო ღონისძიებები - ნებართვები, ლიცენზიები, აკრძალვები, შეზღუდვები და ა.შ.) მართვის ეფექტური მეთოდების ფართოდ გამოყენებას.

გარდა ზემოხსენებულისა, საბაჟო კანონმდებლობის პრინციპებს, ასევე, უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმურობა, დემოკრატიულობა, სრულმასშტაბიანი და ზუსტი საბაჟო რეგულირება, საბაჟო და სამართლებრივი საშუალებებისა და ინსტრუმენტების ეფექტურობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

ზემოხსენებული პრინციპების განუხრელ დაცვასა და უზრუნველყოფას საბაჟო ურთიერთობების პროცესში განახორციელებენ საბაჟო სამართლის სუბიექტები (პირი, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზე სარგებლობს გარკვეული უფლებებით ან უნდა შეასრულოს რაიმე მოვალეობანი),⁹

⁶ იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1977, გვ. 181.

⁷ ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, გვ. 372.

⁸ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ.

⁹ გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1977, გვ. 181.

რომლებსაც წარმოადგენენ საბაჟო კანონმდებლობის სუბიექტები. ეს სუბიექტებია:

- სასაზღვრო-გამტარი პუნქტები (საერთაშორისო მიმოსვლისთვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგური, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო, საბაჟო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი);

- საბაჟო (შემოსავლების სამსახურის) ორგანოები;

- საბაჟო (შემოსავლების სამსახურის) ორგანოების წარმომადგენლები;

- იურიდიული პირები და ფიზიკური პირები. კერძოდ, ის ფირმები და მოქალაქეები, რომლებიც საბაჟო ურთიერთობებში მონაწილეობენ.

საბაჟო სამართლის აღნიშნული სუბიექტები, ფუნქციური დატვირთვებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად - სპეციალურ და ზოგად სუბიექტებად. კერძოდ, საბაჟო ურთიერთობების სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სასაზღვრო-გამტარი პუნქტები და საბაჟო (შემოსავლების სამსახურის) ორგანოები - იქ დასაქმებული საჯარო მოხელეების ჩათვლით, რომელთა სპეციფიკა განისაზღვრება მათთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანებისა და უფლება-მოვალეობების მოცულობით, ხოლო ზოგად სუბიექტებში შესაძლებელია გავაერთიანოთ იურიდიული და ფიზიკური პირები.

შემოსავლების სამსახურის (საბაჟო) უფლებამოსილი ორგანოები, როგორც საბაჟო სამართლის სუბიექტები, ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო რეჟიმით გამავალი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დოკუმენტაციის გაფორმებას - საქონლის დეკლარირებას. ნებისმიერი სახის საქონელი და სატრანსპორტო საშუალება, საზღვრის გადმოკვეთისა და სასაზღვრო კონტროლის გავლის შემდეგ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს. ამ რეჟიმის ქვეშ, საქონლისა თუ სატრანსპორტო საშუალების გადამადგილებელი პირი - საქონლის მფლობელი (მეწარმე სუბიექტი, გადამზიდველი, მეპატრონის ნდობით აღჭურვილი პირი ან სხვა პასუხისმგებელი პირი), საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთისას ვალდებულია, საბაჟო-გამშვები პუნქტის პასუხისმგებელ პირებს განუცხადოს და წარუდგინოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად.

წარმოადგენს რა ნაშრომის ძირითადი კვლევის მიზანს საბაჟო წესების დარღვევა, სხვა საკითხებთან ერთად ალბათ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩვენ მიერ განიმარტოს ზემოხსენებულ დეკლარირებაში გამოყენებული ტერმინოლოგია. საქართველოს კანონმდებლობა, უფრო კონკრეტულად კი საგადასახადო კოდექსი ზოგადად განმარტავს აღნიშნულ ტერმინებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხსენებული ცალკეული ტერმინების

ციტირება და ზოგადი განმარტებები წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომშიც აისახოს. კერძოდ, კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად:

- საქონელში მოიაზრება „ბარგი - მგზავრებისგან განცალკევებულად გადასაზიდი საგანი“, „ხელბარგი - მგზავრის მიერ პირადად გადასატანი საგანი“, „გადამუშავებული საქონელი - გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ან წარმოებული პროდუქტი“, „პირადი ნივთი - მგზავრის პირადი გამოყენებისა და მოხმარებისთვის განკუთვნილი საგანი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას გადაიზიდება ბარგით ან/და ხელბარგით“;¹⁰

- სატრანსპორტო საშუალება მოიცავს საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებას, აგრეთვე ელექტროგადამცემ ხაზს, მილსადენს, კონტეინერს, მისაბმელს, ნახევარმისაბმელ და ნებისმიერ სხვა საშუალებას, რომელიც გამოიყენება მგზავრთა გადაყვანისათვის ან/და საქონლის გადაზიდვისათვის;

- საბაჟო კონტროლი წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებულ ცალკეულ მოქმედებებს, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა;

- საქონლის მფლობელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ ოპერაციებში არის საქონლის მესაკუთრე, ან რომელსაც აქვს საქონლის განკარგვის მსგავსი უფლება ან რომლის ფიზიკური კონტროლის ქვეშაც არის საქონელი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ მიხედვით საქონლის განკარგვის ღონისძიებების სახეებია საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა ან საქონლის განადგურება,¹¹ რაც საქონლის განკარგვის მსგავსი უფლების იდენტურია;

- საბაჟო ზედამხედველობა შემოსავლების სამსახურის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია საქონლის მიმართ სავაჭრო (საბაჟო) პოლიტიკის ღონისძიებათა დაცვა;

- სასაზღვრო გამტარი პუნქტია საერთაშორისო მიმოსვლისთვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგური, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო, საბაჟო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი;

¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 207.

¹¹ „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება, მუხლი 105.

- საბაჟო გამშვები პუნქტი არის საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ ხორციელდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი პროცედურები;

- მგზავრი არის ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს.¹²

აღნიშნულთან დაკავშირებით ცალსახად უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი ტერმინოლოგია უშუალოდ უკავშირდება საბაჟო სამართლის სუბიექტებსა და მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობას - საბაჟო ურთიერთობების სფეროში კანონმდებლობით დადგენილი ფარგლების დაცვას. ალბათ სუბიექტებთან მიმართებით, ასევე, აუცილებელია განიმარტოს, თუ რას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, აგრეთვე, საბაჟო საზღვარი და საბაჟო ტერიტორია, რომელთაც დეტალურად განსაზღვრავს საქართველოს საბაჟო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის კანონმდებლობა (კერძოდ, კანონები: „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის შესახებ“ და ა.შ.), რაზედაც უფრო დეტალურად ნაშრომის მომდევნო ნაწილში გვექნება მსჯელობა.

¹² საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 207.

კარი II. საბაჟო ღირებულების ცნება, მისი არსი და განსაზღვრის კრიტერიუმები, სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით

საბაჟო ღირებულების დადგენა საბაჟო წესების დარღვევის შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის ძირითადი საფუძველია. სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში საბაჟო ღირებულების ცნება განსხვავებულად ესმით. ამდენად, აუცილებელია მასზე მსჯელობა და მისი არსის გარკვევა.

ზემოთქმულის გარდა, საბაჟო კონტროლი ხორციელდება განსაზღვრული მეთოდების მეშვეობით, თუმცა, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მეთოდების გამოყენების პრაქტიკა სამართლებრივი რეგულირების პრინციპებს არ შეესაბამება. საბაჟო ღირებულების დადგენას საბაჟო წესის დარღვევისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოცემულია კონკრეტული ზღვარი, რომელსაც უნდა გადაცდეს ტვირთის საბაჟო ღირებულება, რათა გაიმიჯნოს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ხშირად პრაქტიკაში არასწორად ხდება ტვირთის საბაჟო ღირებულების დადგენა, საგადასახადო ორგანო მიმართულია ისეთი მეთოდის გამოყენებისკენ, რომელიც ზრდის ტვირთის საბაჟო ღირებულებას. სისხლის სამართლის კანონმდებლობით კი ყველა ექვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ტვირთის საბაჟო ღირებულება დგინდება სისხლის სამართლის პროცესის გარეთ, ხოლო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე კონკრეტული მეწარმე, რომელსაც ბრალს სდებენ საბაჟო წესის დარღვევაში, მაშინ ხდება პროცესის მონაწილე, როდესაც ტვირთის საბაჟო ღირებულება უკვე დადგენილია. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საგამოძიებო ორგანომ განსაზღვრა შესაბამისი ექსპერტიზის საფუძველზე საქონლის საბაჟო ღირებულება, თუმცა სასამართლო განხილვის ეტაპზე დაცვის მხარემ ჩაატარა ალტერნატიული ექსპერტიზა, რომელმაც გაცილებით ნაკლები საბაჟო ღირებულება აჩვენა. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია, ზუსტად დადგინდეს ტვირთის საბაჟო ღირებულება, შემოთავაზებული იქნება ღირებულების დადგენის ახლებური მეთოდი, რომელიც შესაძლებელს გახდის სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების დროს უკვე განსაზღვრული საბაჟო ღირებულების დაკლებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეუცდომელი დასკვნის საფუძველი ალბათ არ არსებობს.

ამდენად, დასადგენია, თუ რა პრინციპით უნდა მოხდეს მეთოდიკის არჩევა საბაჟო ღირებულების დადგენისას. განხილული იქნება თითოეული მეთოდი ცალ-ცალკე, ასევე, მოხდება მთლიანობაში მეთოდიკის პრინციპების განსაზღვრა. აღნიშნულის გარკვევა დაგეგმვარება ეფექტურ სამართლებრივ რეგულირებაში ისე, რომ არ მოხდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვა.

ამგვარად, ნაშრომის კვლევის ობიექტი არის საბაჟო ღირებულების დადგენის შინაარსობრივი ელემენტების, მისი მეთოდებისა და პრინციპების დადგენა.

2000 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, დიდ ოდენობად ითვლებოდა ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებდა 800 ლარს. როგორც ვხედავთ, ოდენობაში იგულისხმებოდა არა ნივთის ღირებულება, არამედ გადაუხდელი თანხის ოდენობა. ხოლო დღეს დიდი ოდენობას განსაზღვრავს ნივთის საბაჟო ღირებულება, რომელიც უნდა აჭარბებდეს 15 000 ლარს. მიუხედავად ამ თანხების სხვაობისა, საბოლოო ჯამში, თითქმის თანაბარი თანხა გამოდის, რადგან იმპორტის გადასახადი ძირითად ნივთებთან მიმართებაში არის 5%. 15 000 ლარის 5% კი უდრის 750 ლარს.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი მაინც არაა გადაწყვეტილი პირის სასარგებლოდ, არამედ, პირიქით, რადგან დღეის მდგომარეობით დიდი ოდენობის ზღვარი შემცირებულია. დღეს მოქმედი რედაქცია პირის საზიანოდ არის გადაწყვეტილი, რადგან იმ ნივთების არალეგალურ შემოტანაზე, რომლებზეც იმპორტის გადასახადი 0%-ის ტოლია, ძველი რედაქციის შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, რადგან დიდ ოდენობად ითვლებოდა 800 ლარზე მეტი საბაჟო გადასახდელი. დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით კი საბაჟო გადასახდელს მნიშვნელობა არ აქვს და პირს მაინც დაეკისრება პასუხისმგებლობა, როდესაც შემოიტანს 15 000 ლარის საბაჟო ღირებულების ნივთს მაშინ, როდესაც ამ ნივთის შემოტანით სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანი არ ადგება.

თავი 1. საბაჟო პროცედურები

1.1 საბაჟო დეკლარაციის შევსება

საბაჟო დეკლარაციის შევსებას, ახორციელებს შემოსავლების სამსახური, რომელსაც აქვს ამ უფლებამოსილების სხვა პირზე დელეგირების უფლება. მაგალითად, საქონლის სახით იმ სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება და მისი რეკვიზიტების (საიდენტიფიკაციო მარკირების, ნომრის) შემოწმება, რომელიც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმით შემოდის საქართველოში და რომლის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო სამსახური, შეიძლება განხორციელდეს ამავე დაწესებულების სპეციალისტების მონაწილეობით, საქართველოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესით და მათ მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. პირს უფლება აქვს შეავსოს საბაჟო დეკლარაცია. საგადასახადო კოდექსმა განსაზღვრა საწარმო და

ორგანიზაციის ცნება, ხოლო პირის ცნება განსაზღვრა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით: „პირი – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.“¹³ პირი შეავსებს საბაჟო დეკლარაციას თუ დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით. მას გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა და აქვს დაშვება „ASYCUDA“-ში ან/და „ORACLE“-ში.¹⁴ საქონლის მფლობელს შეუძლია განსაზღვროს წარმომადგენელი, რომელიც მის ნაცვლად შეავსებს საბაჟო დეკლარაციას. ამისათვის აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.¹⁵

საინტერესო შემთხვევაა საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის დეკლარირებისას. ამ დროს საბაჟო დეკლარაციას ავსებს საგადასახადო ორგანო. თუმცა, დეკლარაციის შევსება შეუძლია საფოსტო გზავნილის გადამზიდველს, რომელიც ახორციელებს პირის წარმომადგენლობას. თუ საქართველოდან გასაგზავნი საქონელი მოთავსებულია საერთაშორისო საფოსტო გზავნილში, გამგზავნი ავსებს საფოსტო გზავნილის დეკლარაციას, რომელიც უნდა დაერთოს საფოსტო გზავნილს. საინტერესოა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირის ქმედება, რომელმაც მიიღო გზავნილი უცხო ქვეყნიდან და არ დაადეკლარირა მიღებული ნივთები, რომლებიც დეკლარირებას ექვემდებარებოდა?

ეს საკითხი განხილულია იურიდიულ ლიტერატურაში, სადაც დასაბუთებულია, რომ საქართველოში საქონლის შემოტანაში იგულისხმება მხოლოდ მისი სახელმწიფო საზღვარზე ფიზიკურად გადმოტანა, რის გამოც საფოსტო გზავნილის შემთხვევაში გზავნილის მიმღები, რომელმაც არ დაადეკლარირა მიღებული ნივთები, უნდა დაისაჯოს არა სსკ-ის 214-ე მუხლით, არამედ სსკ-ის 218-ე მუხლით გადასახადისათვის თავის არიდებისათვის. პრაქტიკაში კი მსგავსი შემთხვევის სსკ-ის 214-ე მუხლით კვალიფიკაცია ხდება იმიტომ, რომ გადასახადისათვის თავის არიდების შემთხვევაში მოცემულია ზღვარი (დღეის მდგომარეობით ასი ათასი ლარი), რომელსაც უნდა ასცდეს გადასახდელი თანხა.¹⁶

საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევად მიიჩნევა საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან

¹³ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 8.

¹⁴ იხ. შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №12858.

¹⁵ იხ.: Economic Problems of the Foreign-Exchange and Customs System, Ivan A. Rankov, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 141.

¹⁶ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი. 2016, გვ. 393.

მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.

აღნიშნული დისპოზიციით კანონმდებელმა იმპერატიულად დაადგინა საბაჟო წესის დარღვევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრები. კერძოდ, აღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, სახეზე იყოს სახელმწიფო საზღვარზე დიდი ოდენობით ნივთის გადატანის ან გადმოტანის შემთხვევა. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ადგილს - საბაჟო საზღვარს, რაც დამნაშავის ქმედებით უნდა გადალახოს საქონელმა. აღნიშნული კი გულისხმობს ამსრულებლის მიერ აქტიური ქმედების განხორციელებას. რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს მოცემული დანაშაულის უმოქმედობით ჩადენას.

სსკ-ის 214-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია სახეზე იყოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლის ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის შემთხვევები. აღნიშნული, აგრეთვე, გულისხმობს ამსრულებლის მიერ დანაშაულის მოქმედებით ჩადენას. ამ მსჯელობის გათვალისწინებით, სსკ-ის 214-ე მუხლის ამსრულებელი ვერ იქნება ის პირი, რომელმაც, მაგალითად, თბილისში მიიღო საფრანგეთიდან გამოგზავნილი ამანათი და არ დაადეკლარირა. პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ-ის 214-ე მუხლით, არამედ სსკ-ის 218-ე მუხლით იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ასი ათას ლარს. თუ გადასახდელი თანხა არის ასი ათასი ლარი და ნაკლები, პირის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება ადმინისტრაციული წესით, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც პირი ინტერნეტ გვერდის მეშვეობით გამოიწერს საქონელს, რომელიც მას ჩამოუვა და შემდგომ არ მოახდენს მის დეკლარირებას, ამ შემთხვევაშიც სახეზე არ გვექნება სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან პირს არ განუხორციელებია აქტიური ქმედება სახელმწიფო საზღვარზე აღნიშნული საქონლის შემოტანისთვის. ანალოგიური და ზემოთ განხილული შემთხვევების დროს, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პირის ქმედება კვალიფიცირდება სსკ-ის 214-ე მუხლით, რაც სამართლებრივ არგუმენტაციას მოკლებულია, რადგანაც განხილულ შემთხვევებში პირის ქმედებაში არ არის სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი - საბაჟო საზღვარზე საქონლის გატანა ან შემოტანა.

საფოსტო გზავნილის დროს ფიზიკურად საქონელს აგზავნის სხვა სახელმწიფოდან ერთი პირი, ხოლო საქართველოში იღებს მეორე პირი. საქართველოში საქონლის მიმღები ვალდებულია, შეავსოს საფოსტო

გზავნილების დეკლარაცია.¹⁷ საფრანგეთიდან ამანათის გამომგზავნა უნდა შეავსოს ექსპორტის დეკლარაცია, შესაბამისად, მან არასწორად შეავსო ექსპორტის დეკლარაცია. აღნიშნული არის საფრანგეთის ქვემდებარე სამართალდარღვევა. საქართველოში მიმღებმა პირმა უნდა შეავსოს იმპორტის დეკლარაცია, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში გამომგზავნმა პირმა უკვე შეავსო ექსპორტის დეკლარაცია. ექსპორტის დეკლარაცია რჩება საფრანგეთის საბაჟო გამშვებ პუნქტში, რადგან ამ დეკლარაციის საფუძველზე უნდა განისაზღვროს საფრანგეთის საბაჟოს კუთვნილი გადასახადი. რაც მთავარია, საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე გამოიწერება ინვოისი, რომელიც, თავის მხრივ, მოჰყვება გზავნილს. აღნიშნულ ინვოისში სრულადაა მოცემული გზავნილის აღწერილობა.

ამდენად, როდესაც საქართველოში გზავნილის მიმღებმა გახსნა გზავნილი, მან, ასევე, ნახა ინვოისი, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი გზავნილის სახეობა, ოდენობა და ა.შ. ამდენად, გზავნილის მიმღებმა კარგად იცოდა, რომ ინვოისში დაფიქსირებული ნივთი და მასთან ფიზიკურად მისული ნივთი არ შეესაბამებოდა ერთმანეთს. ამიტომ მას უნდა მოეხდინა მიღებული ნივთის დეკლარირება. ამიტომ, საქონლის გამომგზავნი ჩადის სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ხოლო საქონლის მიმღების ქმედებაში იქნება სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - გადასახადისათვის თავის არიდება, თუ გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება 100 000 ლარს. თუ სახეზე იქნება 100 000 ლარი ან ნაკლები გადასახადი, მაშინ აღნიშნული ქმედებისათვის პირი აგებს პასუხს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით.

შემოსავლების სამსახური აკონტროლებს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეს და იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმება დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას, მას თვითონ განსაზღვრავს.¹⁸ დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების სისწორეს აკონტროლებს საგადასახადო ორგანო, წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის შემოწმებისას. ამისათვის არის სპეციალური პროგრამა „ასიკუდა“, რომელიც მნიშვნელოვანი შეუსაბამობის შემთხვევაში ატყობინებს საბაჟო ორგანოს საბაჟო ღირებულების საეჭვოობის შესახებ.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი – ეს არის მთლიანი თანხა, რომელიც მყიდველმა გადაუხადა ან უნდა გადაუხადოს გამყიდველს, ან უნდა გადაიხადოს გამყიდველის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ მყიდველს შეიძლება არ ჰქონდეს მთლიანი თანხა მიღებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მყიდველმა ჯერ მხოლოდ თანხის ნაწილი გადაიხადა, დარჩენილი ნაწილი კი

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 4.

¹⁸ იხ.: Effects of a Turkey-European Union Customs Union and Prospects for the Future, Subidey Togan, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 9.

ტვირთის საქართველოში შემოტანის შემდეგ უნდა გადაიხადოს. მაგალითად, შპს „აგარის შაქარმა“ საზღვარგარეთული კომპანიისგან იყიდა 1 ტონა შაქარი - 1400 ლარად. 400 ლარი ყიდვისთანავე გადაიხადა, ხოლო დარჩენილი 1 000 ლარი ტვირთის საქართველოში შემოტანის შემდეგ უნდა გადაიხადოს, გაყიდვიდან ერთ თვეში. ამ დროს ტვირთის შემომტანი შპს გადაიხდის საბაჟო გადასახდელებს 1 400 ლარიდან, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მთლიანი თანხა გადახდილი არ აქვს.

1.2 სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები

პირის მიერ სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას, წარდგენილ უნდა იქნას სატრანსპორტო დოკუმენტი და საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი. ასევე, ამ დოკუმენტებს თან ერთვის: წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარირება ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი აუცილებელია წარდგენილ იქნას საგადასახადო ორგანოსათვის, როდესაც დეკლარირებული საქონლის სატრანსპორტო საშუალების მიმართ ადგილი ჰქონდა საგადასახადო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს. აღნიშნული ეხმარება საგადასახადო ორგანოს საბაჟო ღირებულების სწორად განსაზღვრაში.

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის, საწყობის სასაქონლო ოპერაციების შემთხვევაში - სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სპეციალისტის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმების საფუძველზე შედგენილი „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტი“.

წინმსწრები დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) – საბაჟო დეკლარაცია, მოწმობა, განაცხადი; ლიცენზია/ნებართვა/სერტიფიკატი. ამასთან, ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია დეკლარანტის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ხელმოწერით დამოწმებული ასლების სახით.

შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ან/და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის ექსპორტის შემთხვევაში – მომსახურების ტარიფის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის გარეშე შეუძლებელი იქნება საბაჟო ღირებულების დადგენა, რადგან ნასყიდობის დოკუმენტის საფუძველზე დგინდება საქონლის საბაჟო ღირებულება. ხოლო ნასყიდობის დოკუმენტს

უნდა ერთვოდეს ზემოაღნიშნული დოკუმენტები. ამ დოკუმენტების გარეშე ვერ მოხდება საქონლის იმპორტის რეჟიმში მოქცევა.

1.3 სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული წესით შევსების შემთხვევები

სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული წესით ივსება:

საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისთვის ან წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციის მიზნით პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტისას ან შესაბამისი ტექნიკის სახით საქონლის დროებითი შემოტანისას;

სხვა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირების ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით საქონლის ან წვრთნების ჩატარების მიზნით ტექნიკის სახით საქონლის ექსპორტისას;

გამარტივებული წესით დეკლარირებას დაქვემდებარებულ საქონელზე, საგანგებო მდგომარეობის ან საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში თან ერთვის:

ა) წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საგანგებო სიტუაციის გარემოებების თაობაზე;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული წერილობითი დასტური დეკლარირებული საქონლის იმპორტის, ან ექსპორტის, ან შესაბამისი ტექნიკის სახით საქონლის დროებითი შემოტანის საჭიროების შესახებ, რაც უნდა შეიცავდეს, აგრეთვე, ინფორმაციას საქონლის მიმწოდებელი და მიმღები ორგანიზაციების თაობაზე;

საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული წესით შევსების დროს მეწარმე სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით, მაგალითად, ხილ-ბოსტნეულზე 2011 წელს შემოსავლების სამსახურის უფროსის №2284 ბრძანებით დაწესდა შემდეგი სახის შეღავათი: მეწარმეს შეეძლო გაფორმების ეკონომიკური ზონიდან გაეტანა საქონელი ისე, რომ არ გადაეხადა საბაჟო გადასახადები. მათ ბარდებოდათ შეტყობინება, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებული იყვნენ გადაეხადათ გადასახადი საქონლის გაფორმების ეკონომიკური ზონიდან გატანიდან 05 დღის ვადაში. აბსოლუტურმა უმეტესობამ არ გადაიხადა გადასახადი. უფრო მეტიც, ამჟამად, ფინანსთა მინისტრის ბრძანება N290-ის მიხედვით, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ უმეტეს საქონელზე იმპორტიორს შეუძლია გამოიტანოს საქონელი და გადაიხადოს იმპორტის გადასადელები 05 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული შემთხვევა ვერ ჩაითვლება სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად, რადგან მათ მოტყუებით

გაიტანეს საქონელი ისე, რომ არ ჰქონდათ გადასახადის გადახდის განზრახვა. ასეთი სახის მოტყუების შესახებ კი სსკ-ის 214-ე მუხლის დისპოზიციაში ნახსენები არ არის.

სსკ-ის 214-ე მუხლის დისპოზიციაში დანაშაულის ობიექტურ მხარედ მითითებულია დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენება. ამაში იგულისხმება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში არასწორი, ყალბი დოკუმენტების წარდგენა, უკანონოდ მიღებული, შევსებული ან დამოწმებული დოკუმენტის წარდგენა.¹⁹ ამ შემთხვევაში ყალბ დოკუმენტებთან ან უკანონოდ მიღებულ, შევსებულ ან დამოწმებული დოკუმენტების გამოყენებასთან არ გვაქვს საქმე. დოკუმენტების მხრივ ყველაფერი სწორია, მეწარმეები არ იხდიან გადასახადს. სსკ-ის 218-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გადასახადისთვის განზრახ თავის არიდებისთვის. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის ობიექტურ მხარესთან, თუმცა, სსკ-ის 218-ე მუხლის დისპოზიციაში არსებობს 45 დღიანი საშეღავათო ვადა საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან. მეწარმეებს საგადასახადო მოთხოვნა არ ბარდებოდათ, მათ ბარდებოდათ შეტყობინება, რომლის მიხედვითაც 05 დღეში იყვნენ ვალდებული, გადაეხადათ გადასახადი. სსკ-ის 218-ე მუხლი სახეზე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც იმპორტიორს ჩაბარდება საგადასახადო მოთხოვნა. თუ ფიზიკურად ვერ ბარდება საგადასახადო მოთხოვნა, ხდება მისი გასაჯაროება, რაშიც იგულისხმება ის, რომ საგადასახადო მოთხოვნა გამოქვეყნდება შემოსავლების სამსახურის საიტზე. გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს საგადასახადო მოთხოვნა ჩაითვლება ჩაბარებულად. თუ იმპორტიორი ჩაბარებიდან 45 სამუშაო დღიან საშეღავათო ვადაში არ გადაიხდის კუთვნილ გადასახადს, მაშინ სახეზე გვექნება სსკ-ის 218-ე მუხლი.

1.4 საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დასრულება

შემოწმების დამთავრების შემდეგ „ასიკუდა“-ს პროგრამაში საბაჟო დეკლარაციას მიენიჭება ნომერი „A“.

საბაჟო დეკლარაციის შემოწმება უნდა დასრულდეს, როგორც წესი, საბაჟო დეკლარაციისა და დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი საათისა, თუ საქონლის დათვალეირება, სინჯებისა და ნიმუშების აღება ან საბაჟო გაფორმების სხვა პროცედურების განხორციელება გაცილებით მეტ დროს არ საჭიროებს. სამუშაო დღის დასრულებამდე ორი საათის განმავლობაში მიღებული საბაჟო დეკლარაციების

¹⁹ მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარები, წიგნი 2, 2017, გვ. 561.

შემოწმება უნდა დასრულდეს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 12.00 საათისა.

მალფუჭებადი საქონლის, ცხოველების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მისამართზე გაგზავნილი, სტიქიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების დროს საჭირო საქონლის გაფორმება ხორციელდება პრიორიტეტული წესით, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში.²⁰ კონკრეტული ვადა დადგენილი არ არის. იმის გამო, რომ საბაჟო დეკლარაციის შემოწმება უნდა დასრულდეს, როგორც წესი, საბაჟო დეკლარაციისა და დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი საათისა, მალფუჭებადი საქონლის დროს უფრო ნაკლები დრო უნდა იყოს განსაზღვრული.

საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების მისაღებად დეკლარანტს შესაძლებელია დასჭირდეს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტები. ასეთ შემთხვევაში, დეკლარანტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საგადასახადო ორგანო გასცემს დოკუმენტს, ხოლო იტოვებს დოკუმენტის ასლს, რომლის უკანა გვერდზეც აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ორიგინალის საქმეში არარსებობის მიზეზის შესახებ. ასლებს თან დაერთვის დეკლარანტის წერილობითი განცხადება დოკუმენტების მოთხოვნის შესახებ.

დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ წერილობითი მოთხოვნის დეკლარანტისათვის გაგზავნის (გადაცემის) მომენტიდან გაფორმებისათვის დადგენილი დროის ათვლა ჩერდება მოთხოვნილი დოკუმენტების დეკლარანტის მიერ ოფიციალურად წარმოდგენამდე. დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ ვადის ათვლა იწყება თავიდან.²¹

საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტების წარდგენა დეკლარანტის მიერ ხდება წერილთან ერთად, რომელშიც მიეთითება საბაჟო დეკლარაციის საცნობარო ნომერი. თუ დეკლარანტი დამატებითი დოკუმენტის მოთხოვნას მიიჩნევს უკანონოდ, მას უფლება აქვს, გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურში. დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადაა სამი სამუშაო დღე.

საბაჟო დეკლარაციის შემოწმების ბოლოს ან მის ნებისმიერ ეტაპზე საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია, მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე გადაწყვეტილება:

ა) საქონლის გაშვების შესახებ;

²⁰ იხ.: შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანება, მუხლი 50.

²¹ იხ.: იქვე.

- ბ) საქონლის გაშვების აკრძალვის შესახებ;
- გ) საქონლის დათვალეირების და/ან სინჯის ან/და ნიმუშის აღების შესახებ;
- დ) სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შესახებ;
- ე) საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერების შესახებ;
- ვ) საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ;
- ზ) საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის ან საბაჟო დეკლარაციის

ბათილად ცნობის შესახებ.

საქონლის გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების „A“ ნომრის მინიჭებით. შეფასების ნომერთან ერთად საბაჟო დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო საბაჟო დეკლარაციისათვის შტრიხ-კოდის მინიჭება ავტომატურად ვერ ხორციელდება, გაფორმების დასრულება დასტურდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შტამპით – „გაშვება ნებადართულია“, პირად ნომრიანი ბეჭდით (საბაჟო გამშვები პუნქტის შემთხვევაში), თარიღისა და ხელმოწერის მითითებით.²²

სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებებს. თუ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგად გამოვლინდა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა, როგორცაა, სათანადო დოკუმენტების არსებობის არასაკმარისობა, რაც გახდა საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, საქონელი გაიშვება შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის დადგენილი წესით შედგენისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად. ეს ღონისძიებებია: დალუქვა, შეფასება, რათა დადგინდეს სამართალდარღვევა ადმინისტრაციული ხასიათისაა, თუ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მასალები უნდა გაიგზავნოს საგამოძიებო ორგანოში.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლში ცვლილების შეტანამდე (2011 წლის 08 ნოემბრამდე), საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქცია გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზე იყო დანაშაული და მასალები იგზავნებოდა საგამოძიებო სამსახურში, რაც არასწორი იყო და სწორედ აღნიშნულის გამოსწორებას ემსახურებოდა მოცემული ცვლილება.

საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი დოკუმენტების პაკეტს დაურთავს საგადასახადო

²² იხ.: ANNUAL YLS ISSUE: AN OVERVIEW OF AN INTERNATIONAL TRADE AND CUSTOMS PRACTICE, David G. Forgue, LEXISNEXIS.ORG, Monday, April 08, 2013, p. 10.

სამართალდარღვევის ოქმს და პირადად წარუდგენს დეკლარანტს ხელმოსაწერად.

საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობებს დეკლარანტს.²³

საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დასრულების შემდეგ დეკლარაციის ერთი ეგზემპლარი საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი აღნიშვნებით (გაცხადებული სასაქონლო ოპერაციის შესაბამისად საქონლის გაშვების ან გაშვების პროცედურების შეჩერების ან დეკლარაციის ბათილად ცნობის შესახებ) გადაეცემა დეკლარანტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

საქონლის გაფორმების პროცესში დანაშაულის ნიშნების გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ატყობინებს უშუალო ხელმძღვანელს. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად შესაძლებელია, საგადასახადო ორგანომ დახმარებისათვის მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. საქმის მასალები დაუყოვნებლივ გადაეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერების შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც შეჩერდება საქონლის გაშვების პროცედურები, საგამოძიებო ორგანოს შეუძლია, სათანადო ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველზე, დაადგინოს საბაჟო ღირებულება.

თავი 2. საქონლის საბაჟო ღირებულების ცნება და მისი არსი

„საქონლის საბაჟო ღირებულება არის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის ფასი, რომლის საფუძველზეც გაიანგარიშება საბაჟო გადასახადი“. ²⁴ აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის 1-ელი იანვრიდან, თუმცა საქონლის საბაჟო ღირებულების (ფაქტობრივი ღირებულების) განსაზღვრა, მოცემულია 1994 წლის გენერალური შეთანხმებით ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, რომლის მიხედვითაც საქონლის ფაქტობრივ ღირებულებად უნდა ჩაითვალოს ფასი, რომლითაც ფეთანხმების იმპორტიორი მონაწილე მხარის კანონმდებლობით განსაზღვრულ დროსა და ადგილას საერთო კონკურენტული პირობების დროს ასეთი ან მსგავსი საქონელი იყიდება ან შეთავაზებულია გასაყიდად ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში.

²³ იხ.: Customs Valuation and Customs Enforcement, heinonline.org. Mon Apr 8, p. 339.

²⁴ საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“, 20.03.1998, მუხლი

საქონლის საბაჟო ღირებულება მოიცავს გარიგების ფასს საქონლის შემენისას, საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პუნქტამდე მისი ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, დაზღვევის, საკომისიო და საბროკერო მომსახურების ხარჯებს,²⁵ აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენებისათვის მყიდველის მიერ პირდაპირ და არაპირდაპირ გადახდილ სალიცენზიო და სხვა გადასახდელებს. საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმით გატანილი საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას მათ საბაჟო ღირებულებას აკლდება გადასამუშავებლად გატანილი და დეკლარირებული საქონლის ღირებულება.²⁶

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების თანახმად, „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ითვალისწინებს დეკლარირების დღისათვის საქონლის შეფასებას საბაჟო გადასახდელების და სხვა სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გამოყენების მიზნების შესაბამისად“.²⁷

ტვირთის საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე შემოტანა/გატანის დროს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადი. იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რა თანხა უნდა გადაიხადოს მეწარმემ, ამისათვის აუცილებელია საბაჟო ღირებულების დადგენა. სწორედ საბაჟო ღირებულებიდან ითვლება საბაჟო გადასახდელები: იმპორტის გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი.

საბაჟო ღირებულება უნდა განვასხვავოთ საბაჟო ტარიფისგან, საბაჟო ტარიფი არის „საბაჟო გადასახადის განაკვეთების სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და/ან ამ ტერიტორიიდან გატანილი საქონლის მიმართ, მისი საბაჟო ღირებულების „შემცირების ან გაზრდის მიზნით“,²⁸ საქართველოს ეკონომიკური და/ან პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე“.²⁹

²⁵ იხ.: Customs Valuation and Customs Enforcement, heinonline.org. Mon Apr 8, p. 333.

²⁶ იხ.: European tax law, Ben Terra, Peter Wattel, 1997, გვ. 150.

²⁷ იხ. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები, დანართი N1.

²⁸ იხ.: Customs Classification and the Use of Foreign Trade Zones, Thomas G. Travis*, heinonline.org, p. 326.

²⁹ იხ.: საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ, 20.03.1998, მუხლი 2.

მთავარი განსხვავება საბაჟო ღირებულებასა და საბაჟო ტარიფს შორის არის ის, რომ საბაჟო ღირებულება არის ტვირთის ფასი,³⁰ ხოლო საბაჟო ტარიფი აღნიშნული ტვირთის ფასიდან სახელმწიფოსთვის კუთვნილი გადასახადი.³¹ საბაჟო ღირებულების ცნება უნდა ამოვიდეს სახელმწიფოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაზრო ღირებულებიდან, რომელიც განცალკევებული არის საბაჟო გადასახდელებისაგან, რადგან საბაჟო წესის დარღვევისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენი იყო გადასახადი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გამოყენების მიზნებისათვის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ნიშნავს საქონლის დეკლარირების დღისათვის მის შეფასებას“.³² შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მიზნებისათვის ბრალდების მხარეს აინტერესებს საქონლის ის ღირებულება, რომელიც იყო ქმედების განხორციელების დროს. თუმცა იმისთვის, რომ განვსაზღვროთ საქონლის საბაჟო ღირებულება, არსებობს რამდენიმე მეთოდი. მათი რიგითობა დაწესებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

საქონლის დეკლარირებისას საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი და შეაქვს იგი საბაჟო დეკლარაციაში. საქონლის დეკლარირება შესაძლებელია საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, ზეპირად ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებით. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ან წერილობითი ფორმით. ზეპირი დეკლარირება შესაძლებელია მხოლოდ მგზავრის შემთხვევაში. მთავარია, რომ მგზავრმა გამოთქვას სურვილი ტვირთის შემოტანა/გატანის თაობაზე, თუნდაც ზეპირი ფორმით. აღნიშნული ჩაითვლება საბაჟო დეკლარაციის წარდგენად.

კანონმდებლობა არ მიჯნავს იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის საბაჟო კონტროლის წესებს, ორივეზე ერთნაირი საგადასახადო წესები მოქმედებს. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო ღირებულების შემცირება უმეტეს შემთხვევაში ემსახურება გადასახადისათვის თავის არიდებას, ექსპორტის დროს უნდა იყოს განსხვავებული ზღვარი - საქონლის ღირებულების განსხვავებული

³⁰ იხ.: UNITED STATES CUSTOMS SERVICE APPRAISALS: THE DUTIABILITY OF BUYING AGENT COMMISSIONS – AN APPLICATION OF THE TRADE AGREEMENTS ACT OF 1979, heinonline.org. Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 639.

³¹ იხ.: RECENT DECISION, CUSTOMS VALUATION AND THE DECLINING DOLLAR, heinonline.org. Mon Apr 8 05:30:55 2013, გვ. 1344, იხ.: Customs Classification and the Use of Foreign Trade Zones, Thomas G. Travis*, heinonline.org, Mon Apr 8 2013, p. 326.

³² საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 213.

ოდენობა. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი ოდენობით უნდა იყოს დაწესებული ნივთის საბაჟო ღირებულება საქონლის გატანის დროს და არა 15 000 ლარი, როგორც შემოტანის დროს. ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში ექპორტი იბეგრება ნულოვანი პროცენტით.

დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საბაჟო ადმინისტრაციის ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანაა. თუ საქონლის გაფორმება ხდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საბაჟო ღირებულებას საზღვრავს საბაჟო ორგანოს თანამშრომელი. სხვა შემთხვევებში საქონლის საბაჟო ღირებულებას საზღვრავს და დეკლარაციაში მიუთითებს დეკლარანტი.

საქართველოში იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია 6 მეთოდით.³³ აღნიშნული მეთოდები ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) მიერ 1994 წელს მიღებულ „ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებას.“³⁴ აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი ისევე, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ზემოთ აღნიშნული შეთანხმება, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესებს ადგენს მხოლოდ იმპორტირებული საქონლისათვის.³⁵ რაც შეეხება საქართველოდან გატანილ ან სხვა სასაქონლო ოპერაციებში მოქცეულ საქონელს, პრაქტიკაში მასზეც გამოიყენება აღნიშნული წესები, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ეს სავალდებულო არ არის, თუმცა, რამდენად სამართლიანია ეს წესები, ეს საკითხი სადავოა. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით მეთოდების გამოყენება უნდა მოხდეს შემდეგი რიგითობის მიხედვით - „ყოველი მომდევნო მეთოდის გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება წინა მეთოდით სარგებლობა.“³⁶

თავი 3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის გასათვალისწინებელი გარემოებები

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:

³³ იხ.: საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“, 20.03.1998, მუხლი 10.

³⁴ იხ.: UNITED STATES CUSTOMS SERVICE APPRAISALS: THE DUTIABILITY OF BUYING AGENT COMMISSIONS – AN APPLICATION OF THE TRADE AGREEMENTS ACT OF 1979, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 642.

³⁵ იხ.: Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 449.

³⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 213.

ა) თუ ფასი ფაქტობრივად არ არის გადახდილი (ან სრულად არ არის გადახდილი), საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად გამოიყენება გადასახდელი ფასი;³⁷

ბ) თუ ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი არ არის საბოლოო გადასახდელი ფასი და საბოლოო გადასახდელი ფასი უფრო მაღალია, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად გამოიყენება საბოლოო გადასახდელი ფასი;

გ) თუ გადახდილი ან გადასახდელი ფასი არ არის საბოლოო გადასახდელი ფასი და საბოლოო გადასახდელი ფასი უფრო დაბალია, მაშინ, დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად შესაძლებელია და არ არის სავალდებულო გამოყენებულ იქნეს საბოლოო გადასახდელი ფასი, თუ ის წარმოადგენს თავდაპირველი კონტრაქტით განსაზღვრულ ვალდებულებას.³⁸

მაგალითი:

გამყიდველი საქართველოში ყიდის ძაღლების საკვებს არაურთიერთდამოკიდებულ მყიდველზე, საკონტრაქტო პირობის შესაბამისად, თუ მყიდველის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვის მოცულობა არ აღემატება 20 ტონას, მაშინ ტონა საკვების ფასი იქნება 200 ლარი, იმ შემთხვევაში თუ კალენდარული წლის განმავლობაში მყიდველი შეიძენს 20 ტონაზე მეტ საკვებს, მაშინ გამყიდველი მას აძლევს ფასდაკლებას 150 ლარამდე მთელი წლის განმავლობაში ნაყიდ საქონელზე (მათ შორის კალენდარული წლის განმავლობაში ადრე შეძენილ საქონელზეც).

ა) საქონლის პირველი შემოტანა განხორციელდა 1-ელ იანვარს, სასაქონლო პარტიის მოცულობა შეადგენს 10 ტონას და ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულია ღირებულება 2 000 ლარი, მყიდველს არა აქვს გადახდილი თანხა და 2 000 ლარი კონტრაქტის პირობით უნდა გადაიხადოს 1-ელ თებერვალს. ამ წესების „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბაჟო ღირებულება იქნება 2 000 ლარი, ვინაიდან ფაქტობრივად გადასახდელი ფასი 10 ტონა საკვებისთვის არის 2 000 ლარი.

ბ) საქონლის მეორე შემოტანა განხორციელდა 2 ივლისს, სასაქონლო პარტიის მოცულობა შეადგენს 8 ტონას და ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულია ღირებულება 1 600 ლარი. მყიდველს გადახდილი აქვს 1 200 ლარი და 400 ლარი კონტრაქტის პირობით უნდა გადაიხადოს 20 ივლისს. ამ წესების „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

³⁷ იხ.: Economic Problems of the Foreign-Exchange and Customs System, Ivan A. Rankov, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 142.

³⁸ იხ.: School Trademarks, Price Discrimination and the Bureau of Customs, Kenneth W. Dam, heinonline.org Mon Apr 8, p. 141.

საბაჟო ღირებულება შეადგენს 1 600 ლარს, ვინაიდან ფაქტობრივად გადასახდელი ფასი 8 ტონა საკვებისთვის არის 1 600 ლარი.

გ) საქონლის მესამე შემოტანა განხორციელდა 6 ოქტომბერს, სასაქონლო პარტიის მოცულობა შეადგენს 9 ტონას და ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულია ფასი 450 ლარი. დეკლარანტი აცხადებს, რომ ვინაიდან მან შეიძინა წლის განმავლობაში 20 ტონაზე მეტი საკვები (სულ 27 ტონა), შესაბამისად, მიიღო პირველადი კონტრაქტით გათვალისწინებული ფასდაკლება და მისთვის წლის განმავლობაში ნაყიდი მთელი პარტიისათვის ტონა საკვების ფასი გახდა 150 ლარი. მთელი პარტიისათვის ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი არის $27 \cdot 150 = 4\ 050$ ლარი. მას პირველი ორი ოპერაციის შემდეგ გადახდილი ჰქონდა 3 600 ლარი და შესაბამისად მესამე შესყიდვაზე გადაიხადა 450 ლარი. ამ წესების „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დეკლარანტს შეუძლია მოითხოვოს წინა ორი იმპორტის საბაჟო ღირებულების დადგენილი წესით შესწორება (შემცირება).

თუ ფაქტობრივად გადახდილმა ან გადასახდელმა ფასმა წინა ორი იმპორტის შემთხვევაში შეადგინა 1 500 ლარი და 1 200 ლარი. 9 ტონა ძაღლის საკვების საბაჟო ღირებულება იქნება არა 450 ლარი, არამედ 1350 ლარი. სამაგიეროდ გაიზარდა მე-3 საქონლის საბაჟო ღირებულება ($9 \cdot 150$), ამ წესების „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამივე შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება შემცირდა 150 ლარამდე. როგორც წინა 2 საქონლის საფასური, ტონა 150 ლარამდე შემცირდა, მე-3 საქონელზეც 1 ტონაზე - 150 ლარი უნდა გადაიხადოს მეწარმემ ანუ 9 ტონაზე - 1350 ლარი. წინა 2 შემოტანაზე 2 700 ლარი აქვს გადახდილი ნაცვლად 3 600 ლარისა, მე-3 შემოტანაზე დარჩენილი იქნება 1 350 ლარი ($2\ 700 + 1\ 350 = 4\ 050$). შედეგი ერთი და იგივეა, უბრალოდ მეწარმის მიერ ხდება გადანაწილება სამ შემოტანაზე იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მას სურს. ეს მეწარმეს იმისათვის სჭირდება, რომ შესაძლოა მას პირველ ორ შემოტანაზე ტონაზე 200 ლარის გადახდის საშუალება არ ჰქონდეს და 150 ლარი გადაიხადოს. შედეგად პირველ ორ შემოტანაზე საბაჟო ორგანოს მიერ არ მოხდება საბაჟო ღირებულების ტონა 200 ლარის დაფიქსირება.

3.1 გარიგების ფასის დადგენის მეთოდი საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას

საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით ანუ საქონელში ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასით, თუ საქონლის გაყიდვა ან ფასი არ არის დაკავშირებული რაიმე პირობასთან ან გარემოებასთან, რომელთა შეფასება (ღირებულების დადგენა) შეუძლებელია საქონლის ღირებულებასთან მიმართებით. იმ

შემთხვევაში, თუ ასეთი პირობის ან გარემოების ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია, ეს ღირებულება ჩაითვლება მყიდველის მიერ განხორციელებულ ირიბ გადახდად და შესაბამისად განიხილება, როგორც ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასის ნაწილი;³⁹ შესაბამისად, თუ საგადასახადო ორგანო შეძლებს პირობის განსაზღვრას, მას შეუძლია ეს პირობა ჩათვალოს გარიგების ფასში.⁴⁰

ასევე, თუ ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი გამოიანგარიშება დასაბუთებულ, ობიექტურ მონაცემთა საფუძველზე, საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით.

მყიდველი და გამყიდველი არ უნდა იყვნენ ურთიერთდამოკიდებული პირები. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

პირები ურთიერთდამოკიდებულად ჩაითვლებიან, თუ: ისინი არიან ერთმანეთის საწარმოების/კომპანიების ხელმძღვანელი პირები ან დირექტორები; ისინი არიან საქმიანობაში კანონიერად აღიარებული პარტნიორები; ისინი არიან დამსაქმებელი და დასაქმებული; არსებობს მესამე პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ფლობს ან აკონტროლებს ორივე პირს ან აქვს ორივე პირის ხმის უფლების მქონე აქციების 5 ან მეტი პროცენტი; ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს მეორეს; ორივე პირს პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს მესამე პირი; ისინი ერთად, პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებენ მესამე პირს; ისინი არიან ერთი ოჯახის წევრები.⁴¹

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი და გამყიდველი არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. მხოლოდ ეს ფაქტი არ წარმოდგენს გარიგების ფასის მიუღებლობის საკმარის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში მოწმდება გაყიდვის ყველა გარემოება და გარიგების ფასი მიღებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ ურთიერთდამოკიდებულებას გავლენა არ მოუხდენია ფასზე. თუ დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი ან რაიმე სხვა სახით მიღებული (მაგალითად, ჭკვიანი მებაჟე ან ასიკუდას პროგრამა) ინფორმაციის საფუძველზე საგადასახადო ორგანოს წარმოეშვა საფუძველიანი ეჭვი, რომ გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთდამოკიდებულებამ გავლენა მოახდინა საქონლის

³⁹ იხ.: Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 449.

⁴⁰ იხ.: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 25.

⁴¹ იხ.: საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 213.

გარიგების ფასზე, საგადასახადო ორგანო დეკლარანტს აცნობებს თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს (დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში – წერილობით), რაზედაც დეკლარანტს უფლება აქვს, წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტება.⁴²

თუ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, საქონელზე გარიგების შედეგად დადგენილი ფასი მიიღება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად, თუ დეკლარანტი წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომ აღნიშნული ღირებულება მაქსიმალურად მიახლოებულია დროის იმავე მონაკვეთში განსაზღვრული იმპორტირებული იდენტური ან მსგავსი საქონლის გარიგების ფასთან, რომელიც გამყიდველმა მიყიდა ურთიერთდამოუკიდებელ პირს (მყიდველს). ეს წესი გამოიყენება მხოლოდ დეკლარანტის სურვილით და მხოლოდ შედარებისათვის.⁴³

იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, გარიგების ფასს უნდა დაემატოს შემდეგი ხარჯები, იმ პირობით, რომ ეს ხარჯები მყიდველმა რეალურად გასწია, მაგრამ ისინი არ არის ჩართული გარიგების ფასში:

ა) საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შესყიდვაზე გაწეული საკომისიო ხარჯებისა. შესყიდვის საკომისიო ხარჯები ეს არის საკომისიოები, რომლებიც იმპორტიორმა თავის აგენტს გადაუხადა შესაფასებელი საქონლის შესყიდვისათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ;

ბ) იმ კონტეინერების ღირებულება, რომლებიც იმპორტის მიზნებისათვის განიხილება იმპორტირებულ საქონელთან ერთობლიობაში. თუ ასეთი კონტეინერი მრავალჯერადი გამოყენებისაა, დეკლარანტის მოთხოვნით, მისი ღირებულება, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, პროპორციულად უნდა გადანაწილდეს შესაფასებელ საქონელზე; კონტეინერის ღირებულება გადანაწილდება პროპორციულად თითოეულ შემოტანაზე. მაგალითად, 1 000 ლარის კონტეინერი 10 შემოტანაზე გადანაწილდება შემდეგნაირად, თითოეული შემოტანილ საქონელს დაემატება კონტეინერის 100 ლარი.

გ) საქონლის შეფუთვის ღირებულება, გაწეული შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით.

გარიგების ფასის მეთოდის დროს შესაძლებელია საქონელი ან მომსახურება მყიდველის მიერ გამყიდველს უფასოდ ან ფასდაკლებით

⁴² იხ.: Effects of a Turkey-European Union Customs Union and Prospects for the Future, Subidey Togan, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 10.

⁴³ იხ.: School Trademarks, Price Discrimination and the Bureau of Customs, Kenneth w. Dam, heinonline.org Mon Apr 8, p. 45.

მიეწოდოს, ეს საქონელი ან მომსახურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბოლოო საქონლის წარმოების დროს, ამ დროს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს ქვემოთ ჩამოთვლილი საქონლისა და მომსახურების პროპორციულად განაწილებული ღირებულება იმ ოდენობით, რომლითაც ეს ღირებულება ჩართული არ არის გადახდილ ან გადასახდელ ფასში. მაგალითად, სუნამოს იმპორტის დროს სუნამოს ტესტერი არ ითვლება ფასში, არის უფასო, რის გამოც იგი არ ბაჟდება. აღნიშნული გამომდინარეობს საგადასახო კოდექსის 177-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც საქონლის/მომსახურების მიწოდება, რომელიც ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების მიმართ დამხმარე ხასიათისაა, ითვლება ამ საქონლის/მომსახურების ნაწილად.

ა) საქონლის შემადგენლობაში შემავალი მასალები, ნედლეული, ნაწილები (დეტალები) და სხვა ანალოგიური კომპონენტები;

ბ) საქონლის წარმოების დროს გამოყენებული სამუშაო ინსტრუმენტები, შტამპები, ჩამოსასხმელი ფორმები და მსგავსი ელემენტები;

გ) საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-დიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, პროექტები, სქემები, ესკიზები და სხვა სამუშაოები.

საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში, უნდა განისაზღვროს იმ ფასით, რომლითაც იგი შეიძინა მყიდველმა. თუ ეს საქონელი ნაწარმოებია თვით მყიდველის მიერ. მისი ფასი განისაზღვრება მყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მყიდველმა საზღვარგარეთ გააგზავნა საკუთარი საქონელი, რომლისგანაც საზღვარგარეთულმა კომპანიამ შექმნა საბოლოო საქონელი. საბოლოო საქონლის საქართველოში იმპორტის დროს პირმა და საგადასახადო ორგანომ შეიძლება გამოიყენონ ქართული კომპანიის საბუღალტრო დოკუმენტაცია საბაჟო ღირებულების დასადგენად. მართალია, ამ დროს საბოლოო საქონელი არაა ის, რაც მყიდველის მიერ იყო შექმნილი, მაგრამ საგადასახადო ორგანოს ეს დოკუმენტები დაეხმარება საბაჟო ღირებულების დადგენაში. ამ დოკუმენტებში იქნება დაფიქსირებული, თუ რა ხარისხის და რა მატერიისგან არის შექმნილი პროდუქცია და რამდენად არის იგი შექმნილი.

იმ შემთხვევაში, როცა მოცემული საქონელი ამორტიზებულია, მისი ღირებულება განისაზღვრება ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით.⁴⁴

⁴⁴ იხ.: Customs Valuation and Customs Enforcement, heinonline.org. Mon Apr 8, p. 338.

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებული საავტორო ჰონორარი ან სალიცენზიო გადასახდელები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ჩართული არ არის გადახდილ ან გადასახდელ ფასში და პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა გადაიხადოს მყიდველმა, როგორც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის პირობა.⁴⁵ მასში შედის გადასახდელები პატენტებზე, სასაქონლო მარკებზე, საავტორო უფლებებზე, „ნოუ-ჰაუზე“. ამასთანავე, სალიცენზიო და ინტელექტუალური საკუთრების გადასახდელები ჩაირთვება საბაჟო ღირებულებაში, თუ ინტელექტუალური საკუთრების ნიმუშებს განუყრელი კავშირი აქვს იმპორტირებულ საქონელთან და ეს პირობები დაფიქსირებულია კონტრაქტში. თუ მყიდველი სალიცენზიო გადასახდელებს უხდის მესამე პირს, ეს შეთანხმებული უნდა იყოს გამყიდველთან.

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს იმ მოგების ნაწილის ღირებულება, რომელიც საქონლის ყოველი შემდგომი გადაყიდვის, განკარგვის და გამოყენების შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის გამყიდველს.⁴⁶ მაგალითად, ქართულმა შპს-მ 10 ტონა ფქვილი იმ პირობით იყიდა 10 000 ლარად, რომ ამ საქონელს მიმდინარე წელს მესამე პირზე 13 000 ლარად გაყიდდა, ხოლო ზედმეტად გაყიდული ფასის 10%-ს 1 300 ლარს, თავდაპირველ გამყიდველს გადაუხდიდა. ამ დროს თავდაპირველი გარიგების ფასი არის 11 300 ლარი (10 000+1300), იმის მიუხედავად, რომ ჯერ არ გაუყიდა მე-3 პირზე.

საქონლის საბაჟო ღირებულებაში ჩაირთვება იმპორტირებულ საქონელზე საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთამდე გაწეული შემდეგი ხარჯები:

ტრანსპორტირების ღირებულება, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დამუშავების (მათ შორის, საწყობში შენახვის) ხარჯები. თუ სხვადასხვა საქონლის პარტია ერთი და იმავე ტრანსპორტით არის იმპორტირებული, ტრანსპორტირების ხარჯები პროპორციულად გადანაწილდება, რომელიც უნდა განისაზღვროს გადამზიდავთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით;

დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები, თუ ეს ხარჯები გაწეულია დეკლარანტის მიერ.

⁴⁵ იხ.: Rationale of Valuation of Foreign Money Obligations, Charles Evan, heinonline.org. Mon Apr 8, p. 311.

⁴⁶ იხ.: Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 450.

გარიგების ფასის მიხედვით, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება არის გარიგების, ანუ საქართველოში საექსპორტოდ გაყიდულ საქონელზე გადახდილი ან გადასახდელი ფასი.

არსებობს პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ამ მეთოდის გამოყენებისთვის:

1) არ უნდა არსებობდეს რაიმე შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია მყიდველის მიერ საქონლის განკარგვასთან ან გამოყენებასთან, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით ან სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

პირველი მაგალითი:

გერმანელი ექსპორტიორი ქართველ მყიდველს მიაწვდის ფარმაცევტულ პროდუქციას. ასეთი საქონლის რეალიზაციისა და განკარგვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები (აღნიშნული საქონლის რეალიზაცია ლიცენზირებადი საქმიანობაა), არ ახდენს გავლენას გარიგების ფასზე და ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასის მეთოდით.

მეორე მაგალითი:

საქართველოში იმპორტირებულ იქნა ავტომობილები. მომწოდებელი იმპორტიორს უკრძალავს ავტომობილების საცალო რეალიზაციის დაწყებას 2019 წლის 1-ელ იანვრამდე, თუმცა მანამდეც შესაძლებელია ავტომობილების დემონსტრირება. აღნიშნული შეზღუდვა არ გამორიცხავს გარიგების ფასის გამოყენებას საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, მიუხედავად იმისა, რომ იმპორტიორს ჯერ არ აქვს ავტომობილების რეალიზაციის უფლება.

2) მყიდველის მიერ იმპორტირებული საქონლის შემდგომი გაყიდვის, განკარგვის ან გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლების არცერთი ნაწილი, არც პირდაპირ და არც ირიბად არ გადაეცემა გამყიდველს. თუმცა, თუ ასეთი პირობა არსებობს და შესაძლებელია გარიგების ფასის სათანადო კორექტირების განხორციელება (ზუსტად განსაზღვრა, თუ რა იქნებოდა გარიგების ფასი, რომ არა აღნიშნული პირობა) შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შეცვლილი გარიგების ფასი;⁴⁷

მესამე მაგალითი:

მეწარმეს შემოაქვს ავტომობილის საბურავები. გადახდილი ფასი შეადგენს 50 000 ლარს. გარდა ამისა, არსებობს პირობა, რომ საქონლის საქართველოში რეალიზაციის შემთხვევაში მომწოდებელი, ანუ ის,

⁴⁷იხ.: Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 449.

ვისგანაც შეიძინა აღნიშნული საბურავები, დამატებით მიიღებს 10 000 ლარს. ამ შემთხვევაში დასაშვებია გარიგების ფასის მეთოდის გამოყენება და საქონლის ფასი განისაზღვრება 60 000 ლარით.

მეოთხე მაგალითი:

უცხოურმა საწარმომ იმპორტიორს მიაწოდა 10 000 ლარის ღირებულების დისკები, პლიუს უნდა ჩაურიცხოს აღნიშნული დისკებიანი საბურავების რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების 20%. ამ შემთხვევაში შეუძლებელია დავადგინოთ, რამდენი უნდა იყოს გადახდილი დისკებში (რა თანხის 20% უნდა იყოს გადახდილი) და რამდენია დამატებით გადასახდელი იმპორტირებულ საქონელზე. დამატებითი გადასახდელი თანხა დაკავშირებულია მოგებასთან და არა გადაყიდვის ფასთან და ძნელი იქნება, განვსაზღვროთ, რამდენია აქედან მიღებული იმპორტირებული საქონლიდან და რამდენი იმპორტიორის მიერ გაწეული მომსახურებიდან. დასადგენია, რა ხარჯები იყო გაწეული და სხვა. ამ შემთხვევაში მონაცემები ვერ იქნება ობიექტური გადანაწილების დასასაბუთებლად.

3) მყიდველი და გამყიდველი არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები ან თუ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, უნდა მტკიცდებოდეს, რომ ურთიერთდამოკიდებულებამ გავლენა არ მოახდინა გარიგების ფასზე.

რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი – ესაა მთლიანი თანხა, რომელიც გადაუხადა ან უნდა გადაუხადოს მყიდველმა გამყიდველს, ან გადაიხდოს გამყიდველის სასარგებლოდ იმპორტირებული საქონლისათვის;⁴⁸

გარიგების ფასი მოიცავს იმპორტირებული საქონლისათვის მეწარმის მიერ გამყიდველის მიმართ განხორციელებულ ყველა გადახდას, ან მეწარმის მიერ მესამე მხარისთვის გამყიდველის მიმართ არსებული ვალდებულების დასაფარად განხორციელებულ ყველა გადახდას. გადახდის განხორციელება სავალდებულო არ არის. გადახდა შეიძლება განხორციელდეს არა ხელშეკრულების დადების წელს, არამედ შემდეგ წელს. ეს არ დააბრკოლებს იმას, რომ საბაჟო ღირებულება განისაზღვროს გარიგების ფასის მეთოდით. გადახდის განხორციელება შესაძლებელია გადარიცხვის სახით, თავისუფლად ბრუნვადი ფასიანი ქაღალდის მეშვეობით, პირდაპირი ან ირიბი გზით. საინტერესოა, უნდა ჩაითვალოს თუ არა მარკეტინგთან (რეკლამირებასთან) დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც მყიდველმა საკუთარი ხარჯით განახორციელა, ირიბ გადახდად. მარკეტინგთან დაკავშირებული ხარჯები არ უნდა ჩაითვალოს

⁴⁸ იხ.: ლ. ნადარაია, ზ. როგავა, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, 2012, გვ. 310.

გამყიდველისთვის ირიბ გადახდად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ისინი გამყიდველისათვის სასარგებლო იყოს.⁴⁹

3.2 იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი

იდენტური საქონელი არის საქონელი, რომელიც შესაფასებელ საქონელთან შედარებით ყოველმხრივ, ფიზიკური მახასიათებლების, ხარისხისა და რეპუტაციის ჩათვლით, ერთნაირია, აგრეთვე ერთი და იმავე ქვეყნიდანაა წარმოშობილი. უმნიშვნელო გარეგნული განსხვავებები არ უნდა უშლიდეს ხელს საქონლის იდენტურად მიჩნევას, თუ სხვა მაჩვენებლებით იგი შეესაბამება მოცემულ განსაზღვრებას.⁵⁰

უმნიშვნელო გარეგნულ სხვაობებთან შეიძლება განვიხილოთ შემდეგი სახის განსხვავებები:

ა) განსხვავება ზომებში (მაგ. ფეხსაცმელი 41 და 43 ზომის ჩაითვლება იდენტურ საქონლად, თუ მათი ყველა სხვა პარამეტრი იდენტურია. განსხვავებული ზომის ტანსაცმელი და ა.შ.);

ბ) განსხვავება ეტიკეტებში (მაგ. ეტიკეტის მასალა ქაღალდი, მუყაო, გამოყენებული პოლიგრაფია, ეტიკეტის დიზაინი და ა.შ.);

გ) განსხვავება ფერში იმ პირობით, რომ ფერი არ წარმოადგენს ფასის წარმოქმნის ფაქტორს.

პირველი მაგალითი:

საქონლის, კერძოდ, თუნუქის ექსპორტი ხორციელდება ერთი და იმავე ქვეყნიდან ორი სხვადასხვა მყიდველის მიერ, ამასთან თუნუქის ქიმიური შემადგენლობა, ფურცლების ზომები და დამუშავების ხარისხი ერთნაირია. ჩვენ გვაინტერესებს თუნუქის საბაჟო ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ თუნუქის ფურცლები იმპორტირებულია ერთ შემთხვევაში ავტომანქანის კორპუსის დეტალების დასამზადებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში ღუმელების დასამზადებლად თუნუქი ჩაითვლება იდენტურად. მიუხედავად იმისა, რომ დანიშნულება სხვადასხვა აქვთ, ფასი მაინც ერთი იქნება. ჩვენ კი მხოლოდ თუნუქის ფასი გვაინტერესებს.

მეორე მაგალითი:

ერთი და იგივე მწარმოებლის საშპალიერე ქაღალდი, იმპორტირებულია ბითუმად მოვაჭრისა და მხატვარ-დეკორატორის მიერ. ეს გარიგებები ჩაითვლება იდენტურ საქონლის გარიგებად ამ მეთოდის მიზნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ფასი, რომელიც

⁴⁹ იხ.: Customs Valuation and Customs Enforcement, heinonline.org. Mon Apr 8, p. 333.

⁵⁰ იხ.: Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 450.

გადაიხადა თითოეულმა მათგანმა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ღირებულების კორექტირება კომერციულ და რაოდენობრივ დონეებს შორის განსხვავების გათვალისწინებით.

მესამე მაგალითი:

წარმოდგენილია მონაცემები საქართველოში იმპორტირებული კაბების ორი ოპერაციის შესახებ. რომლებიც წარმოებულია ერთ ქვეყანაში, შეკერილია ერთი და იგივე ხარისხის 100% აბრეშუმისაგან, ერთი მოდელის მიხედვით არიან სხვადასხვა ფერისა და ზომის. ამასთან, ერთ შემთხვევაში კაბებს აქვთ ცნობილი მოდელიერის მარკა, მეორე შემთხვევაში კი არა. იმის გადასაწყვეტად, იქნება თუ არა ეს კაბები იდენტური, გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ სავაჭრო ნიშანი ზემოქმედებას ახდენს ბაზარზე საქონლის რეპუტაციაზე. ვინაიდან ცნობილი მოდელიერის მარკა განსაზღვრავს საქონლისათვის სხვა საბაზრო სეგმენტს და, შესაბამისად, სხვა, უფრო მაღალი ღირებულების, საქონლად აქცევს. აქედან გამომდინარე, ეს კაბები ვერ ჩაითვლება იდენტურ საქონლად.

მეოთხე მაგალითი:

გვაქვს იმპორტირებული ველოსიპედების ორი პარტია, წარმოებულია ერთ ქვეყანაში იმავე მწარმოებლის მიერ, მასალები, ფერი, მოდელი ერთი და იგივეა, მაგრამ ერთი პარტია იმპორტირებულია დაშლილი სახით (საჭიროებს ადგილზე აწყობას), ხოლო მეორე აწყობილია. ვინაიდან ექსპორტირებისას ერთი პარტია აწყობილია, ხოლო მეორე საჭიროებს აწყობას, ისინი ვერ ჩაითვლება ერთი და იმავე ფიზიკური მახასიათებლების მქონედ და, შესაბამისად, არ ჩაითვლება იდენტურად.⁵¹ აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ დაშლილი ველოსიპედის აწყობას სჭირდება ფინანსური და შრომითი დანახარჯები. შესაბამისად, აწყობილ ველოსიპედს აქვს უფრო მეტი ღირებულება.

თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, გარიგების ფასის მიხედვით, საბაჟო ღირებულებად ჩაითვლება იმ იდენტური იმპორტირებული საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც გაიყიდა საქართველოში ექსპორტირების მიზნით და ექსპორტირებული იყო იმავე ან თითქმის იმავე დროს, როდესაც განხორციელდა შესაფასებელი საქონლის ექსპორტი.⁵² იმავე ან თითქმის იმავე დრო ნიშნავს, რომ განსხვავება

⁵¹ იხ.: Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 451.

⁵² იხ.: Rationale of Valuation of Foreign Money Obligations, Charles Evan, heinonline.org. Mon Apr 8, p. 312.

იდენტური საქონლის ექსპორტის თარიღსა და შესაფასებელი საქონლის ექსპორტის თარიღს შორის არ აღემატება 30 კალენდარულ დღეს, როგორც 30 დღით ადრე ექსპორტამდე, ასევე, ექსპორტიდან 30 დღის შემდეგ.⁵³

საბაჟო ღირებულების იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდით დასადგენად განიხილება ორი გარიგება, რომლებიც დადებულია შესაფასებელი საქონლის იდენტურ საქონელზე. უნდა დადგინდეს, ჩაითვლება თუ არა ეს ორი გარიგება ექსპორტირებულად იმავე ან თითქმის იმავე დროს, როცა განხორციელდა შესაფასებელი საქონლის ექსპორტი. ორივე გარიგება დადებულია თურქეთიდან საქართველოში ფქვილის შემოტანაზე, შემოტანა ხორციელდებოდა ავტოტრასპორტით. სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით, შესაფასებელმა საქონელმა თურქეთი დატოვა 28 სექტემბერს, იდენტური საქონლის სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით, მათ თურქეთის ტერიტორია დატოვეს ერთ შემთხვევაში 8 სექტემბერს, ხოლო მეორე შემთხვევაში 25 ოქტომბერს. შესაბამისად, შესაფასებელი საქონლის ექსპორტის თარიღი იქნება 28 სექტემბერი, ხოლო იდენტური საქონლის ექსპორტის თარიღები 8 სექტემბერი (20 დღით ადრე) და 25 ოქტომბერი (27 დღის შემდეგ). ვინაიდან, ორივე იდენტური საქონლის ექსპორტის თარიღის განსხვავება შესაფასებელი საქონლის ექსპორტის თარიღისაგან 30 დღეზე ნაკლებია, ისინი ჩაითვლება ექსპორტირებულად იმავე ან თითქმის იმავე დროს.

სხვა პირის მიერ წარმოებული საქონლის გარიგების ფასი მხედველობაში მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ მოიპოვება მონაცემები იმავე მწარმოებლის მიერ წარმოებული იდენტური საქონლის გარიგების ფასზე.⁵⁴

იდენტური საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია საგადასახადო ორგანოს მიერ რეგისტრირებული იდენტური იმპორტირებული საქონლის გარიგების ფასი, რომელიც საქართველოში საექსპორტოდ გაყიდულია იმავე კომერციულ და რაოდენობრივ დონეებზე, როგორც შესაფასებელი საქონელი (საქონლის პარტიის მოცულობა და ფასი); მაგალითად,

მანქანების მწარმოებელ იაპონურ კომპანიას შემუშავებული აქვს კონკრეტული საქონლის გაყიდვის დადგენილი სტრატეგია;

განსაზღვრულია შესაბამისი გაყიდვის დონეები;

პირველ დონეს განეკუთვნება სათაო ოფისი იაპონიაში;

⁵³ ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ საქართველოს, მუხლი 26.

⁵⁴ იხ.: Economic Problems of the Foreign-Exchange and Customs System, Ivan A. Rankov, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 141.

მეორე დონე - ევროპაში გაყიდვის ცენტრით იტალიაში, რომელიც ემსახურება ევროპის კონტინენტს;

მესამე დონე - კავკასიის რეგიონალური გაყიდვის ცენტრით თბილისში, ახორციელებს გაყიდვებს კავკასიაში;

ერთ კომერციულ დონეზე გაყიდულად ჩაითვლება გაყიდვები, რომლებიც შესაბამის დონეზე განხორციელდა (ორივე პირველ დონეზე სათაო ოფისიდან, ან თუნდაც სამი გაყიდვა. რომლებიც კავკასიის რეგიონალური გაყიდვის ცენტრიდან მოხდა);⁵⁵

ამ პირობის არარსებობისას საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია საგადასახადო ორგანოს მიერ რეგისტრირებული იდენტური იმპორტირებული საქონლის გარიგების ფასი, რომელიც გაიყიდა სხვა კომერციულ დონეზე ან/და სხვა რაოდენობით და აღნიშნული საბაჟო ღირებულება კორექტირებულია კომერციული დონით ან/და რაოდენობით გაპირობებულ სხვაობათა გათვალისწინებით.⁵⁶ ასეთი კორექტირება შეიძლება გაკეთდეს წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც ნათლად წარმოსახავს კორექტირების მიზანშეწონილობას და სიზუსტეს, მიუხედავად იმისა, ზრდის თუ ამცირებს კორექტირება საქონლის ღირებულებას.

მაგალითი:

შესაფასებელი იმპორტირებული საქონლის პარტია შედგება 10 ერთეულისაგან, ხოლო იდენტური იმპორტირებული საქონელი, რომელზეც არსებობს ინფორმაცია, მიწოდებული იქნა 500 ერთეულის ოდენობით და, ამასთანავე, ცნობილია, რომ გამყიდველი ითვალისწინებს ფასდაკლებას რაოდენობის მიხედვით, მაშინ საჭირო კორექტირება შეიძლება განხორციელდეს გამყიდველის კატალოგიდან იმ ფასის ამორჩევით, რომელიც შეესაბამება 10 ერთეულის გასაყიდ ფასს. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭირო არ არის, რომ გაყიდვა განხორციელდეს 10 ერთეულის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ კატალოგი კეთილსინდისიერად არის შედგენილი სხვა მოცულობებით გაყიდვასთან დაკავშირებითაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ობიექტური საზომის გარეშე მიუღებელია საბაჟო ღირებულების დადგენა იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდის მიხედვით.

თუ საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლინდა იდენტური იმპორტირებული საქონლის ერთზე მეტი გარიგების ფასი, საქონლის

⁵⁵ იხ.: Customs Valuation and Customs Enforcement, heinonline.org. Mon Apr 8, p. 339.

⁵⁶ იხ.: Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 463.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის, გამოყენებული უნდა იქნეს მათგან უმცირესი.⁵⁷

3.3 მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი

მსგავსი საქონელი არის საქონელი, რომელიც არ არის ზუსტად შესაფასებელი საქონელი და აქვს ერთი და იმავე წარმოშობის ქვეყანა, მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები და შემადგენელი მასალები, რომელთა საფუძველზედაც ამ საქონელს შეუძლია შეასრულოს იგივე ფუნქციები და იყოს კომერციული თვალსაზრისით ჩანაცვლებადი.⁵⁸

იმისათვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა საქონელი შესაფასებელის მსგავსი უნდა გაანალიზდეს შემდეგი პარამეტრები და მახასიათებლები:

ა) ფიზიკური მახასიათებლები -ზომა და ფორმა;

ა. ტექნიკური და სხვა მახასიათებლები (სირთულის დონე, დამუშავების ხარისხი);

ბ.დამზადების მეთოდი;

ბ) შემადგენელი მასალები:

ბ.ა) გამოყენებული მასალა (მინა, პლასტიკი და ა.შ.);

ბ.ბ) შავი, ფერადი ან ძვირფასი მეტალი;

ბ.გ) ნაჭერი ან ქაღალდი და ა.შ.

გ) ფუნქციები:

გ.ა) შესადარებელი და შესაფასებელი საქონლის მიერ შესასრულებელი ფუნქციები;

გ.ბ) მათი გამოყენების სფერო;

გ.გ) იგივე ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა;

დ) კომერციული თვალსაზრისით ჩანაცვლებადობა, კერძოდ, მიიღებს თუ არა მყიდველი ერთ საქონელს მეორის ნაცვლად (როგორც საქონლის მიერ შესასრულებელი ფუნქციის, ასევე, კომერციული მახასიათებლების გათვალისწინებით). ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქონლის ხარისხი, მისი რეპუტაცია ბაზარზე, სასაქონლო ნიშანი.⁵⁹

პირველი მაგალითი:

⁵⁷ იხ.: Customs Valuation and Customs Enforcement, heinonline.org. Mon Apr 8, p. 333.

⁵⁸ იხ.: Effects of a Turkey-European Union Customs Union and Prospects for the Future, Subidey Togan, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18, 2013, p. 15.

⁵⁹ იხ.: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 27.

წარმოდგენილია ორი ერთნაირი ზომის საბურავების სასაქონლო პარტია. საბურავები დამზადებულია ერთ ქვეყანაში სხვადასხვა მწარმოებლის მიერ. ამასთან, ორივე სახის საბურავი ნიშანდებულია საკუთარი (ერთმანეთისაგან განსხვავებული) სასაქონლო ნიშნით. ამასთან, ორივე მწარმოებლის საბურავებს ერთნაირი რეპუტაცია აქვთ საქართველოს ბაზარზე, მათი საქონელი დამზადებულია ერთნაირი სტანდარტების შესაბამისად და მათი ხარისხიც ერთნაირია. ორივე სახის საბურავი იყიდება საქართველოს ბაზარზე. განვიხილოთ, ჩაითვლება თუ არა ისინი მსგავს საქონლად საბაჟო ღირებულების დადგენის მიზნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბურავები ვერ ჩაითვლება ყოველმხრივ ერთნაირად (მხოლოდ ის ფაქტი, რომ განსხვავებული საკჭრო ნიშანი აქვთ, წარმოადგენს საფუძველს, რომ ისინ არ განიხილებოდეს, როგორც იდენტურები), იმის გათვალისწინებით, რომ საბურავები დამზადებული ერთი სტანდარტის შესაბამისად, გულისხმობს რომ ისინი დამზადებულია იმავე შემადგენელი მასალებისგან, აქვთ მსგავსი ხარისხი, შეუძლიათ შეასრულონ იგივე ფუნქციები. აქედან გამომდინარე, საბურავები შეიძლება განვიხილოთ, მსგავს საქონლად საბაჟო ღირებულების დადგენის მიზნებისათვის.⁶⁰

ზემოთ მოყვანილ აბრეშუმის კაბების მაგალითზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ჩითვლება მსგავს საქონლად, რადგან წარმოებული არიან ერთ ქვეყანაში, შეკერილია ერთი და იმავე ხარისხის 100% აბრეშუმისაგან, ერთი მოდელის მიხედვით და შეუძლიათ განახორციელონ ერთი და იგივე ფუნქცია, შესაბამისად, ისინი ჩითვლება მსგავს საქონლად.

მეორე მაგალითი:

საქონლის, მწვანე ფერის საღებავის განკუთვნილის ქაღალდის შესაღებად და მწვანე ფერის საღებავის განკუთვნილის ნაჭრის შესაღებად ექსპორტი ხორციელდება ერთი და იმავე ქვეყნიდან ორი სხვადასხვა მყიდველის მიერ. იმისათვის, რომ საქონელი ჩაითვალოს მსგავსად, მათ უნდა შეეძლოთ შეასრულონ „იგივე ფუნქციები“, აქედან გამომდინარე, ეს საღებავები არ წარმოადგენს მსგავს საქონელს, მიუხედავად იმისა, რომ ნაჭრის საღებავი შეიძლება გამოყენებულ იქნას ქაღალდის შესაღებადაც, ქაღალდის საღებავს ვერ გამოვიყენებთ ნაჭრის შესაღებად. ზემოთმოყვანილ თუნუქის მაგალითში თუნუქის ქიმიური შემადგენლობა, ფურცლების ზომები და დამუშავების ხარისხი ერთნაირია, რის გამოც ავტომანქანის კორპუსის თუნუქის გამოყენება შეიძლება ღუმელის დასამზადებლად და, პირიქით. ჩვენ

⁶⁰ იხ.: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების დამტკიცების თაობაზე.

მხოლოდ თუნუქის ღირებულება გვანტერესებდა. შედეგად, ავტომანქანის და ღუმელის თუნუქი იდენტური საქონელია.

მესამე მაგალითი:

განვიხილოთ ორი საქონელი: ფხვნილი ნატრიუმის პეროქსიდი მათეთრებელი საშუალება და ფხვნილი ნატრიუმის პეროქსიდი (განსაკუთრებული ხარისხის). ორივე ნივთიერებას აქვს ერთნაირი ქიმიური ფორმულა, მზადდება იმავე საწყისი ნედლეულისაგან, მაგრამ ნატრიუმის პეროქსიდის (განსაკუთრებული ხარისხის) დამზადებისას გამოიყენება პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა, იწარმოოს ქიმიურად სუფთა ნივთიერება (მასში უცხო მინარევების ოდენობა მინიმალურია). ისინი ვერ ჩაითვლება მსგავს საქონლად, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ შეასრულონ იგივე ფუნქციები. ნატრიუმის პეროქსიდი (განსაკუთრებული ხარისხის) შეიძლება გამოყენებული იყოს ლაბორატორიული კვლევების და ანალიზების დროს, ხოლო ფხვნილი ნატრიუმის პეროქსიდი (მათეთრებელი) იმავე ფუნქციას ვერ შეასრულებს. ამიტომ, ისინი არ წარმოადგენენ მსგავს საქონელს.

სხვა პირის მიერ წარმოებული საქონლის გარიგების ფასი მხედველობაში მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ მოიპოვება მონაცემები იმავე მწარმოებლის მიერ წარმოებული მსგავსი საქონლის გარიგების ფასზე. მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია საგადასახადო ორგანოს მიერ რეგისტრირებული მსგავსი საქონლის გარიგების ფასი, რომელიც საქართველოში გაყიდულია იმავე კომერციულ და რაოდენობრივ დონეებზე, როგორებზედაც შესაფასებელი საქონელი (იგულისხმება საქონლის პარტიის მოცულობა და ფასი); ამ პირობის არარსებობისას საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია საგადასახადო ორგანოს მიერ რეგისტრირებული მსგავსი საქონლის გარიგების ფასი, რომელიც გაიყიდა სხვა კომერციულ დონეზე ან/და სხვა რაოდენობით და აღნიშნული ღირებულება კორექტირებულია კომერციული დონით ან/და რაოდენობით გაპირობებულ სხვაობათა გათვალისწინებით. ასეთი კორექტირება შეიძლება გაკეთდეს წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც ნათლად წარმოსახავს კორექტირების მიზანშეწონილობას და სიზუსტეს, მიუხედავად იმისა, კორექტირება ზრდის თუ ამცირებს საქონლის ღირებულებას.

თუ გამოვლინდა ერთზე მეტი მსგავსი საქონლის გარიგების ფასი, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის, კორექტირების საფუძველად, გამოყენებული უნდა იქნეს მათგან უმცირესი.⁶¹

⁶¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 27.

3.4 საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი

თუ შესაფასებელი, იდენტური ან მსგავსი საქონელი საქართველოში იყიდება იმავე სასაქონლო სახით (უცვლელ მდგომარეობაში), რა სახითაც იგი შემოტანილ იქნა საქართველოში, შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება საქონლის ერთეულის იმ ფასის მიხედვით, რა ფასადაც შესაფასებელი, იდენტური ან მსგავსი საქონელი შესაფასებელი საქონლის შემოტანის იმავე ან თითქმის იმავე დროს უდიდესი საერთო ოდენობით მიეყიდა არაურთიერთდაკავშირებულ პირებს იმპორტის შემდეგ პირველივე განხორციელებული გაყიდვისას. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვებას ახდენს მებაჟე-ოფიცერი, ერთიანი ელექტრონული პროგრამა ასიკუდას საშუალებით. „იმპორტირებული საქონელი“ არის შესაფასებელი საქონელი, რომლის საბაჟო ღირებულების დადგენა ხდება. „იდენტური საქონელზე“ და „მსგავს საქონელზე“ უკვე ვისაუბრეთ. „იმავე კლასის ან ტიპის საქონელი“ არის საქონელი, რომელიც ძირითადი ფიზიკური მახასიათებლებით ერთგვაროვანია იმპორტირებულ საქონელთან მიმართებით. იგი მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს იმპორტირებული საქონლის მახასიათებლებთან და მიეკუთვნებოდეს იმპორტირებული საქონლის სახეობის ვიწრო ჯგუფს, რიგსა და ნომენკლატურას. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) გამოიყენება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ღონისძიებათა განსახორციელებლად, სტატისტიკური აღრიცხვის წარმართვის და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის სრულყოფისათვის. ამასთანავე, იმავე კლასის ან ტიპის საქონლად შეიძლება ჩაითვალოს საქონელი, რომლის შემოტანა ხორციელდება როგორც იმპორტირებული საქონლის ქვეყნიდან, ისე სხვა ქვეყნიებიდან.⁶²

თუმცა, საქონლის ერთეულის ფასის მეთოდით საბაჟო ღირებულების დადგენისას აუცილებელია ამ ღირებულებას გამოაკლდეს:

1) საკომისიოები, რომლებიც ჩვეულებრივ გადაიხდებიან ან წინასწარ შეთანხმდება გადასახდელად, ან ფასნამატები, რომლებიც ჩვეულებრივ ხორციელდება მოგების მიღებისა და იმ ხარჯების

⁶² იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 28.

დაფარვის მიზნით, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში იმავე კლასის ან ტიპის საქონლის გაყიდვასთან;

2) საქართველოში გაწეული ჩვეულებრივი სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯები და მათთან დაკავშირებული ხარჯები;

3) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და სხვა გადასახდელები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან ან გაყიდვასთან.

იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელი ან იდენტიური ან მსგავსი საქონელი არ იყიდება შესაფასებელი საქონლის შემოტანის იმავე ან თითქმის იმავე დროს, შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას უნდა მოიძებნოს საქართველოში ბოლო 90 დღის განმავლობაში გაყიდული იდენტიური ან მსგავსი საქონელი.⁶³

პირველი მაგალითი:

საქონელი იყიდება პრეისკურანტის (გაცხადებული ფასი) მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია ფასდაკლება ერთეულ პროდუქციაზე, როდესაც გაყიდვა ხორციელდება დიდი მოცულობით. თუ უახლოეს პერიოდში მეწარმემ:

10 ერთეული საქონელი გაყიდა 50 ლარად,

25 ერთეული 55 ლარად

25 ერთეულზე მეტი 80 ლარად.

თუ მოხდა 2 ეტაპად გაყიდვა, პირველ ეტაპზე 30 ერთეული, ხოლო მეორე ეტაპზე 40 ერთეული.

ეს იმას ნიშნავს, რომ მაქსიმალურ დიდ პარტიაში საქონლის ერთეულის ფასი არის 80 ლარი. ერთეულების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც გაიყიდა მოცემული ფასით – 70 (30+40).

მეორე მაგალითი:

ხორციელდება ორი გაყიდვა. პირველი გაყიდვის დროს იყიდება 500 ერთეული თითოეულის ფასია 95, ხოლო მეორე გაყიდვის დროს იყიდება 400 ერთეული, თითოეულის ფასია 90. საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს 95-ს.

3.5 შედგენილი ღირებულების მეთოდი

საქონლის საბაჟო ღირებულებად ჩაითვლება შედგენილი ღირებულება, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

ა) საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, დამზადების ან/და დამუშავების ღირებულება; მასში შედის: 1)

⁶³ „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება, მუხლი 28.

საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შესყიდვაზე გაწეული საკომისიო ხარჯებისა („შესყიდვის საკომისიო ხარჯები“ ეს არის საკომისიოები, რომლებიც იმპორტიორმა თავის აგენტს გადაუხადა შესაფასებელი საქონლის შესყიდვისათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ); 2) იმ კონტეინერების ღირებულება, რომლებიც იმპორტის მიზნებისათვის განიხილება იმპორტირებულ საქონელთან ერთობლიობაში. თუ ასეთი კონტეინერი მრავალჯერადი გამოყენებისაა, დეკლარანტის მოთხოვნით, მისი ღირებულება, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, პროპორციულად უნდა გადანაწილდეს შესაფასებელ საქონელზე; 3) საქონლის შეფუთვის ღირებულება, გაწეული შრომისა და შესაფუთი მასალების გათვალისწინებით.

საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, დამზადების ან/და დამუშავების ღირებულებაში შედის, ასევე, ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების პროპორციულად გადანაწილებული ღირებულება, რომელიც მყიდველმა პირდაპირ ან არაპირდაპირ მიაწოდა გამყიდველს იმპორტირებული საქონლის წარმოებასა და საექსპორტო გაყიდვასთან დაკავშირებით.⁶⁴ საქართველოში წარმოებული ელემენტების ღირებულება საბაჟო ღირებულებაში ჩართული უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ელემენტების შესაბამისი ხარჯი მწარმოებლის მიერ არის გაწეული.⁶⁵

არაპირდაპირ მიწოდებაში იგულისხმება შემდეგი შემთხვევა: ტელეფონების მწარმოებელი კომპანიის დიზაინერი ჩამოსული იყო საქართველოში იმ მიზნით, რომ შეედგინა ტელეფონზე დასატანი ლოგოს დიზაინი კონკრეტულად საქართველოს ბაზრისთვის. ამ მიზნით აღნიშნული პიროვნება იმყოფებოდა საქართველოში, კონკრეტულ სასტუმროში. აღნიშნული სასტუმროს მომსახურების ღირებულება არაპირდაპირ შევა წარმოებული ტელეფონის საბაჟო ღირებულებაში.

ბ) მოგებისა და საერთო ხარჯების რაოდენობა, რომელსაც ადგილი აქვს ექსპორტიორ ქვეყანაში მწარმოებლის მიერ იმავე კლასის ან ტიპის საქონლის საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვისას; „საერთო ხარჯები“ მოიცავს საექსპორტო საქონლის წარმოებისა და გაყიდვის პირდაპირ და ირიბ ხარჯებს,

გ) ტრანსპორტირების ღირებულება, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დამუშავების (მათ შორის, საწყობში შენახვის) ხარჯები. თუ სხვადასხვა საქონლის პარტია ერთი და იმავე ტრანსპორტით არის

⁶⁴ ob.: Rationale of Valuation of Foreign Money Obligations, Charles Evan, heinonline.org. Mon Apr 8, p. 313.

⁶⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 29.

იმპორტირებული, ტრანსპორტირების ხარჯები პროპორციულად გადანაწილდება, რომელიც უნდა განისაზღვროს გადამზიდავთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით;

დ) დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები, თუ ეს ხარჯები გაწეულია დეკლარანტის მიერ.

საბაჟო ორგანოს არ შეუძლია არარეზიდენტ პირს მოსთხოვოს დოკუმენტაციის წარმოდგენა. საქონლის შედგენილი ღირებულების მეთოდის გამოყენება მთლიანად დამოკიდებულია გამყიდველზე, კერძოდ, მიაწოდებს თუ არა იგი საჭირო ინფორმაციას საბაჟო ორგანოებს.⁶⁶ თუ გამყიდველი არ მიაწოდებს შესაბამის ინფორმაციას, მაშინ შემოსავლების სამსახური გადავა სარეზერვო მეთოდზე.

3.6 სარეზერვო მეთოდი

იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უკანასკნელი მეთოდია სარეზერვო მეთოდი. ამ დროს საბაჟო ღირებულება განისაზღვრება მიზანშეწონილი საშუალებების გამოყენების გზით, რომლებიც შეესაბამება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგად დებულებებს და საქართველოში არსებულ მონაცემებს.⁶⁷

სარეზერვო მეთოდის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად არ გამოიყენება:

ა) საქართველოში წარმოებული საქონლის შიდა გასაყიდი ფასი;

ბ) საქონლის ფასი ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე;

გ) სხვა ქვეყანაში საექსპორტოდ გასატანი საქონლის ფასი, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში წარმოებული საქონელი არის გამიზნული სხვა ქვეყნის ბაზრისათვის და არ შეესაბამება ქართული ბაზრის მონაცემებს;

დ) საქონლის მინიმალური საბაჟო ღირებულება;

ე) საქონლის თვითნებურად შერჩეული ან ფიქციური ღირებულებები;

ვ) საქონლის ორ ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულების მიღების პრინციპი;

⁶⁶ იხ.: ლ. ნადარაია, ზ. როგავა, ვ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, 2012. გვ. 316.

⁶⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 30.

სარეზერვო მეთოდით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ეფუძნებოდეს საქონლის ადრე უკვე განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებას.⁶⁸

სარეზერვო მეთოდის ფარგლებში გამოიყენება იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი, მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი, საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი, იმ განსხვავებით, რომ ამ მეთოდების მოცემულობა დასაშვებია გამოყენებულ იქნას მოქნილად. კერძოდ, რაც შესაძლებელია, შეიძლება დადგინდეს სხვა ნებისმიერი მეთოდით, ხოლო რაც ვერ დგინდება, - სარეზერვო მეთოდით.⁶⁹ მაგალითად, მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდის მოქნილად გამოყენებისას - მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მსგავსი საქონელი ექსპორტირებული უნდა იქნეს იმავე ან თითქმის იმავე დროს, რაც შესაფასებელი საქონელი, შეიძლება თავისუფლად იქნეს ინტერპრიტირებული. შესაფასებელი საქონლის ექსპორტიორი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყანაში წარმოებული იდენტური იმპორტირებული საქონელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად.

საქონლის ერთეულის ფასის მეთოდის მოქნილად გამოყენებისას მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქონელი უნდა გაიყიდოს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა შემოტანის დროს, შეიძლება თავისუფლად იქნეს ინტერპრიტირებული. მოთხოვნა 90 დღის თაობაზე შეიძლება გამოყენებულ იქნას მოქნილად, კერძოდ, შეიძლება აღებულ იქნას 90 დღეზე მეტი პერიოდი.

საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლის დროს გამოსაყენებელი ფასები შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას ღია წყაროებიდან (მაგალითად, ბლუმბერგის საინფორმაციო სისტემა, ლონდონის საფონდო ბირჟის ფასი, სადაც ფიქსირდება სხვა და სხვა საქონლისა და მომსახურების ფასები) და პრაქტიკის განზოგადებიდან მიღებულ მონაცემებს, რომელიც საინფორმაციო ხასიათის არის და გამოიყენება მხოლოდ სარეზერვო მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის დადგენის მიზნით.⁷⁰

თუ ცნობილია, როგორ გადანაწილდა გადამუშავების პროდუქტებსა და ნარჩენებში საწყისი პროდუქტი ნედლეული, მაშინ თითოეული პროდუქტის და ყველა სახის ნარჩენების საბაჟო ღირებულება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

⁶⁸ იხ.: საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, ლ. ნადარაია, ზ. როგავა, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე, 2012. გვ. 317.

⁶⁹ იხ.: Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013, p. 469.

⁷⁰ იხ.: Customs Valuation and Customs Enforcement, heinonline.org. Mon Apr 8 2013, p. 218.

ა) პროდუქტის ან ნარჩენის საბაჟო ღირებულება= $A/N \times V \times M$, სადაც:
 A არის ნედლეულის ერთეულის გადამუშავებისას ამ პროდუქტის ან ნარჩენის გადასული (ჩართული) ნედლეულის რაოდენობა;
 N-არის ნედლეულის ერთეულის გადამუშავებისას ყველა პროდუქტისა და ნარჩენის გამოსავლიანობის ნორმების ჯამი;
 V-არის გადაუმუშავებელი პროდუქტის ერთეულის საბაჟო ღირებულება;

M-არის გადამუშავებული ნედლეულის მასა.⁷¹

მაგალითი:

შემოტანილი იყო გადაუმუშავებელი ნედლეული 100 კგ (ლითონის მადანი), მადანი შეიცავდა 30% ლითონს. 100 კგ ნედლეულის გადამუშავების შედეგად მიიღებული იყო ორი დასახელების პროდუქტი და ნარჩენი:

მაღალი 50% ლითონის შემცველობის კონცენტრატი 20 კგ;

საშუალო 40% ლითონის შემცველობის კონცენტრატი 40 კგ;

ნარჩენი წიდის სახით ლითონის შემცველობა 12%-ია 30კგ.

100 კგ გადაუმუშავებელი ნედლეულის საბაჟო ღირებულება შეადგენს 1000 ლარს.

განვიხილოთ, როგორ გამოითვლება თითოეული პროდუქტისა და ნარჩენის საბაჟო ღირებულება აღწერილ შემთხვევაში.

პირველი პროდუქტის მაღალი 50% ლითონის შემცველობის კონცენტრატისთვის: კოეფიციენტი A ნედლეულის ერთეულის გადამუშავებისას მასში ჩართული ნედლეულის რაოდენობა ტოლია 0.1 კგ. $A=0.1$ კგ. (მთლიანად 100 კგ ნედლეულის გადამუშავებით მიღებულ 20კგ 50% პროდუქტში ლითონის შემცველობა იქნება 10კგ, შესაბამისად, 1 კგ ნედლეულის გადამუშავებით მასში გადავა $10/100=0.1$ კგ);

კოეფიციენტი N ტოლია 0.3კგ $N=0.3$ კგ (მთლიანად 100 კგ ნედლეულის გადამუშავებით მიიღება 30კგ. ლითონი-პირველ პროდუქტში 10კგ (20კგ 50%)+მეორე პროდუქტში 16კგ (40კგ 40%)+ნარჩენში 4კგ (30კგ 12%)=30კგ. შესაბამისად, 1 კგ ნედლეულის გადამუშავებით გამოსავლიანობა იქნება $30/100=0.3$ კგ);

კოეფიციენტი V=10 ლარი (100 კგ გადაუმუშავებელი ნედლეულის საბაჟო ღირებულება 1000 ლარია, შესაბამისად, 1 კგ ნედლეულის ფასი $1000/100=10$ ლარი);

კოეფიციენტი M=100კგ (გადამუშავდა 100კგ ნედლეული)

თუ ჩავსვავთ ფორმულაში მივიღებთ $A/N \times V \times M=0.1/0.3 \times 10 \times 100=1000/3 \approx 333.3$ (ლარი).

მეორე პროდუქტის საშუალო 40% ლითონის შემცველობის კონცენტრატისთვის:

⁷¹ იხ.: The Select and Ultimate Method of Valuation, heinonline.org. Mon Apr 8 2013, p. 335.

კოეფიციენტი A ნედლეულის ერთეულის გადამუშავებისას მასში ჩართული ნედლეულის რაოდენობა ტოლია 0.16 კგ. $A=0.16$ კგ. (მთლიანად 100 კგ ნედლეულის გადამუშავებით მიღებულ 40კგ 40% პროდუქტში ლითონის შემცველობა იქნება 16კგ, შესაბამისად 1 კგ ნედლეულის გადამუშავებით მასში გადავა $16/100=0.16$ კგ);

კოეფიციენტი N ტოლია 0.3კგ $N=0.3$ კგ (მთლიანად 100 კგ ნედლეულის გადამუშავებით მიღება 30კგ. ლითონი-პირველ პროდუქტში 10კგ (20კგ 50%)+მეორე პროდუქტში 16კგ (40კგ 40%)+ნარჩენში 4კგ (30კგ 12%)=30კგ. შესაბამისად 1 კგ ნედლეულის გადამუშავებით გამოსავლიანობა იქნება $30/100=0.3$ კგ);

კოეფიციენტი $V=10$ ლარი (100 კგ გადაუმუშავებელი ნედლეულის საბაჟო ღირებულება 1000 ლარია, შესაბამისად 1 კგ ნედლეულის ფასი $1000/100=10$ ლარი);

კოეფიციენტი $M=100$ კგ (გადამუშავდა 100კგ ნედლეული);

თუ ჩავსვავთ ფორმულაში მივიღებთ $A/N \times V \times M = 0.16/0.3 \times 10 \times 100 = 1600/3 \approx 533.3$ (ლარი).

ნარჩენისათვის (წიდისთვის):

კოეფიციენტი ნედლეულის ერთეულის გადამუშავებისას მასში ჩართული ნედლეულის რაოდენობა ტოლია 0.04 კგ. $A=0.04$ კგ. (მთლიანად 100 კგ ნედლეულის გადამუშავებით მიღებულ 30კგ 512% ნარჩენში ლითონის შემცველობა იქნება 4კგ, შესაბამისად, 1 კგ ნედლეულის გადამუშავებით მასში გადავა $4/100=0.04$ კგ);

კოეფიციენტი N ტოლია 0.3კგ $N=0.3$ კგ (მთლიანად 100 კგ ნედლეულის გადამუშავებით მიღება 30კგ. ლითონი-პირველ პროდუქტში 10კგ (20კგ 50%)+მეორე პროდუქტში 16კგ (40კგ 40%)+ნარჩენში 4კგ (30კგ 12%)=30კგ. შესაბამისად, 1 კგ ნედლეულის გადამუშავებით გამოსავლიანობა იქნება $30/100=0.3$ კგ);

კოეფიციენტი $V=10$ ლარი (100 კგ გადაუმუშავებელი ნედლეულის საბაჟო ღირებულება 1000 ლარია, შესაბამისად, 1 კგ ნედლეულის ფასი $1000/100=10$ ლარი);

კოეფიციენტი $M=100$ კგ (გადამუშავდა 100კგ ნედლეული); თუ ჩავსვავთ ფორმულაში მივიღებთ $A/N \times V \times M = 0.04/0.3 \times 10 \times 100 = 400/3 \approx 133.3$ (ლარი).

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საგამომიებო ორგანომ განსაზღვრა საქონლის საბაჟო ღირებულება, შესაბამისი ექსპერტიზის საფუძველზე, თუმცა სასამართლო განხილვის ეტაპზე დაცვის მხარემ ჩაატარა ალტერნატიული ექსპერტიზა, რომელმაც გაცილებით ნაკლები საბაჟო ღირებულება აჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მეთოდის გამოყენების რიგითობა განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსით, მეთოდების გამოყენება უნდა დავიწყოთ გადასახადის გადამხდელისთვის ყველაზე ხელსაყრელი პოზიციიდან გამომდინარე,

რომელიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს მის უფლებებსა და თავისუფლებებს. კერძოდ, იდენტური საქონლის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში უნდა მოხდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე იდენტური საქონლის დადგენა, ხოლო მეწარმის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი. მეთოდების გამოყენების რიგითობა საგადასახადო კოდექსშია დაწესებული. საბაჟო ღირებულების შეფასება იწყება პირველი მეთოდით. თუ პირველი მეთოდით ვერ დგინდება, შეფასება გრძელდება მეთოდების რიგითობის მიხედვით, შესაძლებელია მხოლოდ მე-4 (საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი) და მე-5 (შედგენილი ღირებულების მეთოდი) თანმიმდევრობის შეცვლა. როდესაც მიდგება ჯერი იდენტური მეთოდის ან მსგავსი მეთოდის გამოყენებაზე, რამდენიმე იდენტური/მსგავსი მეთოდი უნდა იქნას აღებული და უნდა შეირჩეს მათში ყველაზე იაფი, რათა არ მოხდეს ბრალდებულის უფლებების შეზღუდვა. მას შემდეგ, რაც გადასახადის გადამხდელს ბრალს წაუყენებენ, იგი სარგებლობს ბრალდებულის უფლებებით, მათ შორის კი მთავარია ის, რომ „ყოველგვარი გონივრული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება“.⁷² ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ გამოძიების გაჭიანურება და ბრალდებულის უფლებები არ დაირღვევა. გამოძიებას საბაჟო ღირებულების დასადგენად დიდი ძალისხმევა სჭირდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი პირდაპირ ენდობა საგადასახადო ორგანოს მიერ მიწოდებულ მასალებს.

თავი 4. იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები

იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულებაში არ უნდა იყოს ჩართული შემდეგი გადასახდელები და ხარჯები, თუ ისინი გამოყოფილია საქონლის ფაქტობრივი ფასიდან:

- ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები;
- ბ) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომი ტრანსპორტირების ხარჯები;
- გ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საწყობის, მომსახურების ან გაწეული ტექნიკური დახმარების ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა საქონლის შემოტანის შემდეგ;
- დ) საქართველოს საბაჟო საზღვრის კვეთის პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა ხარჯები, რომლებიც

⁷² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 231.

დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონლის გადაადგილებასთან;

ე) მყიდველის მიერ იმპორტირებული საქონლის ყიდვასთან დაკავშირებით დადებული საფინანსო შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტები;

ვ) იმპორტირებული საქონლის საქართველოში წარმოების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი ხარჯები;

ზ) მყიდველის მიერ იმპორტირებული საქონლის დისტრიბუციის ან გაყიდვის უფლების მისაღებად გაწეული ხარჯები.

მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინება მხოლოდ ამ პროგრამის მატარებლების ფასი, იმ პირობით, რომ მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების ღირებულება დოკუმენტურად განცალკევებულია პროგრამის მატარებლების ღირებულებისაგან.⁷³ თუ პროგრამული უზრუნველყოფის მატარებელი შეიცავს ისეთ პროგრამებს, რომლებსაც ცალკე აღებული ღირებულება გააჩნია, ისინი აუცილებლად უნდა იყოს დეკლარირებული და შეფასებული. მაგალითად, 40 ლარის ღირებულების „ფლემ“ მეხსიერების ბარათზე ჩაწერილია 10 000 ლარად შეფასებული - უახლესი ფილმი, რომლის პრემიერაც უნდა გაიმართოს კინოთეატრში. ეს იმას ნიშნავს, რომ „ფლემ“ მეხსიერების ბარათის ღირებულება არ არის მხოლოდ 40 ლარი, არამედ ღირებულება შეადგენს 10 040 ლარს.

პროგრამის მატარებლების საბაჟო ღირებულება განისაზღვრება პროგრამის მატარებლების ღირებულებისა და მის ტრანსპორტირებაზე, ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე, მოვლასა და შეფუთვაზე გაწეული ხარჯების ერთობლიობით.⁷⁴

თავი 5. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემოწმება

საგადასახადო ორგანო, მისი უფლებამოსილი თანამშრომელი, კერძოდ, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ოფიცერი, ამოწმებს დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის გამოყენების სისწორეს.

⁷³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 32.

⁷⁴ იხ. იქვე.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ახდენს საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირებას ან განსხვავებული მეთოდით განსაზღვრას, იგი ადგენს „საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების აქტს“, რომელიც ეგზავნება დეკლარანტს.

თუ დეკლარანტი იხდის კორექტირების აქტით განსაზღვრულ საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელებსა და დეკლარირებულ (გადახდილ) გადასახდელებს შორის სხვაობას (ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, ეს დეკლარანტის სასარგებლოდაა თუ საზიანოდ), საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ცვლილების შეტანის შემდეგ დეკლარანტი წარადგენს კორექტირებულ საბაჟო დეკლარაციას;

შეიძლება მოხდეს ისე, რომ დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირების აქტის მონაცემებს, მაგრამ დამატებით წარმოადგენს არანაკლებ ორთვიან საბანკო გარანტიას, რომლის საგარანტიო თანხა ტოლია კორექტირების აქტით განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ დეკლარირებული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელებს შორის სხვაობისა. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი საბაჟო დეკლარაციის ყველა ეგზემპლარზე C გრაფაში აკეთებს აღნიშვნას – „გაშვება ნებადართულია გარანტიით“, უსვამს „A“ ნომერს და უშვებს საქონელს;

ტვირთის მიღება/გაშვების პროცედურები მიმდინარეობს ელექტრონულად. კორექტირების აქტის დადგენილი წესით გასაჩივრების შემთხვევაში საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული, ძალაში შესული გადაწყვეტილების საგადასახადო ორგანოში წარდგენისას, გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში „C“ გრაფაში აღნიშვნას „გაშვება ნებადართულია გარანტიით“ გადაესმება ხაზი და კეთდება აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია“, ხოლო საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება;

საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული, ძალაში შესული, გადაწყვეტილების საგადასახადო ორგანოში წარმოდგენისას თავდაპირველი საბაჟო დეკლარაცია ექვემდებარება ცვლილებას. დეკლარანტს ეგზავნება მოთხოვნა საბაჟო დეკლარაციის მისი ეგზემპლარის წარმოდგენის (დაბრუნების) თაობაზე, აგრეთვე, შეტყობინება დარიცხულ ვალდებულებაზე, რომელიც მოიცავს კორექტირების აქტით განსაზღვრულ, საბაჟო ღირებულების საფუძველზე, გაანგარიშებულ გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ

დეკლარირებულ, საბაჟო ღირებულების საფუძველზე, გაანგარიშებულ გადასახდელებს შორის სხვაობას და აღნიშნულ თანხაზე დარიცხულ საურავს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომდევნო დღიდან. დეკლარაციის რეგისტრაციის დღედ იგულისხმება დეკლარაციის პირველადი რეგისტრაციის დღე. ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. საურავი არის სანქცია, რომელიც პირს ეკისრება გადასახადის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო. „საურავის დარიცხვა ხორციელდება შესაბამისი ვალდებულების წარმოქმნის მომდევნო დღიდან თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის“.⁷⁵ დადგენილი სხვაობის ვადა არ არის დაწესებული, რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მეტი იქნება გადასახდელი. დეკლარირებული გადასახდელების და შეტყობინებით დარიცხული ვალდებულებების გადახდის (მათ შორის, გარანტიის თანხის ჩამოჭრის) დადასტურების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს ცვლილებებს საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში საქონლის საბაჟო ღირებულებისა და გადასახდელების გრაფებში. გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში დეკლარაციის „C“ გრაფაში აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია გარანტიით“ იცვლება აღნიშვნით „გაშვება ნებადართულია“.

ამდენად, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ცნება არაერთგვაროვნად არის გაგებელი. მოცემულ ნაშრომში ჩამოვყალიბეთ პოზიცია, რომლის მიხედვითაც საბაჟო ღირებულების ცნება უნდა ამოვიდეს სახელმწიფოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულებიდან, რომელიც განცალკევებული არის საბაჟო გადასახდელებისაგან, რადგან საბაჟო წესის დარღვევისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენი იყო გადასახადი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ნაშრომში დეტალურად განვიხილეთ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი და მათი გამოყენების წესები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდები ფართოდ გავრცელებულია მათ არამართებულად იყენებენ. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საბაჟო ღირებულების გადამოწმება ხდება სასამართლო განხილვის ეტაპზე, რის შემდეგაც ირკვევა, რომ საქონლის საბაჟო ღირებულება გაცილებით ნაკლებია. პრობლემა მდგომარეობს მათი გამოყენების არათანმიმდევრულობაში. ნაშრომში ჩამოვყალიბეთ პოზიცია, რომლის მიხედვითაც მეთოდების გამოყენება უნდა დავიწყოთ გადასახადის გადამხდელისთვის ყველაზე ხელსაყრელით, კერძოდ, იდენტური საქონლის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში უნდა მოხდეს არა ერთი არამედ რამდენიმე იდენტური საქონლის დადგენა, ხოლო მეწარმის

⁷⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 272.

მიმართ გამოყენებულ იქნას ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი. ასევე, უნდა მოხდეს სხვა მეთოდების გამოყენების დროს, რომელიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს მის უფლებებსა და თავისუფლებებს.

კანონმდებლობა არ მიჯნავს იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის საბაჟო კონტროლის წესებს, ორივეზე ერთნაირი საგადასახადო წესები მოქმედებს. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო ღირებულების შემცირება როგორც დეკლარანტის, ისე იმპორტიორის მიერ უმეტეს შემთხვევაში ემსახურება გადასახადისათვის თავის არიდებას, ექსპორტის დროს უნდა იყოს საბაჟო ღირებულების განსხვავებული ზღვარი. ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში ექპორტი იბეგრება ნულოვანი პროცენტით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 0% დაბეგვრის რეჟიმზე უფასოა შემოტანა, აღნიშნული საქონელი მაინც უნდა დადევლარირდეს სწორად, რადგან შავ ბაზარზე გაიყიდება აღურიცხავი საქონელი, რის შედეგადაც ბიუჯეტში თანხა არ შევა. ამიტომ, აღნიშნული ქმდებისათვის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც გადასახდელი თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს, სახეზე იქნება სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

კარი III. საბაჟო კონტროლის ფორმა და მეთოდები

თავი I. საბაჟო კონტროლის არსი, ცნება და სახეები

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია საბაჟო კონტროლის არსი, ცნება და სახეები, თუმცა ვიდრე უშუალოდ კონკრეტული საკითხის განხილვას დავიწყებდეთ, მანამდე ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ აღნიშნული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.

სამართლის ნებისმიერი დარგის სფეროში ჩვეულებები სამართლის წყაროთა დამხმარე რგოლად აღიქმება. ცალკეულ შემთხვევებში საგადასახადო/საბაჟო სამართლის წყაროთა სისტემაში შემავალ სამართლებრივ აქტებში მითითებულია დებულებები ჩვეულებების გამოყენების შესახებ, თუ მხარეთა ურთიერთობები არ არის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული. მაგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ“ ხელშეკრულების კვლევისას ითვალისწინებს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ყველა გარემოებას. „საგადასახადო-საბაჟო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს უფლება აქვთ დაადასტურონ ჩვეულებების არსებობა, ან მისი არსებობა სადავო გახადონ, თანაც კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების მთელი არსენალის გამოყენებით, ვინაიდან ჩვეულებები, როგორც წესი, დოკუმენტურად არ ფიქსირდება“.⁷⁶

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევებში, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართლის კონკრეტული დარგის ცალკეული საკითხები წესრიგდება სამართლის სხვა დარგების ნორმებით. აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების განხორციელების ისეთ ფორმას, როგორცაა საბაჟო კონტროლი, რომელსაც სხვა ნორმატიულ თუ კანონქვემდებარე აქტებთან ერთად აწესრიგებს საგადასახადო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსები.

წარმოდგენილ კვლევაში უკვე აღინიშნა, რომ 2011 წლის დასაწყისში ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც არა ერთი ნოვაცია შემოგვთავაზა საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკურ-სოციალური და ფულად-საკრედიტო სისტემის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ნოვაციად უნდა იქნას აღქმული ის ფაქტიც, რომ საგადასახადო კოდექსის ამოქმედებით გაუქმდა საბაჟო კოდექსი - საბაჟო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაციების ნორმები გადატანილ იქნა საგადასახადო კოდექსში. ასევე, ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ, შეიცვალა აღნიშნული კოდექსის 214-ე მუხლის სახელწოდება და გარკვეულწილად ხსენებული მუხლის დეფინიციაც. ანუ სსკ-

⁷⁶ ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2013, გვ. 54.

ის 214-ე მუხლის სახელწოდება - „საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა“, ჩაანაცვლა სახელწოდებამ: „საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა“, ხოლო დეფინიციამ წარმოდგენილი ტერმინი „სახელმწიფო კონტროლი“, შეიცვალა ტერმინით- „საბაჟო კონტროლი“⁷⁷. რამდენად ეფექტიანი იყო აღნიშნული გადაწყვეტილება, ამაზე ჩვენ ნაშრომის მომდევნო თავებში გვექნება მსჯელობა. ახლა კი ზემოხსენებულთან მიმართებით, არ შეიძლება, არ აღინიშნოს საბაჟო კანონმდებლობით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების კომპლექსური ხასიათის თაობაზე, რაც ითვალისწინებს საბაჟო ურთიერთობებში მოქმედი სამართლის მეთოდების პრაქტიკულად დანერგვას გამოხატვის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებში - ადმინისტრაციულსამართლებრივ, სისხლისსამართლებრივ თუ სამოქალაქოსამართლებრივ მეთოდებში. ყოველივე ზემოხსენებული უშუალოდ იჩენს თავს საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების ისეთ სფეროში, როგორცაა საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმები და მეთოდები, თუმცა ვიდრე კონტროლის განხორციელების ფორმებსა და მეთოდებზე ვიმსჯელებთ, ჯერ თვით საბაჟო კონტროლის ცნების საკითხი მოითხოვს დეტალურ განმარტებას.

უკვე არა ერთი წელია, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მოქმედებს საერთაშორისო კონვენცია (ჟენევის 1982 წლის კონვენცია) ტვირთების საზღვარზე კონტროლის და შემოწმების შესახებ, რომლითაც ხელმძღვანელობს ყველა იმ ქვეყნის კონკრეტული ორგანიზაცია, რომელიც ხსენებული კონვენციის მონაწილეა. ჟენევის კონვენციის ძირითადი ფაბულა იმაში მდგომარეობს, რომ კონვენციას მიერთებულმა ყველა ქვეყნის საბაჟო ორგანომ საბაჟო კონტროლთან დაკავშირებული ყველა სახის კონტროლი, მათ შორის: - ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, ვეტერინალურ სასაზღვრო-საკარანტინო თუ სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი ერთნაირი პირობებით უნდა განახორციელოს.⁷⁸

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კონვენციის მონაწილე ქვეყნების საბაჟო სფეროში ურთიერთთანამშრომლობამ, ეკონომიკურმა კავშირებმა, საბაჟო წესების ერთსა და იმავე პრინციპზე აგებამ, უფრო მეტად შეამჭიდროვა სხვადასხვა ქვეყნების საბაჟო ურთიერთობების წესები და ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა საბაჟო სფეროში საერთაშორისოსამართლებრივი ნორმებისა და ჩვეულებების ჩამოყალიბებას.

⁷⁷ ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გვ. 54, თბილისი, 2013.

⁷⁸ იხ. ჟენევის 1982 წლის კონვენცია „ტვირთების საზღვარზე კონტროლის და შემოწმების შესახებ“.

აღნიშნული კონვენციის გარდა, არ შეიძლება, ასევე, არ აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 20 ოქტომბერს რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენცია „საბაჟო სამართალდარღვევების თავიდან აცილების, გამოძიების და აღკვეთის მიზნით ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც 1977 წლის 9 ივნისს იქნა მიღებული ნაირობიში. აღნიშნული კონვენცია საბაჟო ურთიერთობების სფეროში კონკრეტულ რეგულაციებთან ერთად კიდევ უფრო მეტად საინტერესო ხდება, დეკლარირებული განმარტებებიდან გამომდინარე. კერძოდ, კონვენციის მიზნებისთვის „საბაჟო სამართალდარღვევა“ ნიშნავს საბაჟო კანონმდებლობის ნებისმიერ დარღვევას ან ასეთი დარღვევის მცდელობას, ხოლო ტერმინი „კონტრაბანდა“ განმარტებულია, როგორც საბაჟო მოტყუება, რაც ნებისმიერი ფარული ფორმით საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებაში მდგომარეობს.⁷⁹

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული დეფინიციები საქართველოს კანონმდებლობაში ანალოგიური სახით იყოს იმპლემენტირებული, რათა მოხდეს ერთგვარი გამიჯვნა საბაჟო წესების დარღვევასა და მოტყუებას შორის.

საბაჟო ურთიერთობების სფეროში განხორციელებული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო - საბაჟო კონტროლი, წარმოადგენს საბაჟო ორგანოების მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას და უზრუნველყოფს საბაჟო საზღვარზე ტვირტის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის ფასეულობათა მოძრაობისას შესაბამისი კანონმდებლობის ნორმების მოთხოვნათა დაცვას. უფრო ზუსტად თუ ჩამოვაცალიბებთ საბაჟო კონტროლის დეფინიციას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საბაჟო კონტროლი არის შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.⁸⁰

როგორც წესი, საბაჟო კონტროლი, დეკლარირებული მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214 -ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბაჟო კონტროლს ექვემდებარება - ფიზიკური პირი საზღვრის გადაკვეთისას; - საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; - ტერიტორია, სადაც განთავსებულია საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება და საქართველოს

⁷⁹ ნაირობის 1977 წლის 9 ივნისის კონვენცია „საბაჟო სამართალდარღვევების თავიდან აცილების, გამოძიების და აღკვეთის მიზნით ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“, მუხლი 1.

⁸⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 207.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული პირის საქმიანობა.⁸¹

საბაჟო კონტროლის სამართლებრივ რეგულირებას, როგორც წესი, ახდენდა საბაჟო კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წელს, რომელიც, სულ რაღაც 9 წელიწადში - 2007 წელს, ჩაანაცვლა ახალმა საბაჟო კოდექსმა, რომელიც 5 წლის შემდეგ, 2012 წელს, გაუქმდა, ახლად მიღებული საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. თუ მოვახდენთ შედარებით ანალიზს, ადრე მოქმედ და შემდგომ მიღებულ ნორმატიულ აქტებს შორის, დავინახავთ, რომ 1998 წელს მიღებულ საბაჟო კოდექსში „საბაჟო კონტროლი“ ცალკე კარად იყო წარმოდგენილი და მასში თავმოყრილი იყო ისეთი რეგულაციები, როგორებიცაა - საბაჟო კონტროლის განხორციელება; მისი სახეები; საბაჟო კონტროლის ზონები; საბაჟო კონტროლის მეთოდები და ა.შ., 2007 წელს მიღებულ საბაჟო კოდექსში ეს საკითხები გაბნეული იყო კოდექსის სხვადასხვა თავის შესაბამის მუხლებში. დღეს მოქმედმა საგადასახადო კოდექსმა კი, რომელმაც გააუქმა საბაჟო კოდექსი, აღნიშნული რეგულაციები - საბაჟო კონტროლის წესები, კერძოდ საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ზედამხედველობის სახით ერთ თავში - საგადასახადო კოდექსის XXXII თავში წარმოაჩინა (214 – 222 მ.მ.-ბი). „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის წესები წმინდა ნაციონალურია და ეროვნული კანონმდებლობით ხორციელდება, მაგრამ, იმავე დროს ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ ჩვეულებებს.“⁸²

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საბაჟო კონტროლს ექვემდებარება: ა) პირი, საზღვრის გადაკვეთისას; ბ) საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; გ) ტერიტორია, სადაც განთავსებულია საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; და დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული პირის საქმიანობა.

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, „საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.⁸³

⁸¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 207.

⁸² ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014 წ. გვ. 20.

⁸³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 5.

საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენის, საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების, საბაჟო სანქციის შეფარდების, გამოვლენილი საბაჟო სამართალდარღვევის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების აღრიცხვის წესს განსაზღვრავდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2010 წლის 22 დეკემბრის №944 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესი“.⁸⁴ აღნიშნული ბრძანება გაუქმდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით, რომლის საფუძველზეც კონტროლის განხორციელების ფუნქცია დაევალა საგადასახდო ორგანოებს.⁸⁵

ზემოხსენებული ბრძანებით, დანართების სახით, ასევე, დამტკიცებული იყო:

- საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2);
- საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №3);
- საბაჟო შეტყობინების ფორმა (დანართი №4) და
- საბაჟო სამართალდარღვევის საქმეთა აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №5). რომელიც გაუქმებულ იქნა ფაქტიურად რამდენიმე დღეში „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახდო დავალიანების დაფარვის, საგადასახდო უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების საფუძველზე.⁸⁶ ფინანსთა მინისტრის მიერ ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ საბაჟო ურთიერთობების კონკრეტულ რეგულაციებს ჩვენ ნაშრომის მომდევნო ნაწილში კიდევ უფრო დეტალურად განვიხილავთ, თუმცა, აქვე, არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ, უმჯობესი იქნებოდა, სხვადასხვა სამართლებრივ თუ ინდივიდუალურ აქტებში გაბნეული ნორმებისა და დეფინიციების კოდიფიკაცია მომხდარიყო ერთ ნორმატიულ დოკუმენტში, რომელსაც, სავარაუდოდ, თუნდაც საბაჟო სამართალი, ან საბაჟო კოდექსი, ან თუნდაც სულ სხვა სახელწოდება მიეცემოდა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს მხოლოდ ჩვენი სუბიექტური მოსაზრებაა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით, როგორც უკვე აღინიშნა, გაუქმდა 2010 წლის №944 ბრძანება, რომლის მიხედვითაც საბაჟო კონტროლის შემდეგი სახეები ჩამოყალიბდა:

- ქრონომეტრაჟი;
- საკონტროლო შესყიდვა;

⁸⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 22 დეკემბრის №944 ბრძანება.

⁸⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანება.

⁸⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 22 დეკემბრის №944 ბრძანება.

- საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენება;
- დათვალიერება;
- ინვენტარიზაცია.

აღნიშნულ საკონტროლო პროცედურებს ახორციელებენ საგადასახადო ორგანოების უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობის წესს დეტალურად განსაზღვრავს ფინანსთა მინისტრის ზემოხსენებული ბრძანება და რაზედაც დეტალურად ნაშრომის მომდევნო ნაწილში გვექნება საუბარი.⁸⁷

თავი 2. საბაჟო კონტროლის ზონა - სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს რა საბაჟო წესების დარღვევა, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ შევეხოთ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, საქართველოს საბაჟო საზღვარი, საქართველოს საბაჟო ტერიტორია, საბაჟო კონტროლის ზონა, თავისუფალი ზონა და სხვ.

როგორც წესი, საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარეობს კონტროლის ზონა, სადაც მგზავრების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება საბაჟო კონტროლი.

„საქართველოს საბაჟო ტერიტორია შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისგან, ტერიტორიული და შიდა წყლებისგან და მათი საჰაერო სივრცისგან“⁸⁸. საქართველოს საბაჟო ტერიტორია აგრეთვე მოიცავს განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში (როდესაც სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ტერიტორიული ზღვის გარეთ და მის მიმდებარედ - საწყისი ხაზებიდან 200 მილით (370 კმ) დაშორებულ ხაზამდე განთავსებული ზღვის სივრცის მის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონად გამოცხადება. ასეთ ზონაში სანაპირო სახელმწიფოს ყველა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების უფლება ეკუთვნის, ასევე, იგი ადგენს ამ ზონაში ხელოვნური კუნძულებისა და ნაგებობების აგების, სამეცნიერო კვლევების და გარემოს დაცვის (წესებს) განლაგებული დანადგარების, ნაგებობებისა და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია. საქართველოს საბაჟო ტერიტორია შემოიფარგლება საბაჟო საზღვრით, რომელიც ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დეფინიცია თითქმის ზუსტი ციტირებაა

⁸⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №994 .

⁸⁸ საგადასახადო კოდექსი, მუხლი 208.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 208-ე მუხლისა, უმნიშვნელო რედაქციული განსხვავებით.

აქვე უნდა აღინიშნოს თავისუფალი ზონის შესახებ, რომელიც საბაჟო ზონად არ განიხილება. თავისუფალი ზონა არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელშიც განთავსებული საქონელი, საბაჟო გადასახდელების თვალსაზრისით, განიხილება საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებულად.⁸⁹

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად: „საქართველოს სახელმწიფო საზღვარია ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიადს, საჰაერო სივრცეს - გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფო ტერიტორიიდან.“⁹⁰

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბაჟო საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.⁹¹

საქართველოს საბაჟო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის კანონმდებლობა მოიცავს ისეთ ნორმატიულ აქტებს, როგორებიცაა: კანონები - „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის შესახებ“ და სხვა. აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში განსაზღვრულია საბაჟო ზონის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნებები, საზღვრის დადგენის, აღნიშვნისა და გადაკვეთის პირობები და წესები, რომლებსაც საფუძვლად უდევს საზღვრის გადაკვეთას. კერძოდ, უკვე აღინიშნა, რომ საბაჟო კონტროლი, როგორც წესი, ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში, რომლის დეფინიცია საქართველოს საგადასახადო კოდექსში არ არის დაკონკრეტებული, თუმცა, ჩვენ შევეცდებით გავერკვეთ საბაჟო კონტროლის ზონისა და საბაჟო ზონის განსაზღვრებაში.

საბაჟო საზღვარი ცხადია, პირველ რიგში, მოიცავს ქვეყნის სახელმწიფო საზღვარს, შემოვლებულს სადემარკაციო ხაზით და წარმოადგენს საბაჟო ზონის საწყისს. უპირველეს ყოვლისა, განსხვავებულ უნდა იქნას ერთმანეთისგან საბაჟო ზონა, საბაჟო საზღვარი და ქვეყნის სადემარკაციო ხაზი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ საზღვარს.

სახელმწიფო საზღვრის გადალახვის მომენტიდან, ხდება პირის, ტვირთისა თუ სატრანსპორტო საშუალებების ამა თუ იმ საბაჟო რეჟიმში მოქცევა, მაგ. ტრანზიტის, თავისუფალი მოქცევის რეჟიმში ან

⁸⁹ ბ. ურიდია, საერთაშორისო საბაჟო კონვენციების კომენტარები, თბ., 2006, გვ.137.

⁹⁰ საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, მუხლი 2.

⁹¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 207.

სხვა რეჟიმში. ხშირად ხდება, როდესაც პირი, გადმოლახავს სახელმწიფო საზღვარს, მას შეიძლება არ ჰქონდეს გადალახული ეკონომიკური საზღვარი, რადგან, როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ პირმა თუ საქონელმა გადალახა თუ არა ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი, ეს აუცილებლად უკავშირდება საბაჟო კონტროლიდან გათავისუფლებას. კერძოდ, როდესაც ტვირთი თავისუფლდება საბაჟო კონტროლიდან, იგი გადადის საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში. ხოლო თუ ის არ გათავისუფლდა საბაჟო კონტროლიდან, მას საქართველოს ეკონომიკური საზღვარი არ აქვს გადაჭრილი, თუმცა გადაკვეთილი აქვს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, მაგრამ არ გადადის საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში. მაგალითად, თუ თურქეთიდან შემოდის რაიმე დანიშნულების საქონელი, მან გადმოლახა სარფის საზღვარი, ვთქვათ, 1-ელ თებერვალს, ფორმდება, როგორც ტვირთი და სატრანსპორტო საშუალება მიემართება თბილისში ლილოს საწყობში შესანახად, საქონელმა მიიღო საბაჟო საწყობის რეჟიმი, მაგრამ მას არ გადმოლახავს საქართველოს ეკონომიკური საზღვარი. გავიდა კონკრეტული პერიოდი, მაგ. ერთი ან ორი თვე, საქონელი განაბაჟეს თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში, მაგ. 1-ელ აპრილს, და იგი წავიდა მოხმარების დანიშნულებით. კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, გამოდის, რომ სახელმწიფო საზღვარი აღნიშნულმა საქონელმა გადმოლახა 1-ელ თებერვალს, ხოლო ეკონომიკური საზღვარი - 1-ელ აპრილს, ანუ სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა წარმოადგენს ფიზიკურ მომენტს, ხოლო ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთა გულისხმობს (როდესაც შემოტანილ საქონელზე ჩასატარებელია პროცედურები) - სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომ მასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ამოწურვას.

საგადასახდო კოდექსთან ერთად არ შეიძლება ყურადღება არ გამახვილდეს იმ შიდა სახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო ხასიათის სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც საბაჟო ურთიერთობების რეგულაციების სფეროში კონკრეტულ ურთიერთობებს აწესრიგებენ. მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსები; საქართველოს კანონები „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებით გასვლისა და შემოსვლის წესების შესახებ“, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის მიმოქცევას აწესრიგებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და

გაფორმების შესახებ“ და 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“. ასევე, აღნიშნულ მიმოქცევასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს დეტალურად არეგულირებს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1-ელი აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქცია“ და „დეკლარირების კლასიფიკატორი“, ასევე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის წესის დამტკიცების თაობაზე“ და სხვა.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საბაჟო საზღვრის შესახებ, ახლა განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს საბაჟო ზონა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს სახელმწიფოს ტერიტორიას, შემოვლებულს სადემარკაციო ხაზით. საბაჟო ზონა წარმოადგენს გაშლილ ტერიტორიას, სადაც ხდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების დათვალიერება, წარმოდგენილი ტვირთების საბაჟო გაფორმება და რომელზედაც თვალსაჩინო უნდა იყოს ფიზიკური პირების, სატრანსპორტო საშუალებებისა თუ საქონლის ნებისმიერი მოძრაობა და გადაადგილება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბაჟო ზონა იწყება იმ ტერიტორიიდან, სადაც სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ განთავსებულია სპეციალური ტერიტორია - საბაჟო კონტროლის ზონა, განკუთვნილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერებისა და საბაჟო კონტროლისთვის. საბაჟო ზონებში სხვადასხვა სტრუქტურის მიერ კომპეტენციის ფარგლებში ხდება საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კომისიური შემოწმება, კერძოდ, ესენია - საბაჟო (შემოსავლების) სამსახური; სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის სამსახური; სახელმწიფო სასაზღვრო ვეტერინარული სამსახური, თუ მცენარეთა დაცვის სამსახური.

საბაჟო კონტროლის სფეროში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ საბაჟო (შემოსავლების) სამსახურის მუშაკები კონტროლს ახორციელებენ კონკრეტულ ფარგლებში, კერძოდ, სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის სამსახურის, სასაზღვრო ვეტერინარული და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებულ საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონლის საბაჟო გაფორმებას ამთავრებენ ვეტ-სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელების შემდეგ. ასევე, საბაჟო სამსახურის

მუშაკები, სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის ექიმი-სპეციალისტი, სასაზღვრო ზედამხედველობის სახელმწიფო ვეტინსპექტორი, ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორი, საქონლის მიმართ კონტროლის განხორციელებამდე ეცნობიან საქონლის თანმხლებ დოკუმენტებს როგორც საზღვაო, ასევე სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდულ საქონელზე, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ამოწმებენ მათ კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელს და ატარებენ შესაბამის ღონისძიებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო სამსახურის მუშაკებს ეკრძალებათ სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის სამსახურის, სასაზღვრო ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კარანტინის წარმომადგენლების გარეშე იმ საქონლის გაფორმება, რომლებიც ექვემდებარება აღნიშნული სტრუქტურების კონტროლს და ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე არ ავსებენ დეკლარაციას მათი ნებართვის გარეშე.

საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმებსა და საბაჟო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობაზე, როგორც უკვე აღინიშნა, უფრო დეტალურად ნაშრომის მომდევნო ნაწილში გვექნება საუბარი, ახლა კი ზოგადად გვსურდა წარმოგვედგინა საბაჟო კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო - საბაჟო დეპარტამენტი.

საბაჟო დეპარტამენტი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სტრუქტურაში შემავალი დანაყოფი, რომლის საერთო ზედამხედველობას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის უფროსი. უფრო კონკრეტულად, საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის შემადგენლობაში შემავალ საგადასახადო ორგანოს, რომლის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ასევე, საქართველოს საგადასახადო კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები. დეპარტამენტის სტრუქტურა საკმაოდ მოცულობითია, რომელშიც სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან ერთად შედის საბაჟო გამშვები პუნქტები, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს ამა თუ იმ საბაჟო რეჟიმის - საბაჟო ოპერაციების უზრუნველყოფა, როგორებიცაა: იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, დროებითი შემოტანის რეჟიმი, შიდა და გარე გადამუშავების რეჟიმი და საწყობის რეჟიმი. აღნიშნული რეჟიმები გამოიყენება საქონლის საზღვრებზე გადაადგილების დროს. მაგ. იმპორტის რეჟიმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საქონელი შედის ქვეყანაში, რომელიც მისი საბოლოო დანიშნულების ადგილია. ამ დროს საქონლის გამომგზავნი აფორმებს ექსპორტის რეჟიმს, რათა საქონელმა

გადაკვეთოს გამგზავნი ქვეყნის საზღვარი, ხოლო შუალედური ქვეყნების საზღვრებზე საქონელს ენიჭება ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი. ანუ საქონელი, რომელიც, მაგალითად, იგზავნება თურქეთიდან აზერბაიჯანში საქართველოს გავლით, აღნიშნულ საქონელს პირველადი საბაჟო რეჟიმი მიენიჭება თურქეთში და მასზე ფორმდება საექსპორტო დეკლარაცია, როდესაც ტვირთი მოვა საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე, მას მიენიჭება ტრანზიტული რეჟიმი, რა სტატუსითაც იგი გადაადგილდება საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო, როდესაც აღნიშნული ტვირთი გადაკვეთს საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარს, იგი გაივლის ბოლო საბაჟო პროცედურას და მას მიენიჭება იმპორტირებული ტვირთის სტატუსი, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება. ტრანზიტული რეჟიმის ტვირთს უფლება აქვს, ქვეყნის საზღვრებს შიგნით დაჰყოს მხოლოდ განსაზღვრული დღეების რაოდენობა, ეს პერიოდი განისაზღვრება იმ ვადით, რაც საჭიროა ერთი საზღვრიდან მეორემდე მისვლისთვის. აღნიშნული ოპერაციები დეტალურადაა განხილული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ქვეყანაში შედის ტვირთი, რომელიც გარკვეული პერიოდით რჩება საზღვრებს შიგნით, მაგრამ მისი საბოლოო დანიშნულების ადგილი არის სხვა ქვეყანა. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეექსპორტის რეჟიმთან. რეექსპორტი გამოიყენება სხვადასხვა შემთხვევაში, მაგ. თუ ტვირთს იმპორტის რეჟიმის მინიჭების შემდეგ აღმოაჩნდება დანაკლისი, დეფექტი, ან სხვა რაიმე დარღვევა და იგი არის სხვა ქვეყანაში გასაგზავნი. ამ დროს ხორციელდება გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნება ან მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლა.

საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, რეექსპორტის წესის მინიჭებისას უნდა სრულდებოდეს შემდეგი პირობები:

- საქონელი არ უნდა იყოს გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე;
- შესაძლებელი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოს მიერ საქონლის იდენტიფიცირება;
- საქართველოს ტერიტორიიდან საქონელი გატანილი უნდა იქნეს იმპორტის გაშვების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იმპორტისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის შესაბამისი სტატუსი, გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები და გადაიხდებიან

იმპორტის გადასახდელები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.⁹² დადგენილი წესის თანახმად, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელზე იმპორტის გადასახდელები შესაძლებელია გადახდილ იქნას საქონლის გაშვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

- სასაქონლო დეკლარაციასთან ერთად პირმა უნდა წარადგინოს განცხადება საქონლის დეფექტის არსებობის, რაოდენობის, ხარისხის შეფუთვისა და აღწერილობის გარიგების პირობებთან შეუსაბამობის შესახებ;

- მომწოდებლისთვის ან მის მიერ მითითებული სხვა პირისთვის საქონლის დაბრუნების თანხმობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი, დადასტურებული მომწოდებლის მიერ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი საზღვარგარეთ შეიძენს საქონელს შემდგომი რეალიზაციის მიზნით და არ იცის მისი საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, იგი აღნიშნულ ტვირთს განათავსებს დროებითი შემოტანის რეჟიმში, ხოლო მას შემდეგ, რაც მოხდება მისი საბოლოო რეალიზაცია, ტვირთი რეექსპორტის რეჟიმით ტოვებს ქვეყნის საზღვარს.

რაც შეეხება დროებითი შემოტანის რეჟიმს, რომელიც ენიჭება ასევე სხვადასხვა სახის მანქანა-დანადგარს, რომლებიც ქვეყანაში შემოტანილია რაიმე კონკრეტული პროექტისთვის, აღნიშნული პროექტის ამოწურვის შემდეგ აღნიშნულმა საქონელმა უნდა დატოვოს ქვეყნის საზღვრები.

საქონელი დროებითი შემოტანის რეჟიმით 3 წლამდე ვადით შეიძლება სარგებლობდეს. თითოეული ამ რეჟიმისთვის სავალდებულოა არაერთი დოკუმენტის წარმოდგენა და მრავალი აუცილებელი პროცედურის გავლა, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანია, საქონლის ტვირთის მიხედვით.

საბაჟო ზონები, რა თქმა უნდა, განსხვავდება ერთმანეთისგან ტერიტორიული განლაგებისა და მიხედვით, სატრანსპორტო საშუალებების მიერ ქვეყნის სადემარკაციო ხაზის გადაჭრის ადგილისა და ფორმის მიხედვით. როგორც მეცნიერი ემზარ ჯგერენაია აღნიშნავს, საბაჟო ზონები „არის იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის საჰაერო და საზღვაო სივრცე იკვეთება, სადაც რკინიგზით მოძრაობს ტრანსპორტი. ამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია განვასხვაოთ ერთმანეთისგან საბაჟო ზონები ნავსადგურებში ან ზღვის აკვატორიებში, საბაჟო ზონები ხმელეთზე და საბაჟო ზონები რკინიგზებთან.“⁹³

⁹² საქართველოს საგადასახდო კოდექსი, მუხლი 228.

⁹³ ე. ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002, გვ. 214.

აქვე, არ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით არ შევეხოთ ე.წ. თავისუფალ ზონას. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თავისუფალი ზონა არის საქონლის მიმართ განსაზღვრული სასაქონლო ოპერაციის სახე. თავისუფალ ზონაში შეიძლება მოთავსდეს როგორც საქართველოს საქონელი, ასევე, უცხო ქვეყნიდან შეტანილი საქონელი, საქართველოს სხვა საბაჟო ტერიტორიიდან შეტანილი უცხოური საქონელი და უცხოური საქონელი, რომელიც მოქცეული იყო იმ სასაქონლო ოპერაციაში, რომელიც დასრულდა თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით.

თავისუფალი ზონა არის სასაქონლო ოპერაციის სახე, რომელიც ხორციელდება იმისათვის, რომ შემოსავლების სამსახურმა შეძლოს შესაბამისი საბაჟო კონტროლი პირის, საქონლისა და ტრანსპორტის გადაადგილებაზე. თავისუფალი ზონა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ის ნაწილია, სადაც უცხოური საქონლის შემოტანა არ ითვლება სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების მიზნით საქონლის იმპორტში მოქცევად და, შესაბამისად, მასზე არ გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები.⁹⁴

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, თავისუფალ ზონაში დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები, კერძოდ, განახორციელოს საბაჟო კონტროლი თავისუფალი ზონის პერიმეტრზე პირის, საქონლის, ან/და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებაზე; მოითხოვოს და მიიღოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები და საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში არსებული საქონელი.⁹⁵ ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანა ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მისი გატანით ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე გადატანით⁹⁶ თავისუფალი ზონიდან საქონლის სხვა ქვეყანაში გატანა განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი, რა დროსაც ხორციელდება საქართველოს საგადასახდო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები.

⁹⁴ საქართველოს საგადასახდო კოდექსი, მუხლი 232.

⁹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 68.

⁹⁶ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 71.

თავი 3. საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმები და საქართველოს საბაჟო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის ფარგლები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ტ“ პუნქტის თანახმად, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ ცალკეულ მოქმედებებს, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა, ეწოდება საბაჟო კონტროლი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით დეტალურადაა განსაზღვრული საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების წესები. აღნიშნული ინსტრუქციის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება საბაჟო-გამშვები პუნქტის ან ზემოხსენებული ინსტრუქციით განსაზღვრული სხვა ადგილის გავლით.

ინსტრუქციის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია სასაზღვრო კონტროლის ზონები - საბაჟო გამშვები პუნქტები, კერძოდ, ესენია: „წითელი ხიდი“, „სადახლო“, „გარდაბანი“, „მტკვარი“, „ასკერპი“, „გუგუთი“, „ლაგოდეხი“, „სამთაწყარო“, „ყაზბეგი“, „ვალე“, „ნინოწმინდა“, „სარფი“, „ბათუმის აეროპორტი“, „ქუთაისისა და სენეკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“, „თბილისის აეროპორტი“, „ბათუმის პორტი“, „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“. საბაჟო გამშვები პუნქტების დეკლარირებული ჩამონათვალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუსტად აკონკრეტებს სასაზღვრო კონტროლის ზონებს, თუმცა დაინტერესებული პირის მოთხოვნისა და შესაბამისი ხარჯის ანაზღაურების შემთხვევაში საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა შემოსავლების სამსახურის თანხმობით შესაძლებელია განხორციელდეს, საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა, სხვა ადგილის გავლით. რაც, რა თქმა უნდა, უნდა შეთანხმდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფთან.

საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისთვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, აუცილებელია საქონელზე ზოგადი მონაცემების წარდგენა, რასაც, დადგენილი წესის თანახმად, ჰქვია

„საქონლის დეკლარირება“. აღსანიშნავია, რომ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონლის მიმართ, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

საბაჟო კონტროლის ფორმები განსხვავდება ერთმანეთისგან განხორციელების წესის მიხედვით, კერძოდ, გამოყოფენ დოკუმენტური და ფაქტობრივი კონტროლის ფორმებს. დოკუმენტური კონტროლი გულისხმობს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დოკუმენტების შემოწმებას, ხოლო ფაქტობრივი კონტროლი იყოფა შემდეგ ეტაპებად: - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების და ტერიტორიის დათვალიერებად; - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებად. პირველ შემთხვევაში კონტროლი ვიზუალური დათვალიერების ხასიათს ატარებს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი საფუძვლიან შემოწმებას გულისხმობს.

ზემოხსენებულ მოქმედებებსა და ოპერაციებს განუყრელად თან ერთვის სხვადასხვა საბაჟო პროცედურები, რაზედაც ჩვენ ვიმსჯელებთ უკვე ნაშრომის წინა კარში, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაჟო კონტროლის ფორმებთან მიმართებით კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ საბაჟო პროცედურების სამართლებრივი რეგულაციები. კერძოდ, საბაჟო პროცედურები მოიცავს: - საბაჟო ორგანოსთვის საქონლის წარდგენას; - საქონლის/სატრანსპორტო საშუალებების ზოგად დეკლარირებას; - საქონლის/სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას; - ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს; - გარანტიის წარდგენას; - აქციზური საქონლის შემთხვევაში, სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის და აქციზური საქონლის ბარათის წარდგენას; საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის/სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერას. განვიხილოთ დეტალურად, თუ რას ნიშნავს თითოეული ზემოაღნიშნული პროცედურა.

საქონელი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან, აგრეთვე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონელი გაფორმების დასრულების მომენტიდან, ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და, შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა. საქონლის წარდგენის პროცედურა მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ, სასაზღვრო კონტროლის გავლის შემდგომ საქონელი/სატრანსპორტო საშუალება წარედგინება საბაჟოს. დადგენილი წესის თანახმად, საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის

წარდგენის ვალდებულება აკისრია საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაამადგილებელ პირს.⁹⁷

წარდგენა ხდება საბაჟოს მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ფაქტობრივი განთავსებითა და ინფორმაციის მიწოდებით. ზემოაღნიშული ინსტრუქციის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისთვის გახსნილ საზღვაო პორტებში - სატვირთო მანიფესტის წარდგენით;

გ) საერთაშორისო აეროპორტებში - სატვირთო მანიფესტისა და ბარგის 15 წუთში ფაქტობრივი წარდგენით;

დ) საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა, სხვა ადგილებში საქონლის შემოტანისას - საგადასახადო ორგანოს მიერ შერჩეულ ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, საბაჟო ტერმინალი, საბაჟო საწყობი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საგადასახადო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) საქონლის ფაქტობრივი განთავსებით.⁹⁸

რაც შეეხება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელს, დადგენილი წესის თანახმად, მისი წარდგენა ხდება:

ა) საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა სხვა ადგილის გავლით საქონლის გატანისას - საგადასახადო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე საქონლის ფაქტობრივი განთავსებით.

სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, საბაჟო გამშვებ პუნქტში ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება.⁹⁹ ხოლო სატრანსპორტო საშუალების ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების ზოგადი დეკლარირება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ანდა სარკინიგზო ტრანსპორტით

⁹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 68.

⁹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 2.

⁹⁹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 199.

გადაადგილებული საქონლის გაფორმების განყოფილებაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვისას.¹⁰⁰

კონკრეტულად ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისთვის და რომლითაც პირი განსაზღვრავს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციას. ზოგადი დეკლარირება, საქონლის შემოტანისას, ხორციელდება კონკრეტული დოკუმენტის წარდგენით. რაც შეეხება ზოგადი დეკლარირების ფორმებს, აღსანიშნავია, რომ, დადგენილი წესის თანახმად, ზოგადი დეკლარირება ხორციელდება ელექტრონულად ან წერილობით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასა და გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურული საკითხი, რომლებიც ცალ-ცალკე თუ ერთად აღებული წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ფორმების განხორციელების თანმდევ კონკრეტულ საქმიანობას, როგორც უკვე აღინიშნა, ზედმიწევნით დეტალურადაა გაწერილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“. აღნიშნულთან მიმართებით არ შეგვეძლო ყურადღების მიღმა დაგვეტოვებინა ფაქტი, რომ ხსენებული ინსტრუქციით მოწესრიგებული ცალკეული საკითხები (მაგ. როგორცაა თუნდაც საბაჟო პროცედურებისა და სასაზღვრო კონტროლის ზონების განმარტება და ჩამონათვალი) უნდა რეგულირდებოდეს არა ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების საფუძველზე, არამედ იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტით - კანონით/კოდექსით. რადგან მიგვაჩნია, რომ თავისი შინაარსობრივი დატვირთვისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული საკითხები უნდა წესრიგდებოდეს კანონის/კოდექსის შესაბამისად.¹⁰¹

საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, საბაჟო კონტროლი არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილში - საბაჟო კონტროლის ზონაში დეკლარირებული მონაცემების დადგენის მიზნით განხორციელებული საქმიანობა, ანუ საბაჟო

¹⁰⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 3.

¹⁰¹ იქვე

კონტროლი არის შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა. საბაჟო კონტროლს ექვემდებარება - პირი, საზღვრის გადაკვეთისას; - საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; - ტერიტორია, სადაც განთავსებულია საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; - საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული პირის საქმიანობა.¹⁰²

საბაჟო კონტროლის წესები, უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა, რა თქმა უნდა, იმავე დროს ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს. ჩვენ მიერ უკვე რამდენჯერმე გაკეთდა განაცხადი იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბაჟო ურთიერთობების სფეროში მოქმედი რეგულაციების ერთ სამართლებრივ აქტში წარმოჩენა. რამდენად მართებული იყო საბაჟო კოდექსის გაუქმება საბაჟო ურთიერთობების სფეროში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების საგადასახადო კოდექსსა და სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ასახვა, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. თუ მოვახდენთ შედარებით ანალიზს, დავინახავთ, რომ, მაგალითად, 1998 წელს მიღებულ საბაჟო კოდექსში „საბაჟო კონტროლის“ მარეგულირებელი ნორმები (მაგ. საბაჟო კონტროლის სახეები, საბაჟო კონტროლის ზონები, საბაჟო კონტროლის მეთოდები და ა.შ.) წარმოდგენილი იყო ცალკე კარად, 2007 წელს ამოქმედებულ საბაჟო კოდექსში, აღნიშნული საკითხები გაფანტული იყო კოდექსის სხვადასხვა თავის მუხლში, დღეს მოქმედმა საგადასახადო კოდექსმა, რომლის ამოქმედებასთან ერთად ძალადაკარგულად გამოაცხადა საბაჟო კოდექსი, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ზედამხედველობის მომწესრიგებელი ნორმები ასახა კოდექსის XXXII თავში (საგადასახადო კოდექსის 214-ე - 222-ე მ.მ.), ხოლო აღნიშნული საბაჟო ურთიერთობების სფეროში წარმოშობილი პროცედურების დეტალური რეგულაციები ასახული სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, მაგ. როგორცაა: საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“; ასევე, ფინანსთა მინისტრის მიერ 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია

¹⁰² საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 214.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“, ასევე, აღნიშნულ მიმოქცევასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს დეტალურად არეგულირებს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1-ელი აგვისტოს №12858 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქცია“ და „დეკლარირების კლასიფიკატორი“, ასევე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის წესის დამტკიცების თაობაზე“ და სხვა).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, საბაჟო კონტროლის ფორმებია:

- ა) დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმება;
- ბ) ზეპირი გამოკითხვა;
- გ) ახსნა-განმარტების მიღება;
- დ) დაკვირვება (ვიდეო და აუდიოჩაწერა);
- ე) საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და ტერიტორიის დათვალიერება;
- ვ) ლაბორატორიული კვლევის მიზნით სინჯისა და ნიმუშის აღება;
- ზ) ფიზიკური პირის დათვალიერება;
- თ) საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება არის საბაჟო კონტროლის პროცედურა, რომლის გამოყენებაც საშუალებას იძლევა შემცირდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ან ამ ტერიტორიიდან გასატანი საქონლის მიმართ საქონლის გაშვებამდე განსახორციელებელი საბაჟო კონტროლის პროცედურების ხვედრითი წილი; გაიზარდოს საქონლის გაფორმების ადგილებისა და საბაჟო გამშვები პუნქტების გამტარუნარიანობა; გაიზარდოს საბაჟო კონტროლის ეფექტიანობა.

მაგალითად, კონკრეტულმა საწარმომ ექსპორტზე გაიტანა 100 ტონა ღვინო. საზღვარზე გასვლის დროს, საბაჟო დეკლარაცია დასრულებულდა ლურჯი დერეფნით. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკურად ეს საქონელი გავა საზღვარგარეთ, მაგრამ უნდა მოხდეს მისი ფიზიკურად გასვლის შემდგომი შემოწმება. კერძოდ, საბაჟო ორგანოს მიერ მოხდება ამ საქონელთან დაკავშირებული საბუთების შემოწმება. შედგება საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტი, რომელშიც აისახება შემოწმების შედეგები.

განხორციელების ფორმების მიხედვით, გამოყოფენ დოკუმენტური და ფაქტობრივი კონტროლის ფორმებს. დოკუმენტური კონტროლი მოიცავს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დოკუმენტების შემოწმებას, ხოლო ფაქტობრივი კონტროლი, თავის მხრივ, იყოფა საქონლის/სატრანსპორტო საშუალებებისა და ტერიტორიის დათვალიერებად (ე.წ. - ვიზუალური კონტროლი) და საქონლისა და

სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებად, რაც გულისხმობს საფუძვლიან შემოწმებას.

საბაჟო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმება. საბაჟო საზღვარზე საქონლისა თუ სატრანსპორტო საშუალების გადამზიდი პირი/პირები, ვალდებული არიან, საბაჟო ორგანოში დოკუმენტური კონტროლისთვის წარადგინონ საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტები (კონტრაქტები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სავაჭრო დოკუმენტები და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტური კონტროლის განსახორციელებლად, როგორც წესი, საბაჟო ორგანოში არ არის სავალდებულო დოკუმენტების დედნების წარდგენა, რადგან აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნა ხდება არა სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად, არამედ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ან საქმიანობის იდენტიფიცირებისათვის, რისთვისაც საკმარისია დოკუმენტების ასლების ან შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული ამონარიდების წარმოდგენა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ექვსის საფუძველი, საბაჟო ორგანოების წარმომადგენლები უფლებამოსილი არიან, საქონლით/სატრანსპორტო საშუალებით საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის/სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირებისთვის მოითხოვონ სატრანსპორტო დოკუმენტები (მაგ. ზედდებული, ავიაზედდებული, კონოსამენტი, და სხვა).¹⁰³

საბაჟო კონტროლისთვის განკუთვნილი დოკუმენტების სფეროში შედის, ასევე, საბაჟო და თანმხლები დოკუმენტები. საბაჟო დოკუმენტებია ყველა ის დოკუმენტი, რომელიც საბაჟო ორგანოს მიერაა დამოწმებული, მაგ. საბაჟო დეკლარაცია, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხარისხის სერტიფიკატი, საკარანტინო ნებართვები და სხვა. რაც შეეხება თანმხლებ დოკუმენტებს, თანმხლებია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც თან ახლავს საქონელს გაგზავნის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე, მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულება.

არსებობს, აგრეთვე, საბაჟო კონტროლისთვის განკუთვნილი დოკუმენტების განსაკუთრებული სფერო, რომელიც მოიცავს დოკუმენტებს დაკავშირებულს მილსადენით ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და საწვავი აირის გადასადგილებლად, ასევე, ელექტროენერჯის ელექტროგადამცემი ხაზებით ექსპორტ-იმპორტთან. საბაჟო კონტროლისთვის განსაკუთრებულ დოკუმენტებს წარმოადგენს, აგრეთვე, საზღვაო ხომალდების საბაჟო კონტროლისთვის

¹⁰³ საქართველოს საგადასახდო კოდექსი, მუხლი 214-215.

წარმოსადგენი დოკუმენტები, მაგ. როგორებიცაა - კონოსამენტი, გემის მოწმობა, მგზავრების სია, გადასაზიდი ტვირთის თანმხლები დოკუმენტები და სხვა. რაც შეეხება საჰაერო ხომალდების საბაჟო კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს, აღნიშნულ სფეროს აწესრიგებს ჩიკაგოს 1944 წლის საერთაშორისო კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, რომელიც უფლებას აძლევს ყოველი ხელშემკვერელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალს, უსაფუძვლო შეფერხების გარეშე გასინჯოს სხვა სახელმწიფოს საჰაერო ხომალდები.¹⁰⁴ ზემოაღნიშნული კონვენციის საფუძველზე, კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანა საბაჟო კონტროლის განხორციელებისას ვალდებულია, შესაძლებლობის ფარგლებში, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებითა და პრაქტიკით ნაკარნახევი წესებით იხელმძღვანელოს.

როგორც უკვე აღნიშნა, საბაჟო კონტროლის ერთ-ერთ ფორმას, ასევე, წარმოადგენს დათვალიერება. საქონლის/სატრანსპორტო საშუალებებისა და ტერიტორიის დათვალიერება წარმოადგენს საბაჟო პროცედურას, რომელიც შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით ხორციელდება საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების, მგზავრისა და მგზავრის პირადი ნივთების (ბარგი/ხელბარგი), ასევე საფოსტო გზავნილების მიმართ.¹⁰⁵ აღნიშნული პროცედურა მოიცავს დათვალიერებას ტექნიკური საშუალებების - რენტგენული ინსპექტირების სისტემების (სკანერის) გამოყენებით, აგრეთვე, ლუქების, შტამპებისა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და დათვალიერებით, სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით.¹⁰⁶

ასევე, აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ვალდებული არიან, არ მიაყენონ არამართლზომიერი ზიანი საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებას, დაიცვან დეკლარანტისა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა უფლებები, განახორციელონ დათვალიერება დადგენილ ვადაში (საბაჟო კოდექსის 217-ე მუხლის თანახმად, საბაჟო პროცედურებისთვის განსაზღვრულია 30-დღიანი ვადა, რომელიც შემოსავლების სამსახურს შეუძლია გაზარდოს 60-დღემდე ვადით) და დათვალიერების შედეგები ასახონ შესაბამისი დათვალიერების ოქმში.

¹⁰⁴ ჩიკაგოს 1944 წლის საერთაშორისო კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, მუხლი 16.

¹⁰⁵ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანება, მუხლი 14.

¹⁰⁶ იხ. იქვე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საბაჟო კონტროლისგან თავისუფლდებიან: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეები, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და დიპლომატიური რანგის მქონე პირი, ასევე მათი თანმხლები ოჯახის წევრი და პირადი ნივთები - გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მაგ. საბაჟო წესების დადგევა ან დანაშაულზე წასწრება, ოპერატიული ინფორმაციის არსებობა და ა.შ.).¹⁰⁷

გაითვალისწინა რა „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის 1961 წლის კონვენციის მოთხოვნები, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1993 წელს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საბაჟო კონტროლს, ასევე, არ ექვემდებარებიან საქართველოში დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების დიპლომატები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (გარდა საქართველოს მოქალაქეებისა) და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრები. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას აკრძალულია სხვა სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას (ოფიციალური კორესპონდენცია, საბუთები ან ოფიციალური სარგებლობისთვის გათვალისწინებული საქონელი)¹⁰⁸ გახსნა ან დაკავება. **ვენის 1963 წლის კონვენციით საკონსულო ურთიერთობების შესახებ:** საკონსულო ვალიზა არ ექვემდებარება არც გახსნას და არც დაკავებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილსამყოფელ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს აქვთ სერიოზული საფუძველი დაეჭვდნენ, რომ ვალიზა კორესპონდენციების, დოკუმენტების ან ნივთების გარდა, შეიცავს სხვა რამესაც, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ვალიზის გახსნა წარმდგენი სახელმწიფოს რწმუნებულის თანდასწრებით. თუ წარმდგენი სახელმწიფოს ხელისუფლება უარს იტყვის ამ მოთხოვნის შესრულებაზე, ვალიზა ბრუნდება იქ, საიდანაც გაიგზავნა. ასევე, აღსანიშნავია, რომ საკონსულო ვალიზის შემდგენელ ყველა შეკვრას გარედან შესამჩნევად უნდა ეწეროს, თუ რა არის შიგნით, უნდა შეიცავდეს მხოლოდ ოფიციალურ კორესპონდენციას და დოკუმენტებს,

¹⁰⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 219.

¹⁰⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 170.

ან მხოლოდ ოფიციალური სარგებლობისათვის განკუთვნილ ნივთებს.¹⁰⁹ ამდენად, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი უფლებამოსილია, მოითხოვოს საკონსულო ვალიზას გახსნა დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებამოსილ პირთა თანდასწრებით, ხოლო უარის შემთხვევაში საკონსულო ვალიზა ბრუნდება უკან. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, საბაჟო კონტროლისგან განთავისუფლება არ ნიშნავს კანონდარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. დარღვევის გამოვლენის ერთ-ერთი გზაა, მაგ. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი დარღვევა. ამ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, იმოქმედოს ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში,¹¹⁰ თუმცა იმავდროულად უნდა აცნობონ შესაბამის საკონსულო დაწესებულებას.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე, მის ან/და მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღება ან ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობით ან თხოვნით. ამ შემთხვევაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა, ხოლო ამოღების ან ჩხრეკის ჩასატარებლად დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობის გამოთხოვა ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.¹¹¹

საბაჟო კონტროლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, აგრეთვე, დოკუმენტების კონტროლი, რომელსაც აწესრიგებს საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №895-1187 „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულ ბრძანებაში სხვადასხვა რეგულაციებთან ერთად მოწესრიგებულია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას დოკუმენტების კონტროლის განხორციელების პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოსა

¹⁰⁹ ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ, მუხლი 35.

¹¹⁰ ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ, მუხლი 36.

¹¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 122.

და საგადასახადო ორგანოების ფუნქცია-მოვალეობები და, მათ შორის, თანამშრომლობის წესები.¹¹²

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო ურთიერთობების სფეროში წარმოქმნილ ურთიერთობებს, მათ შორის საბაჟო პროცედურებსა თუ საბაჟო კონტროლის ფორმებს, უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა მინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური, უფრო ზუსტად კი შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის შესაბამისად, კონკრეტულ საქმიანობაზე ორიენტირებული დეპარტამენტი მაგ. როგორცაა საბაჟო დეპარტამენტი, რომელიც, რა თქმა უნდა, დაგენილი წესით კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობას განახორციელებს შემოსავლების სამსახურის სხვა დეპარტამენტებსა და სხვა უწყებებთან მჭიდრო კავშირში.

¹¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №895-1187.

კარი IV. ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი საბაჟო სამართალდარღვევისთვის

თანამედროვე ეპოქაში, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, სახელმწიფოს საზღვრებზე საბაჟო კონტროლი მხოლოდ ეკონომიკური შემოსავლისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საშუალება აღარ არის, არამედ მას საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ამ საკითხის განხილვა თემის ფარგლებში მნიშვნელოვანია, რამდენადაც თანდათანობით აქტუალური ხდება სახელმწიფოს შიგნით საბრძოლო იარაღისა და მასალების, ქიმიური და რადიაციული ნივთიერებების შემოტანაზე კონტროლი. საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით აღნიშნული სახის საგნების ქვეყანაში იმპორტმა შესაძლოა ეკონომიკას დიდი ზიანი ვერ მიაყენოს, თუმცა თავისუფლად შეუძლიათ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას შეუქმნან დიდი საფრთხე. ამასთან, გასარკვევია, თუ რა იგულისხმება ქიმიურ და რადიაციულ ნივთიერებებში, რომელი მათგანი შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი და რომელი კატეგორიის ნივთიერებები და მასალები უნდა იქნას მოაზრებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შესაბამის მაკვალიფიცირებელ გარემოებად. აღნიშნულისათვის აუცილებელი იქნება მათი მიმოხილვა, სადაც ზოგადი დახასიათების შედეგად შესაძლებელი იქნება მათი დაჯგუფება, თუ რამდენად უქმნის თითოეული საფრთხეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. გასარკვევია, თუ რა სიკეთეები არის დაცული სსკ-ის 214-ე მუხლით და ამის მიხედვით, შესაძლებელი იქნება იმაზე მსჯელობა, თუ რა კატეგორიის ნივთიერებათა უკანონო შემოტანა/გატანა უნდა განისაზღვროს სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული წესით დასჯად ქმედებად.

გარდა ზემოთქმულისა, პრობლემა შეიძლება შექმნას ძვირფასი ნივთების საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფოში შემოტანა/გატანის საკითხმაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოებრივ უსაფრთხოებას არ უქმნის საფრთხეს, ნორმატიული ბუნდოვანება აქაც ქმნის გარკვეულ პრობლემებს. საქმე ეხება საკითხს, უნდა იყოს თუ არა ძვირფასი ნივთების მინიმალური ღირებულება დადგენილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აღნიშნული ქმედებისათვის ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობის საკითხი ცალკე განხილვას საჭიროებს, ვინაიდან პრაქტიკაში ეს ქმნის სერიოზულ პრობლემებს და სამართალდამცავებს თავად უწევთ პრაქტიკის შემუშავება ამ ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად.

ამასთან, ვინაიდან საბაჟო წესების დარღვევით საქონლის საზღვარზე გადატანა ძირითადად საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას, დასადგენია, თუ რა სახის ქმედებები შეიძლება მოიცვას აღნიშნულმა შემადგენლობამ. ამ შემთხვევაში მუხლის დეფინიციაში უბრალოდ „შემოტანის/გატანის“ ცნების არსებობა არ არის საკმარისი, რადგან სახელმწიფოს საზღვრის შიგნით საქონლის შემოტანაც და გატანაც შეიძლება გულისხმობდეს მრავალ სხვადასხვა საქმიანობას, - იქნება ეს იმპორტი, რეექსპორტირება, ტრანზიტი, დროებითი შემოტანა თუ სხვა. ამათგან ნაწილის განხორციელება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფოს მატერიალურ ზიანს აყენებს, ნაწილი კი - არა. ამდენად, აღნიშნული ქმედებისათვის ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობის საკითხი მოითხოვს შემდგომ ანალიზს.

საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, ასევე, შესაძლებელია კულტურული ღირებულების მქონე ნივთების უკანონო შემოტანა ან გატანა. მიუხედავად იმისა, რომ აქ არც საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და არც ეკონომიკურ სტაბილურობას ექმნება საფრთხე, პრობლემა მაინც რჩება, ვინაიდან, სამართლებრივად ნათლად არ არის დადგენილი კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული კულტურული ღირებულების მქონე ნივთები. ამ შემთხვევაში პრობლემას არა სისხლის სამართლის კანონი ქმნის, რომელიც ამ შემთხვევაში ბლანკეტურად მოქმედებს, არამედ სპეციალური ნორმატიული აქტი - რომელშიც აღნიშნული საკითხი არ არის გადაწყვეტილი.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთის გადატანისათვის/გადმოტანისათვის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გამიჯვნა მნიშვნელოვანია, რადგან ერთი და იმავე სამართალდარღვევისათვის არ შეიძლება სამართლის სხვადასხვა დარგით დასჯა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სამართლის დარგებში სისხლის სამართალს ბოლო ადგილი უკავია, როგორც ყველაზე რეპრესიულ სამართლის დარგს.

ადმინისტრაციულ სამართალში საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე ტვირთის გადაადგილებისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსში, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე ტვირთის გადაკვეთის თაობაზე. საქართველოს საგადასახო კოდექსის 289-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ისეთი სამართალდარღვევისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ 214-ე მუხლში, რის გამოც მათი გამიჯვნის საკითხი მოითხოვს შემდგომ ანალიზს. თემაში განხილული იქნება ისეთი

საკითხები, როდესაც ხდება კოლიზია სამართლის სხვადასხვა დარგებს შორის და თუ როგორ უნდა გადაწყდეს ასეთი შემთხვევები.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც პირის ქმედებაში სახეზეა სისხლისსამართლებრივი ნიშნები, თუმცა პირი ისჯება ადმინისტრაციული წესით. გაანალიზებული იქნება ასეთი შემთხვევები, რის შემდეგაც შეთავაზებული იქნება პრობლემის გადაჭრის გზები.

თავი 1. თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი საგნების წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

აღსანიშნავია ის, რომ საგადასახადო კოდექსი სასაქონლო ოპერაციების რამდენიმე რეჟიმს მოიცავს. კერძოდ, ესენია: იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, საწყობი, რეექსპორტი, შიდა გადამუშავება, გარე გადამუშავება, დროებითი შემოტანა და თავისუფალი ზონა.¹¹³

იმპორტის დროს გადამხდელს საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე შემოაქვს საქონელი პირადი მოხმარების და საქონლის შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

ექსპორტის დროს გადამხდელს საქართველოს ეკონომიკური საზღვრიდან გააქვს საქონელი.

ტრანზიტის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით გადაადგილდეს იმპორტის გადასახადის გადახდის გარეშე.

საწყობის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, საბაჟო საწყობში/საბაჟო ტერმინალში/შენახვის სხვა ადგილზე შენახულ იქნეს უცხოური საქონელი სატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე. ასევე, საქართველოს საქონელი, თუ საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის მიზანია მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა.

რეექსპორტის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

შიდა გადამუშავების ოპერაციებია:

ა) საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება;

ბ) საქონლის წარმოება;

¹¹³ იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 227.

გ) საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა;

დ) საქონლის განადგურება;

ე) საქონლის გამოყენება, რომელიც არ შედის გადასამუშავებელი საქონლის შემადგენლობაში, ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება გადამუშავების პროცესში.

ამ დროს, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ რომელი მათგანი უქმნის საფრთხეს ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს. ეკონომიკური ინტერესისათვის საფრთხის შექმნა ძირითადად გულისხმობს იმას, რომ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საბაჟო წესის დარღვევით შემოტანილი საქონლიდან სახელმწიფო ბიუჯეტში არ შედის გადასახადი.¹¹⁴ იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის, საწყობის, რეექსპორტის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების, დროებითი შემოტანის, თავისუფალი ზონის და თავისუფალი საწყობის სასაქონლო ოპერაციებიდან საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის შემოტანისას შემომტანმა მხოლოდ იმპორტის, რეექსპორტის, დროებითი შემოტანის დროს უნდა გადაიხადოს დამატებული ღირებულების გადასახადი. ასევე, იმპორტის დროს პირმა უნდა გადაიხადოს დამატებული ღირებულების გადასახადთან ერთად იმპორტის და აქციზური საქონლის შემთხვევაში აქციზის გადასახადი. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკურ ინტერესს ზიანი ადგება მხოლოდ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის საბაჟო წესის დარღვევით იმპორტის, რეექსპორტის და დროებითი შემოტანის დროს.¹¹⁵

საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს მხოლოდ იმპორტი, რეექსპორტი და დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია უქმნის საფრთხეს. სხვა დანარჩენ შემთხვევებში შემოტანილი ნივთი, მაგალითად, ოქრო გადის სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, ერთნაირად არ უნდა ისჯებოდეს პირი, რომელსაც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საბაჟო წესის დარღვევით შემომაქვს ოქრო და ახორციელებს საქონლის იმპორტს და ის პირი, რომელიც საქართველოში ტრანზიტით შემოდის და საქონელთან ერთად სომხეთში მიდის, რის გამოც მისი საქონელი დამატებული ღირებულების გადასახადით და იმპორტის გადასახადით არ იხეგრება.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დანაშაულს არ

¹¹⁴ იხ. Таможное право, В. Г. Драганова, М. М. Рассалова, Закон и право 2011, с. 124.

¹¹⁵ იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 162.

წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ვინაიდან, საქართველოს ეკონომიკურ ინტერესს ზიანი ადგება მხოლოდ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის საბაჟო წესის დარღვევით იმპორტის, რეექსპორტის და დროებითი შემოტანის დროს, ხოლო ექსპორტის, ტრანზიტის, საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების და თავისუფალი საწყობის სასაქონლო ოპერაციების შემთხვევებში ზიანი არ ადგება საქართველოს ეკონომიკურ ინტერესს, რის გამოც პირი, რომელიც საქონელს ამ სასაქონლო ოპერაციებში მოაქცევს, არ უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, იგი უნდა დაისაჯოს ადმინისტრაციული წესით, რადგან მისი საერთოდ დაუსჯელობის შემთხვევაში ზიანი მიადგება სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ინტერესებს.

სსკ-ის 214-ე მუხლი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის საბაჟო წესის დარღვევით საქონლის შემოტანაზე ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციის დროს, მაშინ როდესაც ზიანი საქართველოს ეკონომიკურ ინტერესს ადგება მხოლოდ იმპორტის, რეექსპორტის და დროებითი შემოტანის დროს. ამიტომ, სსკ-ის 214-ე მუხლის რედაქცია უნდა შეიცვალოს და მასში უნდა დაკონკრეტდეს, თუ რომელი სასაქონლო ოპერაციების დროს დაისჯება პირი სისხლისსამართლებრივი წესით. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის საბაჟო წესის დარღვევით იმპორტის, რეექსპორტის და დროებითი შემოტანის დროს პირი დაისჯება სისხლისსამართლებრივი წესით, ხოლო სხვა სასაქონლო ოპერაციის დროს - ადმინისტრაციული წესით საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებულია სანქციები მოცემული ქმედებისათვის.¹¹⁶

1.1 კულტურული მემკვიდრეობის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რა არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ამისათვის საჭიროა განვსაზღვროთ, თუ რა

¹¹⁶ იხ. საქართველოს საგადასახო კოდექსი, მუხლი 289.

არის კულტურული მემკვიდრეობა. კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური.¹¹⁷

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არის ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები.¹¹⁸

ასევე, კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება დოკუმენტური მასალები, ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან.¹¹⁹

არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათწესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე, მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად.¹²⁰

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არის: კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი. თუმცა ჩვენთვის მხოლოდ მოძრავი ობიექტებია საინტერესო, რადგან უძრავი ნივთის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილება ვერ მოხდება.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ენიჭება ობიექტს, რომელსაც აქვს ისტორიული ან კულტურული ღირებულება დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტურობასთან. იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა იცნობს კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსურ ძეგლს ამ საფუძვლის არსებობისას კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური

¹¹⁷ საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, 08.05.2007, მუხლი 3.

¹¹⁸ იხ. იქვე.

¹¹⁹ იხ. საქართველოს კანონი ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ, მუხლი 3.

¹²⁰ საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, 08.05.2007, მუხლი 3.

მეგლის სტატუსი მიენიჭება ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობას, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულია.¹²¹

კულტურული მემკვიდრეობის მეგლის სტატუსის ობიექტისათვის მინიჭების საკითხს განიხილავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში არსებული განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სათათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო.¹²²

ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის მეგლის სტატუსი ენიჭება საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანის შესახებ ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან, რაც ისახება მეგლების სახელმწიფო რეესტრში და სამინისტროს ინტერნეტგვერდზე.¹²³

კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანაზე ნებართვას გასცემს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.¹²⁴ მხოლოდ ამ თანხმობის შემთხვევაში შეიძლება საბაჟო საზღვარზე კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა სამეწარმეო მიზნით. საქართველოში დადგენილია კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანაზე ნებართვის ერთიანი ფორმა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.¹²⁵

ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას. განცხადება უნდა შეიცავდეს: ფიზიკური პირისათვის – დაბადების ადგილსა და თარიღს; სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართებს; ინდივიდუალური მეწარმისათვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემებს; იურიდიული პირისათვის საჭიროა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები; მითითება, თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს ნებართვის მაძიებელი, კერძოდ, ეს შეიძლება იყოს

¹²¹ საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, 08.05.2007, მუხლი 15.

¹²² იხ. იქვე.

¹²³ იხ. იქვე.

¹²⁴ იხ. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“, 14.05.2002, მუხლი 19.

¹²⁵ იხ. იქვე.

იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის და ა.შ. მიზნით ნებართვის მიღება.¹²⁶

სამეწარმეო მიზნით კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის შესახებ ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლების, გაუქმების, მასზე უარის თქმისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი განისაზღვრებოდა სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ამჟამად გაუქმებულია.¹²⁷

კულტურული მემკვიდრეობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის წესი განსაზღვრულია ნორმატიული აქტით.¹²⁸ აღსანიშნავია ის, რომ ამ კანონის მიხედვით, 100 წელზე მეტი ხნის მონეტის შემოტანა/გატანისათვისაც კი აუცილებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობა,¹²⁹ რის გამოც 100 წელზე მეტი ხნის ერთი მონეტის საქართველოში შემომტანი დაისჯება სისხლის სამართლის წესით მიუხედავად ამ მონეტის ღირებულებისა. მაშინ, როდესაც მოძრავი ნივთის შემოტანის დროს დაწესებულია ღირებულების ზღვარი, რომლის მინიმუმი საზღვარზე მალულად შემოტანის შემთხვევაში 5000 ლარია. აღნიშნული არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად, რის გამოც საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის შემოტანა/გატანის შემთხვევაშიც მოქმედებდეს 214-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული ზღვარი. ისეთივე ღირებულებითი ზღვარი, როგორც ეს 214-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისთვის არის დაწესებული.

აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გადატანის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციით გათვალისწინებული ნებისმიერი ხერხი. მაგალითად, მალულად, საბაჟო კონტროლისაგან გვერდის ავლით, ასევე, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით, თითქოს გადააქვს ჩვეულებრივი წიგნი, მაშინ, როდესაც აღნიშნული წიგნი 100 წელზე მეტის არის. იმ შემთხვევაში, როდესაც პირს გადააქვს 100 წელზე მეტი წლის წიგნი და ამის თაობაზე დეკლარაციაში არ აღნიშნავს, ეს იმას ნიშნავს, რომ სსკ-ის 214-ე მუხლის ხერხებიდან იყენებს საბაჟო კონტროლისაგან მალულად გადატანის ხერხს.

¹²⁶ იხ. საქართველოს კანონი „ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“, მუხლი 19.

¹²⁷ იხ. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, 24.06.2005, მუხლი 43.

¹²⁸ იხ. საქართველოს კანონი „კულტურული ფასეულობათ საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“. მუხლი 1.

¹²⁹ იხ. საქართველოს კანონი „კულტურული ფასეულობათ საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“. მუხლი 4.

როცა პირი არ მალავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს (მაგალითად, იგი უდევს ხელჩანთაში ან უჭირავს ხელში), ამ შემთხვევაში სახეზე არის პროცედურის არ ცოდნის შემთხვევა, ანუ სამართლებრივი შეცდომა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიებელ შეცდომად.

სსკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით, იურიდიული შეცდომა სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც ჩადის, აკრძალულია. იგი არ დასიჯება იმ შემთხვევაში, როდესაც შეცდომა არის მისატყვებელი. მისატყვებელია შეცდომა, როდესაც შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას.

იურიდიულ შეცდომასთან მიმართებით აუცილებელი არაა, პირმა იცოდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება სისხლის სამართლის კანონითაა აკრძალული, არამედ საკმარისია იცოდეს, რომ იგი აკრძალულია სამართლის ნორმით.¹³⁰ ჩვენს შემთხვევაში, დეკლარანტი ვალდებულია აიღოს ნებართვა, რომელსაც გასცემს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.¹³¹ შეავსოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გადატანის დეკლარაცია. აღნიშნულის თაობაზე ნებისმიერ საბაჟო პუნქტში, თუნდაც აეროპორტებში, საჯარო სივრცეში განთავსებულია ბუკლეტები როგორც ქართულ, ასევე, უცხოურ ენაზე, რომელიც არის უფასო და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი. საბაჟო წესების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველი დეკლარანტი ვალდებულია ქვეყნის საზღვრის გადაკვეთამდე შეავსოს აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული დეკლარაცია. აქედან გამომდინარე, დეკლარანტის ქმედება, რომელსაც პირდაპირ ევალება ნებართვის აღება ვერ ჩაითვლება მისატყვებელ შეცდომად.

საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, როდესაც შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება ამ კოდექსით. ამდენად, თუ ამ ქმედების ჩადენა დასჯადია მხოლოდ განზრახვისას, მიუტყვებელი შეცდომის ჩამდენი სისხლისსამართლებრივი წესით ვერ დაისჯება.¹³² ეს იმას ნიშნავს, რომ ვინაიდან სსკ-ის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ბრალის ფორმის მიხედვით, განზრახია, მისი გაუფრთხილებლობით ჩადენა გამორიცხულია. სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება

¹³⁰ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2016, გვ. 433.

¹³¹ იხ. სქრთველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“, 14.05.2002, მუხლი 19.

¹³² იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2016, გვ. 436-437.

დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. მსგავს დათქმას კი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლი არ იცნობს. ამდენად, როცა პირი არ მალავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, სახეზეა პროცედურის არ ცოდნის შემთხვევა, რომელიც არის მიუტევებელი შეცდომა, მაგრამ დეკლარანტი არ ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით, რადგან მისი გაუფრთხილებლობით ჩადენას არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს საბაჟო საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გადაადგილებისათვის. ამდენად, აუცილებელია საგადასახადო კოდექსში მოხდეს აღნიშნული ტიპის სამართალდარღვევაზე შესაბამისი ნორმის განსაზღვრა, რათა არ მივიღოთ ამ მხრივ სამართლებრივად მოუწესრიგებელი მდგომარეობა.

1.2 ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

ძვირფასი ლითონი არის ნებისმიერი სახის ოქრო, ვერცხლი, პლატინა, ასევე, პალადიუმი ნებისმიერ მდგომარეობაში - ნედლეული, შენადნობები, ნახევარ-ფაბრიკატები, ლაბორატორიული ჭურჭელი და ინსტრუმენტები, ქიმიური ნაერთები, ჯართი და ნარჩენები.¹³³

ძვირფასი ლითონის აღნიშნული დეფინიცია არ გამოდგება სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის დასაკვალიფიცირებლად, რადგან ის კანონი. რომელშიც აღნიშნული დეფინიცია იყო განსაზღვრული ძალადაკარგულად არის გამოცხადებული 2005 წლის 1-ელი იანვრიდან.¹³⁴

ძვირფასი ლითონების აღრიცხვა ხდებოდა საქართველოს კანონით ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ, რომლის მიხედვითაც ძვირფასი ლითონების აღრიცხვას აწარმოებდა ფინანსთა სამინისტროს ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტი.

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ისეთი ძვირფასი ლითონის შემოტანა აკრძალული, რომელიც არის საქართველოს

¹³³ იხ. საქართველოს კანონი „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“. მუხლი 2. 17.09.1998

¹³⁴ იხ. „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე, მუხლი 1. 25.11.2004

კანონმდებლობით აღრიცხული. 2005 წლის 1-ელი იანვრიდან ძვირფასი ლითონის აღრიცხვა აღარ წარმოებს.

რაც შეეხება საიუველირო ნაკეთობას, აღნიშნული დეფინიცია არ არის მოცემული არც ერთ ნორმატიულ აქტში, რის გამოც უნდა მოხდეს აღნიშნული დეფინიციის განსაზღვრა შესაბამისი საკანონმდებლო აქტით.

ძვირფასი ლითონის ჯართად მიიჩნევა ლითონის მეორადი ნედლეული, რომელიც განკუთვნილია საწარმოო გადამუშავებისათვის და რომელიც წარმოიშვება ლითონის წარმოების ან მექანიკური დამუშავების პროცესში, ასევე, ლითონის ის ნაკეთობები, რომლებიც გამოუსადეგარია იმ დანიშნულებით გამოსაყენებლად, რისთვისაც ისინი შეიქმნა გატეხვის, გაცვეთის მექანიკური, ქიმიური დაზიანების ან სხვა მიზეზთა გამო.¹³⁵

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას პირმა ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში უნდა მიუთითოს ძვირფასეულობის შესახებ, რომელშიც შედის ძვირფასი ლითონები, ქვები და ნაკეთობები, ანტიკვარული ნივთები და ხელოვნების ნიმუში ხატები, ნახატები, ქანდაკებები და სხვა.¹³⁶ ამასთან, საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა ან საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.¹³⁷

ამდენად, 0,1 გრ ოქროსგან და ვერცხლისგან ან თუნდაც 1 ლარად ღირებული ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის შემომტანიც განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა დაისაჯოს, კერძოდ, სსკ-ის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

პრაქტიკამ განვითარების სხვა გზა ჰპოვა. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საბაჟო საზღვარზე ხდება, მაგალითად, ოქროს ან ვერცხლის ნაკეთობის შემოტანა ან გატანა, დგინდება აღნიშნული ნაკეთობების საბაჟო ღირებულება. თუ საბაჟო ღირებულება გადააჭარბებს სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ ზღვარს, მაშინ ქმედება კვალიფიცირდება სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი, ხოლო ნივთის განსაკუთრებით დიდი ოდენობის საბაჟო ღირებულების შემთხვევაში სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგება სსკ-ის 214-ე მუხლის დეფინიციას, რადგან სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნაში აღნიშნული

¹³⁵ იხ. მთავრობის დადგენილება „შავი ანდა ფერადი ლითონების ჯართის და შავი ანდა ფერადი ლითონების ნარჩენის ექსპორტის მომსახურების ტარიფის ოდენობისა და გადახდის წესის განსაზღვრის თაობაზე“, 08.02.2012, მუხლი 1.

¹³⁶ იხ. ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1036, დანართი N2.

¹³⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 289.

ზღვარი ეხება მოძრავი ნივთის საბაჟო ღირებულებას მხოლოდ პირველ და მე-2 ნაწილებისათვის, რადგან მოძრავი ნივთის დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობებზე საუბარი მხოლოდ ამ ნაწილებშია.

გამოდის, რომ სსკ-ის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული საქართველოს საბაჟო საზღვარზე ძვირფასი ლითონისაგან დაზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა უბრალოდ არ გამოიყენება პრაქტიკაში. რის გამოც საჭიროა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილში ცვლილებების შეტანა და ამ დეფინიციის ამოღება.

შესაბამისად, როდესაც სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ ზღვარს არ გადააჭარბებს ძვირფასი ლითონის გადმოტანა ან გადატანა პირს სისხლისსასამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. მას დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.¹³⁸

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1-ელი მაისის გადაწყვეტილებით შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 1-ელი ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ.გ.-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19, 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა: საქართველოს საბაჟო საზღვარზე ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით გადატანის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 13 ივლისს, დაახლოებით 15:00 სთ-ზე, ნ.გ.-ლი აპირებდა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას. მან გაიარა საბაჟო საგუშაგო „სარფის“ საბაჟო კონტროლის ზონა, შეეცადა, საბაჟო კონტროლისაგან მალულად გაეტანა 9 202 აშშ დოლარის ღირებულების ძვირფასი ლითონის – ოქროსაგან დამზადებული, ბრილიანტის თვლებით მოჭედილი საიუველირო ნაკეთობები, მაგრამ ნ. გ.-ის განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მიყვანილი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რადგანაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთამდე იგი შეაჩერეს საბაჟო საგუშაგოს თანამშრომლებმა.

აღნიშნული დანაშაულისათვის ნ. გ.-ლს განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს 63-65-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. ამავე განაჩენით, ნ. გ.-საგან ამოღებული და ნივთმტკიცებად ცნობილი ოქროსა და ძვირფასი თვლებისაგან დამზადებული ნაკეთობები არ დაუბრუნა მესაკუთრეს მ. ნ.-ას და საქართველოს სსკ-ის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 52-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნ. გ.-ის მიმართ დამატებით სასჯელად გამოყენებულ იქნა მის კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის - ოქროს

¹³⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 289.

მეტალისაგან, ბრილიანტებითა და მწვანე თვლებით გაწყობილი საიუველირო ნაკეთობების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევა.

კასატორი - მსჯავრდებულ ნ. გ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ც-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ ნ. გ-ლს არანაირი წინასწარი განზრახვა არ ჰქონია, რომ საბაჟო საზღვარზე ნივთები დეკლარაციაში არ გაეტარებინა და არც შეიძლება ჰქონოდა, რადგანაც, საქართველოს საბაჟო კანონის 131-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბაჟო კონტროლის ზონაში პირადი გასინჯვა დაიშვება მხოლოდ საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცვლელი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით, ასეთი გადაწყვეტილება კი საქმეში არ არსებობს; საქართველოს საბაჟო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, საქონლის დეკლარირება ხდება საბაჟო ორგანოში, საბაჟო ორგანოდ კი ითვლება საბაჟოს მთელი ტერიტორია და კანონით იგი არ არის რაიმე ნაწილებად დაყოფილი; ნ. გ-ლი 2005 წლის 13 ივლისს იმყოფებოდა საქართველოს „სარფის“ საბაჟო ტერიტორიაზე და აპირებდა ნივთების დეკლარირებას, მაგრამ ყველა ჯიხური დაკეტილი იყო, რის გამოც იგი იდგარიგში და ელოდებოდა.

ადვოკატი ა. ც-ძე საკასაციო საჩივარში, ასევე, აღნიშნავდა, რომ, საქართველოს საბაჟო კანონის 123-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირი ახორციელებს საბაჟო კონტროლს, რაც ითვალისწინებს ფიზიკური პირების ზეპირ გამოკითხვას დეკლარაციის შევსებაზე, ეს კი კონკრეტულ შემთხვევაში მეზაჟეს არ განუხორციელებია და ეს აღიარა კიდევ სასამართლო გამოძიების დროს; 2005 წლის 1-ელი იანვრიდან გაუქმებულია საქართველოს კანონი „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამდვის შესახებ“; სასამართლომ ასევე უკანონოდ და დაუსაბუთებლად მოახდინა ძვირფასი ოქროს სამკაულების მესაკუთრე მ. ნ-სათვის ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ ნ. გ-ლს მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება არ ჩაუდენია და მისი მამხილებელი მტკიცებულებები საქმეში არ არსებობდა, კერძოდ: პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ჯ. ა-ემ განმარტა, რომ ნ. გ-თან ერთად მიემგზავრებოდა თურქეთის რესპუბლიკაში. სარფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ჯიხურები დაკეტილი იყო და ანიშნა ნ. გ-ლს, რომ უკან დაბრუნებულიყო, რადგან „მისი ნივთის დეკლარირება ვერ მოხერხდა“. მესაზღვრემ ჯ. ა-ძე გაატარა, მაგრამ საზღვარზე გადასვლის შემდეგ მოაბრუნეს, რამაც დააეჭვა და ანიშნა ნ. გ-ლს, რომ დაბრუნებულიყო. ჯ. ა-ემ მხოლოდ საბაჟო პუნქტზე გაიგო, რომ მსჯავრდებულს სამკაულები გადაჰქონდა. ანალოგიური ჩვენება მისცა ჯ. ა-ემ სააპელაციო სასამართლოში დაკითხვისას.

ამავე სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა, საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო „სარფის“ საბაჟო-გამშვები პუნქტის თანამშრომელმა მ. ხ-ამ განმარტა, რომ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია (ამდენად ოპერატიული

ინფორმაცია საკმარისია ჩხრეკის ჩასატარებლად) ერთ-ერთი ქალბატონის მიერ საზღვარზე ძვირფასეულობის გადატანის შესახებ. მასთან ერთად მყოფმა თანამშრომლებმა დაინახეს, რომ ქალბატონი, რომელიც ნ. გ-ლი აღმოჩნდა, გასული იყო მ. ხ-ას სამოქმედო ზონიდან, დატოვებული ჰქონდა საბაჟო კონტროლის ადგილი და პასპორტის წარსადგენად იდგა მესაზღვრესთან. მოწმის განმარტებით, ნ. გ-ლს ნივთების დეკლარირება არ მოუთხოვია, თუმცა ვალდებული იყო, შეეცა დეკლარაცია და წარმოედგინა ძვირფასეულობა.

კასატორები აღნიშნავენ, რომ საბაჟო კონტროლის ზონაში პირადი გასინჯვა დაიშვება მხოლოდ საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცველი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით, რაც საქმეში არ იყო მოცემული. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ ნ. გ-საგან ნივთების ამოღება განხორციელდა საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, გადაუდებელ შემთხვევაში ამოღების ჩატარების შესახებ. ამ საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესაბამისად, საბაჟო საგუშაგოს შენობაში, დამსწრეთა მონაწილეობით (დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა დამსწრეთა დასწრებას არ ითვალისწინებს) ნ. გ-ლს მიეცა წინადადება, ნებაყოფლობით წარმოედგინა ოქროს ნაკეთობები, რაზეც ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა. ამოღებული ნივთები შეიფუთა და დაილუქა.

„ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 05 აპრილის 221 ბრძანებით, ძვირფასეულობა (ძვირფასი ლითონები, ქვები და ნაკეთობები) ექვემდებარება დეკლარირებას.

პალატამ აღნიშნა, რომ იმ დროს მოქმედი საბაჟო კოდექსის 83-ე, 86-88-ე, 90-ე მუხლების შესაბამისად, საქონლით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონელი ექვემდებარება საბაჟო ორგანოში დეკლარირებას. ფიზიკური პირების მიერ ხელბარგითა და ბარგით საქონლის გადაადგილებისას საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საქონელთან ერთად. საქონლის დეკლარირებისას დეკლარანტი ვალდებულია, მოახდინოს საქონლის დეკლარირება და ხელი შეუწყოს საბაჟო ორგანოებს საბაჟო გაფორმებაში. ამასთან, საბაჟო დეკლარაციას იღებს საბაჟო ორგანო და ახდენს მის რეგისტრაციას, რა დროიდანაც იგი იქცევა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთად. მსჯავრდებულს ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ განუხორციელებია. ამდენად, საქმეში არსებული მასალებით უტყუარად დადასტურდა, რომ ნ. გ-მა ჩაიდინა საქართველოს საბაჟო საზღვარზე ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით გადატანის მცდელობა და მსჯავრდებულის ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული.

საკასაციო პალატამ გაიზიარა საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ სააკპელაციო სასამართლომ უკანონოდ ჩამოართვა სამკაულები მესაკუთრეს, კერძოდ: პალატამ აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი, სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის

შესაბამისად, საბაჟო წესის დარღვევისათვის სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულიყო სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით. მოცემულ შემთხვევაში, მიუთითა რა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე და 52-ე მუხლებზე, სააპელაციო პალატამ გამოიყენა დამატებითი სასჯელი და მსჯავრდებულს ჩამოართვა დანაშაულის საგანი, მაშინ, როცა ნ. გ-ის მიერ დანაშაულის ჩადენისას საგნის ჩამორთმევას, როგორც სასჯელს, სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა და სისხლის სამართლის ახალ კანონს ამ შემთხვევაში უკუქცევითი ძალა არ აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდა ნ. გ-ის კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევის ნაწილში და ეს საგნები დაუბრუნდა მესაკუთრეს - მ. ნ-ას.

თავი 2. თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნების გადატანა ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

2.1 რადიაქტიური ნივთიერებების წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა.

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში კრიმინალიზებულია ისეთი იარაღის, მასალის ან მოწყობილობის შემოტანა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად. მასში მოიაზრებენ იარაღს, რომელსაც შეუძლია მოკლას და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანთა დიდ ჯგუფს, ასევე, სხვა სიცოცხლის ფორმებს, ან მნიშვნელოვნად დააზიანოს ადამიანის მიერ შექმნილი სტრუქტურები მაგ: შენობები, ბუნებრივი სტრუქტურები. ესეთ იარაღთა ჯგუფს განეკუთვნება: ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაქტიული იარაღი. მასობრივი განადგურების იარაღის ცნება დღემდე არ არის ჩამოყალიბებული არც ქართულ და არც საერთაშორისო კანონმდებლობაში,¹³⁹ რის გამოც კანონმდებელს თავი უნდა შეეკავებინა ასეთი ტერმინის სისხლის სამართლის კოდექსში

¹³⁹ იხ. W. Seth Carus, Defining “Weapons of Mass Destruction”, National Defense University, 2012, იანვარი; (http://www.ndu.edu/press/lib/pdf/CSWMD-OccasionalPapers/CSWMD_Occasional-Paper-8.pdf), p. 3.

გამოყენებისაგან. შედეგად მივიღეთ ის, რომ საქართველოში ასეთი ნივთიერების შემოტანის დროს ინიშნება ექსპერტიზა, რომელიც ადგენს კონკრეტული ნივთიერება არის თუ არა მასობრივი განადგურების იარაღი ან მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად გამიზნული. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კი უწევს ექსპერტს, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი რომელიმე ნორმატიული აქტით, სადაც იქნებოდა ჩამოთვლილი მასობრივი განადგურების იარაღის ცნება და თუ რა ნივთიერებები განეკუთვნება მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად. შესაბამისად, ექსპერტმა უნდა გამოიყენოს რომელიმე კონკრეტული მეცნიერის სახელმძღვანელო და ამის საფუძველზე დაწეროს ექსპერტიზის დასკვნა, რაც გაურკვეველობას იწვევს, რადგან თვითონ მეცნიერებში სხვადასხვა მოსაზრებაა ისეთ საბაზისო საკითხზეც კი როგორცაა, ქიმიური იარაღი უნდა ჩაითვალოს თუ არა მასობრივი განადგურების იარაღად. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მხოლოდ ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებები უნდა განიხილებოდეს მასობრივი განადგურების იარაღად.¹⁴⁰ საჭიროა ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა ჩაითვალოს მასობრივი განადგურების იარაღად. დღეის მდგომარეობით ასეთი ნორმატიული აქტი არ არსებობს, რის გამოც ტერმინი „მასობრივი განადგურება“ უნდა იქნას განსაზღვრული.

ბირთვული იარაღი არის ხელსაწყო, რომელიც ქმნის ატომურ ენერჯიას აფეთქების გზით, ატომის გაყოფის ან სინთეზის რეაქციის შედეგად.¹⁴¹

ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების საბაჟო წესის დარღვევით შემოტანის ან გატანის დასჯადობის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული ნივთიერება საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, რის გამოც მათი ბრუნვის მიმართ სპეციალური წესებია დადგენილი.¹⁴² ამ წესების მიზანია ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აღკვეთა, რადიოაქტიურ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება და საქართველოს რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რადიოაქტიური ნივთიერებები იყოფა ოთხ ჯგუფად. ჯგუფებად რადიოაქტიური ნივთიერების დაყოფის საფუძველია მათი საშიშროება,

¹⁴⁰ Ashton B. Carter, “How to Counter WMD,” Foreign Affairs (სექტემბერ–ოქტომბერი 2004), გვ. 73. ასევე იხ.: Gert G. Harigel, “Chemical and Biological Weapons: Use in Warfare, Impact on Society and Environment,” Nuclear Age Peace Foundation, noemberi, 2001, <www.wagingpeace.org/articles/2001/11/00_harigel_cbw.htm>.

¹⁴¹ იხ. 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 1.

¹⁴² იხ. 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 2.

საიდანაც პირველი ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებები არ წარმოადგენენ საშიშროებას, ხოლო მე-4 ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებები ყველაზე საშიშია.¹⁴³

პირველი ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებებს განეკუთვნება გარემოში ბუნებრივად არსებული რადიოაქტიური ნივთიერებები. ბუნებრივად არსებული რადიოაქტიური ნივთიერებებს გააჩნიათ გამოსხივების დოზა, რადიოაქტიური აქტივობის დონე, რომელიც განპირობებულია გარემოში მყოფი ბუნებრივი ან სხვა რადიოაქტიური წყაროებით. ბუნებრივად არსებული რადიოაქტიური ნივთიერებებზე არ ვრცელდება კონტროლი. ამდენად, პირველი ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებებზე არ ვრცელდება არანაირი კონტროლი.

ყველა მინერალი და ქანი შეიცავს მცირე რაოდენობით ურანს, თორიუმისა და კალიუმის რადიოაქტიურ იზოტოპს.¹⁴⁴ თუ I ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებები კონცენტრირებულია რაიმე საგანში, მისმა რადიაციულმა დონემ შეიძლება მიაღწიოს იმ ზღვარს, რომლის აღმოჩენაც შესაძლებელია რადიაციის მონიტორის გამოყენებით. ხელის დეტექტორების საშუალებით ხშირად ხდება იზოტოპების – რადიუმის, თორიუმისა და კალიუმის აღმოჩენა. ბუნებრივ რადიოაქტიურ ნივთიერებებს ასევე შეიცავს კერამიკული ფილები, ხრეში და კალიუმიანი სასუქები.¹⁴⁵

მე-2 ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებებს განეკუთვნება ისეთი იზოტოპები, რომლებიც ძირითადად მედიცინაში გამოიყენება და მათი გამოყენება ტერორისტული მიზნით ნაკლებად შესაძლებელია; ამ ჯგუფს განეკუთვნებიან იზოტოპები – ჩშ-137, AM-241, ჩო-60 და სხვ.¹⁴⁶

მე-3 ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებებს განეკუთვნება ინდუსტრიულ წარმოებასა და კვლევებში გამოყენებადი რადიოაქტიური ნივთიერებები. აღნიშნული ნივთიერებების ინდუსტრიულ ზონაში გამოყენება გამოწვეულია აუცილებლობით, მაგალითად, ექსპლუატაციიდან გამოსული შენობის დემონტაჟი ხდება ფეთქებადი ნივთიერებების მეშვეობით, რაც ზოგავს ფინანსურ რესურსს. ეს ნივთიერებები ძირითადად გვხვდება სამრეწველო

¹⁴³ იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის ბრძანება №132/ნ, „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

¹⁴⁴ <http://www.world-nuclear.org/info/Safety-and-Security/Radiation-and-Health/Naturally-Occurring-Radioactive-Materials-NORM/> (2013 წლის იანვრის თვის განახლებით).

¹⁴⁵ იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის ბრძანება №132/ნ, „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

¹⁴⁶ K.P. Smith, An Overview of Naturally Occurring Radioactive Materials (NORM), Argonne National Laboratory, 1992, p. 65.

მასალებში. არსებითი მნიშვნელობა აქვს ფორმას, რომელშიც ეს ნივთიერება არის აღმოჩენილი, რაც ხშირ შემთხვევაში იძლევა წარმოდგენას მათი გამოყენების მიზნის შესახებ. ამ სახის ნივთიერების გადაზიდვის შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური დაფასოება და გადაზიდვისათვის აუცილებელი პირობების შესრულება. ამ ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებებია: ცეზიუმ-137, ამ-241, კობალტი-60.¹⁴⁷

რადიოაქტიური ნივთიერებების IV ჯგუფში მოცემული მასალები გამოიყენება ბირთვულ მექანიზმებში.¹⁴⁸

მე-4 ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებებს ძირითადად განეკუთვნება პლუტონიუმი. გარდა იმ პლუტონიუმისა, რომელიც შეიცავს 80%-ზე მეტ პლუტონიუმ-238-სა და ურან-233-ს, გამდიდრებულს ურან-235-ით ან ურან-233-ით. მადნისაგან განსხვავებული ფორმის ურანი, რომელიც შეიცავს იზოტოპებს ბუნებრივი კონცენტრაციით. ასევე, ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს მოცემული იზოტოპების ნარევს.¹⁴⁹

რადიოაქტიური ნივთიერებების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია იმისათვის, რომ აღნიშნული ნივთიერებები საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას და სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს.¹⁵⁰

აღსანიშნავია, რომ „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ აღნიშნული კონვენციის მხარეები სახიფათო ან სხვა სახის ნარჩენების უკანონო ბრუნვას მიიჩნევენ სისხლის სამართლის დანაშაულად.

სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში ზოგადად არის მითითებული, რადიოაქტიური ნივთიერების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანაზე ან გადმოტანაზე. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის საფუძველზე პირი დაისჯება ნებისმიერი სახის რადიოაქტიური ნივთიერების გადატანისათვის ან გადმოტანისათვის.

¹⁴⁷ იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის ბრძანება №132/ნ, „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

¹⁴⁸ 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 2

¹⁴⁹ იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის ბრძანება №132/ნ, „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

¹⁵⁰ იხ. გოჩა მამულაშვილი, წიგნში: საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, 2016, გვ. 563.

რადიაქტიული ნივთიერებები საშიშროების მიხედვით, იყოფა 4 ჯგუფად:

პირველი ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებები არ წარმოადგენენ ისეთ საშიშროებას, რომ პირს აღნიშნული საგნების გადატანა ან გადმოტანისათვის დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სინამდვილეში, პირველი ჯგუფის რადიოაქტიული ნივთიერებების საბაჟო წესის დარღვევით საქართველოს საზღვარზე გადატანა ან გადმოტანა საფრთხეს ვერ შეუქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. იგი საფრთხეს შეუქმნის მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს ვინაიდან ბიუჯეტში არ შედის საბაჟო გადასახადები. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად მიმართულია სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანისათვის, რაც სრულიად საკმარისია.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირველ ჯგუფს მიკუთვნებული რადიოაქტიული ნივთიერებები საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესის დარღვევით იქნება შემოტანილი, უნდა მოხდეს მათი საბაჟო ღირებულების დადგენა, რის შემდეგაც, მოძრავი ნივთის დიდი ოდენობით სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული ზღვარის გადაჭარბების შემთხვევაში, პირი უნდა დაისაჯოს სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით. ხოლო, აღნიშნულ ზღვარამდე საბაჟო ღირებულების დადგენის შემთხვევაში პირი უნდა დაისაჯოს საგადასახადო კოდექსით საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესის დარღვევით ნივთის გადატანა ან გადმოტანისათვის გამოვლენილი ხერხის მიხედვით.¹⁵¹

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ისჯება საქართველოს საბაჟო საზღვარზე რადიოაქტიური ნივთიერების წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა.

ამავე დროს სსკ-ის 230-ე მუხლით ისჯება რადიოაქტიური ნივთიერების, აგრეთვე ნებისმიერი სახისა და დანიშნულების მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყო ან ნაკეთობის, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებას უკანონო შეძენა, შენახვა, ფლობა ან განკარგვა, გამოყენება, გადამუშავება, გამოცდა, გადაცემა, გადაზიდვა, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობა ან მათდამი სხვა უკანონო მოპყრობა.

ამდენად, სსკ-ის 230-ე მუხლში ჩამოთვლილი „უკანონო ექსპორტი, იმპორტი“ სწორედაც, რომ სსკ-ის 214-ე მუხლში ნახსენები „საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანას“ გულისხმობს. გამოდის, რომ ეს ერთი ქმედებისათვის (რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო გადატანა -

¹⁵¹ იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 289.

გადმოტანა) სს პასუხისმგებლობა ფაქტობრივად გათვალისწინებულია საქართველოს სს კოდექსის ორი სხვადასხვა მუხლით, რაც ნორმათა კოლიზიის შემთხვევას წარმოადგენს. შესაბამისად, სსკ-ის 230-ე მუხლის დისპოზიციიდან ამოსაღებია „ექსპორტი და იმპორტი“, რათა ამგვარი ქმედების კვალიფიკაციისას სასამართლო პრაქტიკას პრობლემა არ შეექმნას.

2.2 შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილის შემადგენლობაში ჩამოთვლილია ნივთების შესახებ, რომელთა დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანა არის აკრძალული და ამ დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ შემოტანა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების დეფინიცია არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის ასახული. საშიში ქიმიური ნივთიერებების დეფინიცია ჩამოყალიბებული იყო საქართველოს კანონში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ, რომლის მიხედვითაც საშიში ქიმიური ნივთიერება განსაზღვრული იყო ისეთ ნივთიერებად და პრეპარატად, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ამასთან, მიკუთვნებული იყო ტოქსიკურობისა და საშიშროების შემდეგ კლასებში: ფეთქებადი ნივთიერებები, დამჟანგავი ნივთიერებები, უკიდურესად აალებადი და ადვილად აალებადი ნივთიერებები. თუმცა აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2010 წლის 08 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც, თავის მხრივ, საერთოდ არ შეიცავდა დეფინიციას, თუ რა იგულისხმებოდა საშიშ ქიმიურ ნივთიერებებში. „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქ/პუნქტის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნას ცნობილი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონი კი ამოქმედდა 2010 წლის 19 აპრილს გამოქვეყნებისთანავე. „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით კი თავის მხრივ ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 08 მაისს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კოდექსიც არ განსაზღვრავს დეფინიციას, თუ რა იგულისხმება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებში.

საჭიროა ერთი ნორმატიული აქტი მაინც, რომელშიც აღნიშნული იქნება იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს მომწამლავი ან შხამიანი

ნივთიერება. პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რომ ლეგალურად განახორციელოს შხამინი ან მომწამლავი ნივთიერების შემოტანა.

ქიმიური ნივთიერება არის ნივთიერება, რომელიც არსებობს დამოუკიდებლად ან შედის ნარევის ან პრეპარატის შემადგენლობაში, რომელიც დამზადებულია სამრეწველო წესით ან მიღებულია ბუნებრივი გზით, მაგრამ არ შეიცავს არანაირ ცოცხალ ორგანიზმს.¹⁵²

პირდაპირ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ასეთი ნივთიერებების საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით შემოტანისათვის მაშინ, როდესაც ასეთი წესი არ არსებობს, არასწორია.

ნებისმიერი ტრანსპორტით საერთაშორისო რეისის შესრულებისას, საერთაშორისო ღონისძიების (ველოსპორტი, ავტორალი და სხვა), მათ შორის, უცხო ქვეყნის წარმომადგენელთან ერთობლივი სამხედრო წვრთნის ჩატარებისას, მგზავრთათვის და ღონისძიებაში მონაწილე პირთათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ნებადართულია (თუ ამას ითვალისწინებს ჩასატარებელი ღონისძიება) II და III სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა. ეს პროცესი არ განიხილება იმპორტად, ექსპორტად ან ტრანზიტად.¹⁵³ შესაბამისად, ფაქტობრივი ტრანზიტი სახეზეა, რადგან, მაგალითად, თვითმფრინავი ჩამოფრინდება თბილისის აეროპორტში, შემდეგ კი გაფრინდება თურქეთში, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობით აღნიშნული არ განიხილება ტრანზიტად.

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც შესაძლოა, განხილულ იქნენ შხამიან და მომწამლავ ნივთიერებებად.¹⁵⁴

საშიში ქიმიური ნივთიერებები და პრეპარატები მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. საქართველოს საბაჟო საზღვარზე აკრძალულია ისეთი ნივთიერებების შემოტანა, როგორებიცაა:¹⁵⁵

¹⁵² მთავრობის დადგენილება N263, „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, მუხლი 3.

¹⁵³ იხ. საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, მუხლი 15.

¹⁵⁴ ნ. გიუაშვილი, ა. დოლიძე, ლ. ზეიკიძე, ი. ლეგაშვილი, კ. რუხაია, ჯ. ქარჩავა, მ. ღვინეფაძე, ა. ჩანქსელიანი, ი. ცომაია, საქართველოს ქიმიური პროფილი, თბილისი 2009, გვ. 11.

¹⁵⁵ საქართველოს კანონი „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, მუხლი 1.

ა) ფეთქებადი ნივთიერებები და პრეპარატები მყარ, თხევად, პასტისმაგვარ ან ლაბისებრ მდგომარეობაში, რომლებიც იწვევს ეგზოთერმულ რეაქციას ატმოსფერული ჟანგბადის გარეშე და სწრაფად გამოყოფს გაზებს, დეტონირებს, ადვილად აალებს ან ფეთქდება ნაწილობრივ დახშულ პირობებში გახურებით;

ბ) დამჟანგავი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც იწვევს ძლიერ ეგზოთერმულ რეაქციას სხვა აალებად ნივთიერებებთან შეხებისას;

გ) უკიდურესად აალებადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვს დაბალი აალების და დუდილის წერტილები, აალებს ჰაერთან შეხებისას ოთახის ტემპერატურასა და ნორმალურ ატმოსფერულ წნევაზე;

ე) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ცოცხალ ქსოვილთან შეხებისას აზიანებს მას;

ვ) ტოქსიკური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მცირე ოდენობით მოხვედრისას იწვევს სიკვდილს, მწვავე ან ქრონიკულ მოწამვლას;

ზ) გამაღიზიანებელი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ფიზიკურ გაღიზიანებასა და ანთებით პროცესს;

თ) ალერგიული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ზემოგრძობელობას (ალერგიულ რეაქციას);

ი) კანცეროგენული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ან ხელს უწყობს სიმსივნური დაავადების განვითარებას;

კ) მუტაგენური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ან ხელს უწყობს გენეტიკური სისტემის მოშლას;

ლ) ტერატოგენური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ან ხელს უწყობს ნაყოფის განვითარების პროცესის დარღვევას და სიმახინჯეებს;

მ) გონადოტროპული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ან ხელს უწყობს სასქესო ჯირკვლების ფუნქციის მოშლას;

ნ) ემბრიოტროპული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ჩანასახის განვითარების მოშლას.

მომწამლავ და შხამიან ქიმიურ ნივთიერებებს განეკუთვნება, აგრეთვე, ადვილად აალებადი ნივთიერებები და პრეპარატები,¹⁵⁶ კერძოდ:

ა) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ცხელდება და აალებს ჰაერთან შეხებისას ოთახის ტემპერატურაზე, ენერჯის სხვა წყაროების არარსებობისას;

ბ) მყარი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც აალებს სითბოს წყაროსთან ხანმოკლე შეხებისას და განაგრძობენ წვას ამ წყაროს მოცილების შემდეგაც;

გ) თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვთ დაბალი აალების წერტილი;

დ) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც წყალთან ან ნესტიან ჰაერთან შეხებისას გამოყოფს ადვილდაალებად აირებს საშიში ოდენობით;

შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების დეფინიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსად არ არის განსაზღვრული. არის მხოლოდ ქიმიური ნივთიერების და არა საშიში ქიმიური ნივთიერების დეფინიცია. ქიმიური ნივთიერება არის ნივთიერება, რომელიც არსებობს დამოუკიდებლად ან შედის ნარევის ან პრეპარატის შემადგენლობაში, რომელიც დამზადებულია სამრეწველო წესით ან მიღებულია ბუნებრივი გზით, მაგრამ არ შეიცავს არანაირ ცოცხალ ორგანიზმს.¹⁵⁷ საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტის ან ექსპორტის განმხორციელებელმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა წინასწარი დასაბუთებული თანხმობის მისაღებად უნდა მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.¹⁵⁸

წინასწარ დასაბუთებული თანხმობა არის პრინციპი, რომლის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობისას არ შეიძლება აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული პესტიციდების შემოტანა სათანადო შეთანხმების გარეშე ან სარეგისტრაციო ორგანოს გადაწყვეტილების გვერდის ავლით, წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის

¹⁵⁶ ნ. გიუაშვილი, ა. დოლიძე, ლ. ზევიძე, ი. ლეგაშვილი, კ. რუხაია, ჯ. ქარჩავა, მ. ღვინეფაძე, ა. ჩანქსელიანი, ი. ცომაია, საქართველოს ქიმიური პროფილი, თბილისი 2009, გვ. 11

¹⁵⁷ მთავრობის დადგენილება N263, „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, მუხლი 3.

¹⁵⁸ საქართველოს პარლამენტის N3817 დადგენილება „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, მუხლი 1.

დარღვევით.¹⁵⁹ წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის არსი საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტიორი ქვეყნების მიერ ტვირთის დანიშნულების ქვეყანაში ამ ნივთიერების იმპორტის რეჟიმის წინასწარ გარკვევაში და დაცვაში მდგომარეობს. 1998 წლის 10 სექტემბრის როტერდამის კონვენცია ითვალისწინებს სამდივნოს საშუალებით კონვენციის წევრი ქვეყნების რეგულარულ ინფორმირებას კონვენციის წევრ-ქვეყნებში კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებების იმპორტის რეჟიმის შესახებ. კონვენციის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, არ დაუშვან კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებების ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომელთაც კონვენციის სამდივნოს ამ ნივთიერებათა იმპორტის აკრძალვის შესახებ აცნობეს. გარდა ამისა, იმ ნივთიერებების ექსპორტის შემთხვევაში, რომლებიც კონვენციის დანართში მითითებული არ არის, მაგრამ მისი გამოყენება ან იმპორტი ამ კონკრეტულ ქვეყანაში აკრძალული ან შეზღუდულია, ქვეყანა ვალდებულია თავად გაარკვიოს მიმღებ ქვეყანაში ნივთიერების იმპორტის რეჟიმი და მიმღები ქვეყნის მიერ იმპორტის აკრძალვის შემთხვევაში საკუთარი ტერიტორიიდან ამ ნივთიერებათა ექსპორტი არ დაუშვას.¹⁶⁰

იმ შემთხვევაში, როდესაც იმპორტირებული საშიში ქიმიური ნივთიერება არ არის შეტანილი ერთიან სახელმწიფო რეესტრში, სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად და საშიში ქიმიური ნივთიერების რეგისტრაციისათვის ნივთიერების შემქმნელი განაცხადს წარუდგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.¹⁶¹

საშიში ქიმიური ნივთიერების რეგისტრაცია გულისხმობს ნივთიერების შეტანას საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიან სახელმწიფო რეესტრში. საშიში ქიმიური ნივთიერების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.¹⁶²

¹⁵⁹ იხ. 1998 წლის 10 სექტემბრის როტერდამის კონვენცია „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, მუხლი 1.

¹⁶⁰ საქართველოს კანონი "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ, 14.05.2002, მუხლი 4.

¹⁶¹ იხ. საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზისა და სახელმწიფო გამოცდის წესისა და პროცედურის შესახებ, მუხლი 28.

¹⁶² იხ. საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზისა და სახელმწიფო გამოცდის წესისა და პროცედურის შესახებ, მუხლი 22.

საშიში ქიმიური ნივთიერების სახელმწიფო ექსპერტიზა ადგენს: საშიში ქიმიური ნივთიერების გამოყენებისას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მისი მავნე ზემოქმედების ხასიათსა და ხარისხს, აგრეთვე, ნივთიერების გამოყენებისას რეკომენდებული უსაფრთხოების ზომების საკმარისობას და დასაბუთებულობას. ნივთიერების შემქმნელის მიერ სახელმწიფო ექსპერტიზისა და რეგისტრაციისთვის გადაცემული დოკუმენტების შეუსაბამობის შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლება აქვს საშიში ქიმიური ნივთიერების შემქმნელს მოსთხოვოს დამატებითი გამოკვლევის ჩატარება, აგრეთვე, დამატებითი მონაცემები და დოკუმენტები ნივთიერების შესახებ.¹⁶³

საშიში ქიმიური ნივთიერების სახელმწიფო ექსპერტიზის დადებითი დასკვნა ნივთიერების რეგისტრაციის საფუძველია და ამის შემდეგ მოხდება ამ ნივთიერების იმპორტის ან ექსპორტის რეჟიმში მოქცევა.¹⁶⁴

საშიში ქიმიური ნივთიერების სახელმწიფო ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას ნივთიერების სახელმწიფო გამოცდის ჩატარების შესახებ. სახელმწიფო გამოცდა ტარდება გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

საშიში ქიმიური ნივთიერების სახელმწიფო გამოცდას ატარებს შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ან სხვა ორგანიზაცია, ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფოს ან ნივთიერების შემქმნელის ხარჯზე.

სახელმწიფო გამოცდის შედეგების მიხედვით, მზადდება შესაბამისი ანგარიში და დასკვნა. დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზისა და სახელმწიფო გამოცდის წესი და პროცედურა განისაზღვრება დებულებით,¹⁶⁵ რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით.

¹⁶³ იხ. საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზისა და სახელმწიფო გამოცდის წესისა და პროცედურის შესახებ, მუხლი 20.

¹⁶⁴ იხ. საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზისა და სახელმწიფო გამოცდის წესისა და პროცედურის შესახებ, მუხლი 5.

¹⁶⁵ იხ. საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზისა და სახელმწიფო გამოცდის წესისა და პროცედურის შესახებ, მუხლი 9;

ამგვარად, ქართული კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ ქიმიურ ნივთიერებათა ცნებას და სპეციალური რეესტრით ადგენს მათ მახასიათებლებს და კატეგორიებს, მაგრამ ცალკე გათვალისწინებული არ არის შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების ჩამონათვალი. საქართველოს კანონმდებლობით ეს ორი ცნება არ არის განსაზღვრული და გამოყენებულია მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლში. სსკ-ის 214-ე მუხლი ბლანკეტურია, მაგრამ ამ ორ ცნებასთან მიმართებით არ არსებობს სპეციალური ნორმა, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების დადგენისათვის. ამდენად, აუცილებელია ამ ორი კატეგორიის ნივთიერების გათვალისწინება და მათი დახარისხება სპეციალური ნორმებით, ან მათი ამოღება სსკ-ის 214-ე მუხლის შემადგენლობიდან.

2.3 მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად მასალის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

მასობრივი განადგურების იარაღის მასალად განიხილება მასობრივი განადგურების იარაღის ბირთვული მასალები, რადიოაქტიური ნივთიერებები, რადიოაქტიური ნარჩენები და მინერალები, წიაღისეული, რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, აგრეთვე, ნებისმიერი ნივთი, რომელიც დამზადებულია ბირთვული მასალის ან რადიოაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე, ბირთვული ტექნოლოგიები და ნოუ-ჰაუ.¹⁶⁶

საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, აეროპორტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას ცხადდება განგაში, რომლის დროსაც კომპეტენტური ორგანოების მიერ ხდება რეაგირება.

სასაზღვრო გამტარი პუნქტი არის საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, ნავსადგურის, აეროპორტის, აეროდრომის

¹⁶⁶ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, მუხლი 2; ასევე იხ.: 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 2.

ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი.¹⁶⁷

ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენა დაკავშირებულია რისკთან, რის გამოც ამ პროცედურამ შეიძლება გამოიწვიოს ახლოს მყოფი ადამიანების საფრთხეში ჩაყენება, სწორედ ამიტომ სასაზღვრო გამტარი პუნქტის ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში, აეროპორტებსა და ნავსადგურებში სპეციალურად არის გამოყოფილი ადგილი - დროებითი სადგომი,¹⁶⁸ სადაც შესაძლებელია რადიოაქტიურ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის, ბარგის, ხელბარგის ანდა მისი გადამტანი ან შემცველი სატრანსპორტო საშუალებების დროებითი უსაფრთხო განთავსება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შემდგომ იზოლირებამდე ან მათ მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებამდე. დროებითი სადგომის ადგილს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, აღნიშნული საკითხი უნდა იყოს შეთანხმებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, კერძოდ, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – შემოსავლების სამსახურთან.¹⁶⁹

იმისათვის, რომ აღიკვეთოს მასობრივი განადგურების იარაღის მასალის საქართველოში უკანონო შემოტანა ან გატანა ქვეყნის სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში დგანან მორიგე ჯგუფები - ცვლაში მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები, ხოლო საბაჟო-გამშვებ პუნქტში – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლები, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება და აღჭურვილი არიან ინდივიდუალური რადიაციული პეიჯერებითა და ხელის რადიაციული დეტექტორებით. ასევე, რადიოაქტიური იზოტოპის ამომცნობით, რომელიც არის პორტატული, გადასატანი ტიპის ხელსაწყო. აღნიშნული ხელსაწყო გამოიყენება რადიონუკლიდის ძებნისა და

¹⁶⁷ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, მუხლი 2; ასევე იხ.: 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 11.

¹⁶⁸ იხ. იქვე.

¹⁶⁹ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, მუხლი 2; ასევე იხ.: 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №3972, მუხლი 2.

ამოცნობისათვის, გამა და ნეიტრონული გამოსხივების იდენტიფიკაციისა და რადიაციული ექსპერტიზის ჩატარებისათვის. მათ, ასევე, გააჩნიათ რენტგენი, რომელიც გამოსცემს მოკლე ელექტრომაგნიტურ ტალღებს, რაც შესაძლებელს ხდის გაშუქდეს გაუმჭვირვალე საგანი. რენტგენი, როგორც საზომი ერთეული, იხმარება ელექტრული მუხტის არმქონე მაიონებელი გამოსხივების დოზის შესაფასებლად.

სასაზღვრო გამტარ პუნქტებში უსაფრთხოების ზომების მაქსიმალურად დასაცავად დგანან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენტური თანამშრომლები, ასევე, სხვა კომპეტენტური სამსახურების წარმომადგენლები, მაგალითად, ევაკუატორი, სასწრაფო დახმარების ბრიგადა. თუ შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ საჭიროა აღმოჩენილი მასალის სიღრმისეული შემოწმება, ლოკალიზაცია, შემდგომი ტრანსპორტირება და სხვა ღონისძიებების გატარება, დამხმარე ჯგუფის გამოძახება ხდება შემმოწმებელი ჯგუფის მიერ.¹⁷⁰

თუმცა ინდივიდუალური რადიაციული პეიჯერები და ხელის რადიაციული დეტექტორები არ არის საკმარისი რადიოაქტიური ნივთიერების აღმოსაჩენად, რის გამოც სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან დგას სპეციალური აპარატურით აღჭურვილი სადგური, რომელიც მუშაობს უწყვეტ რეჟიმში. სადგურის სამორიგეო ოთახში ხდება ხმოვანი და ვიზუალური სიგნალის მიღება რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმომჩენი მონიტორებისა და ტელეკამერებისაგან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგადასახადო ორგანო, აეროპორტების საავიაციო უშიშროების და ნავსადგურების უსაფრთხოების დაცვის სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე მასობრივი განადგურების იარაღის მასალის აღმოჩენას, შეჩერებასა და რეაგირებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების გატარებას. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს რადიოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენის შესახებ შეტყობინებების დღე-ღამის განმავლობაში შეუფერხებლად მიღებას და აღნიშნულ შეტყობინებათა მიღებიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 10 საათის განმავლობაში, შესაბამისი სპეციალისტების ჩართვას გამოვლენილი მასალის იდენტიფიკაციასა და იზოლირებაში.¹⁷¹

რადიოაქტიური ნივთიერებების აღმომჩენი სისტემისა და აპარატურის გამართულ მუშაობას და ტექნიკურ მომსახურებას

¹⁷⁰ 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 8.

¹⁷¹ 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 4.

უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი.¹⁷²

იმისათვის, რომ აღმოჩენილ იქნეს რადიოაქტიურ კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი ახორციელებს მასობრივი განადგურების იარაღის მასალის აღმომჩენი სისტემებისა და აპარატურის კალიბრაციას და, საჭიროების შემთხვევაში, იწვევს ფიზიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებს, ან მიმართავს შესაბამის ლაბორატორიას. აღნიშნული სამინისტრო უზრუნველყოფს რადიოაქტიური წყაროების შენახვასა და გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში იყენებს ფიზიკის ინსტიტუტის რესურსებს.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საბაჟო კონტროლის ზონაში შეამოწმოს სატრანსპორტო საშუალება, ფიზიკური პირი, მისი კუთვნილი ბარგი, ხელბარგი, საქონელი და მათი თანმხლები დოკუმენტაცია, როგორცაა - საბაჟო დეკლარაცია, სატრანსპორტო ზედდებული, ინვოისი, სანებართვო მოწმობა. ასევე, გახსნას სატრანსპორტო საშუალება და შეამოწმოს მასში ჩატვირთული საქონელი შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებით. გაატაროს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებები. აუცილებლობის შემთხვევაში მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტები ფიზიკური პირის, მისი კუთვნილი ბარგის ანდა ხელბარგის, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში გამოიძახოს შემმოწმებელი ჯგუფი ანდა დამხმარე პერსონალი. რადიოაქტიურ კონტროლს დაქვემდებარებული დეკლარირებული საქონლის ხვედრითი აქტივობის სიდიდის განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანო შემოწმებისას უფლებამოსილია მოითხოვოს შემმოწმებელი ჯგუფის ჩართვა. საქონლის გადაადგილებისას საქონლის მიმართ შემოწმების პროცედურა შეიძლება დასრულდეს მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ შემოწმების შედეგად გამოვლენილი რადიაციული ფონი არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმებს.

მონაცემები ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების აღმოჩენის და დაკავების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის შესაბამისმა დანაყოფმა აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტს უნდა

¹⁷² იხ. იქვე.

მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში.¹⁷³

იმ შემთხვევაში, თუ ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების აქტივობის დონე აღემატება დადგენილ ზღვარს,¹⁷⁴ მაშინ ცენტრალური განგაშის სადგურის ოპერატორი გამოიძახებს შემმოწმებელ ჯგუფს, რომელიც ახდენს აღმოჩენილი რადიოაქტიური მასალის მეორად შემოწმებას, რათა მოხდეს მისი სიღრმისეული შემოწმება, აღმოჩენილი მასალის კლასიფიკაციის განსაზღვრა და ლოკალიზება. მეორადი შემოწმების დროს ხდება, ასევე, საექვო წყაროს სკანირება. გამოიძახების შემთხვევაში შემმოწმებელმა ჯგუფმა უნდა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, მათ შორის, შესაბამისი ორგანოების დახმარებით შეაჩეროს სატრანსპორტო საშუალება, საქონელი ან ის მგზავრი, რომელმაც გამოიწვია განგაშის სიგნალის ჩართვა.¹⁷⁵

განგაშის დადასტურების შესახებ ინფორმაციას ცენტრალური განგაშის სადგურის ოპერატორი დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფს, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურს და ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციას.¹⁷⁶

ცენტრალური განგაშის სადგურის ოპერატორი ვალდებულია მონაცემთა ბაზაში შეიტანოს დეტალური ინფორმაცია განგაშის გამომწვევი მიზეზების შესახებ. რადიაციული უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია დააორგანიზოს აღმოჩენილი რადიოაქტიური ნივთიერების უსაფრთხოდ შენახვა, გატანა და საცავში განთავსება, ან თვითონვე შეინახოს იგი. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების, მათ შორის, რადიოაქტიური ნივთიერების გადაზიდვის მარშრუტის, მისი საბოლოო განთავსების ადგილის და გაუვნებლყოფის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფს.¹⁷⁷

ხელის დეტექტორის მეშვეობით I და II ჯგუფების რადიოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენისას უნდა შემოწმდეს გამოსხივების დონის სიმძლავრე.

¹⁷³ 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 4.

¹⁷⁴ დასაშვები რადიაციის დადგენილი ზღვარი იხ.: რუნ-200, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის ბრძანება №132/5 „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“.

¹⁷⁵ 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 8.

¹⁷⁶ იქვე, მუხლი, მუხლი 2.

¹⁷⁷ იქვე, მუხლი, მუხლი 8.

თუ I ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში რადიონუკლიდის აქტივობა აღემატება რადიაციული უსაფრთხოების ნორმებით დადგენილ ზღვარს, საქონლის გადამზიდავმა შემმოწმებელი ჯგუფის საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს უნდა წარუდგინოს აღნიშნული ნივთიერების ან მისი შემცველი საქონლის გადაზიდვის ლეგალურობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში შემმოწმებელი ჯგუფი აუქმებს განგაშს და ამის თაობაზე აცნობებს ცენტრალური განგაშის სადგურის ოპერატორს.

დაწესებულია ორმაგი სტანდარტი მათთვის, ვინც ტოვებს საქართველოს ტერიტორიას და მათთვის, ვინც შემოდის საქართველოში.

ფიზიკური პირის შემოწმების დროს II ჯგუფის რადიოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენის შემთხვევაში, როდესაც პირის კუთვნილი ბარგი, ხელბარგი, საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება არ შეიცავს ასეთ ნივთიერებას და რადიაციული ფონის არსებობა განპირობებულია პირის მიერ ჩატარებული მკურნალობის კურსით, პირი ვალდებულია შემმოწმებელ ჯგუფს წარუდგინოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ პირის მიერ რადიოაქტიური ნივთიერების გამოყენებით მკურნალობის კურსის ჩატარების ფაქტს. სამედიცინო დოკუმენტის წარდგენა საქართველოს მოქალაქისათვის სავალდებულოა საქართველოდან მისი გასვლის, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოში მისი შემოსვლის შემთხვევაში. საქართველოს მოქალაქის შემოსვლის ან უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოდან გასვლის შემთხვევაში, თუ პირს არ გააჩნია ზემოაღნიშნული სამედიცინო დოკუმენტი, მაშინ შესაბამის მონაცემთა ბაზაში დეტალურად უნდა დაფიქსირდეს ამ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, გამგზავრების მარშრუტი და საბოლოო დანიშნულების ადგილი.¹⁷⁸

აღნიშნული დებულება აშკარად დასახვეწია, რადგან საქართველოს მოქალაქის გასვლის შემთხვევაში მან უნდა წარმოადგინოს სამედიცინო დოკუმენტი, ხოლო შემოსვლის შემთხვევაში არა. უცხოელმა გასვლისას არ უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, ხოლო შემოსვლისას კი უნდა წარმოადგინოს სამედიცინო დოკუმენტი.

¹⁷⁸ იხ.: რუნ-200, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის ბრძანება №132/ნ „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“.

2.4 ფეთქებადი ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

ფეთქებადი ნივთიერება არის ისეთი ნაერთი, რომელსაც გარკვეული ზემოქმედების შედეგად ახასიათებს სწრაფად გავრცელებადი ქიმიური გარდაქმნა, რა დროსაც გამოიყოფა დიდი კინეტიკური ენერჯია, გაზი და ტემპერატურა, რომლის გამოყენება შეიძლება მექანიკური მოძრაობათა სამუშაოს შესასრულებლად ან სხვადასხვა საგნის დასანგრევად.

ფეთქებადი ნივთიერებები არის ნივთიერებები და პრეპარატები მყარ, თხევად, პასტისმაგვარ ან ლაბისებრ მდგომარეობაში, რომლებიც იწვევს ეგზოთერმულ რეაქციას ატმოსფერული ჟანგბადის გარეშე და სწრაფად გამოყოფს გაზებს, დეტონირებს, ადვილად აალებს ან ფეთქდება ნაწილობრივ დახშულ პირობებში გახურებით.¹⁷⁹

ფეთქებადი ნივთიერებები აღნიშნავს ფეთქებად პროდუქტებს, რომლებიც ფართოდ ცნობილია როგორც „პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებები“,¹⁸⁰ მათ შორის, ფეთქებადი ნივთიერებები დრეკადი ან პლასტიკური ფურცლოვანი ფორმით.¹⁸¹

ფეთქებადი ნივთიერებები წარმოადგენს ქიმიურ ნაერთებს ან ნარევეებს, რომლებიც გარე ზემოქმედებით, როგორცაა - მექანიკური - დარტყმა, ჩხვლეტა, სითბური და ელექტრული - ნაპერწკალი, ალი, გათბობა, განმუხტვა - განიცდის დეტონაციას მაღალი ტემპერატურის და წნევის მქონე გაზების წარმოქმნით.¹⁸²

ფეთქებად ნივთიერებებს ყოფენ სამ ჯგუფად: მაინიცირებელ, ბრიზანტულ და სატყორცნ ფეთქებად ნივთიერებებად.

მაინიცირებელ ფეთქებად ნივთიერებებს ახასიათებს მაღალი მგრძობელობა გარე ზემოქმედებაზე. აღნიშნულ ნივთიერებებს ძირითადად იყენებენ დეტონატორებში, რადგან მათი აფეთქება იწვევს კონტაქტში მყოფი ბრიზანტული ნივთიერებების დეტონაციას.

ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერებებისთვის დამახასიათებელია მათთან შეხებაში მყოფი საგნის, როგორცაა - ლითონი, ბეტონი, მსხვრევა.

სიმძლავრის მიხედვით, ბრიზანტულ ნივთიერებებს ყოფენ სამ ჯგუფად: მაღალი, საშუალო და დაბალი სიმძლავრის ფეთქებად ნივთიერებებად.

¹⁷⁹ იხ. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.

¹⁸⁰ იხ. 1991 წლის 1 მარტის მონრეალის კონვენცია „პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშნადების შესახებ მათი გამოვლენის მიზნით“. მუხლი 1.

¹⁸¹ იხ. გაიოზ ხუციშვილი, სამხედრო საინჟინრო საქმე, თბილისი 2004, გვ. 121 .

¹⁸² იხ. იქვე, გვ. 123.

სატყორცნი ასაფეთქებელი ნივთიერებები ეწოდება ისეთ ქიმიურ ნაერთებს ან ნარევეებს, რომელთა ქიმიური გარდაქმნის ძირითადი ფორმაა წვა. აღნიშნულ ნივთიერებებს მიეკუთვნება დენთი.

აუცილებელია სახელმწიფოში მოხდეს ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდობა.¹⁸³

საშიშ ქიმიურ ნივთიერებასთან უსაფრთხო მოპყრობის უზრუნველყოფისა და მისი სამომხმარებლო თვისებების შენარჩუნების მიზნით ნივთიერების შემქმნელი ან მწარმოებელი ვალდებულია, განსაზღვროს ნივთიერების შეფუთვის, ნიშანდობისა და ეტიკეტირების სახე და ნივთიერებას გაუკეთოს შესაბამისი წარწერა.¹⁸⁴

ნიშნისა და ეტიკეტის შინაარსისადმი მოთხოვნებს, აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.¹⁸⁵

სახელმწიფო იღებს ზომებს საკუთარ ტერიტორიაზე არანიშანდებული ფეთქებადი ნივთიერებების დამზადების აკრძალვისა და თავიდან აცილებისათვის. ფეთქებადი ნივთიერებების მთელი მარაგი, რომელიც არ არის სამხედრო ან პოლიციური ფუნქციების შემსრულებელი უფლებამოსილი ორგანოების მფლობელობაში, უნდა განადგურდეს ან იქნეს ნიშანდებული.¹⁸⁶

სსკ-ის 214-ე მუხლში მითითებულია ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობის დეფინიცია არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის განსაზღვრული, რაც საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო რეგულირებას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მიხედვით, საჭიროა ფეთქებადი ნივთიერების ნიშანდობა და ეტიკეტირება.¹⁸⁷ ეტიკეტირება გულისხმობს სპეციალური ნიშნის გაკეთებას, მაგალითად, სატვირთო ავტომანქანაზე, რომელსაც

¹⁸³ იხ. 1991 წლის 1 მარტის მონრეალის კონვენცია „პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდობის შესახებ მათი გამოვლენის მიზნით“, მუხლი 3.

¹⁸⁴ იხ. საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“, 12.06.1998, მუხლი 24. 12.06.1998.

¹⁸⁵ იხ. საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“, 12.06.1998, მუხლი 25.

¹⁸⁶ იხ. 1991 წლის 1 მარტის მონრეალის კონვენცია „პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდობის შესახებ მათი გამოვლენის მიზნით“, მუხლი 4.

¹⁸⁷ იხ. ნ. გიუაშვილი, ა. დოლიძე, ლ. ზეიკიძე, ი. ლევაშვილი, კ. რუხაია, ჯ. ქარჩავა, მ. ღვინეფაძე, ა. ჩანქსელიანი, ი. ცომაია, საქართველოს ქიმიური პროფილი, თბილისი 2009, გვ. 13.

გადააქვს საშიში ტვირთი უნდა იყოს წარწერა ან ნიშანი გამოსახულების სახით, რომ სატვირთო ავტომანქანაში საშიში ტვირთია. შესაძლოა მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს ამ ნივთიერებების საბაჟოზე შემოტანისას წესრიგში ჰქონდეს ყველა დოკუმენტაცია, თუმცა არ ჰქონდეს ტვირთი ეტიკეტირებული. სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში არ არის იმ დანაშაულის ხერხების შესახებ მითითებული, რაც ამ მუხლის პირველ ნაწილშია ჩამოთვლილი, ამდენად, გაურკვეველია, არის თუ არა აუცილებელი სსკ-ის 214-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ხერხების გამოყენება სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით პასუხისმგებლობისათვის, რადგან მასში აღნიშნულია მხოლოდ დადგენილი წესის დარღვევით შემოტანის თაობაზე, რაც უნდა გულისხმობდეს ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის, N263-ით, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის (რომლის მიხედვითაც საჭიროა, ფეთქებადი ნივთიერების ნიშანდება და ეტიკეტირება),¹⁸⁸ დადგენილი წესის დარღვევით შემოტანას. ამდენად, ეტიკეტირების გარეშე შემოტანა ჩაითვლება საბაჟო წესის დარღვევად, რის გამოც პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნული არ უნდა ჩაითვალოს სწორად. საჭიროა სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნაში დაემატოს ის, რომ თუ პირი ყველა საჭირო დოკუმენტაციას წარადგენს საბაჟოზე და არ მოხდება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ტვირთის შემოტანა, პირი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. რის შედეგადაც, პირი უნდა დაისაჯოს მხოლოდ ადმინისტრაციული წესით.¹⁸⁹

2.5 ცეცხლსასროლი იარაღის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

საქართველოს საბაჟო საზღვარზე აკრძალულია ნებართვის გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის გადატანა ან გადმოტანა.

¹⁸⁸ იხ. ნ. გიუაშვილი, ა. დოლიძე, ლ. ზეიკიძე, ი. ლეგაშვილი, კ. რუხაია, ჯ. ქარჩავა, მ. ღვინეფაძე, ა. ჩანქსელიანი, ი. ცომაია, საქართველოს ქიმიური პროფილი, თბილისი 2009, გვ. 13.

¹⁸⁹ იხ. საგადასახადო კოდექსი, მუხლი 289.

იარაღი არის მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ანდა გასანადგურებლად, ან სიგნალის მისაწოდებლად.¹⁹⁰

ცეცხლსასროლი იარაღი კი არის იარაღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენტის ან სხვა მუხტის წვისას გამოყოფილი ენერგიის შედეგად და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკურად დასაზიანებლად ანდა გასანადგურებლად.¹⁹¹

ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებია – ლულა, დოლურა, ჩამკეტი, ჩარჩო და ლულის კოლოფი.¹⁹²

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში ზოგადად არის მითითებული ცეცხლსასროლი იარაღის თაობაზე მაშინ, როდესაც იარაღის რამდენიმე სახეს გამოყოფენ: სამოქალაქო, სამსახურებრივ-საშტატო და სამხედრო-საბრძოლო.¹⁹³

იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი წარდგინებით.

იარაღის, საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.¹⁹⁴

ნებართვის მისაღებად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა წარედგინოს: ა) საექსპორტო ან საიმპორტო ხელშეკრულება, ბ) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი; გ) ხელმოწერილი კონტრაქტის (ხელშეკრულების) ასლი ან გაფორმებული განზრახულობათა ოქმი, დ) იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა,¹⁹⁵ გაცემული იმ ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზედაც არის რეგისტრირებული კონტრაქტის (ხელშეკრულების) ან გაფორმებული განზრახულობათა ოქმის

¹⁹⁰ იხ. გ. ძაბუნძე, იარაღის შესახებ, თბილისი 2004, გვ. 34.

¹⁹¹ იხ. საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, მუხლი 2.

¹⁹² იხ. გ. ძაბუნძე, იარაღის შესახებ, თბილისი 2004, გვ. 38.

¹⁹³ იხ. ფეხოსანთა იარაღი, ვ.ი. მურახოვსკი, ს.ი. ფედოსევი, მოსკოვი 1992, გვ. 34.

¹⁹⁴ იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 09 ივნისის №372 დადგენილება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ.

¹⁹⁵ იხ. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“, 12.08.2003, მუხლი 5.

მონაწილე მხარე; ე) საბოლოო მოხმარების სერტიფიკატი, თუ ნებართვის მაძიებელი არ არის მომხმარებელი.

ამ ნებართვას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გასცემს საქართველოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელსაც წარუდგენს ამ დოკუმენტაციის ასლებს. სანადირო გლუვლულიანი, სასპორტო, ჯილდოდ მიღებული, გაზის, საფანტის, საკოლექციო იარაღისა და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა გაიცემა სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის გარეშე. ნებართვისა და ხელშეკრულებების დედნებს ნებართვის მფლობელი წარუდგენს საქართველოს საბაჟო ორგანოებს.¹⁹⁶

ფიზიკური პირების მიერ იარაღის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა (გარდა ექსპორტ-იმპორტისა, ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.¹⁹⁷

უცხო სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტით განსაზღვრული რეესტრით გათვალისწინებულ სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ნებართვით, რაც ეცნობება საქართველოს საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს, საქართველოში შეიძინოს იარაღი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შესაბამისი სახელმწიფოს შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული ნებართვით.¹⁹⁸

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს, საქართველოში შემოიტანოს სანადირო და სასპორტო იარაღი, თუ არსებობს შესაბამისი კონტრაქტი (ხელშეკრულება) ნადირობაზე ან მოწვევა სპორტულ

¹⁹⁶ იხ. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძველების შესახებ“, 14.05.2002, მუხლი 6.

¹⁹⁷ იხ. საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“, მუხლი 24.

¹⁹⁸ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, 08.05.2003, მუხლი 26.

ლონისძიებაზე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვა, ხოლო ექსპონირებაზე საჭიროა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვა. შემოტანილი იარაღი საქართველოდან გატანილ უნდა იქნეს იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისად კონტრაქტით (ხელშეკრულებით) ან მოწვევით. ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში ხდება იარაღის დროებითი ამოღება საკითხის გადაწყვეტამდე.¹⁹⁹

იმ პირებს, ვისაც აქვთ იარაღის ტარების უფლება, შეუძლიათ იარაღის საზღვარზე გადატანა მხოლოდ იმ სახელმწიფოს ნებართვით სადაც ხდება იარაღის შეტანა. როდესაც პირი ტოვებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს, თუკი მას შესაბამისი სახელმწიფოს ნებართვა არ გააჩნია, ჯერ კიდევ საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტშივე ხდება იარაღის ჩამორთმევა, ხოლო თავად პირის მიმართ იწყება დევნა სსკ-ის 214-ე მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ პირს აქვს იარაღის ტარების უფლება.

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში ერთადაა მოქცეული საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის და მასობრივი განადგურების იარაღის გადმოტანის შემთხვევები. გამოდის, რომ ერთი პისტოლეტის გადატანა ან გადმოტანა იმავე საფრთხის შემცველია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, როგორც მასობრივი განადგურების იარაღი. უმჯობესი იქნება ამ ნორმაში ცვლილების შეტანა და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება, რადგან ამ ნორმაში მოქცეულია ისეთი ნივთები, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას. ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით შემოტანა უნდა გადავიდეს თავში - დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლი ცალკე აწესებს პასუხისმგებლობას საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გადატანა ან გადმოტანაზე. ანალოგიურად უნდა იყოს ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევაშიც.

2.6 შეიარაღების და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის დროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა

შეიარაღების საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანასა და გატანაზე სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს. იმისათვის, რომ

¹⁹⁹ იარაღის შესახებ, - გიზო ძაბუნძიძე, თბილისი 2004, გვ.17.

ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანოს ან საქართველოს ტერიტორიიდან გაიტანოს იარაღი, მას სჭირდება ლიცენზია ან სპეციალური ნებართვა. ნებართვა არის განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს.²⁰⁰ იმისთვის, რომ მოხდეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე იარაღის გადატანა ან გადმოტანა პირს უნდა გააჩნდეს ერთ-ერთი სახის ლიცენზია: სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადების, წარმოების გენერალური ლიცენზია,²⁰¹ სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეკეთების გენერალური ლიცენზია,²⁰² სამხედრო-საბრძოლო იარაღით ვაჭრობის გენერალური ლიცენზია, კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობის ლიცენზია. ფიზიკურ პირებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ნებართვებიდან ერთ-ერთი: თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ხრახნილულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, თავდაცვის გაზის აირის იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული გრძელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე გლუვულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებით, ნებართვა.²⁰³ პირის მიერ, რომელსაც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ უნარჩუნდება იარაღის ტარების უფლება, სამოქალაქო იარაღის შექმნის ნებართვა.²⁰⁴ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შექმნილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი, გაზის აირის იარაღის, სანადირო, ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ანდა საბრძოლო მასალის საქართველოდან გატანის ნებართვა. სამხედრო-საბრძოლო იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების და დროებითი შემოტანის ანდა გატანის ნებართვა. იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირების ნებართვა და სხვა.

საქართველოს მთავრობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლისადმი დაქვემდებარებული სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო პროდუქციისა და მომსახურების ნუსხას.

შეიარაღების ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, შიდა გადამუშავება და გარე გადამუშავება, დროებითი შემოტანა ანდა

²⁰⁰ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, 24.06.2005, მუხლი 19.

²⁰¹ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 სექტემბერის N 408 ბრძანებულება.

²⁰² საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბერის N451 დადგენილება, მუხლი 2.

²⁰³ იხ. საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, 08.05.2003, მუხლი 26.

²⁰⁴ იხ. საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, 08.05.2003, მუხლი 19.

გატანა ხორციელდება ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.²⁰⁵ ისეთ შეიარაღებაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამხედრო მიზნისათვის, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთვული, ქიმიური და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გადატანის საშუალებების შექმნისას, ნებართვა გაიცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ. ასეთ შეიარაღებაზე საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიასთან შეთანხმებულ ნუსხას.²⁰⁶

თავდაცვის სამინისტროს დებულებაში და რომელიმე სხვა საკანონმდებლო აქტში არ არის მოცემული შეიარაღების, ასევე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის ცნება, რაც საჭიროებს შესაბამის რეგულირებას. აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს დებულებაში შეიარაღება და საბრძოლო მასალა ცალ-ცალკეა მოხსენიებული,²⁰⁷ რაც გულისხმობს იმას, რომ საბრძოლო მასალის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანა არ გავაძლევს სსკ-ის 214-ე მუხლის შემადგენლობას. სსკ-ის 236-ე მუხლი დასჯადად აცხადებს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის შექმნას, შენახვას, ტარებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას. თუნდაც ერთი საბრძოლო ვაზნის ტარება, უკვე გვაძლევს სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. აღნიშნული მიუთითებს კანონმდებლის ნებაზე, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ საბრძოლო მასალის და ცეცხლსასროლი იარაღის ტარება თანაბრად უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. აღნიშნულის გამო გასაგები ხდება, რომ კანონმდებელმა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში განსაზღვრულ შეიარაღებაში იგულისხმა საბრძოლო მასალაც, თუმცა აღნიშნული არ გამომდინარეობს კანონიდან. აღნიშნულის გამო საჭიროა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილის დისპოზიციაში აღნიშნული იყოს საბრძოლო მასალის დასჯადობის თაობაზე. რადგან, დღევანდელი რედაქციის მიხედვით, საბრძოლო მასალის საზღვარზე

²⁰⁵ იხ. საქართველოს კანონი „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“, 28.04.1998, მუხლი 8.

²⁰⁶ 2010 წლის 24 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №397, მუხლი 2.

²⁰⁷ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულება, მუხლი 2.

შემოტანის დროს პირი უნდა დაისაჯოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საბრძოლო მასალის ტარებისათვის.

თავი 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დაუშთავრებელი დანაშაულის დროს

საინტერესოა ქმედების დაუშთავრებელ დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხი სსკ-ის 214-ე მუხლთან მიმართებით. რადგან ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაუშთავრებელი დანაშაულის დასჯადი სტადიაა მომზადება და მცდელობა, იგი უნდა განვიხილოთ საქართველოს საბაჟო საზრვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის მიმართ.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.²⁰⁸ დანაშაულის მცდელობად კი ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.²⁰⁹ ამ შემთხვევაში დანაშაული არ სრულდება ზოგჯერ დამნაშავის, ზოგჯერ მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო.²¹⁰

დაუშთავრებული დანაშაულის დროს არსებობს არა მარტო ობიექტის დაზიანების საფრთხე, არამედ უკვე რეალიზებული ზიანი, ხოლო დანაშაულის მომზადების დროს ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე ჯერ კიდევ არ არსებობს.²¹¹

პროფ. მ. ტურავას აზრით, ევენტუალური განზრახვით მცდელობა შესაძლებელია, რადგან სსკ-ის მე-19 მუხლის პირველ ნაწილში განზრახვის სახე არ არის დაკონკრეტებული. კანონმდებელი ევენტუალური განზრახვით მცდელობას შეუძლებლად რომ თვლიდეს, იგი ამას კანონში სპეციალურად გაითვალისწინებდა.²¹²

იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული აზრის თანახმად, ევენტუალური განზრახვით მცდელობა შეუძლებელია. ოთარ გამყრელიძის აზრით, დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. ასევე, თინათინ წერეთლის აზრით: „მცდელობა გამორიცხულია

²⁰⁸ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 18.

²⁰⁹ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 19.

²¹⁰ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008

წელი, გვ. 160

²¹¹ თ.წერეთელი, დანაშაული მომზადება და მცდელობა, 1961 წ. გვ. 102

²¹² იხ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 273.

არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროს, რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავეს ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე.²¹³ კანონმდებელი ევენტუალური განზრახვის განმარტებისას სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილში სურვილის არქონაზე მიუთითებს. შეუძლებელია, პირს არ ჰქონდეს სურვილი და ქმედების განხორციელებას ცდილობდეს. სსკ-ის მე-19 მუხლის მიხედვით ქმედება უშუალოდ უნდა იყოს მიმართული დანაშაულის ჩასადენად. ტერმინი - უშუალოდ მიმართული მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.²¹⁴

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობით შექმნილ ხარვეზს ქართული კანონმდებლობა სპეციალური კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებით ავსებს.²¹⁵ ამდენად, ნაშრომში გაზიარებულია იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული აზრი იმის თაობაზე, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა არ არსებობს. შესაბამისად, სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა შეიძლება, ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

სსკ-ის 214-ე მუხლის მიხედვით ქმედების შემადგენლობა შემდეგნაირია: საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.

როდესაც პირი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან/და სამალავით (სასაზღვრო გამშვებ პუნტის გავლით) გადაიტანს საქონელს, მის ქმედებაში პირდაპირი განზრახვა აშკარაა, რადგან მას გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. კერძოდ, ის, რომ მოცემულ დროსა თუ ადგილას, ან შესაბამისი ხერხის გამოყენებით (ემალეზა მებაჟეებს ან აკეთებს სპეციალურ სამალავს) დიდი ოდენობით საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო საზღვარზე კანონდარღვევაა და სურს ეს, რათა არ გადაიხადოს შესაბამისი ბაჟი.

ანალოგიური სიტუაციაა დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენების და საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის დროს. მსგავს სიტუაციებში პირი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, რადგან მან იცის, რომ აუცილებელია დოკუმენტების შევსება და სწორად გამოყენება, მაგრამ მოტყუებით იყენებს ან/და ყალბი მონაცემები შეაქვს მოცემულ დოკუმენტში, რის გამოც ამ შემთხვევაშიც პირდაპირი განზრახვა

²¹³ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წელი, გვ. 162

²¹⁴ იხ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 274

²¹⁵ იხ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 274

აშკარაა. პირს განცნობიერებული აქვს ქმედების მართლწინააღმდეგობა და სურს ამ ქმედების ჩადენა თავისი მიზნის მისაღწევად.

საინტერესოა შემდეგი შემთხვევა: არის თუ არა სახეზე არაპირდაპირი განზრახვის მცდელობის შემთხვევა (ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრეთა შეხედულების გაზიარების შემთხვევაში), როდესაც პირი სასაზღვრო გამშვებ პუნქტს გაივლის სხეულზე თვალსაჩინო ადგილას მიმაგრებული ძვირადღირებული სამკაულით, რომლის დეკლარირებასაც არ მოახდენს, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევის დროს დეკლარირება არ არის საჭირო. ამ დროს პირმა თუ არ იცის, რომ ზოგადად ნივთი დეკლარირებას საჭიროებს, იგი შეიძლება დაისაჯოს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, რაზეც ნაშრომის მე-4 კარის პირველ თავში გვქონდა მსჯელობა, კერძოდ, სსკ-ის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, როდესაც შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება ამ კოდექსით. ამდენად, როცა პირი არ მალავს საქონელს და ისე გადაადგილდება საბაჟო საზღვარზე, ასეთი ქმედების ჩადენა დასჯადია მხოლოდ განზრახვისას, მიუტევებელი შეცდომის ჩამდენი სისხლისსამართლებრივი წესით ვერ დაისჯება. ეს იმას ნიშნავს, რომ, ვინაიდან სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ბრალის ფორმის მიხედვით განზრახია, მისი გაუფრთხილებლობით ჩადენა გამორიცხულია. სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. მსგავს დათქმას კი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლი არ იცნობს. ამდენად, როცა პირი არ მალავს საქონელს, სახეზეა პროცედურის არ ცოდნის შემთხვევა, რომელიც არის მიუტევებელი შეცდომა, მაგრამ დეკლარანტი არ ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით, რადგან მისი გაუფრთხილებლობით ჩადენას არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი.

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 19-ე მუხლი ასეთ დაყოფას არ იცნობს, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მცდელობის ორი სახე: დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა.

დაუმთავრებელია ისეთი მცდელობა, როდესაც დამნაშავემ დაიწყო დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, მაგრამ თავისი მოქმედება ბოლომდე ვერ მიიყვანა - სრულყოფილად ვერ განახორციელა ეს შემადგენლობა. დამთავრებულია მცდელობა, როდესაც დამნაშავემ ყველაფერი გააკეთა, რაც მისი მხრიდან საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა.²¹⁶

²¹⁶ იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წელი, გვ. 162

სსკ-ის 214-ე მუხლის შემთხვევაში დაუმთავრებელი მცდელობა სახეზეა მაშინ, როდესაც პირმა წინასწარ იცის, რომ ყველა საჭირო დოკუმენტი საქონლის განბაჟებისათვის არ გააჩნია და საქონლის იმპორტის პროცედურა აუცილებლად დახარვეზდება, მიუხედავად ამისა, მას მაინც შეაქვს საბაჟო ორგანოში უკვე არსებული დოკუმენტები, მათ შორის გაყალბებული დოკუმენტი, იმ იმედით, რომ აღნიშნული ორგანოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილ ვადაში აღმოფხვრის ხარვეზს, კერძოდ, დამატებით წარადგენს დარჩენილ ნამდვილ დოკუმენტებს. სწორედ მაშინ, როდესაც იგი დამატებით წარადგენს დარჩენილ ნამდვილ დოკუმენტებს იმ იმედით, რომ მოხდება საქონლის განბაჟება, სახეზე იქნება დამთავრებული მცდელობა.

სსკ-ის 214-ე მუხლთან მიმართებით, საინტერესოა, სად გადის ზღვარი მომზადებას, მცდელობასა და დამთავრებულ დანაშაულს შორის.

სსკ-ის 214-ე მუხლის ჩადენა შეიძლება შემდეგი ხერხებით:

1. საბაჟო კონტროლისაგან გვერდის ავლით,
2. საბაჟო კონტროლისაგან მალულად,
3. დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით,
4. საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.

ქმედება სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ, საბაჟო კონტროლისაგან გვერდის ავლის მომზადებად შეფასდება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შესაბამისი პირობები შექმნა საბაჟო საზღვრის გადასაკვეთად/გადმოსაკვეთად, რაც შეიძლება გამოიხატოს, შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაში საქონლის განთავსებით, სახელმწიფო საზღვრის რუკის შექმნით, რათა პირმა საქონელთან ერთად საბაჟოს და სასაზღვრო თანამშრომლებისგან შეუმჩნელებლად გადაკვეთოს სახელმწიფო საზღვარი, ასევე, საზღვრის ადგილამდე მისვლაში. რა თქმა უნდა, აუცილებლად სახეზე უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებები, რათა დადგინდეს დამნაშავის სურვილი, საქონელთან ერთად გადაკვეთოს სახელმწიფო საზღვარი, ასეთი შეიძლება იყოს ფარული საგამოძიებო მოქმედება - სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, რომელშიც პირი თანამოსაუბრეს უმხელს მის განზრახვას საქონლის საბაჟოს გვერდის ავლით გადატანასთან/გადმოტანასთან დაკავშირებით. ასეთ დროს პირის ქმედება, გარდა სსკ-ის 214-ე მუხლისა, ასევე, დაკვალიფიცირდება სსკ-ის 18, 344-ე მუხლით - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა.

საბაჟო კონტროლისაგან გვერდის ავლის მცდელობის და დამთავრებული დანაშაულის ზღვარი გადის უშუალოდ სახელმწიფოს საზღვარზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი დიდი ოდენობით ნივთთან ერთად გადაკვეთს/გადმოკვეთს სახელმწიფო საზღვარს, სახეზე იქნება დამთავრებული დანაშაული, ხოლო, თუ იგი საზღვრის ახლოს (კონკრეტული შემთხვევის

გათვალისწინებით) იქნება დაკავებული და მას დაუმტკიცდება დიდი ოდენობით ნივთთან ერთად საზღვრის გადაკვეთის სურვილი, იგი დაისჯება მომზადების ან მცდელობისათვის. ხოლო, თუ პირი მოახერხებს სადემარკაციო ხაზზე საქონლის გადატანას, სახეზე იქნება დამთავრებული დანაშაული.

საბაჟო კონტროლისაგან მალულად გადატანის/გადმოტანის შემთხვევაში პირი ცდილობს საქონლისათვის სამალავის გაკეთებას სხეულზე, სხეულში, ხელბარგში, ბარგში, სატრანსპორტო საშუალებაში და ა.შ. სამალავის გაკეთების მომენტიდან სახეზე იქნება სსკ-ის 214-ე მუხლის მომზადება, ანუ ამ დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. მცდელობა სახეზე იქნება, როდესაც პირი უშუალოდ შეეცდება, გაიაროს რენტგენში და მას აღმოუჩენენ სხეულზე დამალულ საქონელს. რაც შეეხება ბარგის შემთხვევას - მისი ჩაბარების მომენტიდან, რადგან ეს ნივთი ჯერ არაა გადატანილი, ან გადმოტანილი საბაჟო საზღვარზე, თუმცა ქმედება უშუალოდ აქეთკენაა მიმართული. პირის ქმედება დამთავრებულ დანაშაულად შეფასდება მაშინ, როდესაც იგი უშუალოდ გადაკვეთს სახელმწიფო საზღვარს საქონელთან ერთად.

დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებისას მომზადება სახეზე იქნება შესაბამისი დოკუმენტის აღების მომენტიდან, როდესაც დამტკიცდება, რომ მას აღნიშნული დოკუმენტის აღების დროს ამოძრავებდა საქონლის საზღვარზე უკანონო გადატანის/გადმოტანის სურვილი. დოკუმენტის აღების მაგალითია სურსათის ეროვნულ სააგენტოში პირის მიერ სარეგისტრაციო მოწმობის აღება, რომელშიც მითითებულია რა საქონლის შემოტანა შეუძლია კონკრეტულ პირს და რა ვადის განმავლობაში. აღნიშნული დოკუმენტები განსხვავდება საქონლის სახეობის მიხედვით. ეს დოკუმენტებია: საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, სურსათის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მოწმობა, ანგარიშფაქტურა, ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ნებართვა და ა.შ.

რაც შეეხება აღნიშნული ხერხით სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობას: საქართველოს მთავრობის დადგენილებების თანახმად, არარეგისტრირებული პესტიციდის შემოტანა, წარმოება, გამოყენება, რეალიზაცია და რეკლამა აკრძალულია. რეგისტრირებულ პესტიციდს ენიჭება სარეგისტრაციო ნომერი და გაიცემა სარეგისტრაციო მოწმობა.²¹⁷ სურსათის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მოწმობაში აღნიშნულია, თუ რა საქონლის შემოტანა შეუძლია კონკრეტულ პირს და რა ვადის განმავლობაში. მაგალითად: შპს „ა-ს“ შეუძლია, 5 წლის განმავლობაში შემოიტანოს ინსექტიციდი. მცდელობა სახეზე იქნება, როდესაც

²¹⁷ „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N443 დადგენილება, მუხლი 3, 31.12.2013.

გაფორმების ეკონომიკურ ზონაში პირი წარადგენს სურსათის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მოწმობას, რომელშიც საქონელი დაფიქსირებულია ინსექტიციდი, სინამდვილეში კი საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებულ სატრანსპორტო საშუალებაში მას განთავსებული აქვს ძვირფასი ლითონი. სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენების ხერხით დამთავრებული იქნება, როდესაც საქონელი უშუალოდ გადაკვეთს სახელმწიფო საზღვარს.

სსკ-ის 214-ე მუხლი დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, საქონლის საბაჟო საზღვარზე გადასატანად/გადმოსატანად აუცილებელი დოკუმენტებიდან ყალბი მონაცემების შეტანა მხოლოდ საბაჟო დეკლარაციაშია შესაძლებელი. დანარჩენ დოკუმენტებთან დაკავშირებით სსკ-ის 214-ე მუხლის ქმედების შემადგენლობაში მხოლოდ მოტყუებით გამოყენებაზეა საუბარი. ერთი შეხედვით, აღნიშნული ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ხარვეზი სახეზე არ არის, რადგან საბაჟო დეკლარაციის დანართის დოკუმენტების გაყალბება გამოიწვევს იმას, რომ პირს თავად საბაჟო დეკლარაციაში მოუწევს ყალბი მონაცემების შეტანა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საბაჟო დეკლარაციაში სხვადასხვა მონაცემთან ერთად პირმა უნდა აღნიშნოს, აქვს თუ არა მას საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებულ საქონელზე სარეგისტრაციო მოწმობა. შესაბამისად, თუ პირი გააყალბებს საბაჟო დეკლარაციის დანართს, მოცემულ შემთხვევაში სურსათის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მოწმობას, მას აუცილებლად მოუწევს საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემის შეტანა, კერძოდ, თითქოს მას აქვს კონკრეტულ საქონელზე სურსათის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მოწმობა. ვინაიდან სარეგისტრაციო მოწმობა არის საბაჟო დეკლარაციის შემადგენელი ნაწილი, პირს საბაჟო დეკლარაციაში განზრახ არასწორი მონაცემების შეტანა მაინც მოუწევს. ამდენად, სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაში ყალბი მონაცემების შეტანის მხოლოდ საბაჟო დეკლარაციაზე მიკუთვნება, არ წარმოადგენს ნორმის ხარვეზს. მომზადება სახეზე იქნება საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის მომენტიდან, როდესაც დამტკიცდება, რომ მას აღნიშნული დოკუმენტის გაყალბების დროს ამოდრავებდა საქონლის საზღვარზე უკანონო გადატანის/გადმოტანის სურვილი. მაგალითად: როდესაც პირი საბაჟო დეკლარაციაში საქონლის სახეობად დააფიქსირებს ხორბალს მაშინ, როდესაც საზღვარზე შემოაქვს ძვირფასი ლითონი.

რაც შეეხება მცდელობას, აღნიშნული სახეზე იქნება, როდესაც გაფორმების ეკონომიკურ ზონაში პირი წარადგენს საბაჟო დეკლარაციას, რომელშიც საქონლის სახედ დაფიქსირებულია ხორბალი, სინამდვილეში კი აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებულ სატრანსპორტო საშუალებაში მას განთავსებული აქვს აკარიციდი.

სსკ-ის 214-ე მუხლის შემთხვევაში დაუმთავრებელი მცდელობა სახეზეა მაშინ, როდესაც პირმა წინასწარ იცის, რომ საქონლის განბაჟებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი არ გააჩნია და საქონლის იმპორტის პროცედურა აუცილებლად დახარვეზდება, მიუხედავად ამისა, მას მაინც შეაქვს საბაჟო ორგანოში უკვე არსებული დოკუმენტები, მათ შორის ყალბი საბაჟო დეკლარაცია, იმ იმედით, რომ აღნიშნული ორგანოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილ ვადაში აღმოფხვრის ხარვეზს, კერძოდ, დამატებით წარადგენს კანონიერ საფუძველზე შედგენილ დოკუმენტს. სწორედ მაშინ, როდესაც იგი წარადგენს დამატებით დოკუმენტს იმ იმედით, რომ მოხდება საქონლის განბაჟება, სახეზე იქნება დამთავრებული მცდელობა. მოცემული დანაშაული დამთავრებული იქნება, როდესაც საქონელი უშუალოდ გადაკვეთს სახელმწიფო საზღვარს.

სსკ-ის 20-ე მუხლის მიხედვით, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი. არსებობს აბსოლუტური და რელატიურად უვარგისი მცდელობა.²¹⁸ სსკ-ის 20-ე მუხლში სწორედ აბსოლუტურ უმეცრებაზეა საუბარი, ხოლო რელატიურად უვარგისი მცდელობის დროს პირი დაისჯება სსკ-ის 214-ე მუხლის მცდელობისათვის.

რელატიურად უვარგისი მცდელობის მაგალითისთვის, წარმოვიდგინოთ პიროვნება, რომელიც გადაწყვეტს, რომ აეროპორტის მეშვეობით შემოიტანოს 10 ოქროს სამკაული სხეულზე დამაგრებით, ოღონდ თითო ჩამოფრენაზე მხოლოდ ერთ წყვილ საყურეს იმაგრებს. იგი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თაღვან ლითონმძებნ დეტექტორში გაივლის 1 წყვილი საყურით, რომელიც, მისი აზრით, არის ბაჯალლო ოქრო, იმ იმედით, რომ მესაზღვრე ვერ მიხვდება იმას, რომ საყურის ღირებულება 15 500 ლარს აღემატება. სკანერში გავლის წინ მესაზღვრე მას უბრალოდ მოახსენებებს ლითონის საგნებს, მათ შორის, საყურეს და სკანერში გავლის შემდეგ დაუბრუნებს ამ ნივთებს, რადგან თავად პირს აქვს ვალდებულება, საქართველოში საქონლის შემოტანის შემთხვევაში მოახდინოს მისი დეკლარირება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ აეროპორტში არის სპეციალური კუთხე, სადაც საქონლის შემოტანის შემთხვევაში უნდა მოხდეს საბაჟო დოკუმენტების წარდგენა. ჯერ ხდება სკანერში გამოვლა და ბარგის აღება და შემდეგ პირს შეუძლია, შევიდეს და დაადეკლარიროს საქონელი ან დეკლარირების გარეშე გამოვიდეს აეროპორტიდან. ამ გზით პირი შემოიტანს 10 წყვილ ოქროს საყურეს, რომელთა ღირებულება, პირის აზრით, არის 155 000 ლარი, თუმცა აღმოჩნდება, რომ მის მიერ შემოტანილი საყურეები არ არის ოქროს ნაკეთობები, რადგან ისინი

²¹⁸ იხ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 268.

დამზადებულია არაძვირფასი ლითონისაგან და უბრალოდ შეღებილია ოქროსფრად. ამ შემთხვევაში პირი დაისჯება სსკ-ის 19, 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რადგან პირის მიერ ხდება მცდელობა უვარგისი საგნით.²¹⁹

რაც შეეხება აბსოლუტურად უვარგის მცდელობას, ამის მაგალითად შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია: პირს უნდა 20 000 ლარის ღირებულების საქონლის - პომიდვრის საქართველოში შემოტანა. იგი მიდის საბაჟო კონტროლის ზონაში და წარადგენს A4 ზომის ფურცელს, წარწერით: „ნებართა, ეძლევა ა.ბ.-ს საქართველოში შემოიტანოს 20 000 ლარის ღირებულების პომიდორი“. ამ შემთხვევაში სახეზეა აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა, რადგან საქონლის საქართველოში შემოსატანად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 ივლისის N290 ბრძანების თანახმად, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს საბაჟო დეკლარაციის ფორმა. ამდენად, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, რადგან მისი პიროვნული ნაკლის, კერძოდ, უმეცრების, გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით - საბაჟო დეკლარაციის აღნიშნული ბრძანებით დადგენილი ფორმის გარეშე, საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/გატანა, არ შეიძლებოდა მიღწეულიყო.

თავი 4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის თანამონაწილეობის დროს

სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით.

ფართო გაგებით თანამონაწილეობა ნიშნავს, დანაშაულის თანამონაწილეობას როლების დაუნაწილებლად. ამ განსაზღვრებით თანამონაწილეობაც თანამონაწილეობაა.

ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულის მონაწილეთა შორის როლების დანაწილებას (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). თუ თანამონაწილეს ფართოდ გავიგებთ, ამსრულებელს ამ შემთხვევაშიც თანამონაწილედ მოიხსენიებენ.²²⁰

²¹⁹ უვარგისი საგნით მცდელობის საკითხზე იხ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 268

²²⁰ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წელი, გვ. 192

თანამონაწილეობის აქცესორულობა გულისხმობს იმას, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე. შესაბამისად, თუ სსკ-ის 214-ე მუხლის ამსრულებელი მოქმედება შეჩერდება მომზადების ან მცდელობის ეტაპზე, თანამონაწილეს პასუხს აგებს დანაშაულის მომზადებაში ან მცდელობაში თანამონაწილეობისათვის, ასევე, ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრების შემთხვევაში თანამონაწილეს დამთავრებულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის დაისჯება.²²¹

დანაშაულში თანამონაწილეობა, როგორც წესი, ხორციელდება თანამონაწილეთა აქტიური მოქმედებით. დანაშაულის ორგანიზატორის არსებობა აქტიური მოქმედების გარეშე შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია წამქეზებელი აქტიური წამქეზებლური საქმიანობის გარეშე, განსხვავებით დახმარებისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობითაც. ამდენად, როდესაც საქონლის შემომტანი პირი შეუთანხმდება მებაჟეს, რომ ეს უკანასკნელი ტვირთის სკანერში გატარების დროს დახუჭავს თვალს და არ შეამოწმებს საქონელს, საქონლის შემომტანის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მებაჟის ქმედებაში იქნება როგორც სსკ-ის 25, 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც დამხმარე, ასევე, სსკ-ის 332-ე მუხლით, რადგან ამ დროს მებაჟე, როგორც მოხელე, თავისი უმოქმედობით სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, რადგამ ამ დროს შემოტანილი საქონელი ხვდება შავ ბაზარზე, ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტში არ შედის გადასახადი.

აუცილებელი თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულის ისეთ შემადგენლობას, რომლის განხორციელება მხოლოდ თანამონაწილეობით შეიძლება, აუცილებელი თანამონაწილეობის დროს დანაშაულის დამთავრება შეუძლებელია თანამონაწილეობის გარეშე.²²² თუმცა სსკ-ის 214-ე მუხლის შემთხვევაში აღნიშნული სახეზე არ არის, რადგან პირს საქონლის გადატანა/გადმოტანა დამოუკიდებლად შეუძლია ისე, რომ ამისათვის არ არის აუცილებელი მე-2 პირის მხრიდან დანაშაული ჩადენა, როგორც ეს აუცილებელია, მაგალითად, ქრთამის აღების დროს, რადგან ქრთამის აღება ქრთამის მიუცემლად შეუძლებელია.

სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით, შუალობითი ამსრულებელია ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც, ამ კოდექსის მიხედვით, ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების

²²¹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წელი, გვ. 192

²²² ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წელი, გვ. 192

გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ დროს, ფაქტობრივად, წამქეზებელი იურიდიულად ამსრულებელია, ხოლო, ფაქტობრივად, ამსრულებელი იურიდიულად დანაშაულის იარაღია, რადგან ეს უკანასკნელი წაქეზებული ქმედების ჩადენისათვის პასუხს არ აგებს.

შუალოებით ამსრულებლობაში აღნიშნული „სხვა გარემოების“ მაგალითად, სსკ-ის 214-ე მუხლთან მიმართებით, გამოდგება ტრაილერის მძღოლის სიტუაცია. საქონლის უშუალოდ საზღვარზე შემომტანი არის საქონლის გადამზიდი (მაგ. ტრაილერის მძღოლი). შესაბამისად, იგი ახორციელებს სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, თუმცა, როდესაც მან არ იცის კონტრაბანდული ტვირთის შესახებ, მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სწორედ სსკ-ის 22-ე მუხლში გათვალისწინებული „სხვა გარემოების“ გამო. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ტრაილერის მძღოლს რაიმე უფლება საქონელთან მიმართებით არ გააჩნია, მას არ შეუძლია გახსნას და დაათვალიეროს, თუ რა ტვირთი გადააქვს/გადმოაქვს საზღვარზე. მას იმის უფლებაც კი არ აქვს, რომ მეზაჟის მოთხოვნის შემთხვევაში გახსნას და აჩვენოს საქონელი ტვირთის მეპატრონის თანხმობის გარეშე. აღნიშნული თანხმობა უნდა გამოისახოს მინდობილობის მინიჭებით ტრაილერის მძღოლისადმი, რომ მას ჰქონდეს შესაძლებლობა გახსნას საქონელი. მინდობილობის არ ქონის შემთხვევაში, მეზაჟე ჩამოართმევს სატრანსპორტო საშუალებას და გადაიყვანს გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, სადაც მოხდება ტვირთის დათვალიერება.

რაც შეეხება ექსცესს, იგი ორი სახისაა: რაოდენობრივი და თვისობრივი. რაოდენობრივია ექსცესი, როდესაც ამსრულებელი ან თანაამსრულებელი ჩაიდენს უფრო მძიმე დანაშაულს, ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდათ თანამონაწილეს ან სხვა თანაამსრულებელს. მაგალითად, შეთანხმებული იყო ქურდობის ჩადება, მაგრამ ამსრულებელმა ჩაიდინა ყაჩაღობა. თვისობრივია ექსცესი, როდესაც ამსრულებელი ან თანაამსრულებელი ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, რომელიც თვისობრივადაა განსხვავებული საერთო ჩანაფიქრის დანაშაულისგან,²²³ მაგალითად, შეთანხმებული იყო ქურდობის ჩადენა, ხოლო ამსრულებელმა ჩაიდინა ძალადობრივი სქესობრივი დანაშაული. როდესაც „იარაღი“ ან შეცდომაში შეყვანილი პირი ჩაიდენს უფრო მძიმე ან თავდაპირველი ჩანაფიქრისგან თვისობრივად განსხვავებულ ქმედებას შუალოებით ამსრულებელი ამ ექსცესისათვის პასუხს არ აგებს. ამდენად, ექსცესი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილე და თანაამსრულებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ ისინი შეგნებულად უშვებენ ამსრულებლის ან თანაამსრულებლის მიერ უფრო მძიმე ან თვისობრივად სხვა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, მაშინ ექსცესი

²²³ იხ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 318

გამორიცხულია და თანამონაწილე ან თანაამსრულებელი პასუხს აგებს ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის.²²⁴

სსკ-ის 214-ე მუხლის ამსრულებელი (ავტომანქანის მძღოლი) „ა“ და თანამონაწილე (მეთუნუქე) „ბ“ შეთანხმდებიან საბაჟო საზღვარზე 6 000 ლარის ღირებულების საქონლის სამალავით გადმოტანაზე. კერძოდ, დამხმარე - მეთუნუქე „ბ“ ავტომანქანაზე მე-2 საწვავის ავზს მიამაგრებს. მძღოლი „ა“ მე-2 საწვავის ავზში მოათავსებს 16 000 ლარის ღირებულების საქონელს და აღნიშნული სამალავით გადმოიტანს საბაჟო საზღვარზე. ამსრულებელი „ა“ უნდა დაისაჯოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, კერძოდ, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საბაჟო კონტროლისგან მალულად გადმოტანისათვის, ვინაიდან, სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, სამალავის შემთხვევაში შემოტანილი ნივთისათვის განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს თხუთმეტი ათას ლარს. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოება ნივთის ღირებულების ოდენობის სახით, ამიტომ აღნიშნული წარმოადგენს რაოდენობრივ ექსცესს. ქმედების შემადგენლობის სპეციფიკის გათვალისწინებით მეთუნუქეს უნდა დაეშვა ამსრულებელ - მძღოლი „ა“-ს მიერ შეთანხმებული 6000 ლარის ღირებულების საქონლის ნაცვლად 16 000 ლარის ღირებულების საქონლის შემოტანა, შესაბამისად, მეთუნუქე „ბ“-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, ამსრულებელ „ა“-ს ქმედების მსგავსად, კერძოდ, როგორც სსკ-ის 25, 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

საინტერესოა სსკ-ის 214-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებებიდან, რომელია ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული, იმისათვის, რომ სწორად მოხდეს ამსრულებლის და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაცია. აღნიშნულ საკითხზე დეტალურად არის მსჯელობა ნაშრომის მე-4 კარის მე-3 თავში (გვ. 124-137).

თავი 5. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული ცალკეული წესების დარღვევისთვის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები

სამეცნიერო ნაშრომის დასაწყისში ჩვენს მიერ უკვე განხილული იქნა საბაჟო სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხები, სადაც შევეცადეთ დეტალურად წარმოგვეჩინა ყველა ის ფაქტორი, რომელიც უკავშირდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან

²²⁴ იხ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 320

დაკავშირებული წესების დარღვევისთვის როგორც სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობის ფარგლებს, ასევე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცალკეულ შემთხვევებს.

განსახილველი დანაშაული, ზედმიწევნით არის გაწერილი სხვადასხვა მეცნიერთა ავტორობით გამოცემულ საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარებში. აღნიშნული საკითხის თაობაზე თავისი პოზიცია აქვს, ასევე, დაფიქსირებული მეცნიერ გოჩა მამულაშვილს ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებულ კომენტარებში, რომელსაც ჩვენ სრულად ვიზიარებთ, კერძოდ, კონკრეტული დანაშაული, ზემოხსენებული ავტორის მიერ, დანაშაულის საგნის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად:

თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი ნივთები, რომელთა საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანა დასჯადია, თუ საქმე დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავ ნივთს ეხება და კოდექსში მითითებული არალეგალური ხერხებით ხდება;

მოძრავი ნივთები, რომლებიც ამოღებულია თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან და მათი საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანა აკრძალულია. ასეთი ნივთებია, მაგ., ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი ნივთიერებები, საბრძოლო მასალა, შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიური ან სხვა ნივთიერებები.²²⁵

1960 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა „მუხლი 11“ - შემდეგი სათაურით: „პასუხისმგებლობა იმ შედეგისთვის, რომელიც კანონით გათვალისწინებულია, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება“. მუხლის ტექსტში ნათქვამი იყო: „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა“. ამ მუხლმა დადებით გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელ იურიდიულ ლიტერატურაში და ახლაც არის დეკლარირებული ამჟამინდელ რედაქციაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, განზრახი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა.²²⁶

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 214-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილი ითვალისწინებს პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს. ეს გარემოებებია: ა) არაერთგზის; ბ) მოხელის ამ მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; გ) საბაჟო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით; დ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის

²²⁵ მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარები, წიგნი 1, 2016, გვ. 560.

²²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 11.

მიერ. ხოლო მუხლის მე-6 ნაწილით დაწესებულია პასუხისმგებლობა ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის, რაც ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

საინტერესოა, რომელი მათგანი არის ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული, იმისათვის, რომ სწორად მოხდეს ამსრულებლის და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაცია.

დანაშაულის შემადგენლობა შესაძლებელია, დამძიმებული იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშნით. ამათგან სუბიექტურმა ნიშანმა შესაძლებელია, დააფუძნოს როგორც მაკვალიფიცირებელი, ისე დანაშაულის შემამსუბუქებელი შემადგენლობა.

სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომლის მხარესაც იგი არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა.

ხოლო, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით: პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომელსაც იგი ახასიათებს.

ობიექტური ნიშნით კვალიფიცირებული შემადგენლობები სახეზეა, როდესაც დანაშაულის ობიექტური ნიშანი უმართლობის დამამძიმებელი გარემოებაა, რადგან ამ დროს მომეტებულია ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება.²²⁷

როდესაც სახეზეა დანაშაულის ობიექტური ნიშნით კვალიფიცირებული შემადგენლობა, თანამსრულებლის ან თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას უნდა გამოვიყენოთ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სუბიექტური ნიშნით დაფუძნებული და სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებული დელიქტი. სუბიექტური ნიშნით დაფუძნებული დელიქტის დროს აღნიშნული სუბიექტური ნიშნის გარეშე არ არსებობს ამ კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობა. მაგალითად, ქურდობის შემადგენლობა არ იქნება სახეზე თუ ამსრულებელს არ აქვს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. ამდენად, ეს მიზანი აქ ქმედების ნიშანია. სუბიექტური ნიშნით დაფუძნებული დელიქტის დროს თანამონაწილს აღნიშნული მიზანი შეერაცხება მიუხედავად იმისა, ამოძრავებდა თუ არა მას ეს მიზანი. მთავარია, თანამონაწილს ეს მიზანი გაცნობიერებული ჰქონდეს. შესაბამისად ისევე, როგორც ობიექტური ნიშნით კვალიფიცირებული დელიქტის შემთხვევაში, სუბიექტური ნიშნით

²²⁷ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 353.

დაფუძნებული დელიქტის დროს თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას გამოიყენება სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

რაც შეეხება სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებულ დელიქტს (და არა სუბიექტური ნიშნით დაფუძნებულ დელიქტს), ამ დროს მოტივი ან მიზანი არის დამამძიმებელი გარემოება (მიზანი კი შეიძლება იყოს მაპრივილეგირებელი გარემოებაც, რადგან მოტივი არ ქმნის დანაშაულის პრივილეგირებულ შემადგენლობას).²²⁸ ამ დროს ეს მოტივი თუ მიზანი არის ბრალის ნიშანი, რადგან ამალღებს არა უმართლობის ხარისხს, არამედ მხოლოდ ბრალის ხარისხს, შესაბამისად, იგი არაა ქმედების ნიშანი.²²⁹

სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებული დელიქტის დროს უნდა გამოვიყენოთ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, მოცემული სუბიექტური ნიშანი არ გადავა სხვა ამსრულებელზე ან თანამონაწილეზე, თუნდაც მას ეს ნიშანი გაცნობიერებული ჰქონდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანამონაწილესაც იგივე მიზანი ამოძრავებს, რაც ამსრულებელს.²³⁰

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, პერსონალური ნიშანი არის 2 სახის: ბრალის ნიშანი და ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანი. ნებისმიერი პერსონალური ნიშანი შეერაცხება მხოლოდ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს და იგი არ გადავა სხვა ამსრულებელზე ან თანამონაწილეზე, თუნდაც მას ეს ნიშანი გაცნობიერებული ჰქონდეს.

როდესაც ამსრულებელი არაერთგზის ჩადის საბაჟო წესის დარღვევას ან ამსრულებელი არის მოხელე, რომელიც სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს საბაჟო წესის დარღვევის დროს, ამსრულებლის პასუხისმგებლობა სუბიექტური ნიშნითაა დამძიმებული, რის გამოც იგი არ გადავა თანამონაწილეზე (სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი). რაც შეეხება საბაჟო წესის დარღვევას წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ან საბაჟო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით, ისინი არის ობიექტური ნიშნით კვალიფიცირებული შემადგენლობები, რის გამოც თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გამოიყენება სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ამდენად, არაერთგზის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები სუბიექტური ნიშნითაა დამძიმებული, ხოლო

²²⁸ ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისას და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ. 2008, გვ. 79.

²²⁹ იხ. ნ. თოდუა, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამამძიმებელი ან პროვოლეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, წიგნში: გ. ნაჭყებია- 75, თბ. 2016, გვ. 29-32.

²³⁰ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 360.

საბაჟო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით ჩადენილი ქმედებისა და პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედებების პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მახასიათებელი ობიექტური ნიშანია,²³¹ რადგან ამ დროს ამაღლებულია უმართლობის ხარისხი. სუბიექტური ნიშნით დამამძიმებელი შემადგენლობა კი, როგორცაა არაერთგზის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, როგორც უკვე აღინიშნა, არ გულისხმობს უმართლობის ხარისხის გაზრდას, არამედ იგი ამსრულებლის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანია. ხოლო ობიექტური ნიშნით კვალიფიცირებული შემადგენლობა გულისხმობს არა პიროვნებისათვის (ან ბრალისათვის) დამახასიათებელ ნიშანს, არამედ უმართლობის ხარისხის გაზრდას და იგი სახეზეა მაშინ, როცა სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, ამსრულებელთა ან დაზარალებულთა რაოდენობა ან დანაშაულის რომელიმე ობიექტური ნიშანი (ხერხი, საშუალება და ა.შ.) არის ამა თუ იმ უმართლობის დამამძიმებელი გარემოება.²³²

პროფესორი გ. ტყეშელიაძე აღნიშნავდა, რომ, თუ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ერთ-ერთი კონკრეტული გარემოება პირდაპირ არის გათვალისწინებული განსაკუთრებული ნაწილის შესაფერისი მუხლით ან მუხლის ნაწილით, ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა იმთავითვე გაითვალისწინა ამ გარემოების სიმძიმის ხარისხი.²³³

განვიხილოთ თითოეული დამამძიმებელი გარემოება.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით, არაერთგზისი დანაშაული წარმოადგენს დანაშაულის სიმრავლის ერთ-ერთ სახეს და ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენას წინათ ნასამართლევ პირის მიერ. საქართველოს სიხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სსკ-ის შესაბამის მუხლში.²³⁴ დანაშაულის არაერთგზის ჩადენად კვალიფიკაციისთვის, როგორც დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად, ჩაითვლება ქმედება, როდესაც პირი ნასამართლევ იყო სისხლის სამართლის კოდექსის ერთი და იმავე მუხლით გათვალისწინებული წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის.

²³¹ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, 2018 წ. გვ. 353.

²³² იხ. იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, 2018 წ. გვ. 353.

²³³ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 1979 წ. გვ. 125-135.

²³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 15.

ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან მიმართებით, არაერთგზისად ჩაითვლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რომელთა ჩადენისთვის პირი უკვე იყო ნასამართლევია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილში განმარტებულია, რომ დანაშაული არაერთგზისად არ ჩაითვლება, თუ დადგენილი წესის შესაბამისად პირი განთავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან წინათ ჩადენილი იმავე დანაშაულისთვის, ანდა თუ პირს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა წინათ ჩადენილი იმავე დანაშაულისთვის.

საინტერესო შემთხვევაა, როდესაც პირი გასამართლებულია საქართველოში ნარკოტიკის შემოტანისათვის, ანუ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენისათვის. საქმე ისაა, რომ სსკ-ის 262-ე მუხლის შემთხვევაში ფაქტობრივად სახეზეა სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო წესის დარღვევა, უბრალოდ განსხვავება ისაა, რომ ამ შემთხვევაში დანაშაულის საგანი არის ნარკოტიკული საშუალება.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო წესის დარღვევით ნარკოტიკული საშუალების შემოტანა ცალკე არის გამოყოფილი, მისი საშიშროებიდან გამომდინარე. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის სახით გათვალისწინებულია ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემთხვევაში მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უფრო თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილი კი, სადაც დანაშაულის საგნად სხვა ნივთებთან ერთად მოხსენიებულია ცეცხლსასროლი იარაღის საბაჟო წესის დარღვევით შემოტანა, სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ ხუთიდან რვა წლამდე. საინტერესოა, რატომ ჩათვალა ნარკოტიკული საშუალების საბაჟო საზღვარზე შემოტანა კანონმდებელმა უფრო მძიმე დანაშაულად, ვიდრე შხამიანი, მომწამლავი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების შემოტანა მაშინ, როდესაც ამ ნივთიერების შემოტანით ბევრად მძიმე შედეგი შეიძლება დადგეს? ამდენად, აუცილებელია მოხდეს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული არაადეკვატური სასჯელის უფრო სამართლიანად განსაზღვრა.

იმის გათვალისწინებით, რომ, სსკ-ის მე-15 მუხლის მიხედვით, სსკ-ის 214-ე მუხლის არაერთგზისობა სახეზე იქნება მაშინ, როდესაც წინათ სსკ-ის 214-ე მუხლით ნასამართლევია პირი ისევ სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩაიდენს, სსკ-ის 262-ე მუხლით ნასამართლევია პირის მიერ სსკ-ის 214-ე მუხლის ჩადენის შემთხვევაში სახეზე არ იქნება სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული არაერთგზისობა. ამ შემთხვევაში არაერთგზისობა სახეზე იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნაში გვექნებოდა სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის ანალოგიური ჩანაწერი. ამ შემთხვევაში ვიხელმძღვანელებდით სსკ-ის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის მე-2

წინადადებით, რომლის მიხედვითაც ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.

ხსენებულთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, და, მათ შორის, რა საკვირველია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც, არაერთი ცვლილება შედის. ასეთი ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წელსაც, რომელმაც გარკვეულწილად შეცვალა არაერთგზისი დანაშაულის დეფინიციაც. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსი არაერთგზის დანაშაულს განსაზღვრავს, როგორც დანაშაულთა ერთობლიობის ნაირსახეობას. ძველი დეფინიციის მიხედვით, დანაშაული არაერთგზისად ითვლებოდა, თუ პირი ჩაიდენდა ერთი და იმავე მუხლით გათვალისწინებულ ორ ან მეტ დანაშაულს, ხოლო, ხსენებული ცვლილების თანახმად, ერთზე მეტი დანაშაულის ჩადენა რომ არაერთგზისად ჩაითვალოს, ამისათვის აუცილებელია, მანამდე ჩადენილი იმავე დანაშაულისთვის არსებობდეს პირის ნასამართლობა. სხვა შემთხვევაში, ერთი და იმავე მუხლით ჩადენილი რამდენიმე დანაშაული ჩაითვლება არა არაერთგზისი დანაშაულად, არამედ - დანაშაულთა ერთობლიობად, რაც, ფაქტიურად, განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს გვაძლევს სასჯელის ნაწილში. კერძოდ, დანაშაულთა არაერთგზისობისას ხდება ერთი მუხლით კვალიფიკაცია, რაც ერთი სასჯელის სახის დანიშვნას მოიცავს, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობისას, ხდება სასჯელის დანიშვნა თითოეული დანაშაულისთვის, და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს.²³⁵ საბოლოოდ, ინიშნება ერთი სასჯელი. არაერთგზისობა უფრო მკაცრი სახის პასუხისმგებლობას მოიცავს, ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია ზღვრის სწორად გავლება დანაშაულთა არაერთგზისობასა და ერთობლიობას შორის.

ამ დანაშაულში თანამონაწილის პასუხისმგებლობისთვის ამსრულებლის მიერ დანაშაულის არაერთგზისი ჩადენის ცოდნას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომელსაც იგი ახასიათებს. ამსრულებლის ნასამართლობა არის მისი პიროვნებისათვის

²³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 59.

დამახასიათებელი ნიშანი,²³⁶ შესაბამისად, როდესაც ამსრულებელი ნასამართლევა სსკ-ის 214-ე მუხლით და კვლავ ჩადის სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, იგი დაისჯება სსკ-ის 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით, ხოლო თანამონაწილის (ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე) ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 25,214-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ, რა თქმა უნდა, სხვა დამამძიმებელი გარემოება არ არის სახეზე.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაული არაერთგზისად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით, პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან თუ მას ნასამართლობა მოხსნილი, ან გაქარწყლებული ჰქონდა ამ დანაშაულისთვის.²³⁷

სსკ-ის 214-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებების განხილვისას, არ შეიძლება, ყურადღების მიღმა დაგვრჩეს სსკ-ის 234-ე და 235-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები - საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური, სახიფათო ნარჩენების ტრანზიტი ან იმპორტი, ან არასახიფათო ნარჩენების იმპორტი განთავსების მიზნით (სსკ-ის 234-ე მუხლი) და მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი (სსკ-ის 235-ე მუხლი).

კერძოდ, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს თითქოს ერთი შეხედვით მსგავსი ქმედებები თავისი შემადგენლობით აშკარად განსხვავდება სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულისგან. საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური და სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებულ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა - საქართველოს კანონი „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“, რომელიც 2015 წელს იქნა მიღებული და 2012 წელს მიღებული საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“. აღნიშნული კანონებით განსაზღვრული წესების დარღვევა იწვევს შესაბამისად სსკ-ის 234-ე და 235-ე მუხლებით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ხოლო საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან საბაჟო ურთიერთობების სფეროში დადგენილი წესების დარღვევა, შესაბამისად იწვევს სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა საბაჟო წესების დარღვევა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი

²³⁶ გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-3 გამოცემა. 2018, გვ. 372.

²³⁷ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 15

მდგომარეობის გამოყენებით. აღნიშნული ქმედების კონკრეტული ნიშნით კვალიფიკაციითვის საჭიროა, რომ ქმედების ჩამდენი იყოს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა უნდა გამოიყენოს საბაჟო საზღვარზე ნივთის უკანონოდ გადაადგილებისთვის. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ როგორც საბაჟოს თანამშრომლები, ასევე, იმ საპატრულოსა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია საბაჟო რეგულაციებთან, აგრეთვე, სხვა თანამდებობის პირები, მაგ., დიპლომატიური თუ საკონსულო წარმომადგენლობების შესაბამისი თანამდებობის პირები და სხვა. ამ შემთხვევაში მოხელეს საბაჟო წესის დარღვევით თავად შემოაქვს ნივთი და იგი არის აღნიშნული დანაშაულის ამსრულებელი. კანონმდებლის ნება აქ აშკარად ჩანს, რადგან ეს არის ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში დამამძიმებელ გარემოებას - „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“ - წინ უძღვის „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ“.

თუკი მოხელე თანამონაწილეა აღნიშნულ დანაშაულში, იგი პასუხს აგებს ჩადენილი ქმედებისთვის, როგორც თანამონაწილე და არა როგორც ამსრულებელი (25, 214-ე მ. პირვ. ნაწ.).²³⁸ საქმე ისაა, რომ სს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლები იწერება ამსრულებელზე და არა თანამონაწილეზე.²³⁹

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა ძალადობის გამოყენებით (სსკ-ის 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) მოიცავს ნებისმიერი სახის ფიზიკურ ძალადობას საბაჟო კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიმართ, რაც, ასევე, რა თქმა უნდა, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. ეს ფიზიკური ძალადობა შესაძლოა გამოიხატოს ან ფიზიკურ ზემოქმედებაში კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიმართ, ან ასეთი ზემოქმედების (ფიზიკური ზემოქმედების) მუქარაში როგორც ამ პირის მიმართ, ასევე, მისი ახლობლების მიმართ.

სსკ-ის 126-ე მუხლის მიხედვით (1-ელი და 1¹ ნაწ.), ძალადობა არის ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი ან ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარების მიხედვით, სხვაგვარ ძალადობაში არ იგულისხმება ფსიქიკური ზემოქმედება. ამის მაგალითად მოყვანილია ის, რომ

²³⁸ რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 357.

²³⁹ ამ საკითხის შესახებ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2018, გვ. 347-349.

„კანონმდებელი ძალადობის გვერდით აუცილებლად უთითებს ძალადობის მუქარასაც (სსკ-ის 137,138,179 და ა.შ.)“.²⁴⁰ აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში არის არაერთი მუხლი, რომელშიც დამამძიმებელ გარემოებად მხოლოდ ძალადობაზეა აღნიშნული. ასეთ მუხლებია: სსკ-ის 144¹, 214, 332, 333-ე მუხლები. ამის ნათელი მაგალითია, ასევე, 126¹ მუხლი, რომლის დისპოზიციის მიხედვით, ოჯახში ძალადობაა - ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამ შემთხვევაში ფსიქიკური ძალადობა, თუ მან გამოიწვია ტანჯვა, ისჯება სსკ-ის 126¹ მუხლით.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა საბაჟო წესების დარღვევა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

სსკ-ის 27-ე მუხლის მიხედვით, დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. თუ დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებითაა ჩადენილი, მის განსახორციელებლად მონაწილენი წინასწარ უნდა შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

სსკ-ის 27-ე მუხლის სიტყვასიტყვითი (ადეკვატური) განმარტების შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც სამართლის ნორმის ნამდვილი აზრი ახსნილია სიტყვა-სიტყვით, ნორმის ტექსტთან სრულ შესაბამისობაში, მივალთ იმ აზრამდე, რომ წინასწარ შეთანხმებლად მინიმუმ მხოლოდ 2 ამსრულებელს შეუძლია ჯგუფური დანაშაულის ჩადენა, ხოლო წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში საკმარისია 1 ამსრულებლის და 1 თანამონაწილის (ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე) არსებობა, რომ დანაშაული ჯგუფის მიერ იყოს ჩადენილი.

თუმცა ვეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს კანონის სისტემური განმარტება, რადგან 27-ე მუხლის პირველ ნაწილში განმარტებულია, თუ ვინ არიან დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირები - ესენი არიან ამსრულებლები; სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის ცნებას: დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი („რომელთა ვინაობა კანონმდებელმა ამ მუხლის პირველ ნაწილში უკვე განმარტა - ნ. თ.“²⁴¹ და ესენი არიან მინიმუმ 2 ამსრულებელი) წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

²⁴⁰ მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარები, წიგნი 1, 2016, გვ. 163.

²⁴¹ გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, 2018, გვ. 352.

ასევე, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ამავედროულად დანაშაულის თანაამსრულებლები იყვნენ“. ამდენად, მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლები შექმნილია ამსრულებლისათვის.²⁴²

შესაბამისად, დასაბუთებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით, თუკი გავიზიარებთ აზრს იმის შესახებ, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის წევრად ამსრულებელთან ერთად თანამონაწილედ იგულისხმება, მაშინ გამოვა, რომ თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას არ იქნება საჭირო კერძო ნაწილის შესაბამის მუხლთან ერთად ზოგადი ნაწილის 25-ე მუხლზე მითითება. ასევე, სსკ-ის 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებულ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში თანამონაწილედ ამსრულებლად მოგვევლინება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როცა სახეზეა ეს დამამძიმებელი გარემოება, არავითარ შემთხვევაში არ გვეყოლება თანამონაწილე, არამედ საქმეში მონაწილე ყველა პირი იქნება თანაამსრულებელი.²⁴³

რაც შეეხება საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევას, განხორციელებულს ორგანიზებული ჯგუფის მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად ითვლება, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

ამავე მუხლის შენიშვნის მიხედვით, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის. ამავე მუხლის შესაბამისად, ჯგუფის წევრობას უნდა ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული უნდა იყოს განვითარებული სტრუქტურა.

²⁴² იხ. იქვე.

²⁴³ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, 2018, გვ. 352 .

ამავე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისთვის ან ხელმძღვანელობისთვის. კერძოდ, ორგანიზებული ჯგუფის შექმნისთვის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. ამავე პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, თუ მათ მოიცავდა ამ პირის განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილეები პასუხს აგებენ ჯგუფის მონაწილეობისათვის მხოლოდ სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისთვის, რომლის მომზადებასა ან ჩადენაშიც მონაწილეობდნენ უშუალოდ.

ამდენად, სსკ-ის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას“, ამ კოდექსის შესაბამისი მუხლში იგულისხმება კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი. მოცემულ ვითარებაში იურიდიული და ფაქტობრივი მხარე არ ემთხვევა ერთმანეთს - ფაქტობრივი ორგანიზატორი იურიდიულად ამ მუხლის პირველი ნაწილის ამსრულებელია.²⁴⁴ სსკ-ის 27-ე მუხლის მეოთხე ნაწილში ასევე წერია: „მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა“. ამ შემთხვევაში ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელს პასუხისმგებლობა დაეკისრება ბანდის მიერ ჩადენილი ყველა თავდასხმითი დანაშაულისათვის, თუ ამას მოიცავდა მისი ხელმძღვანელის განზრახვა, იმის მიუხედავად, თავად ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი უშუალოდ მონაწილეობდა თუ არა მის ჩადენაში.

რაც შეეხება ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილის პასუხისმგებლობის საკითხს, იგი პასუხს აგებს „ჯგუფის მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე, იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა“. ასეთია, მაგალითად, სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილი, სადაც ბანდაში მონაწილეობა დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს. ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეს ჯგუფის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ იგი მონაწილეობას იღებდა ამ დანაშაულის მომზადებაში ან ჩადენაში. სხვა შემთხვევაში, განსხვავებით ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელისგან, ჯგუფის მიერ ჩადენილი ამ

²⁴⁴ გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, 2018, გვ. 323.

კონკრეტული დანაშაულისთვის მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, მიუხედავად იმისა, მოიცავდა თუ არა მათ მისი განზრახვა.²⁴⁵

ორგანიზებული ჯგუფის შემთხვევაში სახეზეა სტრუქტურული ფორმა, რომელიც არ ახასიათებს სხვა სახის ჯგუფურ დანაშაულს. სახეზე უნდა იყოს პირთა ჯგუფის ორგანიზებული კავშირი, მასში უნდა იყოს სუბორდინაცია. ჯგუფის ორგანიზება წინ უნდა უსწრებდეს დანაშაულის ჩადენას.²⁴⁶ იმის გათვალისწინებით, რომ როგორც წინასწარ შეთანხმებული, ისე წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში უნდა იყოს სახეზე მინიმუმ 2 ამსრულებელი (რაზეც ზევით უკვე იყო საუბარი), გამომდინარეობს დასკვნა, რომ ორგანიზებული ჯგუფის შემთხვევაშიც არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ადამიანი გეგმავს დანაშაულს ან ხელმძღვანელობს ამსრულებელს. ანუ არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი ორგანიზატორია სახეზე. ამ შემთხვევაშიც, მთავარია, სახეზე იყოს მინიმუმ 2 ამსრულებელი.

აღნიშნულის თაობაზე, მაგალითად, მოვიყვანდით შემდეგ ამონარიდს სასამართლო პრაქტიკიდან, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის განაჩენით, ი.ი., ნ.დ., დ.კ., ა.ი. და მ.ჯ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით. მათ ბრალი ედებოდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით იმაში, რომ განახორციელეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანა, ჩადენილი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენებით და საბაჟო დეკლარაციებში ყალბი მონაცემების შეტანით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ჩვენ ქვევით უფრო დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ მაგალითს, თუმცა არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს ის ფაქტი, რომ მოცემულ განაჩენში აღინიშნა, რომ დანაშაულებრივ ჯგუფთან დაკავშირებული მებაჟეები პირდაპირ ეხმარებოდნენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს საბაჟო წესის დარღვევაში, პროგრამა „ასიკუდას“ მეშვეობით ახდენდნენ მოწმობების აღრიცხვიდან ყალბად მოხსნას. აღნიშნული მანიპულაციით დოკუმენტურად ფიქსირდებოდა სპირტით დატვირთული სატვირთო ავტომანქანების მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა, რაც რეალურად არ განხორციელებულა. ამ ხერხით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა 2007 წლის 8 იანვრიდან 2012 წლის 18 ივნისამდე პერიოდში გადამუშავების რეჟიმში შემოიტანეს 27 708 442 ლარის სატარიფო ღირებულების 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, რომელიც საბაჟო წესების დარღვევით

²⁴⁵ გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, 2018, გვ. 324.

²⁴⁶ გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, 2018, გვ. 326.

გაიტანეს მიმოქცევაში. მაკონტროლებელი ორგანოების თვალის ახვევის მიზნით, ჯგუფურად, ყალბად შეადგინეს საბაჟო დეკლარაციები და სატრანსპორტო ზედნადებები, ჯამში, აღნიშნული დანაშაულებრივ დაჯგუფების მიერ, სახელმწიფოს გადაუხდელი საბაჟო გადასახდელების შედეგად მიადგა 49 411 672 ლარის ზიანი.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციისას სავსებით სწორად შეფასდა დანაშაულებრივი ჯგუფის, როგორც ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ჩადენილი ქმედება, რადგან სახეზე იყო წინასწარ, რამდენიმე პირის მიერ დანაშაულზე შეთანხმება, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ, ემოქმედათ შეთანხმებულად დროის გარკვეულ მონაკვეთში რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად,²⁴⁷ ამასთან, შეიმუშავეს გეგმა, თუ როგორ შეენიღბათ და შემოეტანათ მეზობელი ქვეყნიდან სპირტი იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის გარეშე. კერძოდ, საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლებს ევალეზობდათ უკანონოდ მოეხდინათ შპს-ების სახელით გაფორმებული ექსპორტის საბაჟო დეკლარაციაზე გამოწერილი შიდა საბაჟო დეკლარაციების აღრიცხვის მოწმობების უკანონო დახურვა, რითაც ეხმარებოდნენ გადამუშავების რეჟიმში შემოსული ეთილის სპირტის თითქოსდა ექსპორტის რეჟიმით გატანაში, რაც შპს-ებს აძლევდა საშუალებას, ეთილის სპირტი საბაჟო წესის დარღვევით გაეშვათ თავისუფალ მიმოქცევაში შიდა ბაზარზე. ამდენად, მეზაჟეების მიერ ჩადენილია დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-6 ნაწილით, ასევე, სსკ-ის 341-ე მუხლით. დანაშაულთა ერთობლიობა სახეზეა, რადგან მეზაჟეები ადგენდნენ ყალბ სააღრიცხვო დოკუმენტაციას, რითაც ჩაიდინეს სამსახურებრივი სიყალბე.

თავი IV. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საბაჟო ურთიერთობების სფეროში

სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის ცნების პირველადობის პრინციპით აიგება, სისხლის სამართლის ფილოსოფია, პირიქით, სასჯელის ცნების პირველადობიდან ამოდის (სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასაბუთება-უარყოფით) და დანაშაულის ცნებით ამთავრებს - აღნიშნავს პროფ. გურამ ნაჭყებია.²⁴⁸ ეს იმით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის ფილოსოფია კრიტიკულად

²⁴⁷ რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, 2018, გვ. 321.

²⁴⁸ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2011, გვ. 163-164.

განიხილავს იმ ქმედებათა წრეს, რომელიც დანაშაულად სახელმწიფოებრივ კვალიფიკაციას იმსახურებს.²⁴⁹ მიგვაჩნია, რომ ეს ყოველივე არა მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროს, არამედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დროს წარმოშობილ ურთიერთობებზეც ვრცელდება.

ყველა განვითარებულ თუ განვითარებად სახელმწიფოში, მოდავე მხარეთა შორის არსებული უთანხმოების გადამწყვეტი ორგანოა სასამართლო, რომელიც, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისგან დამოუკიდებელი რგოლი, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით. იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, რომელმაც გამოიწვია ზიანი ან ზიანის დადგომის საფრთხე შექმნა. ამ გარემოებათა შორის ძირითადია: ა) ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა; ბ) ხელყოფის ობიექტისთვის მოსალოდნელი ზარალის ოდენობა; გ) ზიანის დადგომის შესაძლებლობის ხარისხი (საფრთხის ხარისხი); და დ) იმ მოქმედების მიზანი, რომელიც ზიანის საფრთხეს ქმნის.²⁵⁰

ნებისმიერი საქმის განხილვისას აღნიშნული მომენტები სასამართლომ უნდა შეაფასოს არა იზოლირებულად, არამედ ერთობლიობაში. ამავე დროს, რაც უფრო მაღალია ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, რაც უფრო დიდია ზარალის ოდენობა, რომელიც ხელყოფის ობიექტს ემუქრება, ზიანის დადგომის მით უფრო მცირე შესაძლებლობას შეუძლია, დაასაბუთოს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება.²⁵¹

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ „იქ, სადაც ადამიანის მოქმედება ჩართული არ არის მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, იქ ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების საკითხები არც უნდა წარმოიშვას, რადგან არ არსებობს პასუხისმგებლობის პირველი ძირითადი წანამძღვარი“.²⁵²

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ვიხილავდით რა საბაჟო წესების დარღვევასა და აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებულ საკითხებს, ჩვენ მიერ არაერთხელ იქნა რეკომენდირებული საბაჟო ურთიერთობების სფეროში ერთიანი ნორმატიული დოკუმენტის -

²⁴⁹ იხ. იქვე.

²⁵⁰ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. IV, თბილისი, 2010., გვ. 215.

²⁵¹ იხ. იქვე.

²⁵² თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. I, თბილისი, 2007, გვ. 233.

საბაჟო კოდექსისა თუ კანონის მიღების აუცილებლობა. აღნიშნული ინიცირების საფუძველად, უპირველეს ყოვლისა, მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ საბაჟო ურთიერთობების სფეროს მარეგულირებელი ნორმები, უფრო კონკრეტულად კი ნორმების ნაწილი, რომელიც დეკლარირებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში, ასევე, ნორმების სხვა ერთობლიობა, რომლებიც, შეიძლება ითქვას, გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში (მაგ., როგორებიცაა, პრემიერ-მინისტრის დადგენილება, ფინანსთა მინისტრის და შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები, ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებები, წესები, ინსტრუქციები...), სრულყოფილად ვერ ახერხებს საბაჟო ურთიერთობების სფეროს რეგულირებას. ასევე, ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობთ, საბაჟო ურთიერთობების სფეროში დიდ პრობლემებს უქმნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას როგორც საქონლის გადამტან პირებს (როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს), ასევე, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელ უფლებამოსილ თანამდებობის პირებს - საბაჟო, სასაზღვრო თუ საპატრულო სამსახურის უფლებამოსილ მოხელეებს, ასევე სასამართლო ხელისუფლებასაც, რადგან უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, ხსენებულ პირებს არაერთ სამართლებრივ ნორმაზე უხდებათ აპელირება, რის შესახებაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

მიგვაჩნია, რომ, თუ შეიქმნება ერთიანი ნორმატიული აქტი, თუნდაც იგივე საბაჟო კოდექსის სახით, რომელშიც საბაჟო ურთიერთობების სფეროს მომწესრიგებელი ყველა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმა გაერთიანდება, ამით ბევრად ეფექტიანი გახდება საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლის გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება საბაჟო დეპარტამენტის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს. 2016 წლიდან საბაჟო დეპარტამენტი ადმინისტრირებას უწევს ეროვნულ საბაჟო სამართალდარღვევათა ქსელს (nCEN), რომელიც წარმოადგენს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ აპლიკაციას. აპლიკაცია საშუალებას იძლევა, თითოეულ სამართალდარღვევაზე სრულყოფილად შეივსოს ინფორმაცია ეროვნული საერთაშორისო მიზნებისთვის და უზრუნველყოფს საბაჟო სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე გაცვლას. საბაჟო დეპარტამენტის მიერ ყოველ წელს იზრდება საბაჟო სამართალდარღვევების გამოვლენის პროცენტული მაჩვენებელი. თუ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის ანგარიშს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 2016 წელს სულ 9,950 სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა,

ამასთან 8,278 საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 8,764,539 ლარი, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 1,282 ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 838,532 ლარი.²⁵³

ხსენებულთან დაკავშირებით ჩვენ შევეცადეთ, განგვეზოგადებინა სასამართლო პრაქტიკა საბაჟო ურთიერთობების სფეროში წარმოქმნილ დავებზე, რადგან მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დავების განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით. სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების დაწესებისა და პირის დაბეგვრის მექანიზმის სამართლიანი და კანონიერი გამოყენების კონტროლის გამკაცრებისა და სრულყოფის მიზნით, კონტინენტური ევროპული სამართლის და პრეცედენტული სამართლის რიგი ქვეყნების მიერ მართლმსაჯულების სისტემაში შემოღებულ იქნა სპეციალიზებული სასამართლოები და ტრიბუნალები, რომლებიც განიხილავენ საგადასახადო და ფინანსურ დავებს და სამართლის ამ სფეროში სიღრმისეული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების გზით უზრუნველყოფენ განსახილველ საკითხებზე მაქსიმალურად დეტალური და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებას და ბუნდოვანი თუ ორაზროვანი ნორმების ლოგიკური განმარტების გზით სამართლიანი გამოყენების პრაქტიკის დანერგვას. ყოველივე ხსენებული, რა თქმა უნდა, საქართველოში მიმდინარე პროცესებზეც ვრცელდება.

სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლისას, აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ წლებში, საბაჟო წესების დარღვევის ფაქტებზე, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ძირითადად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კუთხით არის წარმოდგენილი.

ნებისმიერი კატეგორიის დავის განხილვისას, სასამართლოს ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მიიღოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და შესაბამისი კანონმდებლობის ნორმების განმარტებისა თუ ინტერპრეტაციის გზით, მათ შორის ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმების განმარტების საფუძველზე. სასამართლო, რომელიც დადგენილი წესის თანახმად, საქართველოში მიიჩნევა მართლმსაჯულების განმახორციელებელ ერთადერთ ორგანოდ, რიგ შემთხვევაში კანონმდებლობის შესაბამის რეგულაციას იმდაგვარად ავრცობს, რომ აღნიშნული წარმოადგენს ლოგიკური მიზნის მიღწევის სამართლიან საშუალებას.

²⁵³ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის ანგარიში, გვ. 32.

სასამართლოს მიერ დავის განხილვის ხარისხსა და დასაბუთებულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმალურად სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც უშუალოდ ეხება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ანუ პროცესის მხარეებისთვის, არამედ, ზოგადად, პრაქტიკაში სასამართლოს გადაწყვეტილება ატარებს პრეცედენტულ ხასიათს. ყოველივე ზემოხსენებული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ანალოგიურ და მსგავს საქმეებზე, სასამართლოში თითქმის მიუღებელია განსხვავებული მიდგომის და, შესაბამისად, ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების არსებობა. რაც უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერაა მიღებული გადაწყვეტილება, მით უფრო მეტად პრეცედენტული მნიშვნელობა ენიჭება მას.

სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმის კონსტიტუციურობაზე და თუ კონკრეტული საქმის განხილვისას დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ნორმა, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, შეაჩეროს საქმის განხილვა და ამ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი განსახილველად გადასცეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნული, რა თქმა უნდა, მოიცავს საბაჟო ურთიერთობების სფეროსაც. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობას ახასიათებს იურიდიული პასუხისმგებლობის ყველა ნიშანი, ამასთან, საბაჟო ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის საკითხები საბაჟო სამართალში წარმოიშობა მრავალმხრივი მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია სისხლის, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, საფინანსო, საგადასახადო, საერთაშორისო სამართალთან, და საბაჟო ურთიერთობების სფეროში კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხები, შესაბამისად, ითვალისწინებს სხვადასხვა დარგის სამართლებრივ ნორმებსაც.

საბაჟო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებულ დავებს საქართველოში განიხილავს როგორც სასამართლო - შესაბამისად ან სისხლის, ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, რომლის ფუნქციონირების წესი და რეგლამენტი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო და საბაჟო დავების განხილვის მიზანია მხარეთა თანასწორუფლებიანობის

საწყისებზე დავის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტა. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო/საბაჟო დავა ორეტაპიანია და იწყება საჩივრის წარდგენით. დავის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.²⁵⁴

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბაჟო ურთიერთობების სფეროში დარღვევებზე საქმეთა განხილვისას, ქმედების შესაფასებლად უმეტეს შემთხვევაში სასამართლოები განხორციელებული ქმედების ინტენსივობის კრიტერიუმს იყენებენ, რომელიც შედეგთან დროსა და სივრცეში სიახლოვის მომენტიტ ხასიათდება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ჩვენ მიერ განსახილველად შეირჩა ერთ-ერთი საქმე, რომელმაც ყურადღება მიიპყრო, გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გამოიტანა განჩინება საბაჟო პროცედურების განხორციელების თაობაზე, რომელიც საინტერესოა გადაწყვეტილებისას წარმართული, მეტად საინტერესოდ მიმდინარე მსჯელობითა და წარმოდგენილი არგუმენტების დასაბუთებით:²⁵⁵

2014 წლის 7 ივლისს ერთ-ერთმა შპს-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ერთ-ერთ ტერმინალში 2014 წლის 11 აპრილს შეტანილ იქნა ავტომობილებით დატვირთული კონტეინერები. 2014 წლის 12 აპრილს მოსარჩელემ, როგორც ტვირთმიმღების წარმომადგენელმა, გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთს“ აღნიშნული ავტომანქანების ზოგადი დეკლარირების მიზნით წერილობით მიმართა და წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. იმის გამო, რომ მიმართვას არ მოჰყვა არანაირი რეაგირება, მოსარჩელემ წერილობით მიმართა გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ უფროსსა და საბაჟო დეპარტამენტის უფროსს და მოითხოვა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შესრულებულიყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო პროცედურები.

აღნიშნულის პასუხად, საბაჟო დეპარტამენტმა მოითხოვა საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფ კონტეინერებით გადაადგილებულ სატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო კონტროლის ღონისძიებების გატარების მიზნით მათი წარდგენა გაფორმების ეკონომიკურ ზონაში.

²⁵⁴ იხ. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს ფუნქციონირების წესისა და რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

²⁵⁵ საქმე №ბს-841-833(კ-15), 2016

მოსარჩელე არ ეთანხმებოდა რა საბაჟო დეპარტამენტის პოზიციას, 2014 წლის 8 მაისს შესაბამისი საჩივრით მიმართა შემოსავლების სამსახურს, თუმცა, უშედეგოდ, საჩივარზე არანაირი პასუხი მოსარჩელეს არ მიუღია.²⁵⁶

მოსარჩელის აზრით, შემოსავლების სამსახურს მისდამი დაქვემდებარებული შესაბამისი სამსახურების მეშვეობით უნდა შეესრულებინა კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობა, კერძოდ, განხორციელებინა კონკრეტულ საწყობში განთავსებულ კონტეინერში ჩატვირთულ ავტომანქანებზე შესაბამისი საბაჟო პროცედურები ამ კონტეინერის სხვა პირის საწყობში წარდგენის გარეშე.

მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე წარდგენილ საჩივარში აღნიშნა, რომ მოპასუხე (მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების - გეზის და საბაჟო ორგანოს მეშვეობით) უარს აცხადებდა რა კანონით მისთვის განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე, მოითხოვდა ავტომანქანებით დატვირთული კონტეინერების გეზში წარდგენას და იქვე აიძულებდა მათ აღნიშნული კონტეინერების სხვა შპს-„ი“-ს საწყობში შეტანას. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი შპს „ი“ მომსახურებაში (იმავე მომსახურებაში, რასაც ახორციელებდა ნებისმიერი სხვა საწყობი) ერთ ავტომანქანაზე ითხოვდა 70 ლარის გადახდას.

ამ ქმედებით მოპასუხე ხსენებულ შპს „ი“-ს აყენებდა უპირატეს მდგომარეობაში სხვა მსგავსი ტიპის საქმიანობით დაკავებულ საწარმოებთან მიმართებით (შპს „ი“-ს და მოსარჩელეს ისევე, როგორც ფოთში არსებულ რამდენიმე ტერმინალს, გააჩნიათ აბსოლუტურად იდენტური საწყობის სანებართვო მოწმობა) და უქმნიდა მას მონოპოლიურ მდგომარეობას (ფაქტობრივად გამორიცხავდა ავტომანქანებით დატვირთული კონტეინერების სხვა საწყობში შესვლას, ხოლო შესვლის შემთხვევაში იძულებულს ხდიდა პირს, ეს კონტეინერები გადაეტანა შპს „ი“-ს საწყობში).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისთვის (მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების - გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ და საბაჟო დეპარტამენტის მეშვეობით) კონტეინერში ჩატვირთულ ავტომანქანებზე, ამ კონტეინერის შპს „ი“-ს საწყობში წარდგენის გარეშე, შესაბამისი საბაჟო პროცედურების განხორციელება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

²⁵⁶ საქმე №ბს-841-833(კ-15), 2016.

მოსარჩელემ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელმაც იმსჯელა რა საქმის მასალებში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაბამისად, გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა ზემდგომი ინსტანციის - საკასაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ჩვენ ცალკე საკითხად არ განვიხილავდით საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, თუმცა მეტად მნიშვნელოვნად და საინტერესოდ მივიჩნიეთ სადავო საკითხში დასმული პრობლემა, რადგან საკანონმდებლო ნორმებში არსებული ხარვეზებისა და დაუზუსტებლობის გამო პრობლემები ხშირად იჩენს თავს არა მხოლოდ საბაჟო ურთიერთობების, არამედ სხვა სამართლებრივი ურთიერთობების სფეროებშიც.

კერძოდ, აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა რა საქმის მასალებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე, აღნიშნა, რომ მოსარჩელემ, როგორც ტვირთმიმღების წარმომადგენელმა, ავტომანქანების ზოგადი დეკლარირების მიზნით მიმართა წერილობით გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთს“ და წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. იმის გამო, რომ აღნიშნულ მიმართვას არ მოჰყვა რეაგირება, მოსარჩელემ კვლავ მიმართა წერილობით გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ უფროსს და საბაჟო დეპარტამენტის უფროსს, რომელთაგან მოსარჩელემ თავის საქმესთან დაკავშირებით მოითხოვა შესრულებულიყო კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო პროცედურები.

განსახილველი დავის ფარგლებში, სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ერთობლივად მიმოხილვით, სასამართლოს უნდა დაედგინა, კანონმდებლობა უშვებს თუ არა საბაჟო პროცედურების განხორციელების შესაძლებლობას გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების გარეშე, კერძოდ, საბაჟო პროცედურების განხორციელებისას სავალდებულოა თუ არა გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საქონლის ფიზიკურად წარდგენა. სასამართლომ, ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნია, დაედგინა საკითხი, შესაძლებელია თუ არა, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი კონტეინერით გადაადგილებულ სატრანსპორტო

საშუალებებზე საბაჟო პროცედურების განხორციელება იურიდიული პირის საწყობში.

სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისას სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია თავად სასაწყობო საქმიანობის არსის განმარტება. საბაჟო საწყობის საქმიანობა ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული ნებართვის მისაღებად კანონმდებლობით დადგენილია გარკვეული პირობები, მათ შორის, სანებართვო მოსაკრებელი. საგადასახადო კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, საბაჟო საწყობი არის საბაჟო კონტროლის ზონა. საწყობი არის ადგილი, სადაც შესაძლებელია დასაწყობდეს საქართველოში შემოტანილი/გასატანი უცხოური საქონელი ან ექსპორტში მოქცეული საქართველოს საქონელი.²⁵⁷ კერძოდ, საწყობში შესაძლებელია: საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვა; იმ საქონლის დროებით შენახვა, რომლის მიმართაც განსაზღვრულია ან არ არის განსაზღვრული სასაქონლო ოპერაცია; საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დროებით განთავსება.²⁵⁸

საქმეში არსებული მასალების თანახმად, მოსარჩელე, ფლობდა რა შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემულ საბაჟო საწყობის საქმიანობის სანებართვო მოწმობას, უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა სასაწყობო საქმიანობა. ამასთან, იგი ვალდებული იყო, შეესრულებინა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №9 დადგენილებით დამტკიცებული „საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლით განსაზღვრული პირობები, მათ შორის, ხელი არ შეეშალა სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის, ასევე, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოსთვის უსასყიდლოდ გამოეყო კონტროლის პროცედურებისთვის აუცილებელი სათავსო, მოწყობილობები და კავშირგაბმულობის საშუალებები.

საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ ან შემოტანამდე საქონელი ექვემდებარება საბაჟო გამშვებ პუნქტში, საბაჟო ტერმინალში ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ ადგილზე გაფორმებას.²⁵⁹ ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე

²⁵⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 231.

²⁵⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 215.

²⁵⁹ იხ.იქვე.

შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტის ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სხვა ადგილის გავლით და, შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა.

საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენის წესს უშუალოდ აწესრიგებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია, რომლის თანახმად, საქონელი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან, აგრეთვე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიადან გასატანი საქონელი გაფორმების დასრულების მომენტიდან, ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას²⁶⁰ და, შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა აღნიშნული მუხლით დადგენილი წესით.

იხელმძღვანელა რა ზემოხსენებული ნორმით, სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ, აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის წარდგენა ხდება, საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა, სხვა ადგილებში - საქონლის შემოტანისას საგადასახდო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, საბაჟო ტერმინალი, საბაჟო საწყობი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საგადასახდო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) საქონლის ფაქტობრივი განთავსებით.²⁶¹

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის წარდგენა ხდება: ა) საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსებით; ბ) საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა, სხვა ადგილის გავლით საქონლის გატანისას, საგადასახდო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე საქონლის ფაქტობრივი განთავსებით, ამასთან, ზოგადი დეკლარირება ხორციელდება ელექტრონულად ან წერილობით.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ 2014 წლის 29 სექტემბერს განხორციელებულ ცვლილებებზე დაყრდნობით, ინსტრუქციის მე-4 მუხლს დაემატა 2¹ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საბაჟო საწყობში წარდგენილი,

²⁶⁰ ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“, მუხლი 2.

²⁶¹ იხ. ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“, მუხლი 2.

კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ზოგადი დეკლარირება, ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოსთვის შესაბამისი საწყობის მიერ იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებით. ამდენად, აღნიშნული ნორმის მიხედვით, ზოგადი დეკლარირების განხორციელება საბაჟო საწყობს შეუძლია ელექტრონულად მიწოდებული შესაბამისი ინფორმაციის გამოყენებით. აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ზოგადი დეკლარირებისთვის საქონლის ფაქტობრივი განთავსება მოითხოვება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს საქონლის სატრანსპორტო დოკუმენტი ან ნასყიდობის ხელშეკრულება, ან ანგარიშ-ფაქტურა, ვინაიდან, ამავე ნორმის თანახმად, ასეთ შემთხვევაში საქონელი ექვემდებარება სავალდებულო დათვალიერებას ან/და სინჯის/ნიმუშის აღებას და შესაბამისი აქტის შედგენას.²⁶²

ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ტვირთი შესაძლებელია გაფორმდეს ელექტრონულად, გაფორმების სამმართველოში მიუსვლელად შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე დოკუმენტების ატვირთვით, რა დროსაც შესაძლებელია მომსახურების საფასურის გადახდა ხელსაყრელ დროსა და ადგილზე.²⁶³

ასევე, საწყობის ნებართვის მოქმედების პერიოდში დასაწყობებული საქონლის შესახებ ელექტრონულად ატვირთული ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში უნდა იყოს ხელმისაწვდომი შემოსავლების სამსახურისთვის.²⁶⁴ ანუ, ზოგადი წესის მიხედვით, საბაჟო ორგანოს, საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული სათანადო დოკუმენტები წარედგინება ელექტრონულად ან წერილობით.

როგორც საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, ყოველივე ზემოხსენებული არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ საბაჟო კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოს ეზღუდება უფლებამოსილება საბაჟო პროცედურების სათანადოდ და კანონშესაბამისად განხორციელების მიზნით საქონლის ფაქტობრივი განთავსება მისთვის სასურველ ადგილას მოითხოვოს. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა კონტეინერის გახსნა, ავტომობილების იდენტიფიცირება და დადგენილი წესით აღრიცხვა, აღნიშნა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, შემოსავლების სამსახური,

²⁶² საქმე №ბს-841-833 (კ-15), 2016.

²⁶³ http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4785@lang=1. (აპრ. 8 05:31:18 2018)

²⁶⁴ <http://www.rs.ge/4989>. (აპრ. 8 06:32:32 2018)

თავისი ფუნქციებიდან და საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მოითხოვოს საქონლის ფიზიკურად წარდგენა, თუმცა ამგვარი მოთხოვნა უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების მიზნებს და არა რომელიმე იურიდიული პირისათვის უპირატესობის მინიჭებას.²⁶⁵

მიგვაჩნია, რომ სასამართლომ სავსებით მართებული გადაწყვეტილება მიიღო საბაჟო ორგანოს მიმართ, როდესაც აღნიშნა, რომ მისი ქმედება დაუსაბუთებელ უპირატესობას არ უნდა ანიჭებდეს იდენტურ სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფ პირებს, შემოსავლების სამსახურის ქმედებას კანონშეუსაბამო ხასიათი, სწორედ იმ გარემოებამ შესძინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელეს საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით მეორე შპს-ს საწყობში შეტანა მოსთხოვა, რომელსაც გააჩნია შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ზუსტად ისეთივე სანებართვო მოწმობა, როგორც მოსარჩელეს, ამასთან, საქმეზე არც მისი სამართლებრივი უპირატესობა დადასტურებულა მოსარჩელესთან შედარებით. სასამართლომ შეუძლებლად ჩათვალა უპირატესობის მინიჭება მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ შპს „ი“ ფოთის გეზის მახლობლად მდებარეობდა.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო პროცედურების განხორციელებისას დოკუმენტების წარდგენასთან ერთად საჭირო გახდებოდა კონტეინერის გახსნა, ავტომობილების იდენტიფიცირება და დადგენილი წესით აღრიცხვა, შემოსავლების სამსახურს შესაძლებლობა ჰქონდა, საჭირო პროცედურები განეხორციელებინა თავად მოსარჩელე შპს-ს კუთვნილ საბაჟო საწყობში, რომელიც სათანადო ნებართვის საფუძველზე უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა სასაწყობო საქმიანობა. ამასთან, აღნიშნულ საქმეზე დადგინდა, რომ შემოსავლების სამსახურს მოსარჩელე შპს-ს მიმართ არ წაუყენებია დამატებითი მოთხოვნები კონტროლის პროცედურებისთვის აუცილებელი სათავსო, მოწყობილობებისა და კავშირგაბმულობის საშუალებების შესახებ და, შესაბამისად, მოსარჩელე შპს-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობის ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ, მსგავსი ფაქტები ძალზედ გახშირებულია და, რა თქმა უნდა, მისასაღმებელია, რომ სასამართლომ აბსოლუტურად გაიზიარა მოსარჩელის კანონიერი მოთხოვნა, და კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქმეზე შესაბამისად ადეკვატური - არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

²⁶⁵ საქმე №ბს-841-833 (კ-15), 2016.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კონკრეტული საქმის დეტალურად წარმოჩენის მიზანს წარმოადგენდა იმ სირთულეების ხაზგასმა, რომლებიც საბაჟო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაციების პროცესში, მათ შორის, სასამართლო განხილვის პროცესშიც იჩენს თავს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სირთულეების თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა სამართლებრივი პროცედურების გამარტივება, ნორმების კონკრეტიზაცია და ერთი დარგობრივი მიმართულების ნორმატიულ აქტში მოქცევა უნდა იყოს, რაც ბევრად გაუმარტივებდა საქმიანობას როგორც საბაჟო ურთიერთობების სუბექტებს, ასევე, იმ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს, რომელთა უშუალო მოვალეობას, სწორედ საბაჟო ურთიერთობების მოწესრიგება წარმოადგენს.

სწორედ აღნიშნულს ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიც.

პირველი მაგალითი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის განაჩენით, ი.ი., ნ.დ., დ.კ., ა.ი. და მ.ჯ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით, კერძოდ, აღნიშნულ პირებს ბრალი ედებოდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით იმაში, რომ მათ განახორციელეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანა, ჩადენილი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენებით და საბაჟო დეკლარაციებში ყალბი მონაცემების შეტანით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2006 წლის სექტემბერში, ი.ი და ნ.დ. შეთანხმდნენ, რომ დადგენილი ტექნოლოგიების უხეში დარღვევით - ყურძნის მასალასთან ეთილის ან სხვა სპირტის შერევით და ტექნოლოგიური მანიპულაციებით, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო (რადგან, არსებული საერთაშორისო სტანდარტებით, საკონიაკე სპირტის დამზადება შესაძლებელია მხოლოდ ყურძნის მასალისგან), ეწარმოებინათ საკონიაკე სპირტი მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. აღნიშნულ პირებს ათვისებული ჰქონდათ ფალსიფიცირების გზით საკონიაკე სპირტის დამზადების ტექნოლოგიები. ასევე, მოიძიეს ინფორმაცია უკანონო ბიზნესის დასაწყებად; შეიმუშავეს სქემა, როგორ შემოსულიყო სპირტი მეზობელი ქვეყნიდან საქართველოში ისე, რომ აქციზი და დღგ არ გადაეხადათ; გაარკვიეს როგორ მომხდარიყო გაფორმებული ექსპორტის საბაჟო დეკლარაციაზე გამოწერილი შიდა საბაჟო დეკლარაციების აღრიცხვის მოწმობის ფიქტიური დახურვა, რომ თითქოს გადამუშავების რეჟიმში შემოსული ეთილის სპირტი, როგორც მუხის მწარე ნაყენი, თითქოსდა საექსპორტოდ გადიოდა ქვეყნიდან. ეს

კი მათ მისცემდა საშუალებას, შიდა ბაზარზე, იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის გარეშე, მიმოქცევაში გაეშვათ ეთილის სპირტი.

აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ, დანაშაულებრივი განზრახვის აღსრულების მიზნით 2007-2012 წლებში შეიქმნა და დარეგისტრირდა ფიქტიური შპს-ები და სხვა სახის კომპანიები, რომელთა სახელით ფორმდებოდა ექსპორტის ყალბი საბაჟო დეკლარაციები და თანმხლები დოკუმენტები. აღნიშნულის შემდგომ ისინი უკავშირდებოდნენ დანაშაულებრივ ჯგუფთან მოქმედ მებაჟეებს, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში აწვდიდნენ ზემოაღნიშნული ფირმების ყალბად შედგენილი დეკლარაციების შიდა საბაჟო აღრიცხვისა და კონტროლის მოწმობებს, ასევე ექსპორტის საბაჟო დეკლარაციებს თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო ორგანოების ტიპური დებულების, რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) დებულების მე-13 მუხლის შესაბამისად, მებაჟეებს ევალებოდათ: საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დამუშავების ოპერაციების განხორციელება, საბაჟო პროცედურებისა და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელება, დეკლარაციისა და თანდართული საბუთების, დეკლარირების ვადებისა და დეკლარირების სისწორის შემოწმება (მათ შორის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურისა და საბაჟო ღირებულებების განსაზღვრის, საბაჟო გადასახდელების დარიცხვის სისწორის შემოწმება), საბაჟო შეღავათების გამოყენების საფუძვლიანობის შემოწმება, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევათა გამოვლენა - აღკვეთა, სამართალდარღვევის ოქმების შედგენა.

ნაცვლად ამისა, დანაშაულებრივ ჯგუფთან დაკავშირებული მებაჟეები პირდაპირ ეხმარებოდნენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს საბაჟო წესის დარღვევაში, პროგრამა „ასიკუდას“ მეშვეობით ახდენდნენ მოწმობების აღრიცხვიდან ყალბად მოხსნას. აღნიშნული მანიპულაციით დოკუმენტურად ფიქსირდებოდა სპირტით დატვირთული სატვირთო ავტომანქანების მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა, რაც რეალურად არ განხორციელებულა. სპირტით დატვირთული მანქანების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დაფიქსირება ხდებოდა იმისათვის, რომ მომხდარიყო გადამუშავების რეჟიმში შემოტანილი საქონლის თითქოსდა საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა, რადგან რეექსპორტის რეჟიმის დროს დეკლარანტი არ იხდის იმპორტის გადასახდელებს (დღგ,

აქციზი, იმპორტის გადასახადი). ასევე, ბუღალტრულად ხდებოდა აღნიშნული საქონლის ჩამოწერა მეწარმე სუბიექტის სასაქონლო ნაშთიდან. (მაგალითად, რომ ჩატარებულიყო საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო კონტროლის ფორმა - ინვენტარიზაცია, აღნიშნული სასაქონლო მატერიალური ფასეულობა არ აღმოჩნდებოდა ადგილზე. მეწარმე სუბიექტი წარმოადგენდა რეექსპორტის საბაჟო დეკლარაციას, რის მიხედვითაც თითქოსდა მოხდა აღნიშნული საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანა. გარდა აღნიშნულისა, როდესაც მოხდა აღნიშნული საქონლის - სპირტის, რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე, არ იქნა გადახდილი შესაბამისი გადასახადები: მოგება, დღგ, აქციზი (გადამუშავების შემთხვევაში სავალდებულოა აქციზის გადასახადის გადახდა). არათუ აღნიშნული გადასახადები, არამედ მოგების დროს დივიდენდად განაწილების შემთხვევაში გადასახდელი იქნებოდა დივიდენდის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი (2007 წლიდან 10%, ხოლო 2012 წელს 5%). ამ ხერხით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა 2007 წლის 8 იანვრიდან 2012 წლის 18 ივნისამდე პერიოდში გადამუშავების რეჟიმში შემოიტანეს 27 708 442 ლარის სატარიფო ღირებულების 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, რომელიც საბაჟო წესების დარღვევით გაიტანეს მიმოქცევაში. მაკონტროლებელი ორგანოების თვალის ახვევის მიზნით, ჯგუფურად, ყალბად შეადგინეს საბაჟო დეკლარაციები და სატრანსპორტო ზედნადებები, რომ თითქოსდა 29 721 619.74 ლარის სატარიფო ღირებულების 27.269 992.79 ლიტრი მუხის მწარე ნაყენი გაჰქონდათ ყაზახეთში რეგისტრირებული კომპანიისთვის მიწოდების მიზნით, რაც რეალურად არ მომხდარა. აღნიშნული ქმედებით - გადაუხდელი გადასახდელებით სახელმწიფოს მიადგა 23 372 392 ლარის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანი. ჯამში, აღნიშნული დანაშაულებრივი დაჯგუფების მიერ სახელმწიფოს გადაუხდელი საბაჟო გადასახდელების შედეგად მიადგა 49 411 672 ლარის ზიანი.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციისას სავსებით სწორად შეფასდა დანაშაულებრივი ჯგუფის, როგორც ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედება, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

მეორე მაგალითი:

მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია ქუთაისის სასამართლოს 2006 წლის 27 აპრილის განაჩენი საქართველოს მოქალაქე ტ. ე-ძეს მიმართ, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-6 ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით).

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი: ტ. ე-ძე, მუშაობდა რა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური

პოლიციის იმერეთის სამმართველოს ოპერატიულ თანამშრომლად, ორგანიზებულ ჯგუფში ჩაიდინა საბაჟო წესების დარღვევა, ე.ი. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებით, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანა. ტ. ე-მემ, თავის მეუღლესთან - ქუთაისში რეგისტრირებულ შპს „ირინას“ დირექტორთან და თურქეთის მოქალაქე ვ. მ.-სთან ერთად, დაკავშირებულნი იყვნენ რა ერთმანეთთან სამეწარმეო საქმიანი ბიზნესურთიერთობებით, შექმნეს ორგანიზებული ჯგუფი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებათა მოტყუებით გამოყენებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოსატანად. კერძოდ, შეთანხმებისამებრ, თურქი პარტნიორი შპს „ირინას“ გაყალბებული ინვოისით მიაწოდებდა საკანცელარიო და სხვა საქონელს დოკუმენტში მითითებულზე გაზრდილი ოდენობით. შპს „ირინას“ დირექტორი ი. კ. მოახდენდა ტვირთის მიღებას და შემცირებულ ოდენობაზე დოკუმენტების გაფორმებას, ხოლო ტ. ე-მე უზრუნველყოფდა მის განბაჟებას ინვოისში მითითებული ოდენობის მიხედვით. რითაც ტვირთის სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულში აღრიცხულ და ფაქტიურ ოდენობას შორის სხვაობას დამალავდნენ სახელმწიფო საბაჟო გადასახადისგან.²⁶⁶

ფუნქციების განაწილების შემდეგ, თურქეთის მოქალაქემ მართლაც გააფორმა ინვოისი შპს „ირინას“ მისამართზე 26 900 აშშ დოლარის ღირებულების 23 300 კგ საკანცელარიო საქონლის ექსპორტ-იმპორტზე. რეალურად კი თურქეთიდან ფოთის სავაჭრო პორტით შემოვიდა 40 785, 40 აშშ დოლარის ღირებულების 34 924, 9 კგ საკანცელარიო ნივთები და გადაეცა ტ. ე-მეს. ტ. ე-მე, იმედოვნებდა რა ქუთაისის საბაჟო „დასავლეთში“, გაყალბებული ინვოისით, შემცირებული ოდენობით ტვირთის განბაჟებას, საქონელი განუბაჟებლად ჩამოტვირთა ქ. ქუთაისში მდებარე შპს „ირინას“ საწყობში, სადაც ტვირთი დააკავეს ფინანსური პოლიციის მუშაკებმა, რის გამოც ორგანიზებულმა ჯგუფმა ვერ მოასწრო დანაშაულებრივი ჩანაფიქრის - გაყალბებული ინვოისით ხელოვნურად შემცირებული ოდენობის ტვირთის განბაჟების განხორციელება.

ტ. ე-მემ გაასაჩივრა მის მიმართ განხორციელებული საქმის წარმოება, აღნიშნავდა რა, რომ მისი დაკავება, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება იყო სამართალდამცავთა უკანონო მოქმედება, რადგან ტვირთის შპს „ირინას“ საწყობში მიტანის შემდეგ იგი იმავე დღეს

²⁶⁶ ბს-138-132-(43-10).

დააკავეს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა, რითაც თითქოსდა მოუსპეს შესაძლებლობა, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ მოეხდინა ტვირთის განბაჟება, რომლის ვადა იმ პერიოდისთვის არ უნდა აღმატებოდა 2 დღეს.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საინტერესოდ მივიჩნიეთ ის ფაქტი, რომ ტ. ე-ძეს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისთვის ისე დაედო მსჯავრი ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად საბაჟო წესების დარღვევისთვის, რომ გამოძიებამ არ გაარკვია საკითხები ორგანიზებული ჯგუფის შექმნის თაობაზე, მოქმედების გეგმის შესახებ, ჯგუფის ორგანიზატორის ტ.ე-ძესა და დანარჩენ წევრთა როლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტულ საქმეზე არ არსებობს არც ორგანიზებული ჯგუფისათვის აუცილებელი არცერთი პირობა,²⁶⁷ რაც კიდევ უფრო სადავოდ ხდის სასამართლო გადაწყვეტილების ობიექტურობას.

სსკ-ის 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით, ორგანიზებული ჯგუფის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენდა ის, რომ იგი უნდა განეხორციელებინა პირთა მყარ ჯგუფს, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

2006 წლის 25 ივლისს, სსკ-ის 27-ე მუხლში ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც „პირთა მყარი ჯგუფი“ შეიცვალა ტერმინით „განსაზღვრულ პერიოდში არსებული, შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე“ ჯგუფით. ხოლო სტრუქტურული ფორმა განისაზღვრა შემდეგნაირად: ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა. ამასთან, საკმარისია აღნიშნული ჯგუფი 1 დანაშაულის ჩასადენად იყოს შექმნილი, რომ ისინი ორგანიზებული ჯგუფის წევრები იყვნენ.

კანონმდებლის ნება, როდესაც აღნიშნული ცვლილება შეიტანა სსკ-ის 27-ე მუხლში, იყო ის, რომ დაწესებული მოქმედების ორგანიზებულ ჯგუფად მიჩნევის სტანდარტი. ამაზე ის მეტყველებს, რომ ცვლილებამდე კანონმდებლის მიერ უფრო მაღალი სტანდარტი იყო დაწესებული (რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანი და ჯგუფის სიმყარე).

მოცემულ საქმეში, რადგან ორგანიზატორ ტ.ე-ძეს თურქი პარტნიორი ჰყავდა, უტყუარად არ დასტურდება, რომ მას რამდენიმე დანაშაულის ჩადენა სურდა. შესაბამისად, თუნდაც ის, რომ, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით, ორგანიზებული ჯგუფი სახეზე იყო მაშინ, როდესაც აღნიშნული ჯგუფი რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად უნდა ყოფილიყო შექმნილი,

²⁶⁷ ბს-138-132-(4კ-10).

საკმარისია იმისათვის, რომ ტ.ე-მეს ქმედება არ დაკვალიფიცირებულიყო ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებად.

არათუ იმ დროინდელი მოქმედი რედაქციით, არამედ დღეს მოქმედი რედაქციითაც ის ფაქტი, რომ საბაჟო წესის დარღვევით ხდება საზღვრაგარეთიდან საქონლის შემოტანა, არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ქმედება ორგანიზებულ ჯგუფის მიერ ჩადენილად დაკვალიფიცირდეს.

მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 05 მაისის გადაწყვეტილებით ბრალდებულები ა. დ. და ი. გ., რომლებიც იყვნენ აშშ საელჩოს საწყობის თანამშრომლები, არ იქნენ ცნობილი დამნაშვედ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ჩადენაში მაშინ, როდესაც მათ ბუდეროსის ფირმის გამათბობლები გადმოიტანეს აშშ საელჩოს საწყობიდან (რომელიც აშშ-ს საელჩოს ტერიტორიაზე მდებარეობს) აშშ-ს საელჩოს კუთვნილი ა/მანქანებით.²⁶⁸

მესამე მაგალითი:

2016 წლის 14 აპრილის განაჩენით დ. კ. და ო. დ. ცნობილ იქნენ დამნაშვედ მასში, რომ ჩაიდინეს ორგანიზებული ჯგუფის მიერ, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე, მალულად დოკუმენტის მოტყუებითი გამოყენებითა და სასაქონლო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანა და გადატანა;

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: ორგანიზებული ჯგუფის წევრება, დ. კ.-მ, და ო. დ.-მ, სხვა პირებთან ერთად. გადაწყვიტეს ჩინეთთან საქართველოში ომპორტის რეჟიმით შემოეტანათ სხვადასხვა დასახელების მცირე ზომის საგნებისგან შემდგარი საქონელი, საქართველოში იმპორტის გადასახადების შემცირების მიზნით. სამეწარმეო საქმიანობის პროცესში ჯგუფის წევრებს ხსენებული საქონლის შესყიდვის ინვოისებში უნდა მიეთითებინათ რეალურთან შედარებით დაბალი ფასები და, ვინაიდან ხსენებული მცირე ზომის ნივთებზე აღნიშნული იყო სასაქონლო ნიშანი უკანონოდ, ამიტომ იგი მალულად უნდა გაეტანათ თურქეთში მისი შემდგომი რეალიზაციისათვის. მოსალოდნელი დიდი ოდენობით საგადასახადო სანქციების თავის არიდების მიზნით, ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის როლებისა და ფუნქციების განაწილების შემდგომ მათ მოიფიქრეს ჩინეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოტანილი საქონლის სხვადასხვა მეწარმეებზე გაფორმება, რის განსახორციელებლადაც ზ. მ.-სა და მ. ი.-ს, დაევალებათ მეწარმეების მოძიება მათ სახელზე ტვირთების საბაჟო გაფორმების მიზნით. ხოლო სადეკლარანტო ფირმის დეკლარანტ ლ. ზ.-ს კი ო. დ.-სა და დ. კ.-ის დავალებით სხვადასხვა მეწარმეების სახელით უნდა შეედგინა ყალბი ინვოისები, თანმხლები დოკუმენტები და მათ საფუძველზე სასაქონლო დეკლარაციები.

ჩინეთში საქონლის შესამენად დადიოდნენ ძირითადად დ. კ. და ო. დ. საქართველოში გამოსაგზავნი საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში ლ. ზ.-ს

²⁶⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს არქივი, სს საქმე, # 18/464-18.

მითითებით წერდნენ ისეთ ფასებს, რომ მაკონტროლებელ ორგანოებს არ შეეძლოდათ ეჭვი საქონლის ღირებულების სისწორეში.

ხსენებული ხერხით, ო. დ. - მისი, როგორც ფიზიკური პირის, ასევე, მისი მეგობრების, ინდ.მეწარმე რ. ბ.-სა და ბ. კ.-ის მიერ დაფუძნებული შ.პ.ს. „----ის“ სახელით, დ. კ.-მ მისი და მისი მეუღლის, ნ. ჩ.-ის მიერ დაფუძნებული შ.პ.ს. „----ის“ სახელით, დ. კ.-მ და მისმა ქვისლმა, ინდ.მეწარმე „ზ. ყ.-მა, ინდ.მეწარმე „გ. წ.-მ, ო. დ.-სა და დ. კ.-ს დავალებით ზ. მ.-მა - ინდ.მეწარმე „გ. კ.-ის“, ინდ.მეწარმე „ნ. შ.-სა“ და ინდ.მეწარმე „ა. კ.-ის“ სახელით ერთობლიობაში 2008 წლის 29 მაისიდან - 2012 წლის 24 იანვრამდე პერიოდში შემოიტანეს და საქართველოში იმპორტის რეჟიმით დაადეკლარირეს 1 501 646 ლარის სატარიფო ღირებულების საქონელი, რეალურად კი ამ საქონლის სატარიფო ღირებულება იყო 573 194 ლარით მეტი, რითაც ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა სახელმწიფო ბიუჯეტს გადაუხდელი იმპორტის გადასახდელების სახით მიაყენეს 187 327 ლარის ოდენობის ზიანი.

აღნიშნულ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ დ.კ.-ს და ო. დ.-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის უნდა დაკისრებოდათ, რადგან მათ შექმნეს აღნიშნული ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდნენ მას, რადგან დ.კ. და ო. დ. საქართველოში შემოიტანილ საქონელს სხვადასხვა მეწარმეებზე აფორმებდნენ. ამისათვის, ზ. მ.-სა და მ. ი.-ს, დაავალეს მეწარმეების მოძიება მათ სახელზე ტვირთების საბაჟო გაფორმების მიზნით. ხოლო სადეკლარანტო ფირმის დეკლარანტ ლ. ზ.-ს, დ. კ.-მ და ო. დ.-მ დაავალეს სხვადასხვა მეწარმეების სახელით შეედგინა ყალბი ინვოისები, თანხმლები დოკუმენტები და მათ საფუძველზე სასაქონლო დეკლარაციები.

დ. კ. და ო. დ. თავად დადიოდნენ ჩინეთში საქონლის შესაძენად, ხოლო ლ. ზ. მათი მითითებით წერდა ისეთ ფასებს, რომ მაკონტროლებელ ორგანოებს არ შეეძლოდათ ეჭვი საქონლის ღირებულების სისწორეში.

აღნიშნული ხერხით დ.კ.-მ დ. ო.დ.-მ სხვადასხვა მეწარმის სახელით, 2008 წლის 29 მაისიდან - 2012 წლის 24 იანვრამდე პერიოდში შემოიტანეს და საქართველოში იმპორტის რეჟიმით დაადეკლარირეს 1 501 646 ლარის სატარიფო ღირებულების საქონელი, რეალურად კი ამ საქონლის სატარიფო ღირებულება იყო 573 194 ლარით მეტი, რითაც ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა სახელმწიფო ბიუჯეტს გადაუხდელი იმპორტის გადასახდელების სახით მიაყენეს 187 327 ლარის ოდენობის ზიანი.

ამდენად, თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთები, როგორცაა შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიური, ფეთქებადი, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის საქართველოში დადგენილი წესის დარღვევით შემოტანა საფრთხეს

უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, რის გამოც, აღნიშნული ნივთების შემოტანა მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. მათი საზღვარზე შემოტანის და გატანის წესი დადგენილია ნორმატიული აქტებით. ამასთან, ამ წესთაგან რამდენიმე, როგორცაა ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“, ცნობილია ძალადაკარგულად.²⁶⁹ ასევე, მომწამლავი და შხამიანი ნივთიერებების, დეფინიცია არცერთ ნორმატიულ აქტში არ არის განმარტებული, მასობრივი განადგურების იარაღის დეფინიციაზე კი ჯერ ჩამოყალიბებული პოზიცია საერთაშორისო სამართალშიც არ გვხვდება, რაც ამ ტერმინების არასწორი გამოყენების რისკს ქმნის. ნაშრომში დეტალურად იქნა განხილული, რა იგულისხმება სსკ-ის 214-ე მუხლში გათვალისწინებული თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებებში, რომელი მათგანი შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი და რომელი კატეგორიის ნივთიერებები და მასალები უნდა იქნას მოაზრებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის დისპოზიციაში. ასევე, მე-2 ჯგუფის რადიაციული ნივთიერებების საქართველოში შემოტანასა და გადატანასთან დაკავშირებით განხილული იყო საკითხები, როდესაც საქართველოს მოქალაქე და უცხო სახელმწიფოს მოქალაქე არათანაბარ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული.

დავადგინეთ, რომ ფეთქებადი ნივთიერებების ეტიკეტირება სავალდებულოა, რის გამოც ეტიკეტის არ ქონის შემთხვევაში დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირი დაისჯება სისხლისსამართლებრივი წესით, რაც არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. თუ პირი ყველა საჭირო დოკუმენტაციას წარადგენს საბაჟოზე და არ მოხდება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ტვირთის შემოტანა, იგი ადმინისტრაციული წესით უნდა დაისაჯოს.

დასახელებული იქნა კანონმდებლობის ხარვეზი, რაც გამოიხატება იმაში, რომ საბრძოლო მასალა არ შედის შეიარაღების ცნებაში,²⁷⁰ რის გამოც საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის დროს პირი დაისჯება სსკ-ის 236-ე მუხლით, რაც აშკარად ეწინააღმდეგება კანონმდებლის ნებას.

²⁶⁹ „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე მუხლი 1. 25.11.2004

²⁷⁰ საქართველოს კანონი „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“, 28.04.1998, მუხლი 1.

ასევე, კულტურული მემკვიდრეობის შემოტანა/გატანის საკითხზე დავადგინეთ, რომ 100 წელზე მეტი ხნის ერთი მონეტის საქართველოში შემომტანი დაისჯება სისხლის სამართლის წესით, მიუხედავად ამ მონეტის ღირებულებისა. მაშინ, როდესაც მოძრავი ნივთის შემოტანის დროს დაწესებულია ღირებულების ზღვარი, რომლის მინიმუმი საზღვარზე მაღულად შემოტანის შემთხვევაში 5000 ლარია, რის გამოც საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის შემოტანის/გატანის შემთხვევაშიც მოქმედებდეს ისეთივე ღირებულებითი ზღვარი, როგორც ეს სსკ-ის 214-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებისთვის არის დაწესებული.

განვიხილეთ ისეთი საკითხი, როდესაც ერთი პისტოლეტის გადატანა ან გადმოტანა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, იმავე საფრთხის შემცველადაა მიჩნეული საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, როგორც მასობრივი განადგურების იარაღისა. საქმე ისაა, რომ განსახილველ ნორმაში ერთადაა მოქცეული საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის და მასობრივი განადგურების იარაღის გადმოტანის შემთხვევები. პრობლემის გადასაჭრელად შეთავაზებულ იქნა ამ ნორმაში ცვლილების შეტანა და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება. ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანისთვის კი ცალკე საზოგადოებრივ უშიშროების თავში მოქცევა.

და ბოლოს, თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფ ნივთებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ საგადასახადო კოდექსი სასაქონლო ოპერაციების რამდენიმე რეჟიმს მოიცავს. კერძოდ, ესენია: იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, საწყობი, რეექსპორტი, შიდა გადამუშავება, გარე გადამუშავება, დროებითი შემოტანა, თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობი. ამ სასაქონლო ოპერაციებიდან საქართველოს ეკონომიკურ ინტერესს ზიანი ადგება მხოლოდ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის საბაჟო წესის დარღვევით იმპორტის, რეექსპორტის და დროებითი შემოტანის დროს, რის გამოც ექსპორტი, ტრანზიტი, საწყობი, შიდა გადამუშავება, გარე გადამუშავება, თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობის სასაქონლო ოპერაციების განხორციელების დროს პირი ადმინისტრაციულად უნდა ისჯებოდეს. ამ არგუმენტს ამყარებს ის, რომ სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი ქმედებას მის მიერ გამოწვეული ზიანის მცირე მნიშვნელობის გამო არ განიხილავს დანაშულად. სსკ-ის 214-ე მუხლის რედაქცია საჭიროებს ცვლილებას, რათა დაკონკრეტდეს, თუ რომელი სასაქონლო ოპერაციის დროს დაისჯება პირი სისხლისსამართლებრივი წესით. ამგვარი ცვლილების შედეგად საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის საბაჟო წესის დარღვევით იმპორტის, რეექსპორტის და დროებითი შემოტანის დროს

პირი დაისჯება სისხლისსამართლებრივი წესით, ხოლო სხვა
სასაქონლო ოპერაციის დროს - საგადასახადო კოდექსით.

კარი V. საბაჟო რეგულირების შედარებით–სამართლებრივი ანალიზი

თავი 1. საბაჟო საკითხების სამართლებრივი რეგულაციის ფარგლები საფრანგეთის მაგალითზე

საბაჟო ურთიერთობების სფეროში წესების დარღვევაზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეაგირება ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა, თუმცა, რა თქმა უნდა, როგორც უკვე აღინიშნა, უმრავლეს ქვეყანაში ნაციონალური კანონმდებლობა და ადათობრივი წეს-ჩვეულებები, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს სახელმწიფოსა და თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური ინტერესებიდან და, შესაბამისად, საბაჟო ურთიერთობების სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმები სრულ ჰარმონიზაციაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

როგორც უკვე ითქვა, საბაჟო სამართალდარღვევებზე რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, რადგან საბაჟო წესების დარღვევა ხომ, პირველ რიგში, სახელმწიფოს და მოკავშირე ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ არის მიმართული. აღნიშნული სამართალდარღვევების გამოვლენა საკმაოდ რთულია, მათ მიერ გამოყენებული გაყალბების მეთოდებიდან გამომდინარე და ეს გაყალბების მეთოდებიც, დროის შესაბამისად, სულ უფრო და უფრო იხვეწება.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აუცილებელია მმართველი რგოლების უფლებამოსილების გაძლიერება როგორც საბაჟო დარღვევების აღმოჩენის დონეზე, ასევე, საპროცესო მოქმედებებისა და სანქციების დაწესების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საბაჟო ურთიერთობების სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსები, ასევე, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ: „აუცილებელია საბაჟო სამართალი განვითარდეს ორი მიმართულებით - თავისი განსხვავებულობით მან უნდა უპასუხოს სისხლის სამართლის პროცედურებს და, ამავდროულად, თავისი განსხვავებული ხასიათით უნდა შეესაბამებოდეს საგადასახადო პროცედურებს. იგი აღარ უნდა არსებობდეს სხვადასხვა ტიპის სამართლისგან დამოუკიდებლად. უნდა მოხდეს საბაჟო სამართლის მნიშვნელოვანი რეგულირება და კონსტიტუციის ფარგლებში მოქცევა სამართალზე დაყრდნობით. ორივე იურისდიქცია - როგორც ევროპული, ასევე, ეროვნული, თამაშობს თავის მნიშვნელოვან როლს საბაჟო სამართლის დარეგულირების საქმეში. ის განსაკუთრებული პრეროგატივები, რომლებიც ენიჭება საბაჟოს, დასუსტების გზაზეა. თუმცა ისინი უფრო ძლიერად არის წარმოდგენილი იმ სფეროებში,

რომლებშიც მათი როლი უფრო მნიშვნელოვნად არის გამოხატული. საბაჟო სისხლის სამართალი რჩება გამორჩეული თავისი უფლებების მხრივ, განსაკუთრებული საპროცესო მოქმედებებისა და სანქციების მხრივ.²⁷¹

გვსურდა რა, გაგვეანალიზებინა საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა საბაჟო ურთიერთობების სფეროში, ჩვენ შევისწავლეთ რამდენიმე ქვეყნის საბაჟო ორგანოს საქმიანობა, მათ შორის, დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მაგალითზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანობის პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, კონკრეტული ქვეყნები დიდი განსხვავებით არ გამოირჩევიან, თუმცა, პრაქტიკული საქმიანობის მრავალმხრივობითა და საბაჟო ურთიერთობების დიფერენცირების თვალსაზრისით, ჩვენი საკმაოდ დიდი ინტერესი ერთმა ქვეყანამ მაინც გამოიწვია. ეს დიდი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეს ქვეყანა და მისი იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე, ითვლება ევროპაში რეფორმების ფუძემდებლად, რადგან მის სახელს უკავშირდება საგადასახდო სისტემის რეფორმა საფრანგეთში, ეკონომიკური რეფორმა, სხვადასხვა დარგობრივ სფეროში გაბატონებულ ადათ-წესებთან ნოვატორული მიდგომა. საფრანგეთში განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ევროპის სხვა ქვეყნების განვითარებაზე. ნაპოლეონი ითვლება, ასევე, პირველი სამოქალაქო კოდექსის ავტორად, რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო თავისი მასშტაბებითა და შინაარსით.²⁷² სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება საბაჟო ურთიერთობების სფეროში საფრანგეთის მაგალითზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის საბაჟო ორგანო უდავოდ წარმოადგენს უზენაესი უფლების მქონე ადმინისტრაციულ ინსტიტუტს, რომელიც აღჭურვილია განსაკუთრებული იურიდიული ბერკეტებით, კერძოდ, საუბარია იმ ზეწოლის ბერკეტებზე, რომელთაც ის ფლობს და იმ სანქციებზე, რომელთაც იგი იყენებს საბაჟო წესების დამრღვევების - კონტრაბანდისტების წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციფიური, კანონიერი და განსაკუთრებით ეფექტური მეთოდების გამოყენებით.

თუ საბაჟო ინსტიტუტების განვითარების პროცესს საფრანგეთში ისტორიულად მივყვებით, ვნახავთ, რომ 1993 წლის 1-ელ იანვარს ერთიანი ბაზრის შექმნამ, რომელმაც დააკანონა როგორც ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება, ისე საქონლისა და კაპიტალის

²⁷¹ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 113-115.

²⁷² ი.ხ. ნ. ბონაპარტე, წმინდა ელენეს პატიმრის მაქსიმეზი და აზრები, თბილისი, 2014, გვ. 14-16.

თავისუფალი მიმოქცევა თანამეგობრობის სახელმწიფოებს შორის, ყოველგვარ საბაჟო ფორმალობებზე უარის თქმის ხარჯზე, საფრანგეთში ძირეულად შეცვალა საბაჟოს ადმინისტრაციის ფუნქციები, კერძოდ, საფრანგეთის საბაჟოების ადმინისტრაცია ასრულებს პირველ რიგში საგადასახადო მისიას, ვინაიდან, ევროკავშირის სასარგებლოდ იგი აწარმოებს გადასახადების აკრეფას მესამე სახელმწიფოებიდან შემოტანილ პროდუქციაზე. საბაჟო გადასახადები ისევე, როგორც საბაჟო შეღავათები დაწესებულია საბაჟოს მიერ. რაც შეეხება ეროვნულ პროდუქციას, საბაჟო ორგანო ვალდებულია შიდა გადასახადი დააწესოს და აკრიფოს მაგ., - ნავთობპროდუქტებზე, ხოლო სპეციალური გადასახადები - სატრანსპორტო საშუალებებზე (გადასახადები სატრანსპორტო საშუალებებზე, ნავიგაციის ყოველწლიური უფლება საზღვაო ტრანსპორტზე, ასევე ზოგიერთ საჰაერო ხომალდზე).²⁷³ ფრანგული პრაქტიკა, საბაჟო ურთიერთობების სფეროში თავისი განვითარების ისტორიითა და რეფორმების თვალსაზრისით, მეტად საინტერესოდ და გასათვალისწინებლად მიგვაჩნია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისთვის.

ასევე, არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ 1993 წელს საფრანგეთის საბაჟოს მიანდეს არაპირდაპირი გადასახადების სექტორი: გადასახადები მეღვინეობაზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოზე, მარცვლეულზე, ავტომატური თამაშების დანადგარებზე, ძვირფას მეტალებზე, რაც გულისხმობს მათი გამოყენებისა და მოხმარების უფლებებზე გადასახადების დაწესებას. საბაჟოს, ამავდროულად, აქვს ეკონომიკური როლიც, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ევროკავშირისა და მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმებების დაცვას, რაც გულისხმობს ზოგიერთ პროდუქციაზე რაოდენობის ზღვრის დაწესებას, ანუ ზოგიერთი პროდუქციის მიმართ რაოდენობრივ შეზღუდვას. იმ საქონელზე კონტროლის გაწევას, რომლის მიმოქცევაც გარკვეულ შეზღუდვას ექვედებარება, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე (შეიარაღება, კულტურული მემკვიდრეობა, მედიკამენტები და ა.შ.). ევროკავშირის დონეზე, საფრანგეთის საბაჟომ შეინარჩუნა თანამეგობრობათაშორისი დღგ-ის გადახედვის უფლება, ვინაიდან მას ასევე ევალება თანამეგობრობათაშორისი მიღება-ჩაბარების დეკლარაციებში დარღვევების კონტროლი. იგულისხმება ის დეკლარაციები, რომლებიც შედგენილია თანამეგობრობათაშორისი გაცვლა-გამოცვლის შესახებ ინფორმაციის შეკრების მიზნით, როგორც სტატისტიკური მიზნით, ასევე, საგადასახადო კონტროლის

²⁷³ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 146-147.

თვალსაზრისით. პრაქტიკა მეტად საინტერესო და ზედმიწევნით გასათვალისწინებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის საბაჟო ორგანოები თამაშობენ არც თუ უმნიშვნელო როლს საერთო აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში, რაც გულისხმობს საორიენტაციო ევროპული და აგრარული გარანტიის ფონდის დახმარებების ბენეფიციარების კონტროლს, ასევე, აგრარულ სფეროში გაწეული დახმარებების პროცედურების მეთვალყურეობას. ეკონომიკურ მისიებში უნდა ჩაითვალოს, ასევე, საფრანგეთის საბაჟო ორგანოების ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ, რომელიც უდიდეს დარტყმას აყენებს ეროვნულ ეკონომიკას. და ბოლოს, საფრანგეთის საბაჟოს განსაკუთრებულ მისიას წარმოადგენს ბრძოლა თაღლითობის წინააღმდეგ, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებების, სიგარეტისა და იარაღის წინააღმდეგ, ასევე, ბრძოლა ფულის გათეთრების წინააღმდეგ, კერძოდ, კაპიტალის მიმოსვლის კონტროლის გზით, რომელიც მომდინარეობს უცხოეთიდან ან მიმართულია უცხოეთისკენ.²⁷⁴

ანტითაღლითური ბრძოლის მისია, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, ასევე, გულისხმობს სხვადასხვა ტიპის დამცავ მისიებსაც, მაგ., გარემოს დაცვა. საბაჟო ვალდებულება, განხორციელოს კონტროლი ფლორისა და ფაუნის ზოგიერთი სახეობის მიმართ, კერძოდ, დაიცვას ფლორა და ფაუნა ბრაკონიერთა შემოტევისგან ან სულაც ნარჩენების მიმოქცევაზე, ასევე, ზრუნავს მომხმარებლის დაცვაზე, ვინაიდან საბაჟო თანამშრომლობს ვეტერინარული სამსახურის სანიტარული კონტროლის ორგანოებთან, ასევე, მოითხოვს უსაფრთხოების ტექნიკური ნორმების დაცვას. ეს ადმინისტრაცია ასევე უზრუნველყოფს პორტების, აეროპორტებისა და სადგურების უსაფრთხოებას. მას აქვს ერთმანეთისგან უკიდურესად განსხვავებული მისიები, ზოგი ტრადიციული, ზოგი შედარებით ახალი, მაგრამ ყველა მათგანი საჭიროებს ძალიან სპეციფიური და ტექნიკური რეგლამენტის განხორციელებას. კერძოდ, საუბარია საბაჟოების კოდექსითა და განსაკუთრებული საკანონმდებლო ტექსტებით გათვალისწინებულ საბაჟო რეგლამენტზე, რომლებიც რეკომენდებულია სამინისტროებისა და სპეციალიზებული ორგანოების მიერ, და რომელიც უზრუნველბა ისევ საბაჟოს საქმეთა განსახილველად და საბაჟო დარღვევების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა მოხდეს მის მიერ და მისთვის განკუთვნილი უფლებების განხორციელება.

²⁷⁴ იხ. R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 121.

ფრანგული საბაჟო ორგანოების ძალისხმევა მეტად სერიოზულია და საკმაოდ ეფექტურიცაა საფრანგეთის ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის საქმეში. საბაჟო მისიების მთავარი არსი მდგომარეობს სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ გადასახადების აკრეფაში, ასევე კერძო პირთა საქონლის კონტროლში იმ მიზნით, რათა მოხდეს მათ შორის სახიფათო საქმიანობისა და კონტრაბანდული მიზნების გამორჩევა.

საფრანგეთის საბაჟო ორგანოების მიერ აღნიშნული მისიების განხორციელების ხერხებმა და საშუალებებმა დღემდე ათასგვარი ძირეული ცვლილება განიცადა.

იმისთვის, რომ მოხდეს საფრანგეთის საბაჟო სამართლის საპროცესო ღონისძიებებისა და სანქციების მექანიზმების თავისებურებების სწორად აღქმა, საჭიროა გავიხსენოთ ის ისტორიული ცვლილებები, რომლებმაც საფრანგეთის საბაჟო ორგანო აქცია ადმინისტრაციულ ორგანოდ, რომელსაც აქვს ხშირ შემთხვევაში სადამსჯელო უფლებები, საერთო სისხლის სამართლის სფეროში, რომლის პროცედურული წესები, ძირითადად, მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს საბაჟო დარღვევებზე რაც შეიძლება სწრაფი და ეფექტური რეაგირება. უნდა მოხდეს იმის გარკვევა, თუ რითი არის განპირობებული კანონმდებლების მიერ საბაჟო ადმინისტრაციისათვის ამხელა უფლებების მინიჭება. საგარეო სავაჭრო უფლებების კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მთავარ რგოლს. ამასთან, საბაჟოს სახელი ყოველთვის დაკავშირებულია ეროვნული ინტერესების დაცვასთან. ეს ადმინისტრაციული ორგანო ფლობს იურიდიული უფლებების მთელ არსენალს, იგი არის სადამსჯელო ორგანო ზოგად სამართალში, ასევე, აქვს სრულიად გასხვავებული და ატიპური ტერიტორიული მდებარეობა. საბაჟო სისხლის სამართლის სფეროს განსაკუთრებულობა მნიშვნელოვანწილად აიხსნება საბაჟოების ადმინისტრაციის განსაკუთრებული ისტორიითა და მისი უფლებების განვითარებით. ყოველივე აღნიშნული მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია ცალკეული დეტალების საქართველოს პრაქტიკაში იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული, სახელმწიფოები იღებდნენ გადასახადს იმ საქონელზე, რომლითაც საზღვრები უნდა გადაეკვეთათ. ეს გადასახადები, რომელიც ძირითადად იმპორტირებისას იკრიბებოდა, საგადასახადო მოთხოვნებს პასუხობდა, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს ხაზინის შევსების აუცილებლობას. ასევე, დაწესდა ემბარგოც. იგი მიზნად ისახავდა ექსპორტის დროს აუცილებელი პროდუქტისა და საკვები პროდუქტის დაცვას ყოველგვარი საფრთხისაგან.

საბაჟოების დახურვა მდგომარეობდა შემდეგში, რომ ამიერიდან თავად კერძო პირებს ენიჭებოდათ უფლება, რომ გაეუქმებინათ ან აეკრიფათ კონტრაქტით ფიქსირებული გადასახადები გარკვეული ხნის განმავლობაში. კერძოდ, ის გადასახადები, რომლებიც ფერმერებს უნდა გადაეხადათ მეიჯარეებისთვის (ბატონი, ქალაქის მმართველობა და ა.შ.). ეს პროცედურა გულისხმობდა, რომ არენდატორი თავის თავზე იღებდა გადასახადების აკრეფისა და ადმინისტრაციის ყოველგვარ ვალდებულებას, რომელიც მისი მმართველობის ქვეშ იყო. იგი, აგრეთვე, იძულებული იყო, აეტანა ის დანაკარგები, თუ სახაზინო შემოსავლები ვერ აღწევდა ფიქსირებულ და განსაზღვრულ მაჩვენებელს. მალევე მოხდა საზღვარზე შესვლის და გასვლის უფლებების გაზრდა და ყველა ფერმერი მოითხოვდა თავისი უფლების განხორციელებას. მე-16 საუკუნის ბოლოს სიული, უმაღლესი საფინანსო ორგანო, მიანდობს ფერმერების არენდის საქმეს ერთადერთ კომპანიას, კერძოდ, საქმე ეხებოდა „ხუთი მსხვილი ფერმისგან შემდგარ“ ზონას, რომელიც შედგებოდა მეფის უფლებისადმი დაქვემდებარებული პროვინციებისგან. მან შეძლო ერთიანი საბაჟო რეგლამენტის გამარტივება, კერძოდ იმით, რომ გააუქმა შიდა საზღვრები ზემოაღნიშნულ ხუთი უმსხვილესი ფერმის ქვეყნებსა და იმ ქვეყნებს შორის, რომელიც უცხოურად ითვლებოდა, რათა შექმნილიყო ერთიანი საბაჟო ტერიტორია, თუმცა პროვინციებმა უარი თქვეს გაერთიანებაზე.²⁷⁵

სამეფოს საგადასახადო სისტემის ერთიან ჩარჩოში მოსაქცევად, კოლბერი 1661 წელს საფრანგეთის ხელისუფლებას სთავაზობს „სავაჭრო საქონელზე ერთიან ტარიფს“ და 1681 წელს აარსებს ერთადერთ საიჯარო სისტემას, სამეფოს არაპირდაპირი გადასახადებისათვის.

საფრანგეთში კოლბერტიზმი ძირითადად ემყარებოდა ინტერვენციულ პოლიტიკას, რომელსაც საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა საბაჟოს უფლებებზე: უცხოური ტრანსპორტით შემოტანილ საქონელზე მომატებული გადასახადის დაწესება, საბაჟო კონტროლის ქვეშ სასაქონლე საწყობების შექმნა. 1664 წელს, იგი აწესებს ერთადერთ საბაჟო ტარიფს, რომელიც ფრანგული პროდუქციის დაცვას ისახავს მიზნად. კოლბერის შემდეგ გაუქმდა შიდა ბარიერები და საბაჟო სამსახურები დაწესდა მხოლოდ სამეფოს საგარეო საზღვრებზე. სამეფო ფერმის როლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ გადასახადების აკრეფით. მას აგრეთვე ეკისრება „საბაჟოების“ როლიც (საგარეო საბაჟოები საგარეო საზღვრებზე და პროვინციების საზღვრებზე,

²⁷⁵ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 25.

რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ იმავე საგადასახადო და საბაჟო სისტემას), „ვაჭრობის ბალანსი“ (საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის პირველი ფორმა), „დახმარებები“ (გადასახადი მოხმარებულ საქონელზე, რაც პირველ რიგში სასმელს შეეხებოდა), „თამბაქოს ექსკლუზიურად გაყიდვის პრივილეგიები“ და „გადასახადები მარილზე“ (მარილის გაყიდვის უფლება, რომელიც შეიქმნა მეტოთხმეტე საუკუნეში). იმ პერიოდში სამეფო საგადასახადო ორგანოსთვის მინიჭებული ფუნქციები მნიშვნელოვნად ჰგავს ამჟამინდელი საბაჟოს ფუნქციებს. 1681 წლის და 1687 წლის ბრძანებულებები საფუძველს უყრის თანამედროვე საბაჟოს კანონმდებლობას.

ფერმა - როგორც სამეფო საგადასახადო ორგანო, ავითარებდა, ასევე, ადამიანთა და საქონლის მიმოსვლის კონტროლის ეფექტიან მექანიზმებს. საქონლის ყველაზე მსხვილი ნაკადების შემოღინება ხდებოდა ზღვიდან: სამეფო საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ახორციელებდნენ კონტროლს სანაპიროებზე, რათა ეიმულებინათ გემები, რომ საბაჟოს გავლით, შესულიყვნენ პორტებში და იქ მოეხდინათ საქონლის დაცლა. სამეფო საგადასახადო ორგანოს „მებაჟეები“ ახორციელებდნენ გადმოტვირთული საქონლის დათვალეობას, რის შემდეგაც ადგენდნენ სპეციალურ დეკლარაციას და წარადგენდნენ ფერმის მმართველობის წინაშე, რომლებიც ახდენდნენ საქონლის დათვლას და კონტროლს. ეს სამსახური კრებდა სახელმწიფო შემოსავლების 50%-ზე მეტს. ბიუროები ამოწმებდნენ, აუქმებდნენ ან აწესებდნენ გადასახადებს, ხოლო მათი ბრიგადები ახორციელებდნენ კონტროლს, ებრძოდნენ კონტრაბანდას, უნიფორმებში გამოწყობილი აგენტები იმავდროულად იარაღითაც იყვნენ აღჭურვილები.

უფლებების სიმრავლე, რეგლამენტებისა და ბრძანებულებების მრავალფეროვნება, რომლითაც ხდებოდა აღნიშნულ სფეროში საკმაოდ მკაცრი სანქციების დაწესება, მათი განხორციელება შესაბამისი ორგანოების მიერ, რაც საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა მარილის ჭარბი წონის გადატანის შემთხვევაში, გარკვეული ხნის შემდეგ მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდას იწვევდა და ეს ყველაფერი რევოლუციამდეც კი მივიდა.

ფერმის (სამეფო საგადასახადო ორგანოს) მიერ მარილის გადატანაზე გადასახადის დაწესება თვალსაჩინო მაგალითი იყო აღნიშნული საბაჟო ორგანოსადმი მზარდი უფლებების მინიჭებისა, რომელთაგან ზოგიერთი დღემდეც კი არის შემორჩენილი. პერიოდულად ვითარდებოდა მარილის კონტრაბანდა, ვინაიდან იგი განსაკუთრებით შემოსავლიან საქმედ ითვლებოდა. ამ კონტრაბანდის წინააღმდეგ საბრძოლველად ფერმას საკმაოდ მნიშვნელოვანი

უფლებები ჰქონდა, კერძოდ, მისი აგენტები იყვნენ შეიარაღებული, მათ, ასევე, ჰქონდათ ჩხრეკის უფლება, მათ შორის, ისეთი ადგილებისაც, რომლებიც კეთილშობილებს ან საეკლესიო პირებს ეკავათ, ასევე, შეეძლოთ შესაბამისი აქტის შედგენა. კონტრაბანდისტების თანდასწრებით მეზაჟეებს უფლება ჰქონდათ, უცხოური მარილის ამოღების შემთხვევაში, გაეყიდათ მარილიც, ტრანსპორტიც და განეხორციელებინათ მისი ჩხრეკაც. კონტრაბანდა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური რესურსების დაკარგვას და საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენებას, მის წინააღმდეგ გამოყენებული იყო მძიმე და რეპრესიული პოლიტიკა, ასევე, სამეთვალყურეო პრევენციული ზომები სპეციალური ბრიგადების მიერ. ფერმის თანამშრომლებს, ასევე, მინიჭებული ჰქონდათ უფლება, რომ განეხორციელებინათ იურიდიული პროცედურები და გამოეცხადებინათ კონტრაბანდისტების დევნა თავიანთი ტერიტორიის მიღმაც კი. სპეციალური კონტროლი ხორციელდებოდა მარილსახდელებსა და მარილის მაღაზიებში, რათა მომხდარიყო, კონტრაბანდის თავიდან აცილება. მათ, აგრეთვე, ჰქონდათ ჩხრეკის უფლებაც.

ფერმის (სამეფო საგადასახადო ორგანოს) მიერ ათვისებულ იქნა რეპრესიული სისტემა. უკვე თავი იჩინა საგამომიებო ორგანოსა და სადამსჯელო ორგანოს მსგავსმა ადმინისტრაციამ, რომელიც რამდენადმე ჰგავს ამჟამინდელი საბაჟო სისხლის სამართლის დაწესებულებას. ამგვარად, როდესაც კონტრაბანდისტს აკავებდნენ, იძახებდნენ „მთავარ მეზაჟეს“ ან კაპიტანს, რომელსაც უნდა შეედგინა დაკავებისა და ამოღების ოქმი. საკანონმდებლო ტექსტების თანახმად, ამოღებული ქონება და პრემიები სწორედ მას ეკუთვნოდა, ვინც კონტრაბანდისტების დაკავებას მოახდენდა. მოსამართლის შერჩევის უფლება, ასევე, გავრცელდა მცველებზეც, პროცედურისა და სადამსჯელო ღონისძიებების სისწრაფისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ისინი თავადვე განსაზღვრავდნენ, თუ რომელი სასამართლო უფრო კომპეტენტური იქნებოდა დროის, ადგილის და ვითარების მიხედვით. ამ პეროიდში მიიღეს კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი ტექნიკური ზომები. მარილის გადატანა ხდებოდა კასრებით, რომელთაც შემოკრული ჰქონდა სპეციალური სქელი ტილოს ნაჭერი, ეს გახლავთ მეთოდი, რომელიც არის წინამორბედი დღევანდელი საბაჟო დალუქვის მეთოდისა. შეიქმნა კანონმდებლობა, რომელიც აუცილებელს ხდიდა, შექმნილიყო საბაჟო დოკუმენტაცია. ამ საშვებმა უდიდესი როლი ითამაშა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მასში მითითებული იყო გვარი, მოვაჭრის რანგი, მისამართი, საქონლის ფასი. ტრანსპორტიორს უნდა წარმოედგინა თავისი საბუთი ადგილობრივი მმართველი

ორგანოებისათვის, საქმიანობის ტერიტორიის მიხედვით. როდესაც გადაჭკონდათ მარილი, მათ უნდა წარმოედგინათ აღნიშნული საშვი საზღვრამდე მდებარე ბოლო სოფლის ოფიცრისთვის და, ასევე, უნდა წარმოედგინა აღნიშნული სერტიფიკატი იმ მარილსახდელის უფროსისათვის, რომელიც მან მოამარაგა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებული იყო ჯარიმა. 1738 წელს კანონმდებლობა შეიცვალა: ფერმის მიერ გამოყოფილი „მებაჟეები“ ნაწილდებოდნენ გზებზე, კერძოდ, საზღვრამდე ბოლო სოფელში და ექვემდებარებოდნენ იმ ოფიცრებსა და მერებს, რომლებიც მათ აძლევდნენ სერტიფიკატების გაცემის ბრძანებას. ამგვარად, შეიძლება ვისაუბროთ კონტრაბანდის წინააღმდეგ გამოგონილი ტექნიკის თანამედროვეობაზე, კერძოდ, იმ მეთოდებზე, რომლებიც იქცა კლასიკურ მეთოდურ საშუალებებად საბაჟო საქმიანობაში, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში.

ამას თან ერთვოდა სტატისტიკური საშუალების შექმნაც. სპეციალური ბიულეტენები, ორმაგი რეესტრი, რომლებიც იძლეოდა არა მხოლოდ კონტრაბანდისტთა დაკავების შესაძლებლობას, არამედ სტატისტიკის შექმნისა და საქონლის შიდა მოხმარების განვითარების გაზომვის შესაძლებლობას, ასევე, ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლის განსაზღვრას. იმ დროის საბაჟო სისხლის სამართალი, ასევე, საკმაოდ ბევრ უფლებას ანიჭებდა სამეფო კონტროლის ორგანოს.

საფრანგეთში საბაჟო ურთიერთობების სფეროში დარღვევის აღმოჩენა შესაძლებელი იყო ნებისმიერ ადგილას, რაც გახლავთ აშკარა პრივილეგია მებაჟეებისათვის, კერძოდ, „მებაჟეებს“ უფლება ჰქონდათ, შეედწიათ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, მიწაზე, სამთავროებში, საცხოვრებლებში, რელიგიურ სახლებში, ისე, რომ ვერავითარი იმუნიტეტი მათ ვერ დაუპირისპირდებოდა. ეს უდიდესი ძალაუფლება მიზნად ისახავდა კონტრაბანდისტების წინააღმდეგ ბრძოლას. კონტრაბანდის შემადგენელი ნაწილი იყო, ასევე, ყალბი ხელმოწერები, ყალბი პასპორტები, ყალბი საშვები, არაზუსტი წონისა და ზომების დაფიქსირება.

დაკავება შეიძლებოდა განხორციელებულიყო ნებისმიერი პიროვნების მიერ, ვინც კი დარღვევის ფაქტს აღმოაჩენდა. დაკავებული პიროვნება დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა სასამართლო მოხელეებს და პროცედურაც უნდა დაწყებულიყო, რათა გარანტირებული ყოფილიყო დაკავებული პიროვნების უფლებების დაცვა. თუ დაკავებული პირი წინააღმდეგობას გაუწევდა სამართალდამცველებს და მას ამის გამო მოკლავდნენ, არ ხდებოდა მისი მკვლელების პასუხისგებაში მიცემა. 1733 წლის ბრძანებულების 22-ე მუხლის თანახმად: „არავითარი სამართლებრივი დევნა არ განხორციელდება იმ პირების მიმართ, ვინც მოკლავს წინააღმდეგობის გამწევ კონტრაბანდისტ პირს. ამ შემთხვევაში პროკურორებს ევალებათ

სრული დუმილი“. ფიზიკური შეხლა-შემოხლის დროს მებაჟეებსა და კონტრაბანდისტებს შორის ბრძოლა საკმაოდ მწვავე ხასიათს იღებდა ხოლმე. საბაჟოს, ასევე, საკმაოდ ბევრი უფლების გამოყენება შეეძლო მარილის კონტრაბანდისტების წინააღმდეგ, რომელთა იდენტიფიცირებაც ხდებოდა, თუმცა კონტრაბანდისტები მაინც ახერხებდნენ მებაჟეებისგან თავის დაძვრენას. ეს უფლებები ემყარებოდა სამეფო საბაჟოს მიერ შედგენილ ოქმებს. ამ პრიმიტიულ საფუძველზე მოსამართლეებს შეეძლოთ, ისინი ჩაეთვალიათ დაკავებულად და გამოეტანათ ამ ადამიანების წინააღმდეგ განაჩენი, მათ მიერ სასამართლოს წინაშე წარდგომის გარეშე. მხოლოდ იურიდიულ პროცედურებში გარკვეულ კონტრაბანდისტს შეეძლო ასეთი განაჩენის გასაჩივრება, რაც გულისხმობდა 1720 წლის განკარგულების გარდაქმნას 1754 წელს მიღებული ცვლილებების შესაბამისად. გასაჩივრება უნდა მომხდარიყო სამი დღის ვადაში, რისთვისაც საკმაოდ დიდი თანხა იყო გადასახდელი. იმ ხნის განმავლობაში, სანამ აღნიშნულმა გარდაქმნის პროცედურებმა საბოლოო და ჩამოყალიბებული სახე შეიძინა, სასჯელის აღსრულების პროცედურები საკმაოდ შეფერხდა და კონტრაბანდისტებმაც საკმაოდ კარგად ისარგებლეს ამ დროით. 1754 წელს ასევე მოხდა ჯარიმის თანხის გარდაქმნაც. კერძოდ, საჯარო მო თანხა შემცირდა და იგი უფრო ხელმისაწვდომი გახდა მოქალაქეებისათვის.

რაც შეეხება სამხილების მოტანის საშუალებებს, გამოიყენებოდა საკმაოდ თანამედროვე საშუალებები. აუცილებელი იყო საექვო მარილის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრა, შემდეგ ორ ნიმუშს ათავსებდნენ შესაბამის დალუქულ კონვერტებში, ასვამდნენ ბეჭედს და აგზავნიდნენ სასამართლოს კანცელარიაში. შემდგომ შედგებოდა შესაბამისი ოქმი, რომელიც ეგზავნებოდა ექვმიტანილს. მოსამართლე იწვევდა მხარეებს და გადასცემდა აღნიშნულ ნიმუშებს მხარეების მიერ მოწვეულ ექსპერტებს, რაც იძლეოდა დაცვის უფლებების გარანტიას: ექსპერტი შეადგენდა დასკვნას ხარისხის თაობაზე. როდესაც საუბარი იყო უცხოურ მარილზე პროცედურა მიმდინარეობდა საკმაოდ სწრაფად, ვინაიდან 1733 წლის ბრძანების თანახმად, განაჩენი გამოტანილი უნდა ყოფილიყო „პროცედურის დაწყებიდან ოცდაოთხი დღის განმავლობაში“.

მსჯავრდებულს ეძლეოდა ერთი თვე, რათა დაეფარა იმ ჯარიმით გათვალისწინებული თანხა, რომელიც მას დაეკისრა. თუ გადაიხდიდა, საქმეც ცხადდებოდა დახურულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნულ სასჯელს შეიძლება მოჰყოლოდა ქვეყნიდან გამევა, პატიმრობა, 1738 წლიდან განისაზღვრებოდა, იქნებოდა ეს დროებითი თუ სამუდამო.

სასჯელის გადადება შეუძლებელი იყო. მსჯავრდებულს უნდა გადაეხადა დაკისრებული ჯარიმა, მესამე პირს შეემლო გირაოს გადახდა.

საჩქიები მკაცი და მძიმე იყო: საბაჟოს თანამშრომლებს პროცენტები ეძლეოდათ, ხოლო ბრალდებულს სატრანსპორტო საშუალებას ართმევდნენ. დანაშაულის სიმწვავიდან გამომდინარე, ჯარიმის ოდენობა იცვლებოდა, შესაძლებელი იყო ფიზიკური დასჯაც. ფიზიკური სასჯელი სხვადასხვა სახის იყო დანაშაულის სიმძიმეიდან გამომდინარე, მაგ. გაროზგვა და სხვა. 1756 წლიდან ბრალდებულებს ეძლეოდათ უფლება, რომ გადაეხადათ ჯარიმა ნებისმიერ დროს, სასჯელის გარდაქმნის შემდგომ ან სასჯელის მოხდის პერიოდში.

საბაჟო რეპრესიის ეფექტიანობა, რაც გამარტივებული იყო დაჩქარებული პროცედურებით, ხორციელდებოდა გახშირებული დარღვევების წინააღმდეგ. ეს განაპირობებდა სამეფო საბაჟოს და მთლიანად საბაჟო სისტემის მზარდ არაპოპულარობას ხალხში. მარილზე გადასახადის დაწესებამ, რომლის გადაუხდელობაც ძალიან მძიმედ ისჯებოდა, ასევე, გადასახადებმა პირველადი მოხმარების ნივთებზე, ვინაიდან ამით სახელმწიფო ხაზინაში ყველაზე მეტი თანხა შედიოდა, დასვა რევოლუციის შესაძლო მოახლოების საკითხი. კონტრაბანდის მეთოდების გამრავლების საპასუხოდ ხდებოდა რეპრესიული ზომების გამკაცრება. საბაჟო აღარ წარმოადგენდა მხოლოდ ადმინისტრაციულ და საგადასახადო ორგანოს, რომელიც სხვადასხვა პროდუქტზე სხვადასხვა გადასახადებს აწესებდა და რომელსაც სამეფო ხაზინაში დიდი რაოდენობით ფული შეჰქონდა, იგი, ასევე, სარგებლობდა განსაკუთრებული უფლებებით, რაც მას სახელმწიფო წესრიგის დაცვის მიზნით რეპრესიების განხორციელების უფლებას აძლევდა. სახელმწიფო წესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული მისიები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. უნიფორმებში გამოწყობილ მებაჟეებს ხშირად ზურგს უმაგრებდნენ შეიარაღებული სამხედრო ძალებიც. მძიმე იურისდიქციული საჩქიების განხორციელება ნერგავდა საბაჟო დევნის გრძნობას, რომელიც ხალხში საკმაოდ უსიამოვნო გრძნობას და მტრობის განცდას იწვევდა. საჯარო მმართველობის მოხსენებებში საუბარია ჯარიმების დაწესებაზე, რასაც წესით უნდა შეემცირებინა კონტრაბანდის მაჩვენებელი. ასევე, საჭირო იყო ბრძოლა კონტრაბანდის მიზეზების წინააღმდეგ, ისევე როგორც ადმინისტრაციული სისუსტის წინააღმდეგ, და არა საბაჟოების ადმინისტრაციების, პოლიციის უფლებების მეტისმეტად გაზრდა.

თუმცა, სამეფო საბაჟოს სისტემას სახელმწიფოს ბიუჯეტში ყოველთვის შეჰქონდა უდიდესი ფინანსური რესურსი, რაც, გადასახადების გაზრდის გათვალისწინებით, ქრონიკულ დეფიციტს

უქმნის სამეფო ფინანსებს. მეტიც, ხდება რეჟიმების სხვადასხვაობის გაზრდა პროვინციებსა და სოციალურ კლასებს შორის, რამაც 1789 წლის ივლისსა და აგვისტოში სოფლის მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია. 1790 წელს მარილზე გადასახადის გაუქმება გახლდათ პასუხი ამ არეულობის პერიოდისა.

საბაჟო ტარიფების უარყოფითი ზეგავლენა აღიარებული იქნა თვით ფილოსოფოსების მიერაც. ამგვარად, ვოლტერმა დაგმო „ტარიფის“ უარყოფითი მხარეები. ამ სახელწოდებით გამოიცა მაზარინის ედიქტი, სადაც საუბარი იყო საკვებ პროდუქტებსა და საქონელზე გადასახადების მომატებაზე. მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში, მუდმივი დებატები იყო გამართული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცნობილ პიროვნებებს შორის: წამყვანი ადგილები სწორედ ეკონომიკურ თეორიებს ეკავა. ეჭვს ქვეშ დადგა კოლბერტიზმის სიკეთე. ფიზიოკრატები სავაჭრო თავისუფლებას ქადაგებდნენ. მმართველ კლასებში მათ არაერთი მომხრე ჰყავდათ. შიდა ბარიერების გაუქმება, ერთიანი საბაჟო ტარიფის შემოღება ის საკითხები იყო, რაზეც ტრიუდენი, ნეკერი და კალონი გამუდმებით მუშაობდნენ, თუმცა უშედეგოდ, იმდენად დიდი იყო რეჟიმის ბენეფიციართა მხრიდან წინააღმდეგობა.²⁷⁶

მონტესკიე, თავის „კანონის გონში“ განმარტავს საბაჟოს როლს ვაჭრობასთან მიმართებაში: „სადაც ვაჭრობაა, იქ საბაჟოა. ვაჭრობის მიზანია საქონლის ექსპორტი და იმპორტი სახელმწიფოს სასარგებლოდ; საბაჟოების მიზანია, გამოიყენოს გარკვეული უფლება იმავე ექსპორტსა და იმპორტზე ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ. საჭიროა, რომ სახელმწიფო იყოს ნეიტრალური საბაჟოსა და ვაჭრობას შორის, იმგვარად იმოქმედოს, რომ ამ ორმა მხარემ ერთმანეთი არ გადაკვეთოს; რაც მთავარია, ადგილი უნდა ჰქონდეს ვაჭრობის თავისუფლებას“.²⁷⁷

სახალხო უკმაყოფილება, ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე გამოწვეული იყო, ძირითადად, არაპირდაპირი გადასახადების სისტემით.

საკანონმდებლო ასამბლეა მხედველობაში იღებს ამ შენიშვნებს და აუქმებს არაპირდაპირ გადასახადებს. იგი ინარჩუნებს მხოლოდ რეგისტრაციასა და საბაჟოებს. ამგვარად, არავითარი უფლება აღარ არსებობდა იმ საქონელზე, რომელიც სამეფოს შიგნით ტრიალებდა, თუმცა შენარჩუნებული იყო საგარეო საბაჟოები, რომლებიც 1791 წელს

²⁷⁶ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 135.

²⁷⁷ იხ. შარლ ლუი დე მონტესკიე, კანონთა გონი, 1994 წ. რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი, გვ. 50.

დაემორჩილა ახალ ტარიფს და ახალ კოდექსს, რომელიც ლუი XIV-ის მიერ იქნა შემოღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციურ პერიოდში საფრანგეთში მოხდა საბაჟოების ნაციონალიზაცია და ახალი სტატუსის შემოღება. კერძოდ, 1791 წლის 21 მარტს მოხდა მეფის საბაჟოს ნაციონალიზება, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამეფოში გაუქმდა სავაჭრო გადასახადები. სახელმწიფო თავის თავზე იღებს საბაჟო კანონების განხორციელების ვალდებულებას. ასამბლეა სპეციალურ სახელმწიფო ორგანოს ანიჭებდა მმართველობის ორ ძირითად ბერკეტს: განუსაზღვრავდა სამეფოში შესვლისას და გასვლისას გადასახდელ ტარიფს, რაც ითვალისწინებდა საბაჟო დაცვის ზომებს და აძლევდა კოდექსს, რომელიც მოიცავდა ყველა ძირითად პროცედურას, რომელიც მაშინ ძალაში იყო.

საფრანგეთის მაგალითზე, საბაჟო ადმინისტრაციის მოდერნიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ელემენტი არის საბაჟო წესების ერთიან კოდექსად ჩამოყალიბება მე-18 საუკუნის ბოლოს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტი ეყრდნობოდა 1791 წლის 6 და 22 აგვისტოს კანონებს. აღნიშნული კანონი აწესებდა რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს. იგი განსაზღვრავდა საბაჟო ტრანზიტის მთავარ წესებს, აწესებდა საქონლის შეტანისა და გატანის პირობებს, ვალდებულებას შესაბამის ოფისებში გამოცხადების, ასევე, საქონლის წარდგენის შესახებ, იქნებოდა იგი შემოტანილი საზღვაო თუ სახმელეთო გზით. საბაჟო დეკლარაციაში ზუსტად უნდა ყოფილიყო აღწერილი საქონლის სახეობა, მათი ღირებულება, დატვირთვისა და დანიშნულების ადგილი. არასაკმარისად შედგენილი დეკლარაციის შემთხვევაში აღნიშნულ საქონელს ათავსებდნენ მმართველი ორგანოს ოფისებში ან მაღაზიებში. როგორც კი მოხდებოდა დეკლარაციების სათანადოდ შედგენა, საქონლის დათვლიერება, აწონვა და დათვლა, მფლობელი იხდიდა დაკისრებულ გადასახადს. ყალბი დეკლარაციის შემთხვევაში ხდებოდა საქონლის კონფისკაცია და გადასახადის დაწესება. ტრანზიტული საქონელი თავისუფლდებოდა გადასახადისგან, თუმცა ხდებოდა მისი დეკლარირება, შემოწმება და გირაოს სანაცვლოდ მისი გაგზავნა დანიშნულების ადგილამდე, თუმცა უკან გამოვლისას უნდა მომხდარიყო შესაბამისი მოწმობის წარდგენა, რაც დაადასტურებდა ადგილზე საქონლის შეტანას. წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახადი ორმაგდებოდა. საჭირო იყო ისეთი გირაოს დაწესება, რომლის გადახდაც ძნელი არ იქნებოდა. ზოგიერთ საქონელს პლომბსაც ადებდნენ. ამ საბაჟო რეჟიმებს თან ახლდა საბაჟო საზღვრების დაწესება, რაც გულისხმობდა აღნიშნულ ზონაში მოძრავი საქონლისთვის დეკლარაციის შედგენას. აკრძალული საქონლის

შეტანისას ან გატანისას ხდებოდა როგორც მისი, ასევე, სატრანსპორტო საშუალების კონფისკაცია.²⁷⁸

საბაჟო, როგორც მძლავრი, იერარქიული ორგანო, გაჩნდა პირველი იმპერიის ბოლოს, რომელიც ფლობს მნიშვნელოვან უფლებებს და ასრულებს ეკონომიკურ მისიას გადასახადების აკრეფის თვალსაზრისით. ასევე, საზღვრების მეთვალყურეობის მისიას, რომელიც უკვე ევროპულად ითვლებოდა. შეიქმნა საბაჟო ადმინისტრაციის სტრუქტურები და კულტურის ელემენტები და პირველ იმპერიაში უმნიშვნელო რაოდენობით მოხდა მომდევნო გარდაქმნების განხორციელება.

ამგვარად, აღორძინების პერიოდში საფრანგეთის საბაჟო ხაზს უსვამს თავის, როგორც მარეგულირებლის როლს საგარეო ვაჭრობის სფეროში. 1825 წელს პირველად გამოქვეყნდა სტატისტიკა საგარეო ვაჭრობის დარგში.

საბაჟო ტარიფების დაწევა საფრანგეთის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან და გაცვლითი ურთიერთობების სიმრავლე უპირატესობას ანიჭებს ზოგიერთ საბაჟო რეჟიმს. საბაჟო სამსახურები ვითარდება კოლონიურ ტერიტორიებზე. მეორე იმპერიის დროს, ასევე, გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა არაპირდაპირი გადასახადების დარეგულირებას.²⁷⁹

მესამე რესპუბლიკის დროს ხდება 1881 წლის ტარიფზე დამყარებული პროტექციონიზმის პოლიტიკის დაბრუნება და მარეგულირებელი საბაჟო გადასახადების დაწესება. ერთა კავშირის სურვილის მიუხედავად, უზრუნველყო პირველი მსოფლიო კონფლიქტის შემდეგ თავისუფალი მიმოქცევის პოლიტიკა, 1929 წლის ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ტრავმა უზრუნველყოფს პროტექციონიზმის დაბრუნებას, რაც საბაჟოს უბრუნებს იმ უფლებას, რომელიც მას ნაწილობრივ დაკარგული ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომამდე საბაჟო ბრიგადების აგენტთა სტატუსი ითვალისწინებდა სამხედრო კორპუსის ჩამოყალიბებას ვითარების მიხედვით და სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად. იმ ფაქტმა, რომ ისინი გადაადგილდებოდნენ უნიფორმებში გამოწყობილები და ატარებდნენ იარაღს, ხელი შეუწყო ამ ფინანსური ადმინისტრაციის სამხედრო ფუნქციის აღიარებას. მეორე მსოფლიო ომმა აიძულა საფრანგეთი, რომ კვლავ შემოეღო იმ აკრძალვების სისტემა, რომელიც

²⁷⁸ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p.126.

²⁷⁹ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 148.

მივიწყებულ იქნა 1860 წელს და დაეწესებინა სავალუტო კურსის კონტროლი.

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის თვალსაჩინო განვითარება, გასახორციელებელი წესების ერთობლიობა, ევროპული კონსტრუქციის რისკები განაპირობებდნენ საბაჟოს მუდმივ ადაპტირებას მის ორგანიზებასთან, პროცედურებთან და ინტერვენციის მეთოდებთან.

განბაჟების ოპერაციების დასაჩქარებლად საფრანგეთში ფეხს იკიდებს ახალი მეთოდოლოგია, კერძოდ, ხდება პროცედურების გამარტივება. თანადროული კონტროლის ბიუროების შექმნა, ტერიტორიის შიგნით ბიუროების გახსნა, განბაჟების ოპერაციების განხორციელება ინფორმატიკის გამოყენებით. ყველაფერი ეს არის ახალ გარემოსთან საბაჟოს ადაპტირებისთვის მნიშვნელოვანი ეტაპები. ანუ ფრანგული საბაჟო, ერთვება საერთაშორისო ვოლონტარისტულ პოლიტიკაში.²⁸⁰

ამგვარად, ადგილი გვაქვს საბაჟო საზღვრების თანდათანობით წაშლასთან. საბაჟო ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური საბჭოს შეთანხმებების განხორციელება, საბაჟო კავშირების შექმნა, კერძოდ-ევროპული თანამეგობრობის, განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნების სასარგებლოდ სატარიფო წესების შექმნამ შედეგად მოიტანა ჯერ საბაჟო გადასახადების შემცირება, ხოლო შემდეგ მისი გაუქმება, საზღვრების გადაკვეთისას. ევროპული აღმშენებლობის პროცესმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საბაჟო საქმიანობას, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი არსებობა. საბაჟო ვალდებულია, რომ თავისი ფუნქციების განხორციელებისას იხელმძღვანელოს თანამეგობრობების მიერ მიღებული კანონმდებლობით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე. რეალურად საბაჟო კავშირი შეიქმნა 1968 წელს. 1993 წელს საგადასახადო საზღვრების გაქრობა ამ განვითარების შედეგია. 1993 წლის 1-ელი იანვრის შემდეგ იგი საშუალებას იძლევა მოხდეს ადამიანთა, საქონლის, კაპიტალისა და სერვისების თავისუფალი გადაადგილება ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში. საბაჟო კვლავ უზრუნველყოფს თავისი მისიების შესრულებას ახალ გარემოში შესაბამისი მეთოდებისა და მექანიზმების გამოყენებით. ერთიანი შიდა ბაზრის შექმნა 1993 წლის 1-ელ იანვარს განაპირობებს საქონლის თავისუფალ მიმოქცევას. საქონლის მიმოქცევის რეგულირების გარდა, საბაჟოს როლია, რომ უზრუნველყოს საქონლის კანონიერად მიმოსვლა, არ მოხდეს ეროვნული მემკვიდრეობის, ასევე, მომხმარებლის უფლებების, ჯანდაცვისა და გარემოს დამცავი ზომების იგნორირება. ამ კუთხით ხდება ადმინისტრაციული მისიების

²⁸⁰ ვოლონტარიზმი - როდესაც ადამიანის ნება თავისუფალია და ადამიანის გონების შეფასებასაც კი არ ემორჩილება.

გაფართოება ტერიტორიის შიგნით. მართლაც, საბაჟოს დაეკისრა ახალი მისიები, ვინაიდან 1992 წლის 17 ივლისს კანონმა საბაჟოს მიანიჭა გადასახადების მთავარი სამმართველოს კომპეტენციები არაპირდაპირი გადასახადების თვალსაზრისით. საბაჟოს საქმიანობა უფრო ინტენსიური და მრავალმხრივი ხდება.

ამჟამად, საფრანგეთის საბაჟო ადმინისტრაცია ძიების მეტად რთულ გზას შეეჭიდა, რაც მიზნად ისახავდა წონასწორობის დადგენას საქონელბრუნვის გამარტივებასა და საჯარო უსაფრთხოების გარანტიას შორის. საწარმოთა პარტნიორი ადმინისტრაცია, „მომსახურების საბაჟო“, რომელიც უნდა იყოს კონკურენტული და რომელმაც უნდა შემოინახოს „საბაჟო ბაზრის“ წილები ტერიტორიაზე, ასევე, ევალება, რომ დარჩეს კონტროლის ადმინისტრაციად, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იყოს ადამიანთა და საქონლის უსაფრთხოების გარანტი.

საფრანგეთის საბაჟო განიცდის ძირეულ კულტურულ ცვლილებას ბოლო წლების განმავლობაში, რომელიც ერთვება საქონლისთვის თანდართული დოკუმენტების დემატერიალიზაციის პროცესში, „საბაჟო დოკუმენტის გარეშე“, სხვა ევროპულ ადმინისტრაციებთან ერთად, რამაც განაპირობა საბაჟო ინფორმატიკის სრული გარდაქმნა. ამ რევოლუციას, სახელწოდებით „საბაჟო დოკუმენტის გარეშე“, თან ახლავს საბაჟო კონტროლის ახალი პოლიტიკა, კონტროლის ახალი მეთოდები და საჭიროებს საბაჟო ადმინისტრაციის ძალაუფლებების განვითარებას, რომელმაც უკვე განაპირობა საბაჟო ბიუროების ახალი სტილით ორგანიზება. დაინერგა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემები.²⁸¹

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ საბაჟოთა ადმინისტრაციის ისტორია, მრავალი მიზეზის გამო, ერთადერთია - დამოკიდებული ზოგად ისტორიულ კონტექსტზე და საბაჟო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მგრძობიარე ადმინისტრაციულ ერთეულს პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით. იგი წარმოდგება, როგორც ორიგინალური ფინანსური ადმინისტრაცია, ძველი რეჟიმის ადმინისტრაციის ყველაზე დახვეწილი გადმონაშთი. მისი მშენებლობა გამომდინარეობს მისი მიზნიდან, რაც დადასტურდა 1790 წლის კანონით და რაც გულისხმობს, საგარეო ვაჭრობის დაცვის უზრუნველყოფას“. საბაჟო სერვისების განსაკუთრებულობა ფინანსური ადმინისტრაციების თვალსაზრისით დღემდე გრძელდება. მას სურს, რომ საგარეო ვაჭრობის უსაფრთხოებამ, ანუ ადამიანთა და საქონლის კონტროლმა გააერთიანოს ბევრი მისია, რომელთა უმეტესობაც ხშირ შემთხვევაში სცდება ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების

²⁸¹ იხ. R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 185.

კომპეტენციას. საბაჟოს ორიგინალურობა მდგომარეობს ამ მრავალფეროვნებაში და გულისხმობს, ასევე, რეგლამენტთა თავისებურებებს, რომელთაც ის იყენებს და ძალაუფლებებს, რომელთაც ახორციელებს. ერთ-ერთი მთავარი სირთულე, რომელსაც საბაჟო ყოველთვის აწყდება, არის ის, რომ, ერთი მხრივ, უნდა შეასრულოს მრავალი მისია ერთად და, მეორე მხრივ, მან ფეხი უნდა აუწყოს იმ განვითარების პროცესებს და ეტაპებს, რომელიც გარემოებებს მოაქვს და უნდა განახორციელოს თავისი ძირითადი მისიები.²⁸²

საბაჟო ურთიერთობების სფერო და ამ თვალსაზრისით, უფლებამოსილი საბაჟო ორგანო ორიგინალურია თავისი მრავალფეროვნების გამო. კერძოდ, თავისი აგენტების სტატუსის გამო, რომელიც მას ისტორიული მემკვიდრეობით ერგო და რომელიც მათ ორ ნაწილად ჰყოფს. ერთნი აღჭურვილნი არიან იარაღით და ატარებენ უნიფორმებს, რომლებიც წარმოადგენენ მეთვალყურეთა ფრთას და მეორენი, რომლებიც თავს იყრიან მთავარ ადმინისტრაციაში, სავაჭრო ოპერაციების მეთვალყურეობის განსახორციელებლად.

წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში მიგვაჩნია, რომ საფრანგეთის საბაჟო ინსტიტუტის ისტორიული ზრდის წარმოჩენა აუცილებელი ელემენტია არა მხოლოდ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებისთვის, არამედ ჩვენი კვლევის საბოლოო მიზნისთვის - გავაძლიეროთ საქართველოს საბაჟო სამართლის და საბაჟო ორგანოების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისა და სოციალური განვითარების თვალსაზრისით, რაშიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საფრანგეთის პრაქტიკის გაზიარება და ცალკეული დეტალების იმპლემენტაცია ქართულ საბაჟო ურთიერთობებში.

როგორც ცნობილია, ქალაქ შენგენში 1985 წლის 14 ივნისს ხელმოწერილი დოკუმენტით ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები შეთანხმდნენ, თანდათანობით გაეუქმებინათ საერთო სასაზღვრო კონტროლი და შემოეღოთ გადაადგილების თავისუფლება ევროკავშირის ხელმომწერი წევრი სახელმწიფოების, სხვა წევრი სახელმწიფოების ან მესამე სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის. იმავე ხუთმა სახელმწიფომ 1990 წლის 19 ივნისს ხელი მოაწერა შენგენის კონვენციას, რომელიც განსაზღვრავს თავისუფალი გადაადგილების განხორციელების ზომებს. ამ კონვენციით ცვლილებები შედიოდა ეროვნულ კანონებში და პარლამენტის მიერ რატიფიცირებას ექვემდებარებოდა. მოგვიანებით ხელმომწერთა სიას იტალია (1990წ.), ესპანეთი და პორტუგალია

²⁸² R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 191.

(1991წ.), საბერძნეთი (1992წ.), ავსტრია (1995წ.), შვედეთი, ფინეთი და დანია (1996წ.) შეუერთდნენ. კონვენციის მხარეები არიან, აგრეთვე, ნორვეგია და ისლანდია. შეთანხმება და კონვენცია, შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის დეკლარაციებთან და გადაწყვეტილებებთან ერთად, ქმნიან შენგენის კანონმდებლობას.

ამსტერდამის ხელშეკრულების პროექტის შექმნისას გადაწყდა, რომ 1999 წლის 1-ელი მაისიდან შენგენის შეთანხმება გადავიდოდა ევროპის კავშირში, რადგანაც იგი ერთიანი ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ამოცანასთან - პირთა თავისუფალ გადაადგილებასთანაა დაკავშირებული. ამ მიზნით, მინისტრების საბჭომ შენგენის კანონმდებლობა მიაკუთვნა ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელი ხელშეკრულების მეოთხე თავს (ვიზები, თავშესაფარი, იმიგრაცია და პირთა თავისუფალი გადაადგილება), ევროპის კავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავს (სისხლის სამართლის საქმეებში პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლობა). ევროპის კავშირში შენგენის შეთანხმების გადასვლას მოჰყვა ინსტიტუციური ინტეგრაციაც. ევროკავშირის მინისტრების საბჭომ დაიკავა შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის ადგილი, ხოლო მინისტრების საბჭოს გენერალურმა სამდივნომ შენგენის სამდივნოს ფუნქციები შეითავსა.²⁸³

შენგენის წევრი ქვეყნების ფარგლებში ადამიანთა თავისუფალი მიმოქცევის დაშვების შემდეგ, ევროკავშირის ათიოდე სახელმწიფომ, მათ შორის საფრანგეთმაც, შექმნეს ემიგრაციისა და პიროვნებების კონტროლის მექანიზმი, რაც შესაბამისად განსაზღვრული იყო 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმებით და 1990 წლის 19 ივნისის შენგენის კონვენციით.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ შენგენის ფარგლებში ადამიანთა კონტროლის უფლების გარდა საბაჟო მოხელეები ფლობენ ასევე მათი დაკავების უფლებასაც, როცა არსებობს განსაკუთრებული ინფორმაცია მათ შესახებ შენგენის შეთანხმების ფარგლებში, ისევე როგორც შეუძლიათ იმ ნივთების კონტროლი, რაზეც შენგენის სივრცის რომელიმე ქვეყანაში ძებნაა გამოცხადებული. საბაჟო ადმინისტრაცია გახლავთ სრულად ან ნაწილობრივ იმ ინფორმაციის მიმღები, რომელსაც შენგენის საინფორმაციო სისტემა მოიცავს.

საფრანგეთის საბაჟო კოდექსის შესაბამისად საბაჟო მოხელეები დროებით პატიმრობაში სვამენ ეროვნულ ტერიტორიაზე გაკონტროლებულ პირებს, რომელთა შესახებაც არსებობს ინფორმაცია შენგენის საინფორმაციო სისტემაში და 2003 წლის 18 მარტის კანონის შესაბამისად, პირებზე, რომლებიც ფიგურირებენ ძებნილი

²⁸³ რედ. ნ. ლოლაძე, ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველი ორგანოები – ცნობარი, თბ. 2003, გვ. 64.

პიროვნებების სიაში, ან ფლობენ იმ მანქანებს, რომელთა გადაცემაც უნდა მოხდეს სასამართლო პოლიციისთვის, ხორციელდება ზემოაღნიშნული შეზღუდვები. ადრე შეზღუდვის ხსენებული ზომის გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლო პოლიციის ოფიცრის თხოვნის საფუძველზე. პატიმრობა გრძელდებოდა მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენიც აუცილებელი იყო ამ პროცედურის ჩასატარებლად, და რაც არ უნდა გასცდენოდა სამ საათს.²⁸⁴

საბაჟოსა და სასამართლო პოლიციას შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად კანონმდებელმა მიიღო გადაწყვეტილება იმ პიროვნებისთვის თავისუფლების მინიჭების შესახებ, რომელიც ამ სამი საათის განმავლობაში ვერ მოახერხებდა სასამართლო პოლიციის ოფიცრის წინაშე წარდგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პიროვნების გადაცემა მოხდებოდა სასამართლო პოლიციის ოფიცრისთვის, დროებითი პატიმრობის ხანგრძლივობა ჩაითვლებოდა წინასწარი პატიმრობის დროში. თუ მოხდებოდა საბაჟო დანაშაულის ადგილზე გამოაშკარავება, შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა მისი საბაჟო პატიმრობაში აყვანა. ამ შემთხვევაში დროებითი პატიმრობის ვადა მიეწერებოდა საბაჟო დაპატიმრების ვადას.

საფრანგეთის საბაჟო კანონმდებლობით, ერთადერთი გადაუდებელი აუცილებლობა, რაც მდგომარეობს საბაჟო პატიმრობაში, არის ის, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რესპუბლიკის პროკურორის გაფრთხილება პიროვნების დროებით პატიმრობაში აყვანის თაობაზე, ვინაიდან სასამართლო ორგანო ინარჩუნებს კონტროლის უფლებას თავისუფლების აღმკვეთ ზომებზე.²⁸⁵

გარდა მე-13³ მუხლისა, შენგენის კონვენციამ დასაბამი მისცა საბაჟო კოდექსის 67⁴-ე მუხლსაც, რომელმაც საბაჟო მოხელეები დაუქვემდებარა რესპუბლიკის პროკურორის კონტროლს. ეს მუხლი მათ ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ გააკონტროლონ უცხოელთა ყოფნის პირობები ეროვნულ ტერიტორიაზე. იგი, ასევე საშუალებას იძლევა, დაადასტუროს უცხოელთა მიერ ჩადენილი დანაშაულები შემოსვლისას თუ ადგილზე ყოფნისას. ამ კონტროლის პირობები დაზუსტებული იქნა 1995 წლის 11 დეკემბრის სამინისტროთაშორისი ცირკულარის მეშვეობით, რაც გულისხმობს პიროვნების ვინაობისა და მისი დოკუმენტაციის კონტროლს.²⁸⁶

თუ პიროვნებას არ გააჩნია მოთხოვნილი დოკუმენტი ან საბუთი, ან ისინი არის ყალბი, საბაჟო მოხელეებს აქვთ უფლებამოსილება,

²⁸⁴ საფრანგეთის საბაჟო კოდექსი, მუხლი 76

²⁸⁵ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 125.

²⁸⁶ შენგენის 1990 წლის კონვენცია, მუხლი 13³.

დაადგინონ სამართალდარღვევის ფაქტი 1945 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულების თანახმად. ამ დანაშაულის დამტკიცება საბაჟო მოხელეებს საშუალებას აძლევს, რომ დააპატიმრონ დანაშაულის ჩამდენი პირი, რათა მოხდეს მისი გადაცემა სასამართლო პილიციის ოფიცრისთვის. ეს დროებითი პატიმრობა, როგორც უკვე ითქვა, არ უნდა აღემატებოდეს სამ საათს.²⁸⁷

დროებითი დაპატიმრების მიზნები და წესები 67³-ე და 67⁴-ე მუხლებში თითქმის ერთი და იგივეა, თუმცა, რამდენადმე განსხვავდება რესპუბლიკის პროკურორის როლი. 67⁴-ე მუხლის ტექსტი აზუსტებს, რომ პროკურორის ინფორმაცია უნდა მოიცავდეს დაპატიმრების მოტივებს და დროებითი პატიმრობის ადგილს. ამასთან, პროკურორს შეუძლია, რომ ნებისმიერ მომენტში წერტილი დაუსვას ამ პატიმრობას.²⁸⁸ პროკურორის ეს მოქმედება, მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

შენგენის წევრ ქვეყნებში მოქმედი წესები, რომელიც შეეხება დროებით პატიმრობას იმ პრეროგატივების ფარგლებში, რაც მეზაჟეებს მინიჭებული აქვთ მაგ. საფრანგეთის საბაჟო კოდექსით (რაც ანალოგიურად მეორდება შენგენის ზონაში), იმ დოკუმენტების გადასამოწმებლად, რომელიც ქვეყანაში უცხოელთა შემოსვლას და ყოფნას გულისხმობს, იდენტურია 67³-ე მუხლის პირობებისა. საბაჟო კოდექსის 67⁴-ე მუხლით ზუსტად არის განსაზღვრული სამოქმედო გეოგრაფიული არეალი. თუმცა, 67⁴-ე მუხლი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს პიროვნების ვინაობის კონტროლს. იგი იძლევა მხოლოდ იმის შემოწმების უფლებას, რომ უცხოელმა პიროვნებამ ზუსტად დაიცვა შენგენის სიცრცეში შესვლისა და გადაადგილების პირობები. შესაბამისად, 67⁴-ე მუხლის ბაზაზე კონტროლის გასახორციელებლად საბაჟო მოხელეებმა უნდა შეკრიბონ ყველა ის მონაცემი, რომლითაც დაასკვნიან, რომ პიროვნება არის უცხოელი.²⁸⁹

პიროვნების გარეგნული ნიშან-თვისებები არ არის საკმარისი კრიტერიუმი მისი უცხოელობის დასადგენად. სამაგიეროდ, ამის განსაზღვრაში საამისოდ უფლებამოსილ პირებს დახმარებას უწევს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, უცხოეთში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება, უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტაცია და სხვ. თუ დადგინდა, რომ პირი უცხოელია, შესაბამისი წესით მოხდება საბაჟო პროცედურების განხორციელება.

საბაჟო მოხელეები ფლობენ კონტროლის უფლებას შენგენის საზღვრების სიახლოვეს, რასაც ისინი ახორციელებენ რესპუბლიკის

²⁸⁷ იხ. საფრანგეთის საბაჟო კოდექსი, მუხლი 76.

²⁸⁸ იხ. იქვე.

²⁸⁹ შენგენის 1990 წლის კონვენცია, მუხლი 67⁴ .

პროკურორის კონტროლის ქვეშ. შენგენის კონვენციის ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ გაამკაცრა საზღვრებსშორისი კონტროლი, მართლაც რესპუბლიკის პროკურორის მკაცრი კონტროლის ქვეშ საბაჟო მოხელეები ახერხებენ კონტროლის განხორციელებას მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ შენგენის კონვენციის ფარგლებში მათ ექმნებათ შესაძლებლობა, განახორციელონ პიროვნების თვალთვალი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თუმცა, აღნიშნული კონტროლის გასახორციელებლად ბევრი წინაპირობის შესრულებაა საჭირო. დაკვირვება უნდა დაიწყოს ეროვნულ ტერიტორიაზე, პიროვნება უნდა იყოს ეჭვმიტანილი ნარკოტიკებით, იარაღით ან ასაფეთქებელი ნივთიერებებით ვაჭრობაში, ტოქსიკური ნარჩენების ან სხვა მავნებელი ნივთიერებების გადატანაში.²⁹⁰

კონვენცია ითვალისწინებს, რომ ვიდეო და აუდიო დაკვირვება უნდა განხორციელდეს სასამართლო გამოძიების ფარგლებში. საქმე უნდა გვექონდეს გამოძიებასთან, რომელსაც აწარმოებენ უფლებამოსილი საბაჟო მოხელეები, რომელთაც შეუძლიათ სასამართლო პილიციის მისიების შეთავსება ან იმ აგენტების მიერ, რომელთაც შეიძლება არ გააჩნიათ სათანადო უფლებამოსილება, მაგრამ წინასწარ აქვთ აღებული ნებართვა რესპუბლიკის პროკურორისგან - ამ დაკვირვების უფლების განხორციელებამდე.²⁹¹

საფრანგეთის კანონმდებლობით, ურთიერთდახმარების თხოვნა საბაჟო ურთიერთობების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, წარდგენილ უნდა იქნას მიმღები სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების წინაშე. თხოვნის გადაცემა ხდება რესპუბლიკის პროკურორის მიერ. გადაუდებელ შემთხვევაში იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნას საზღვრის გადაკვეთისთანავე. მიმღები სახელმწიფოსგან თანხმობა გაცემული უნდა იქნას ხუთ საათში. წინააღმდეგ შემთხვევაში თვალთვალის პროცესი შეწყდება დაუყოვნებლივ. ასევე შესაძლებელია, რომ უცხოელმა მეზაჟეებმა განახორციელონ კონტროლი საფრანგეთის ტერიტორიაზე. პროკურატურას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და თვალთვალის უფლება მიანდოს ფრანგ მეზაჟეებს, ან ერთი საბაჟო მოხელე გამოყოს და უცხოელთა ჯგუფს მიამაგროს.

საფრანგეთის საბაჟო კოდექსის მე-40 მუხლში საუბარია იმ წონასწორობაზე, რომელიც უნდა იქნას აღდგენილი ქმედითი დაკვირვების უფლებასა და სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვაში, რომელიც გამომძიებელთა ჯგუფს ღებულობს. წევრი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე შემოსულ გამომძიებლებს დევნის

²⁹⁰ იხ. შენგენის 1990 წლის კონვენცია, მუხლი 13³.

²⁹¹ იხ. იქვე.

განხორციელების უფლებასაც ანიჭებენ, ანუ ეს გულისხმობს დანაშაულის ავტორთა დევნას და ძიებას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს უფლება საბაჟო მოხელეებს აძლევს შესაძლებლობას, რომ განხორციელონ იარაღით, ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ან ტოქსიკური ნარჩენების გადამტანთა დევნა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს ზომა, რომელიც გულისხმობს მის გამოყენებას გადაუდებელ სიტუაციებში, მოითხოვს საბაჟო მოხელეებისგან მიმღები ქვეყნის სასამართლო ორგანოების წარმომადგენელთა გაფრთხილების აუცილებლობას, რადგან ამ უკანასკნელთ შეუძლიათ, დაუყოვნებლივ შეაჩერონ ეს პროცესი.²⁹²

რაც შეეხება საფრანგეთის საბაჟო ურთიერთობების სფეროში მოქმედ თანამედროვე რეგულაციებს, 1968 წლის 29 მაისს გამოიცა დეკრეტი „68-81“ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ფინანსური ურთიერთობების შესახებ“, რომლის მიხედვით პირებს, რომლებიც მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, ნება ეძლევათ თან იქონიონ გარკვეული სახის ვალუტა.

საფრანგეთში ფინანსებისა და ბიუჯეტის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება საბაჟო დაწესებულებების განშტოებული ქსელის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. საქმეს უშუალოდ განაგებს საბაჟო საქმის გენერალური დირექცია, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.²⁹³

მსგავსი ტიპის დევნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სახმელეთო საზღვრებზე. კერძოდ, ეს ეხება ესპანეთს, ბელგიას, ლუქსემბურგს და იტალიას. ამ სახელმწიფოებს შორის მხოლოდ გერმანია აძლევს ფრანგ საბაჟო მოხელეებს დაკავების უფლების გამოყენებას აუცილებლობის შემთხვევაში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთმა და ლუქსემბურგმა შეზღუდეს ზონები, რაც იმას ნიშნავს, რომ დევნის უფლების განხორციელება შესაძლებელია საზღვრიდან მხოლოდ ათი კილომეტრის რადიუსში. ამგვარად, გვექმნება წარმოდგენა შენგენის ქვეყნებში საბაჟოსა და სასამართლო პოლიციას შორის თანამშრომლობის შესახებ²⁹⁴

კონვენციის ხელმომწერმა ქვეყნებმა ისურვეს, რომ საზღვრის გადალახვით დანაშაულთა ინიციატორებს არ შეძლებოდათ საბაჟო მოხელეებისგან დასხლტომა. კონკრეტულ საბაჟო ურთიერთობებში პროკურატურას თავისი როლი აქვს განკუთვნილი ამ კონტროლის უფლებების გამოყენებაში.

²⁹² საფრანგეთის საბაჟო კოდექსი, მუხლი 40.

²⁹³ ი. ხარაზი, საერთაშორის საბაჟო სამართალი, 2013, გვ. 274-275.

²⁹⁴ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 25.

შენგენის წევრი ქვეყნების ახალი საკანონმდებლო დებულებები დროებითი დაპატიმრების ან ექსტრადიციის მოთხოვნის ფარგლებში, საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქციისთვის გადასაცემად არ შეცვლილა 2011 წლის 14 აპრილის კანონით. ეს დებულებები უკავშირდება სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსის დებულებებს, კერძოდ, იმ უფლებებს, რომლითაც წინასწარ პატიმრობაში აყვანილი პირი სარგებლობს. ისინი ითვალისწინებს ახალ პროცედურულ გარანტიებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, და მიზნად ისახავს ყველა ეჭვმიტანილი პირის უფლებების დაცვას, რომელსაც დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად. კერძოდ, საუბარია პატიმრობაში აყვანისთანავე ადვოკატის დანიშვნაზე, ამავედროულად, დაკავებულ პირს, ასევე, აქვს დუმილის გამოყენების უფლება.²⁹⁵

ადამიანების მიმართ გამოყენებული შემზღუდავი უფლებები იმდენად არღვევს პიროვნებების ინდივიდუალურ თავისუფლებას, რომ კანონმდებელმა სცადა დამატებითი გარანტიების შექმნა საბაჟო კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით. ამგვარად, საბაჟო დაპატიმრება იქცა დანაშაულის დადასტურების ტერმინად, რაც გულისხმობს უკანონო საქონლის ჩამორთმევას. თუმცა, სწორედ წინასწარი გამოძიების მეშვეობით ხდება იმ სამხილების მოტანა, რომელსაც შემდგომი გამოძიებისთვის იყენებენ მოსამართლეები. საბაჟო დანაშაულის სამხილის მოპოვების საშუალებები და ამ საშუალებების განხილვა, რაც სასამართლო ორგანოს პრეროგატივაა, წარმოადგენს სწორედ საბაჟო დანაშაულის დადასტურების მნიშვნელოვან ასპექტს, რამაც გამოძიება ნამდვილ დამნაშავემდე უნდა მიიყვანოს.²⁹⁶

საფრანგეთის კანონმდებლობით საბაჟო წესის დარღვევა აკრძალულია საფრანგეთის საბაჟო კოდექსით (le code des douanes)²⁹⁷ და ისჯება სისხლის სამართლის წესით. საბაჟო წესის ცნებას იძლევა საბაჟო კოდექსის 38-ე მუხლი,²⁹⁸ რომლის თანახმად აკრძალულია იმპორტი ან ექსპორტი შეფუთვის წესების ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სალიცენზიო ნიშნის დარღვევით (აღნიშნულში ასევე ითვლება სერთიფიკატი, ლიცენზია).

საბაჟო კოდექსის 215-ე მუხლი იძლევა ყალბი სასაქონლო ნიშნის განმარტებასაც, რომელიც მოიცავს, დიზაინის, პატენტის ან დამატებითი

²⁹⁵ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 25.

²⁹⁶ R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011, p. 47.

²⁹⁷ <http://www.douane.gouv.fr/articles/a11072-infractions-douanieres-en-matiere-de-contrefacon> (2019 წლის 15 იანვრის რედაქციით).

²⁹⁸ Le code des doanes (20.01.2017), article 38.

დაცვის მოწმობის გაყალბებას. ყალბი საქონელი საფრანგეთის საბაჟო კოდექსის თანახმად ითვლება კონტრაბანდად. (საბაჟო კოდექსის 419-ე მუხლი).

საბაჟო კოდექსის 215-ე მუხლი საბაჟო ორგანოს საშუალებას აძლევს შეამოწმოს საბაჟო ტერიტორიაზე სავაჭრო ნიშნის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, რომლის სიყალბის შემთხვევაში დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. გარდა სავაჭრო ნიშნისა, სიყალბეს ხშირ შემთხვევაში ექვემდებარება საიმპორტო და საექსპორტო საქონლის დოკუმენტაცია, სერთიფიკატები, რომელთა შემოწმების ვალდებულება აკისრია გამშვებ პუნქტს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიყალბისთვის ეკისრება როგორც როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე, იურიდიულ პირებს.

ზღვარი სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის გადის დოკუმენტაციის სიყალბესთან. თუ არასაკმარისი დოკუმენტაციით ხდება საქონლის საბაჟოზე შეტანა, იწერება საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და ხდება საქონლის ამოღება.²⁹⁹ როდესაც სახეზე არის სიყალბის შემცველი სასაქონლე ნიშანი, მარკა, სერთიფიკატი და საქონლის უფლების დამდგენი ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომლითაც პირი ახორციელებს საქონლის ქვეყანაში შეტანას, სიყალბის დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული არის დევნის დაწყების საფუძველი.

საფრანგეთის საბაჟო კოდექსის თანახმად, საბაჟო სამართალდარღვევა იწვევს პასუხისმგებას საბაჟო წესით, გამარტივებული წარმოების წესით (აქ იგულისხმება საპროცესო შეთანხმების მსგავსი შეთანხმება, რომელიც სწარაფად აგვარებს დავას) ან დევნის განმახორციელებელი ორგანოს გავლით სასამართლოს გზით.

საბაჟო კოდექსის 350-ე მუხლის თანახმად, დამნაშავესთან გამკლავება ხდება ე.წ. გამარტივებული წარმოების გზითაც, რაც დავების სწრაფად საშუალებას იძლევა. გამარტივებული წარმოება საპროცესო შეთანხმების ანალოგიურად გამოიყენება საფრანგეთში და გულისხმობს სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებას.

ყალბი დოკუმენტაციით და სასაქონლო ნიშნით საბაჟო კონტროლის გავლა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დევნას ახორციელებს პროკურატურა (le parquet).

საფრანგეთის საბაჟო კოდექსი გამოჰყოფს საბაჟო სამართალდარღვევებზე რეაგირების სამ გზას: საბაჟო სამსახურს საფრანგეთში ჰყავს საკუთარი საგამოძიებო ნაწილი, რომელსაც აქვს გამოძიების უფლება. აღნიშნული ნაწილი, ძირითადად, იძიებს ლოკალური მასშტაბის და მარტივი კატეგორიის საქმეებს, რომლებიც შეეხება უშუალოდ საბაჟო კონტროლის დარღვევას. მეორე გზას წარმოადგენს გამოძიების წარმოება პროკურატურის მეშვეობით. წასწრებული დანაშაულის შემთხვევაში, საბაჟო ოფიცრებს შეუძლიათ, განახორციელონ

²⁹⁹ Le code des doanes (20.01.2017), article 419.

დამნაშავეთა დაკავება და შემდგომ გადაუზღავნონ გამოძიების მიზნით საქმე პროკურატურას.

გარდა აღნიშნული შემთხვევისა, როდესაც სახეზე არის წასწრებული დანაშაული, შესაბამისი საბაჟო სამსახური გამოძიების მიზნით შესაძლო დადგევასთან დაკავშირებით შედგენილ აქტს უგზავნის პროკურატურას. გამოძიების დასრულების შემდგომ ხდება რეფერალური ბრძანების გამოცემა პროკურორის მიერ, (რეფერალური ბრძანება არის პირის ბრალდების შესახებ დადგენილების ანალოგი). აღნიშნული აქტის გამოცემის შემდეგ საქმეს განიხილავს სასამართლო.

საფრანგეთის საბაჟო კოდექსი ასევე განსაზღვრავს თაღლითური საქონლის კონფისკაციას, სატრანსპორტო საშუალებების და ობიექტების, ქონების ჩამორთმევას, რაც დანაშაულის შედეგად პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით არის მოპოვებული. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით საბაჟო წესის დარღვევისთვის გათვალისწინებულია სასჯელის (le delit) ორი სახე: ჯარიმა და თავისუფლების აღკვეთა. ჯარიმის ოდენობა შეადგენს დანაშაულის საგნის ღირებულების ოდენობას ან აღემეტება აღნიშნულ ოდენობას ორჯერ. როდესაც საბაჟო წესის დარღვევა ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ჯარიმის ოდენობა შეიძლება იყოს ათჯერ მეტი გაყალბებული ობიექტის ღირებულებაზე. თავისუფლების აღკვეთად გათვალისწინებულია პატიმრობა სამი წლის ვადით. როდესაც დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, პატიმრობის მაქსიმალური ვადა შედგენს ათ წელს.

თავი 2. საბაჟო საკითხების სამართლებრივი რეგულაციის ფარგლები ცალკეული ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით

ნაშრომის დასაწყისში უკვე აღინიშნა, რომ საგადასახადო თუ საბაჟო დავების განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რადგან სახელმწიფოს მხრიდან შემოღებული სხვადასხვა კატეგორიის რეგულაციიდან, საგადასახადო ვალდებულებები წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან პირის საქმიანობაში ჩარევის ერთ-ერთ ყველაზე საგრძნობ და საფრთხილო მექანიზმს.

სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების დაწესების სამართლიანი და კანონიერი გამოყენების კონტროლის გამკაცრებისა და სრულყოფის მიზნით, თუ კონკრეტული სამართალდარღვევა არ წარმოადგენს სისხლისამართლებრივ საქმეს, ევროპული სამართლისა და პრეცედენტული სამართლის რიგი ქვეყნების მიერ მართლმსაჯულების სისტემაში შემოღებულ იქნა სპეციალიზებული სასამართლოები და ტრიბუნალები. ისინი განიხილავენ საგადასახადო და ფინანსურ დავებს და ამ სფეროში სიღრმისეული ცოდნისა და

გამოცდილების გამოყენების გზით უზრუნველყოფენ განსახილველ საკითხებზე მაქსიმალურად დეტალური და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. ასევე მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებას და ბუნდოვანი თუ ორაზროვანი ნორმების ლოგიკური განმარტების გზით სამართლიანი გამოყენების პრაქტიკის დანერგვას.

აქვე გვინდოდა აღგვნიშნა ცალკეული ქვეყნების სამართლებრივი რეგულაციები საბაჟო ურთიერთობების სფეროში, კერძოდ, მაგალითად საბჭოთა კავშირის 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საბაჟო წესის დარღვევისათვის დგებოდა 79-ე მუხლით - კონტრაბანდა, კერძოდ, „კონტრაბანდა, ე.ი. საქონლის ან სხვა ფასეულობათა უკანონო გადატანა/გადმოტანა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე, რაც ჩადენილია სპეციალურ საცავებში საგნების დამალვით ან საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენებით, ან დიდი ოდენობით, ან პირთა ჯგუფის მიერ, რომელიც ორგანიზებულია კონტრაბანდის გასაწევად, ან თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე, ფეთქებად, ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა, იარაღისა და სამხედრო საქურვლის კონტრაბანდა ³⁰⁰ აღნიშნული დანაშაული ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით 3-10 წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით 2-5 წლამდე ან გადასახლების გრეშე. საბჭოთა კავშირის დროს აკრძალული იყო კერძო საკუთრება, ამასთან, ეკონომიკური საქმიანობა, საგარეო ვაჭრობაზე მონოპოლია სახელმწიფოს გააჩნდა, შესაბამისად, კერძო პირს არ შეეძლო საქონლის იმპორტი ან ექსპორტი. ამდენად, ნებისმიერი სახის საქონლის შემოტანა/გადატანა ითვლებოდა კონტრაბანდად.

რუსეთში თანამედროვე საბაჟო სამსახურისა და საბაჟო-სამართლებრივი ინსტრუმენტების შექმნის დაწყება დაკავშირებულია რსფსრ-ის (რუსეთის ფედერაცია) პრეზიდენტის 1991 წლის 25 აგვისტოს განკარგულებასთან - „რსფსრ-ს ტერიტორიაზე საბაჟო სამსახურის საქმიანობის შესახებ“ და 1991 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებასთან, რომლის შესაბამისად შეიქმნა რუსეთის ცენტრალური საბაჟო ორგანო - სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი.

1993 წელს მიღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკის საბაჟო კოდექსი და კანონი „საბაჟო ტარიფის შესახებ“, რომლებშიც დეტალურადაა განსაზღვრული რუსეთის საბაჟო ორგანოების ფუნქციები, სტრუქტურა, საბაჟო პოლიტიკის მიზნები, რეჟიმები, საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის პრინციპები.³⁰¹ რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოები წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების სრუქტურულ ერთეულებს, სახელმწიფო მმართველობის სისტემის შემადგენელ რგოლებს. რუსეთის ფედერაციის საბაჟო

³⁰⁰ სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსი, 1960 წელი, მუხლი 79.

³⁰¹ ი. ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართლის, 2013, გვ. 280-281.

ორგანოების მნიშვნელოვანი ნაწილებია რეგიონული საბაჟო სამმართველოები, საბაჟოები, საბაჟო საგუშაგოები და საბაჟო გამშვები პუნქტები.

რუსეთის ფედერაციის საბაჟო სახელმწიფოს კომიტეტი აღმასრულებელი ფედერალური ხელისუფლების ცენტრალური ორგანოა, რომელიც ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის განხორციელების უშუალო ხელმძღვანელი დაწესებულებაა, სახელმწიფოს მმართველობის სისტემის შემადგენელი ნაწილია. ბოლო წლებში რუსეთის ფედერაციაში ჩამოყალიბდა საბაჟო კომიტეტის ახალი დანაყოფები, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ საბაჟო ურთიერთობების სფეროში, კერძოდ ესენია: საბაჟო-სატარიფო სამმართველო, სავალუტო კონტროლის განყოფილება, საბაჟო შემოსავლების ფედერალური სამმართველო, საბაჟო სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილება.³⁰²

რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოების სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია რეგიონული საბაჟო სამმართველოები, საბაჟოები, საბაჟო საგუშაგოები და საბაჟო-გამშვები პუნქტები. რუსეთის საბაჟო კოდექსი არის პირდაპირი მოქმედების კანონი, რომლის ერთ-ერთი ღირსებაა ის, რომ იგი ითვალისწინებს საბაჟო პრობლემების მთელი სფეროს რეგულირებას და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ტვირთის შემოტანა, საბაჟო რეჟიმები, გაფორმება, კონტროლი და სხვა. რუსეთის საბაჟო კოდექსი ეფუძნება ევროპულ საბაჟო კანონმდებლობას - ევროკავშირის საბაჟო კოდექსს, მის ძირითად პრინციპებს.

რუსეთის საბაჟო კოდექსის კონცეფციას წარმოადგენს რისკების მართვის კონცეფცია, რომლის რეალიზებასაც ახდენს განვითარებული ქვეყნების საბაჟო კანონმდებლობა. აღნიშნული კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საბაჟომ არ უნდა გააკონტროლოს ყველაფერი, რაც მოძრაობს მისი მეშვეობით, არამედ უნდა აირჩიოს თავისთვის ასე თუ ისე რისკით დატვირთული მიზანი, ეკონომიკისთვის, უსაფრთხოებისთვის, ჯანმრთელობისთვის, ინტელექტუალური საკუთრებისთვის.³⁰³ აღნიშნული რისკების მართვის კონცეფცია თვით საბაჟო კოდექსშია გამოცხადებული, რომლის დასაწყისში კერძოდ აღნიშნულია: რისკების მართვის კონცეფცია ნიშნავს, რომ საბაჟომ არ უნდა გააკონტროლოს ყველაფერი, რაც მოძრაობს მისი მეშვეობით, არამედ უნდა აირჩიოს თავისთვის ასე თუ ისე რისკით დატვირთული მიზანი ეკონომიკისთვის, უსაფრთხოებისთვის, ჯანმრთელობისთვის, ინტელექტუალური საკუთრებისთვის.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ სახელმწიფო მოწყობიდან გამომდინარე, განსხვავებული პრაქტიკაა დანერგული. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო ორგანოების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს კონსტიტუცია, რომელმაც მკვეთრად გაანაწილა კომპეტენცია ფედერალურ ორგანოებსა და შტატებს შორის, და სხვა სამართლებრივი

³⁰² იხ. იქვე.

³⁰³ ი. ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, 2013, გვ. 270-271.

დოკუმენტები. ამერიკის კონსტიტუციის მერვე კარი განსაზღვრავს კონგრესის უფლებებს - დაადგინოს და აკრიფოს გადასახადები, ბაჟი, აქციზები, ამასთან, კონსტიტუციის თანახმად, მთელ შეერთებულ შტატებში ერთნაირი უნდა იყოს ყველა მოსაკრებელი, ბაჟი და აქციზი.

კონსტიტუციის თანახმად, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ან ბაჟით ნებისმიერი შტატიდან გასატანი საქონელი. კონგრესის თანხმობის გარეშე არცერთ შტატს არ შეუძლია საქონლის შემოტანა ან გატანა დაბეგროს რაიმე ბაჟით ან გადასახადით. შტატში შემოსატანი და შტატიდან გასატანი საქონლის დაბეგვრის შედეგად მიღებული წმინდა მოგება გადადის შეერთებული შტატების ხაზინის განკარგულებაში.³⁰⁴

ამერიკის შეერთებულ შტატებში საგადასახადო და საბაჟო დავებს იხილავს საგადასახადო სასამართლო, რომელიც წარმოადგენს საჯარო ხასიათის ორგანოს - სასამართლო ფორუმს, სადაც გადასახადის გადამხდელს შეუძლია სადავო გახადოს შიდა შემოსავლების სამსახურის კომისრის მიერ გამოვლენილი საგადასახადო სამართალდარღვევა. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითოეული სასამართლო პროცესი საჯაროა და, შესაბამისად, ინფორმაციასაც ახასიათებს საჯაროობა. სასამართლო, ასევე, უფლებამოსილია, მიიღოს დეკლარაციული (ახსნა-განმარტებითი) ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილება (declaratory judgment). ასეთი გადაწყვეტილება მიიღება სამოქალაქო საქმეზე, რომელიც იურიდიული ძალის მქონეა, მაგრამ ის მხრეებს არ ავალდებულებს კონკრეტული მოქმედების შესრულებას, ვინაიდან იგი მიეკუთვნება „პრევენციული განხილვის“ სახეს. უმეტესწილად, დეკლარაციული გადაწყვეტილებები გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი მხარე მეორეს „ემუქრება“ სასამართლოში სარჩელის შეტანით, მაგრამ ეს ქმედება ჯერ არ განუხორციელებია. დეკლარაციული გადაწყვეტილებები ავტორიზებულია საკანონმდებლო აქტებით, ანუ უზრუნველყოფილია შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით. უმეტეს შემთხვევაში საერთო სასამართლოების იურისდიქციის მქონე ქვეყნებში.³⁰⁵

სარჩელის შეტანამდე დავის მოგვარება მიღებული პრაქტიკაა აშშ-ში. აღნიშნული ეხება სისხლის სამართლის საქმეებსაც. მაგალითად, ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია შეუთანხმდეს პოტენციურ ბრალდებულს, რომ ის მის მიმართ სარჩელს არ შეიტანს სამართალდამცავ ორგანოებში იმის სანაცვლოდ, რომ მათ შორის მოხდება შეთანხმება ზიანის ანაზღაურებაზე.

დაახლოებით იგივე შეთხვევას ითვალისწინებდა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საროცესო კოდექსი, კერძოდ, სსსკ-ის 27-ე

³⁰⁴ იხ. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია

³⁰⁵ საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური ინსტიტუტები, საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები, თბილისი, 2012, გვ. 19.

მუხლის მიხედვით სსკ-ის 120-ე (ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება) და 125-ე (ცემა) მუხლებით არსებული საქმეები განეკუთვნებოდა კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეს, რაც იმას გულისხმობდა, რომ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და უნდა შემწყდარიყო ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო. პროკურორს ერთადერთ შემთხვევაში შეეძლო დაზარალებულის თანხმობის გარეშე მსგავს საქმეში ჩაბმულიყო, კერძოდ, როდესაც ამ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, დანიაში საგადასახდო და საბაჟო საკითხების განხილვის ორგანოდ შემოღებულია საგადასახადო ტრიბუნალი. საგადასახადო ტრიბუნალის ინსტიტუტი დანიაში შემოღებულ იქნა 1938 წელს და იგი წარმოადგენს საგადასახადო, საბაჟო და ქონების შეფასებასთან დაკავშირებული დავების განხილვის უზენაეს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც შექმნილია კანონმდებლობის საფუძველზე და დამოუკიდებელია როგორც საგადასახადო ორგანოებისგან, ისე ფინანსთა სამინისტროსგან. მართალია, საგადასახადო ტრიბუნალი არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით სასამართლოს, მაგრამ მას გააჩნია სასამართლოსთვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები.

საგადასახადო ტრიბუნალში დავების განხილვის წესი და პროცედურა ძირითადად დანიის საპროცესო კოდექსით რეგულირდება, ხოლო რიგი საკითხები კი - დანიის საგადასახადო კანონმდებლობით. საგადასახადო ტრიბუნალში შესაძლებელია, გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების, საგადასახადო საჩივრების განმხილველი საბჭოს და ქონების შეფასების ნაციონალური საბჭოს გადაწყვეტილებები. დანიის საგადასახადო ტრიბუნალი ყოველწლიურად იხილავს დაახლოებით 4000 საგადასახადო და საბაჟო დავას და 500 საქმეს ქონების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.³⁰⁶

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, ფედერაციის კუთვნილი შემოსავლებიდან უპირველესი საბაჟო გადასახადებია. საბაჟო და სხვა აკრეფილი გადასახადების მართვას ახორციელებენ ფედერალური საფინანსო უწყებები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საბაჟო ურთიერთობების სფეროში მნიშვნელოვან დოკუმენტად ითვლება საბაჟო წესდება, რომელშიც დეტალურადაა რეგლამენტირებული საბაჟო რეჟიმები გერმანიაში. ამ პრობლემებს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თანამედროვე პირობებშიც. გერმანიის საბაჟო ორგანოების მართვა ხორციელდება ოთხ დონეზე, მათ შორის,

³⁰⁶ საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური ინსტიტუტები, საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები, თბილისი, 2012, გვ. 21.

მე-4 დონეს ექვემდებარებიან საბაჟო საგუშაგოები და კომისარიატები, აგრეთვე, ოპერატიულ-სამძებრო საბაჟოები.

გერმანიის საბაჟო საგუშაგოების ფუნქციებს წარმოადგენს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება და წინასწარი გაფორმება. ისინი მოქმედებენ აეროპორტებში, საზღვაო პორტებსა და ავტოსადგურებში.

საბაჟო კომისარიატები გერმანიაში იცავენ ევროკავშირისა და გერმანიის საბაჟო საზღვრებს, ასევე ასრულებენ საგზაო პოლიციის ფუნქციებს.

ოპერატიულ-სამძებრო საბაჟოების ფუნქციას კი წარმოადგენს სამართალდამცავი საკითხების მოგვარება. ოპერატიულ-სამძებრო საბაჟოების შემადგენლობაში ასევე მოქმედებენ „მობილური კონტროლის ჯგუფები“, რომლებიც ახორციელებენ სატვირთო ავტომანქანების, საწყობების, ფიზიკური პირების შერჩევით კონტროლსა და შემოწმებას.

გერმანიის ნებისმიერი საბაჟოს საქმიანობა მკვეთრად რეგლამენტირებულია. შექმნილია დეტალური ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ თითოეული თანამშრომლის მოქმედების წესებს ნებისმიერ სიტუაციაში.

გერმანიის ფედერალური ფისკალური სასამართლო არის გერმანიის კონსტიტუციის 95-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხუთი უმაღლესი მართლმსაჯულების ორგანოდან ერთ-ერთი, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო და საბაჟო საქმეების განხილვის საბოლოო ინსტანციას (გარდა ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი საქმეებისა). გერმანიის ფისკალური სასამართლოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საგადასახადო სამართლის ნორმების შეფარდებისა და აღსრულების კანონიერების უზრუნველყოფა, სამართლის ნორმების შეფარდებისა და აღსრულების კანონიერების უზრუნველყოფა სამართლის ნორმების ინტერპრეტაციის გზით.³⁰⁷

გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას ხშირია შემთხვევა, როდესაც გადასახადის გადამხდელები აყენებენ საგადასახადო კანონმდებლობის რიგი ნორმების არაკონსტიტუციურობის საკითხს, რის გამოც გერმანიის ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად, ასევე, ჩამოყალიბდა დავის განხილვისას საგადასახადო კანონმდებლობის კონკრეტული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის შესწავლა. ასეთი წინააღმდეგობის გამოვლენის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის განხილვა და ნორმის კონსტიტუციურობის საკითხზე გადაწყვეტილება მოითხოვოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსგან.³⁰⁸

³⁰⁷ საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური ინსტიტუტები, საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები, თბილისი, 2012, გვ. 23.

³⁰⁸ იხ. იქვე.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბაჟო სამსახური ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს. საბაჟო სისტემა აერთიანებს მთავარ საბაჟო სამმართველოს და საბაჟო სამმართველოებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების საკითხებს და ამავდროულად შეთავსებული აქვთ საგადასახდო პოლიციის, ავტონსპექციისა და სასაზღვრო ჯარის ფუნქციები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიხედვით, „ფედერაციას აქვს განსაკუთრებული საკანონმდებლო უფლებამოსილება საბაჟო გადასახადებისა და საფინანსო მონოპოლიის საკითხებში.“³⁰⁹

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, ინგლისის საბაჟო სისტემის სტრუქტურაში შედის მთავარი სამმართველო შესაბამისი დანაყოფებით და ადგილობრივი საბაჟო დაწესებულებები, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული. დიდი ბრიტანეთის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, 1909 წლიდან, მას შემდეგ, რაც განხორციელდა დიდი ბრიტანეთის საბაჟო და საფინანსო სამსახურების შერწყმა, ჩამოყალიბდა ცენტრალური საბაჟო ორგანო - საბაჟოებისა და აქციზების დეპარტამენტი, რომლებსაც ხელმძღვანელობს საბაჟოებისა და აქციზების საქმეებზე უფლებამოსილებით აღჭურვილი უმაღლესი თანამდებობის 6 პირი, რომლებიც ინიშნებიან დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ და წარმართავენ მთელ საბაჟო სისტემას ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში.³¹⁰

ინგლისის საბაჟოებისა და აქციზების დეპარტამენტის ფუნქციებს წარმოადგენს - იმპორტისა და ექსპორტის კონტროლი; სავალუტო კონტროლი და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა. საბაჟოები საქონლის იმპორტის დროს მოითხოვენ ლიცენზიას, რომლის გარეშეც საქონლის შეტანა აკრძალულია და რომელსაც გასცემს ვაჭრობის სამინისტრო. ექსპორტის დროს კი აკრძალულია ცალკეული სახის საქონლის გატანა, თუმცა ნებადართული საქონლის გატანა-შემოტანასაც ესაჭიროება ვაჭრობის სამინისტროს სათანადო ნებართვა სავალუტო კონტროლის შესახებ 1947 წლის კონვენციის საფუძველზე.

ინგლისის ისევე, როგორც სხვა ქვეყნების, საბაჟო სამსახურების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ, რომლისთვისაც დაწესებულია სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობა და სასჯელის ზომა, მათ შორის - კონტრაბანდული საგნების კონფისკაცია, ჯარიმა, და ცალკეულ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.³¹¹

ნაშრომის დასაწყისში უკვე აღინიშნა, რომ საგადასახადო/საბაჟო დავების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულად არეგულირებენ ასეთი დავების განხილვის წესს მართლმსაჯულების ორგანოებში. რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, საგადასახადო/საბაჟო

³⁰⁹ ი. ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართლის, 2013, გვ. 270-271.

³¹⁰ იხ. ი. ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართლის, 2013, გვ. 272.

³¹¹ იხ. ი. ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართლის, 2013, გვ. 270-271.

დავებს განიხილავენ საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართალწარმოების (საქმის შინაარსიდან გამომდინარე) გზით. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო სამართალი შედგება აურაცხელი რაოდენობის სამართლებრივი აქტების, მათ შორის - კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული და ინდივიდუალური აქტებისაგან, ნათელია, რომ თითქმის შეუძლებელია, მოსამართლეს გააჩნდეს აღნიშნული ნორმების ყველა დეტალებისა და თავისებურებების სიღრმისეული ცოდნა. თავის მხრივ, სასამართლოებში მიმდინარე საქმეების ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მისცეს მოსამართლეებს საგადასახადო/საბაჟო დავებთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების საშუალება.

სწორედ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, რიგ ქვეყნებში შემოღებულ იქნა სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტულად მხოლოდ საგადასახადო და საბაჟო დავების განხილვას. საგადასახადო სასამართლოების შექმნით, სადაც, რა თქმა უნდა, ასევე, შესაძლებელი იქნება საბაჟო დავების განხილვაც. კონკრეტულად სამართლის ამ სფეროში სპეციალიზირებული მოსამართლეების მიერ დავების განხილვით, მნიშვნელოვნად გაიზრდება საქმეთა განხილვის ეფექტურობა და არსებითად შემცირდება გადაწყვეტილებების მიღებისას შეცდომის დაშვების ალბათობა. ნაშრომის ამ ნაწილის დასაწყისში ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცალკეული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, საგადასახადო სასამართლოებში საგადასახადო/საბაჟო დავა განიხილება კონკრეტულად სამართლის ამ სფეროში სპეციალიზირებული მოსამართლეების მიერ, რაც უზრუნველყოფს დავის სწრაფად გადაწყვეტას, შეცდომის დაშვების ალბათობის შემცირებას, სწორი სასამართლო პრაქტიკის დანერგვას, რაც, საბოლოო ჯამში, ფაქტობრივად, არეგულირებს კანონმდებლობაში არსებულ ორაზროვან თუ ბუნდოვან ნორმებს და აყალიბებს ერთიან მიდგომას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ მთელ რიგ ქვეყნებში საგადასახადო სასამართლოს არსებობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამართლის ამ სფეროში მართლმსაჯულების ეფექტიანობას და ამკვიდრებს ქვეყანაში საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით ერთიან მიდგომას.

დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში საგადასახადო სასამართლოს ინსტიტუტის შემოღებით, რომელიც საბაჟო ურთიერთობების სფეროში საქმეებს განიხილავდა როგორც ადმინისტრაციული, ასევე, სისხლის სამართალწარმოების წესით, დავის განხილვა განხორციელდება სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მქონე მოსამართლეების მიერ.

აუცილებელია, აღნიშული კატეგორიის საქმეები განიხილონ სპეციალურად მომზადებულმა მოსამართლეებმა, როგორც ეს არის დარეგულირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, კერძოდ, აღნიშული კოდექსის მე-3 მუხლში, სადაც მოცემულია ტერმინთა განმარტება, აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მწარმოებელ პირს, ასევე, პროცესის მონაწილეს უნდა ჰქონდეს გავლილი სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. აგრეთვე, მთავარი პროკურორის ბრძანებით, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე როგორც გამოძიებაში, ასევე, სასამართლოში უნდა მონაწილეობდნენ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორები, ხოლო გამოძიებაში, ასევე, სპეციალიზებული გამომძიებლებები.

აღნიშნულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება იქნება ამომწურავად დასაბუთებული, რაც დაარწმუნებს მოდავე მხარეებს გადაწყვეტილების სამართლიანობასა და კანონიერებაში. ასევე, რიგ შემთხვევებში დაიზოგება მხარეთა დრო - ზემდგომ ინსტანციებში საქმის გასაჩივრების აუცილებლობის არარსებობის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საგადასახდო სასამართლოს შექმნით საბაჟო ურთიერთობების სფეროში დაინერგება საქმეთა განხილვის ობიექტური ვადები, რაც უზრუნველყოფს საკითხის დროულ გადაწყვეტას, რომელიც ასე მნიშვნელოვანია მხარეებისთვის. და ბოლოს, საგადასახდო/საბაჟო საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის დანერგვა და მისი განზოგადება მოგვცემს საშუალებას, განიმარტოს საბაჟო ურთიერთობების სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში არსებული უზუსტობები და აღმოიფხვრას დაურეგულირებელი საკითხები. მათ შორის, აღმოიფხვრას უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნების არასწორი ინტერპრეტაციით მოქმედი პრაქტიკაც. რა თქმა უნდა, აღნიშნული რეგულაციები მოითხოვს შესაბამისად საკონსტიტუციო ცვლილებს, რაც გარკვეულ პროცედურებთან არის დაკავშირებული.

თავი 3. საბაჟო კონტროლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულაციები

ტექნიკურმა პროგრესმა, როგორც წესი, მსოფლიოს მოუტანა ცხოვრების კომფორტული სტანდარტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ინტერნეტი და კომპიუტერული სისტემები, სწრაფმავალი ტრანსპორტი და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები. როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე, რუსეთშიც, საერთაშორისო კომერციული აქტივობა სულ უფრო და უფრო სრულყოფილ სახეს ატარებს და სულ უფრო და უფრო მეტი მიმდევარი ჰყავს. სახელმწიფო

იმულებულია, დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილებები საქონლის ექსპორტ-იმპორტის თვალსაზრისით.

პრაქტიკა და ცხოვრებისეული გამოცდილება ცხადყოფს, რომ, თუ სახელმწიფო ხელს შეუშლის კერძო მეწარმეს, დამოუკიდებლად გავიდეს საერთაშორისო ბაზარზე, მეწარმე ამას ფარულად ცდილობს - იურიდიული და ფიზიკური პირები ყველა გზას ეძებენ, რათა თავი აარიდონ საბაჟო გადასახადების გადახდას და უმეტესწილად მისდევენ კონტრაბანდას, ანუ საბაჟო წესების დარღვევას. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციამ, გეგმიური ეკონომიკის ნაცვლად უამრავი რაოდენობის წვრილმანი სამეურნეო ერთეულების შექმნამ, საზღვრების გამჭვირვალობამ, სახელმწიფო და კომერციული პირამიდების შექმნამ საგრძნობლად დააჩქარა საყოფაცხოვრებო თუ კომერციული მოთხოვნილებების ზრდა.

აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, საბაჟოთა ადმინისტრაციული ორგანოების ჩარჩო სცდება შიდა ნაციონალურ ჩარჩოს და სახელმწიფოთაშორის დონეზე ადის. საბაჟო კავშირის შექმნამ მალევე განაპირობა წევრი სახელმწიფოების კომპეტენციების შეზღუდვა და ამ პროცესმა, ასევე, განაპირობა თანამეგობრობის ხელმძღვანელთათვის საბაჟო რეგლამენტის შექმნის მინდობაც. საბაჟო სამართალი ნელ-ნელა განვითარდა, იგი იქცა ევროპული თანამეგობრობის ერთ ერთ ყველაზე ინტეგრირებულ სამართლად. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც განხორციელდა საქონლის საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის იურიდიული სტატუსის ქვეშ და ნაციონალური საბაჟო ადმინისტრაციის მისიებისა და სამოქმედო გეგმების ფარგლებში. საბაჟო სამართალმა, ტრადიციულად საგადასახადო სამართალმა ჩააყენა თავისი სამოქმედო ბერკეტები ეკონომიკის სამსახურში.

ამგვარად, ევროპული თანამეგობრობა აღიჭურვა ინფრასტრუქტურით და იურიდიული უფლებებით, რაც მას საშუალებას აძლევს გამოკვეთოს საბაჟო კავშირის მნიშვნელოვანება, რასაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს 1993 წელს თანამეგობრობის საბაჟოთა კოდექსის მიღება, რომელიც წარმოადგენს საბაჟო კანონმდებლობის გაერთიანების სიმბოლოს. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკავშირის ბიუჯეტი საზრდოობს საბაჟო მოსაკრებლებით. საბაჟო რეგლამენტის მიზანია კავშირის სახელმწიფოების სავაჭრო პოლიტიკის ორგანიზება მესამე სახელმწიფოებთან მიმართებით, თავისი ფინანსური ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის ვალდებულება წევრი სახელმწიფოებისთვის განაპირობებს ვალდებულებას, რომ შეიმუშავონ საკუთარი ზომები კონტრაბანდის

წინააღმდეგ საბრძოლველად და განახორციელონ შესაბამისი სანქციები ამ სფეროში.

ევროკომისია აღმშენებლობამ ყველასთვის საერთო გახადა ეს უფლება, ვინაიდან იგი წარმოადგენს საზღვრებზე სუვერენიტეტის განმახორციელებელ უმაღლეს ორგანოს. ამგვარად, წევრ სახელმწიფოებს თავიანთ ეროვნულ სისხლის სამართლის დებულებებში უნდა ჩაეწერათ ყველანაირი შესაძლო დანაშაული, რომელიც განმარტებული იქნებოდა კონვენციის შესაბამისად. ასევე, მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის გარანტიაც, რომ მოხდებოდა ეფექტიანი სისხლის სამართლის სანქციების დაწესება. ასევე, უმთავრესია ისიც, რომ სხვადასხვა ნაციონალურმა საბაჟო ადმინისტრაციებმა არა მხოლოდ ერთნაირად აღასრულონ სამართალი, არამედ ერთი და იმავე სისწრაფით იმოქმედონ დარღვევათა შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს. ადმინისტრაციული და, ასევე, სასამართლო თანამშრომლობა საბაჟო სფეროში, ატარებს სავალდებულო ხასიათს.

საბაჟო სფეროში თანამეგობრობის აღმშენებლობის ამჟამინდელ სტადიაში, საბაჟო სისხლის სამართალი წარმოადგენს „ნაციონალურ კუნძულს“. მიუხედავად ევროკომისიის მრავალმხრივი მცდელობისა, მიუხედავად წევრი ქვეყნებისგან საბაჟო სანქციებთან დაკავშირებული საერთო ხედვა, ამას ვერ მიაღწიეს და აღნიშნული საკითხი კვლავ სადავოდ რჩებოდა. თანამეგობრობის საბაჟო კოდექსი ყველა ეკონომიკურ ოპერატორს ერთსა და იმავე ვალდებულებებს აკისრებდა, განურჩევლად ადგილისა, სადაც ხდებოდა საბაჟო ფორმალობის განხორციელება. ამ ვალდებულებების დარღვევა ისჯებოდა კანონით ყველა ქვეყანაში, თავიანთი საპროცედურო წესების თანახმად. საბაჟო დევნისა და სანქციების შესახებ დებულებები ყველა ქვეყნის მიერ თავადვე იყო განსაზღვრული. შესაძლოა ერთი და იმავე სასჯელის ჩამდენი პირი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ყოფილიყო დასჯილი. ამგვარად, ზოგიერთი სახელმწიფო და, მათ შორის, საფრანგეთი, უარყოფს საბაჟო რეგლამენტს და გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა სისხლის სამართლის დებულებებს. ევროკომისია თანამეგობრობების სასამართლო წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს სამართლის ძირითადი პრინციპების დაცვას, როგორცაა სანქციის პროპორციულობის პრინციპი.

საბაჟო დარღვევების იურიდიულ პასუხისმგებლობასა და სანქციებთან დაკავშირებული პროცედურები, იქნება ეს სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო, განისაზღვრება მხოლოდ ნაციონალური კანონმდებლობით. საუბარია სამართალზე, რომელიც მიეკუთვნება სისხლის სამართლის სფეროს მაშინ, როცა ზოგიერთი მუხლი სწორედ სუფთა სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათისაა. საბაჟო სამართალს სამართლის სხვა დარგებს შორის, მიუჩინო შესაბამისი ადგილი, არ

არის ადვილი იმ თვალსაზრისით, რომ იგი ისევეა ორიენტირებული საქონლის საერთაშორისო მიმოსვლის კონტროლისაკენ, როგორც ნაციონალური საჯარო წესრიგის დაცვისაკენ. საბაჟო სამართალი ერთდროულად ბევრ სამართალს აერთიანებს. ერთი მხრივ, საბაჟო სამართალი არის საერთო, მაგრამ ამავდროულად იგი ინარჩუნებს ეროვნულ ელფერსაც. ამ თვალსაზრისით, იგი ფლობს განსაკუთრებით ეფექტურ იურიდიულ ბერკეტებს, რომლებიც ახლოს არის ზოგად საგადასახადო სამართალთან, თუმცა მორგებულია საბაჟო მექანიზმების ბუნებას.

საერთაშორისო თანამეგობრობამ, უფრო კონკრეტულად კი საერთაშორისო თანამეგობრობის წევრმა ქვეყნებმა, გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ასევე, ის, რომ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ეკონომიკურ, სოციალურ და საგადასახადო ინტერესებს, აგრეთვე, ვაჭრობის კანონიერ ინტერესებს, გაითვალისწინეს რა, რომ საბაჟო სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს საბაჟო თანამშრომლობის პირობებში, და რომ ასეთი თანამშრომლობა საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს შექმნის კონვენციის ერთ-ერთი მიზანია, შეთანხმდნენ „საბაჟო სამართალდარღვევების თავიდან აცილების, გამოძიების და აღკვეთის მიზნით ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მიღების თაობაზე. საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ეგიდით 1977 წლის 9 ივნისს ნაირობიში მიღებულ კონვენციას საქართველო შეუერთდა 2009 წლის 20 ოქტომბერს (საქართველოს პარლამენტის დადგენილება № 1817 – IIს). ამ კონვენციის ძირითადი არსი არის ურთიერთთანამშრომლობა საბაჟო ურთიერთობის სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო საკითხებში თანამშრომლობის საკითხებზე შეთანხმებებზე საქართველოს არაერთ ქვეყანასთან აქვს მოწერილი ხელი, თუმცა, არ შეიძლება, არ აღინიშნოს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების მიერ მიღებული II ოქმი „საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელსაც საქართველო შეუერთდა 2013 წლის 25 ნოემბერს. აღნიშნული ოქმის საფუძველზე მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ მხარეები ერთმანეთს გაუწევენ დახმარებას, თავიანთი კომპეტენციის სფეროში, აღნიშნულ ოქმში განსაზღვრული პირობების შესაბამისად საბაჟო კანონმდებლობის, განსაკუთრებით კი საბაჟო სამართალდარღვევების პრევენციის,

გამოძიების და მათთან ბრძოლის ქმედებების უზრუნველყოფის მიზნით.³¹²

ზემოხსენებული ოქმით გათვალისწინებული დახმარება ვრცელდება მხარეების ნებისმიერ ადმინისტრაციულ უწყებაზე, რომელიც პასუხისმგებელია ოქმის გამოყენებაზე. თუმცა ოქმით ცალსახად განისაზღვრა, რომ ის გავლენას ვერ მოახდენდა ორმხრივი სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ შეთანხმებებზე, ასევე, არ გავრცელდებოდა სასამართლო ორგანოების მიერ თავიანთი უფლებამოსილებების საფუძველზე გაცვლილ ინფორმაციაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი ინფორმაციის გადაცემა ნებადართულია უფლებამოსილი უწყების მიერ.³¹³

დაბოლოს, „საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ II ოქმში, ასევე, ცალსახად განსაზღვრულია, რომ იგი ავსებს საბაჟო საკითხებში ურთიერთდახმარების შეთანხმებებს, რომლებიც შეიძლება დაიდოს თითოეულ წევრ სახელმწიფოსა და საქართველოს შორის. თუმცა აღნიშნულ ოქმში, ასევე, დეკლარირებულია, რომ ოქმის დებულებებს ენიჭება უპირატესი ძალა ნებისმიერ ორმხრივი ურთიერთდახმარების შეთანხმებებთან მიმართებით, რომელიც დადებულია ან შეიძლება დაიდოს წევრ ქვეყნებს და საქართველოს შორის, თუ ამ ორმხრივი შეთანხმებების დებულებები არ შეესაბამება ოქმის დებულებებს.³¹⁴

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, 1947 წელს, საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდა 13 ქვეყანა. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავდა და იმავე პერიოდში მოეწერა ხელი საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკის აღდგენასა და აღორძინებას ომის შემდგომ პერიოდში. ზემოხსენებულ ხელშეკრულებას ეწოდა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება. გენერალური შეთანხმების ძირითადი მიზანი წარმოადგენდა შემდეგს, საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული ბარიერების აღმოფხვრა, - ტარიფების შემცირების, რაოდენობრივი შეზღუდვებისა (საიმპორტო კვოტა) და სუბსიდირების მეშვეობით. აღნიშნული გენერალური შეთანხმების საფუძველზე, 1950 წელს, ბრიუსელში ხელი მოეწერა კონვენციას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა საბაჟო თანამშრომლობის საბჭო. 1953 წლის 26 იანვარს, გაიმართა ორგანიზაციის ინაუგურაცია 17 სახელმწიფოს წარმომადგენლის მონაწილეობით. 1994 წელს საბაჟო

³¹² იხ. 2013 წლის 25 ნოემბრის შეთანხმება ეროკავშირსა და წევრ ქვეყნებს შორის „საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ II ოქმი, მუხლი 1.

³¹³ იხ. 2013 წლის 25 ნოემბრის შეთანხმება ეროკავშირსა და წევრ ქვეყნებს შორის „საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ II ოქმი, მუხლი 14.

³¹⁴ იხ. იქვე.

თანამშრომლობის საჭოს ეწოდა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, რომლის წევრი დღეის მდგომარეობით არის 182 საბაჟო სამსახური, რომელიც აკონტროლებს საერთაშორისო ვაჭრობის 98%-ს.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (მსო) - სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია, არის საყოველთაოდ აღიარებული საბაჟო ექსპერტიზის გლობალური ცენტრი და ასრულებს წამყვან როლს საბაჟო საქმისა და საბაჟო კანონმდებლობის განხილვაში, განვითარებასა და გაუმჯობესებაში. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუციური განვითარების პროგრამებზე, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყოს რეფორმების განხორციელებას და საბაჟო მომსახურების მოდერნიზებას. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ შეიმუშავა აღწერისა და კოდიფიცირების ჰარმონიზაციული სისტემა.

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება რამდენიმე ათეული წელი ფაქტიურად ასრულებდა საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციებს, ხოლო 1994 წლის 8 დეკემბერს ჩამოყალიბდა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელმაც ოფიციალურად ფუნქციონირება 1995 წლის 1-ელი იანვრიდან დაიწყო და რომლის შტაბ-ბინა შვეიცარიაში, კერძოდ, ჟენევაში მდებარეობს. მან ჩაანაცვლა 1947 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება. მსო-ს მიზანს წარმოადგენდა და ამჟამადაც წარმოადგენს მრავალმხრივი სავალდებულო ხელშეკრულებების საფუძველზე ამ ორგანიზაციის წევრთა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება, წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა და ხელშეწყობა, ხოლო ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში, მისი სამართლიანობის, წინასწარი განჭვრეტისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით, რასაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეეწყოს ეკონომიკური აღმავლობის პროცესსა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. ხსენებული ამოცანების უზრუნველყოფა გამოიხატებოდა წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების წარმოებაში ტარიფების დარეგულირებისა და შემცირების შესახებ. ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, ასევე, სავაჭრო ურთიერთობების სფეროში წარმოქმნილი დავების მოგვარების მექანიზმების შემუშავება. თავის საქმიანობაში GATT-ი, ძირითადად, ეყრდნობოდა სამ პრინციპს, კერძოდ - არადისკრიმინაცია, მრავალმხრივობა და ყველაზე - სასურველი სახელმწიფოს პრინციპის (Most-Favoured Nation principle) გავრცელება ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის, როდესაც

შეთანხმების მონაწილე სახელმწიფო შეღავათს აწესებს ერთი სავაჭრო პარტნიორისთვის, მან იგივე შეღავათები უნდა გაავრცელოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა დანარჩენ წევრზე, რათა ყველა იყოს თანაბარ პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ბლოკი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების უმეტესობა არ შეუერთდა GATT -ს და არ სცნეს მისი პრინციპები (მაგ. რუსეთი 19-წლიანი მოლაპარაკების შემდეგ, მხოლოდ 2012 წლის 22 აგვისტოს გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი), ხოლო წევრი სახელმწიფოები ცალკეულ შემთხვევებში სრულად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, GATT-მა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას დამკვირვებლის სტატუსით ჯერ კიდევ 1996 წლის 26 ივნისს მიუერთდა, ხოლო 1999 წლის 6 ოქტომბრიდან გახდა მისი სრულუფლებიანი წევრი (მსო-სთან საქართველოს მიერთების შეთანხმება საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 14 ივლისს იქნა რატიფიცირებული).

ნებისმიერი მიმართულებით ქვეყნებს შორის თანამშრომლობას მხოლოდ დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია. აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობა ალბათ განსაკუთრებით ეფექტიანი შედეგის მომტანია ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო საკითხებში თანამშრომლობის თაობაზე, საქართველოს არა ერთ შეთანხმებაზე აქვს ხელი მოწერილი. 2008 წლიდან აქტიურ ფაზაში გადავიდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებების გაფორმება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური ინტერესები. ამგვარ შეთანხმებათა ტექსტები ძირითადად ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელს და განსაზღვრავს ქვეყნებს შორის დაბეგვრის პრინციპებს. კერძოდ, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მეორე ქვეყანაში გაწეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება იმ ქვეყანაში, სადაც იგი იქნა მიღებული ან რეზიდენტ ქვეყანაში. რეზიდენტ ქვეყანაში იგულისხმება ქვეყანა, სადაც პირი, მიუხედავად სხვა ქვეყნის მოქალაქეობისა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა კონკრეტული სახის საქმიანობას.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2011 წლის სამოქმედო გეგმით საქართველოს საბაჟო სფეროში განისაზღვრა შემდეგი ვალდებულებები და სამოქმედო პრიორიტეტები: „ახალი საბაჟო კოდექსის მიღება და მისი

განხორციელება ევროკავშირის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; საბაჟო კოდექსის შესწორებულ ვარიანტში კოდექსის მოთხოვნების შესრულებისთვის აუცილებელი დებულებების მიღება და განხორციელება საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და მათი მიზნობრივი გამოყენებისათვის; საბაჟო ეტიკასთან დაკავშირებული საკითხების ევროკავშირის სტანდარტებთან და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მოგვარება; ვაჭრობის სფეროს მუშაკებისთვის საბაჟო პროცედურების შესახებ რეგულარულად ინფორმირების მექანიზმების შემუშავება; საბაჟო ადმინისტრაციის საერთო ადმინისტრაციული პოტენციალის გაძლიერება, რაც გულისხმობს უფრო გამჭვირვალე წესებისა და ტარიფების შემოღებას; საბაჟო ღირებულების წესების სწორად დანერგვა, მასში იგულისხმება რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლისა და განბაჟების შემდგომი კონტროლის დანერგვა. კერძოდ, ადმინისტრაციის აღჭურვა სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიებით; ადმინისტრაციული შესაძლებლობების შექმნა ლიცენზირების ეფექტიანი და გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბების მიზნით“.³¹⁵

აღნიშნულ პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ ზემოხსენებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ჭრილში განხორციელებული რეფორმების შედეგების მიხედვით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მოხდა შემდეგი რეკომენდაციებისა და შეფასებების წარმოდგენა:

„ - შემოსავლების სამსახურის სტრუქტურა მეტისმეტად არამდგრადია. უნდა ჩამოყალიბდეს სტაბილური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმას მოემსახურება.

- ადამიანური რესურსების განვითარება უნდა დარჩეს პრიორიტეტად. მიზანშეწონილია, შემოსავლების სამსახურმა გააგრძელოს მუშაობა ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით, მათ შორის 2011 წელს დაწყებული პროექტები. შეიმუშაოს კადრების მართვის სტრატეგია, რომელიც დაარეგულირებს თანამშრომელთა მოტივაციის, პროფესიული განვითარების შეფასების და ა.შ. საკითხებს. განაგრძოს ტრენინგის პროგრამების ორგანიზება, რაც სამსახურის შემდგომი განვითარების მთავარი საფუძველი უნდა გახდეს.

- საბაჟო ადმინისტრაცია სარგებლობს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უფრო კარგად გამართული საინფორმაციო ტექნოლოგიებით, თუმცა უნდა გააგრძელოს ოპერაციულ სისტემა ASYCUDA World-ის ან ალტერნატიული სისტემების დანერგვაზე

³¹⁵ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2011 წელს - სამოქალაქო წარმომადგენელთა შეფასება, თბილისი, 2012 წ. გვ. 26.

მუშაობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბაჟო პროცედურების სრული საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა.

- საბაჟოს როლი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის საქმეში ჯერ კიდევ განვითარებას საჭიროებს. ადმინისტრაციამ უნდა განაგრძოს საბაჟოს როლის გაძლიერება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის საკითხებში. ამ მიზნით აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელებთან და „საქპატენტთან“ ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმის შემუშავება და საბაჟო ინსპექტორების რეგულარული მომზადება-გადამზადება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის საკითხებში.

- მიზანშეწონილია, საბაჟო ადმინისტრაციამ უარი თქვას საბაჟო ღირებულების განსაზღვრის არსებულ პრაქტიკაზე და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები WTO-ს რეგულაციებს შეუსაბამოს.

აღნიშნული შეფასებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, რეფორმების თვალსაზრისით მუშაობა დღესაც მიმდინარეობს, ვითარდება შიდა რესურსები, იზრდება საბაჟო სფეროში ურთიერთანამშრომლობის ფარგლები, გრძელდება თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა საბაჟო საზღვრებზე და ა.შ., თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებლობის ფარგლებში.

ეკონომიკურ საკითხებში, მათ შორის, საბაჟო საკითხებში ურთიერთანამშრომლობის შესახებ ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებების განხილვა, ალბათ, ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს, თუმცა არც ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს. ამ ეტაპზე, ჩვენ მხოლოდ ცალკეული შეთანხმებების ჩამონათვალით შემოვიფარგლებით. კერძოდ, გარდა ზემოაღნიშნულისა, საბაჟო საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ საქართველოს დადებული აქვს შეთანხმება დაახლოებით 50 ქვეყანასთან, თუ უფრო დავკონკრეტდებით - 48 ქვეყანასთან, მათ შორისაა - გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, შვედეთი, შვეიცარიის კონფედერაცია, დანია, ისრაელი. ინდოეთი, არაბეთი, ჩინეთი, ირანი და სხვა ქვეყნები, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთი კი უპირობოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც ნებისმიერ სფეროში, ასევე, საბაჟო საკითხებში ურთიერთანამშრომლობის თაობაზე მიღებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებები წარმოადგენს კონტრაბანდასთან და კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთ მეტად ეფექტურ საშუალებას.

საბაჟო სამართალი, როგორც იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგის სამართლებრივი ნორმების სისტემა - საშუალებას იძლევა, საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებზე გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ადმინისტრაციულსამართლებრივი,

სისხლისსამართლებრივი თუ სამოქალაქო სამართლის ნორმები. ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობა, თუ საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები, როგორც უკვე ჩვენ მიერ იქნა აღნიშნული, დეტალურად აწესრიგებს საბაჟო ორგანოებსა და ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთქმედების კონკრეტულ ეტაპზე ყველა საბაჟო პროცედურას, თუმცა საბაჟო ბიზნესის სპეციფიკა, სხვა რეგულაციებთან ერთად, მოიცავს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების საკმაოდ მკაცრი პროცედურის წინაპირობას. საბაჟო საზღვარზე მყოფი პირების მოქმედებების ალტერნატივა დასაშვებია ეროვნული და საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების შესაბამისად მკაცრად განსაზღვრული პარამეტრებით, რომელთა უზრუნველყოფა მოეთხოვება საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობებში მონაწილე ყველა სუბიექტს. სწორედ აღნიშნული ურთიერთობების სათანადო მოწესრიგებას ემსახურება საბაჟო საკითხებზე მიღებული ეროვნული კანონმდებლობასა და საერთაშორისო შეთანხმებებში დეკლარირებული ნორმების შესაბამისი მოთხოვნები.

თავი 4. საბაჟო ურთიერთობების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკისა და სამართლებრივი რეგულაციების იმპლემენტაცია

საბაჟო ურთიერთობების სფერო ყოველთვის იყო და დარჩება ქვეყნებსშორისი ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს გლობალურ ფაქტორად, რადგან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს და ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ჰარმონიზაციასა და საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების გაზიარებას ენიჭება. როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის, ასევე, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების იმპლემენტაციის პროცესი ცალსახად მოითხოვს თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაუმჯობესებას, რაც ქვეყნების ეკონომიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გარანტიაა. ამ გარანტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში დამკვიდრებული საბაჟოსა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის პლატფორმა, რადგან მუდმივი კონსულტაციები საბაჟო ადმინისტრაციებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის, კონსულტაციები როგორც სტრატეგიულ, ასევე, ტექნიკურ დონეზე და ამ კონსულტაციების პრაგმატულ ჭრილში გადაწყვეტა, იძლევა საშუალებას, პასუხი გაეცეს მსოფლიო მასშტაბით არსებულ კითხვას - თუ რა სურს საბაჟოს ბიზნესისგან და, პირიქით, რა სურს ბიზნესს საბაჟოსგან.

საქართველო მიისწრაფის, განავითაროს, გააღრმავოს და განმტკიცოს ყველა სავაჭრო პარტნიორთან არსებული სავაჭრო ურთიერთობები, ასევე, კონსტრუქციული დიალოგის ფარგლებში მოაგვაროს ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან. თუმცა, რამდენად ცდილობს ამას თვით რუსეთი, ამაზე ბოლო პერიოდში მომხდარი ინციდენტი მეტყველებს. კერძოდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით, შვეიცარიის კონფედერაციის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებმა 2011 წლის 9 ნოემბერს ხელი მოაწერეს დოკუმენტების პაკეტი. აღნიშნული პაკეტი მოიცავდა საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის მექანიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ ორმხრივი შეთანხმების და ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც შვეიცარიის, როგორც ნეიტრალური მესამე მხარის, როლს განამტკიცებს. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემის საშუალებით ნეიტრალური კომპანია (შვეიცარიული კომპანია SGS) ტვირთის სავაჭრო დერეფნებში შესვლამდე რისკის მართვის უზრუნველყოფის მიზნით, სასაქონლო დეკლარაციებიდან და ტვირთებზე წინასწარი ინფორმაციიდან შესაბამის მონაცემებს მოიპოვებს.

ზემოხსენებული შეთანხმების მიხედვით, თავად სავაჭრო დერეფნები, სადავო ტერმინოლოგიის თავიდან აცილების მიზნით, გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით განისაზღვრა: პირველი სავაჭრო დერეფანი, რომელიც აფხაზეთის მიმართულებას ფარავს, ადღერის სიახლოვეს იწყება და ზუგდიდში მთავრდება; მეორე სავაჭრო დერეფანი, რომელიც ტრანსკავკასიურ მაგისტრალს მიუყვება, ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ ნართან იწყება და გორთან მთავრდება; ხოლო მესამე ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მდებარეობს.

2011 წლის 25 იანვარს გაზეთ „კომერსანტი“ გამოქვეყნდა ინტერვიუ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან - გრიგორი კარასინთან, რომელმაც აღნიშნულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 2011 წლის შეთანხმებამ სიცხადე შეიტანა იმ საკითხებში, თუ სად გადის საქართველოს საბაჟო საზღვარი, კერძოდ, მან აღნიშნა: - ამ საერთაშორისო შეთანხმებაში განსაზღვრულია ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები, რომლებიც განკუთვნილია ქართული საბაჟო სამსახურებისთვის. ეს არის ყაზბეგის რაიონი - რუსეთთან საზღვარი, მდინარე ენგურის სამხრეთით (სადაც აფხაზეთის ტერიტორია იწყება) და გორის მიდამოები (სამხრეთ ოსეთის საზღვართან ახლოს). (გაზეთი „კომერსანტი“, 25.01.2011წ.)

2011 წლის შეთანხმების რუსეთის მხარის ამგვარმა ინტერპრეტაციამ ქართული პოლიტიკური ელიტის აღშფოთება

გამოიწვია, მით უმეტეს, აღნიშნულ ინტერვიუდან სულ რაღაც 2 დღეში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს საოკუპაციო ზონაში მოხდა ახალი საბაჟო პუნქტების გახსნა, ხოლო სოხუმში რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის, ე.წ. სპეციალიზებული საბაჟო პოსტის შექმნა. აღნიშნულ ქმედებას, რა თქმა უნდა, მოჰყვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც კერძოდ ნათქვამია: „საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვისა და თავისუფალი გადაადგილების შესაზღვრად სხვადასხვა დისკრიმინაციული რეგულაციის შემოღების ფონზე, ე.წ. საბაჟო პუნქტების გახსნა წარმოადგენს მოსკოვის პოლიტიკის ნაწილს - ინტეგრაციის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებების იმპლემენტაციითა და დანარჩენი საქართველოსგან იზოლაციით, მოახდინოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის სივრცეში, მათ შორის, საბაჟო-ეკონომიკურ სისტემაში გაერთიანება.“³¹⁶

როგორც ვხედავთ, პოლიტიკას ვერ ავცდით ვერც საბაჟო ურთიერთობების სფეროში. იმ დროს, როდესაც საბაჟო პოლიტიკა ქვეყნების დაახლოებისა და სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესში ინტეგრირებისკენ არის მიმართული, ცალკეული ქვეყნები, პირიქით, ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით დადებულ ხელშეკრულებებს სიტუაციის გამწვავებისა და საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელების მიზნით მიმართავენ.

წარმოადგენს რა წინამდებარე ნაშრომის საკვლევ თემას საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევა არ იქნებოდა სრულყოფილი, თუ ნაშრომში რამდენიმე სიტყვით არ შევეხებოდით საბაჟო ურთიერთობების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკისა და სამართლებრივი რეგულაციების იმპლემენტაციის მიზნით საქართველოს საბაჟო სისტემაში გატარებული რეფორმების ქრონიკას.

ჩვენი ქვეყანა მიისწრაფის, განავითაროს, გააღრმავოს და განამტკიცოს ყველა სავაჭრო პარტნიორთან არსებული სავაჭრო ურთიერთობები. საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხის ზედმიწევნით შესწავლას, იმ საჭიროებებისა და პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირებას, რაც განსაზღვრავს ეკონომიკური ინტეგრაციის როლსა და შედეგებს. ამ მხრივ აღსანიშნავია 2013 წლის 28 ნოემბერს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამმიტის ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების და მისი შემადგენელი ღრმა

³¹⁶ ინტერპრესნიუსი, 28.01.2018. (თებ. 10 04:21:19 2018)

და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) პარაფირება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებები გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან. საერთაშორისო საბაჟო ცოდნისა და გამოცდილების გენერატორს, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, რომელშიც საქართველო 1993 წლიდანაა გაწევრიანებული. საქართველო აქტიურად იყო და არის ჩართული მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტანდარტების დამკვიდრებასა და განხორციელებაში. ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ არსებული გამოწვევების წარმატებულად გამკლავება და დასახული ამოცანების ზედმიწევნით შესრულება სწორედ რომ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სხვადასხვა ინსტრუმენტების გონივრული გამოყენებითაა შესაძლებელი, რაც, ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაციებისთვისაც.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საბაჟო ორგანოების მნიშვნელოვანი როლის დამადასტურებელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ბალის მინისტერიალის ფარგლებში მიღებული ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმება. აღნიშნულ ჭრილში უდავოდ აღსანიშნავია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის როლი აღნიშნული შეთანხმების იმპლემენტაციისა და ადმინისტრირების თვალსაზრისით, რაც პერსპექტიულად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის და სტაბილურად განვითარების, გაზრდილი შემოსავლების და სიღარიბის დამლევის ინდიკატორების ეფექტურობას.

რაც შეეხება ქვეყანაში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს, თუ დავვერდნობით უცხოელი ექსპერტების, კერძოდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან წარმოდგენილი ექსპერტების შეფასებას, საქართველოს გამოცდილების უნიკალურობა სწორედ რეფორმების მასშტაბურობამ, სითამამემ, ტემპმა და თანმიმდევრობამ განაპირობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცალკეული ქვეყნების სახელმწიფო ორგანოებში, მათ შორის, რა თქმა უნდა საბაჟო სისტემაში, მეტ-ნაკლებად არსებობს კორუფცია, რომლის აღმოფხვრაც ხელისუფლების უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება. ამ მხრივ გამონაკლისს, არც საქართველო წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ განხორციელებულ კვლევაში, რომელიც შესაბამისად აისახა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის

საერთაშორისო განვითარების მიერ 2012 წელს გამოცემულ წიგნში - „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“. ზოგადად, წიგნში აღწერილია კონკრეტული მაგალითების ობიექტური ანალიზი და ქრონოლოგიური აღწერა, თუ როგორ მიმდინარეობდა კორუფციასთან ბრძოლა და როგორ მოხდა, საბოლოოდ, მისი დაძლევა სახელმწიფო სტრუქტურების სხვადასხვა სფეროში.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები, გარე ექსპერტების მონაწილეობით რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდნენ დაკვირვებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, საჯარო სამსახურებში არსებულ კორუფციაზე, რომელიც განსაკუთრებული სიმკვეთრით ქვეყნის საბაჟო სტრუქტურებში არსებობდა და რომელიც სათანადოდ იქნა დაძლეული შესაბამისი ღონისძიებების ეფექტური განხორციელების მეშვეობით. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებისა და ექსპერტების მიერ შერჩეული სფეროების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ათი ფაქტორი, რითაც მათ მიერ აიხსნა საქართველოს მიღწევები, კერძოდ, ეს ფაქტორებია: „ძლიერი პოლიტიკური ნება, მაღალი ნდობის მოპოვება საწყის ეტაპზე, უკომპრომისო მიდგომა, ახალი კადრების მოზიდვა, სახელმწიფოს როლის შეზღუდვა, არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება, მჭიდრო კოორდინაცია და გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად, საერთაშორისო გამოცდილების მორგება ადგილობრივ პირობებთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და სტრატეგიული კომუნიკაცია საზოგადოებასთან“.³¹⁷

თუ გავანალიზებთ ქვეყნის საბაჟო საზღვრებზე 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის არსებულ ვითარებას, დავინახავთ, რომ 2003 წლისთვის, საქართველოს საბაჟო კორუფციის აუღებელ ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა. საზღვრები იყო ძალიან უკონტროლო და დაუცველი, კორუფცია და კონტრაბანდა აღიქმებოდა არა როგორც გამონაკლისი შემთხვევა, არამედ, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. ნებისმიერ პირს, ქრთამის მეშვეობით, შეეძლო საზღვრის გადმოლახვისას საბაჟო დეკლარაციის წარდგენისა და იმპორტის დაბეგვრის გარეშე შემოეტანა და გაეყიდა ნებისმიერი სახის ტვირთი. კონტრაბანდისტები საზღვრებზე ქვეითად, მსუბუქი ან სატვირთო მანქანებით გადმოდიდნენ თურქეთიდან და თან გადმოჰქონდათ ტანსაცმლი და საკვები პროდუქტები, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან კი - საწვავი. შედარებით რთული იყო ნარკოტიკების, ფეთქებადი ნივთიერებებისა

³¹⁷ „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012. გვ. 3.

და იარაღის შემოტანა, რაც უფრო დიდი ოდენობით ქრთამს საჭიროებდა, მაგრამ, მაინც, საბოლოოდ, შესაძლებელი იყო.

ზემოხსენებულ პერიოდამდე, არც საქართველოს საბაჟო ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით სუფევდა სახარბიელო ვითარება. კერძოდ, მართალია საქართველომ 90-იანი წლების დასაწყისში მიიღო საბაჟო კოდექსი, მაგრამ ის თითქმის არ მოქმედებდა, უბრალოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კორუფციისთვის. მოქმედებდა რა 16 სატარიფო ჯგუფი, რომელთა განაკვეთები 0-დან 30%-მდე მერყეობდა, საბაჟო მოხელეების მხრიდან თანამდებობების ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის გამოძალვისთვის ნოყიერ სისტემას ქმნიდა. ასევე, მრავალრიცხოვანი შეღავათები საბაჟო ურთიერთობების სფეროში, დამატებით ნიადაგს წარმოადგენდა კორუფციისთვის. კორუფცია აისახებოდა საგადასახადო შემოსავლების ძალიან დაბალ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო სატარიფო განაკვეთი 20%-ს ამეტებდა, საბაჟო შემოსავლების წილი ერთ პროცენტსაც ვერ აღწევდა. რეგიონში ქვეყნებს შორის საქართველოს ყველაზე დაბალი დონე ჰქონდა.³¹⁸

ფაქტიურად 2004 წლის შემდგომ პერიოდში დაიწყო საბაჟო რეფორმა, რომელიც, საბოლოოდ, აღმოჩნდა მრავალმხრივი, რადგან ამ რეფორმამ, ფაქტიურად, მოიცვა საკანონმდებლო, საკადრო, ინსტიტუციური, სისტემური და ინფრასტრუქტურული ცვლილებები. ეს იყო რთული პროცესი, რომელიც ნაწილ-ნაწილ მიმდინარეობდა და თან ახლდა ბევრი პრობლემა. საბოლოოდ, რეფორმა, როგორც ასეთი, 2010 წელს წარმატებით დასრულდა და ეფექტიანი შედეგებიც მოგვიტანა.

რეფორმების ერთ-ერთ პირველ ამოცანას ახალი საბაჟო კოდექსის შემუშავება წარმოადგენდა, რაც, ფაქტიურად, ერთ წელიწადში 2006 წლისთვის განხორციელდა. ასევე, 2006 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა ახალი კანონი „საბაჟო ტარიფის შესახებ“, რომლის საფუძველზეც გაუქმდა აქამდე არსებული 16 ტარიფი, შესაბამისად, ამოქმედდა ნულოვანი ტარიფი საიმპორტო პროდუქციის 86 პროცენტზე და ორი ტარიფი (5%-იანი და 12%-იანი) პროდუქციის ზოგიერთ სახეობაზე (კანონი „საბაჟო ტარიფის შესახებ“), მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ადგილობრივი ფერმერების დაცვის მიზნით). კანონმა „საბაჟო ტარიფის შესახებ“, აგრეთვე, გაათანაბრა საბაჟო შეღავათები მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრი

³¹⁸ იხ. „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012. გვ. 3.

და არაწევრი ქვეყნებისთვის, რაც გულისხმობს ყველასთვის ერთნაირი დაბალი ტარიფის დაწესებას.³¹⁹

2005 წლიდან, ასევე, გამარტივდა იმპორტის ლიცენზირების სისტემა, საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე მოთხოვნილი ნებართვების რაოდენობა 14 ძირითადი ჯგუფიდან 8 ჯგუფამდე შემცირდა. იმპორტ/ექსპორტის ლიცენზირებას დაექვემდებარა ჯანმრთელობის, გარემოსა თუ ეროვნული უსაფრთხოებისთვის ზიანის შემცველი პროდუქცია.

2009 წლის სექტემბერში საბაჟო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, ხოლო 2010 წელს საგადასახადო სფეროში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საბაჟო და საგადასახადო კოდექსები გაერთიანდა საგადასახადო კოდექსში, რითაც კიდევ უფრო გამარტივდა საბაჟო ოპერაციები, კერძოდ:

- შეიქმნა შემოსავლების სამსახური, რომელმაც გააერთიანა საგადასახადო და საბაჟო სამსახურები და ხელი შეუწყო ერთიანი საიდენტიფიკაციო სისტემისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებას;

- საბაჟო ორგანოებისთვის (პორტის გარდა), წარსადგენი დოკუმენტების რიცხვი ოთხ ძირითად დოკუმენტამდე შემცირდა (დეკლარაცია, სატრანსპორტო ზედნადები, მინდობილობა და ანგარიშფაქტურა). ექსპორტისთვის კი საჭირო გახდა მხოლოდ ორი დოკუმენტი (დეკლარაცია და ტრანსპორტირების დოკუმენტი).;

- რისკის მართვის სისტემის შემოღებამ საბაჟო სამსახურს საშუალება მისცა, განეხორციელებინა შერჩევითი საბაჟო კონტროლი და შეამოწმოს შემოსული ტვირთების 10%-ზე ნაკლები.³²⁰

კონკრეტულად რისკი ნიშნავს იმ შედეგის დადგომის ალბათობას, რომელიც წარმოადგენს გადახრას დაგეგმილი/მოსალოდნელი შედეგიდან და უარყოფითად მოქმედებს სუბიექტის მიზნების მიღწევაზე. რისკი განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლების კომბინაციით:

- ა) მოხდენის ალბათობა - არის კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობა, სადაც გასათვალისწინებელია შედეგის დადგომის სიხშირე;

- ბ) გავლენა (მოხდენის შემთხვევაში) - არის მიღებული ეფექტი კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში. თვის მხრივ გავლენა ითვალისწინებს ოთხ ელემენტს: დრო; ხარისხი; სარგებელი; ადამიანური და სხვა რესურსი.

³¹⁹ იხ. „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 6.

³²⁰ „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 7.

მოხდენის ალბათობისა და გავლენის კომბინაცია განსაზღვრავს კონკრეტული რისკის მნიშვნელობის დონეს და, სუბიექტის მიზნებიდან გამომდინარე, იძლევა პრიორიტეტების მიხედვით რისკის დახარისხების საშუალებას.

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების მონიტორინგს და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულებების მიზნებზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

რისკის მართვის სისტემა, როგორც დაწესებულების სტრატეგიული მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომელშიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი.

რისკის მართვის სისტემის მთავარი ამოცანაა, მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. მისი საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს კონკრეტული ობიექტის საქმიანობაზე. რისკის მართვის სისტემა მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება დაწესებულების საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში. აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას, ხოლო დაწესებულებაში შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასება და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.³²¹

საბაჟო სისტემაში ფაქტიურად იმავე პერიოდში დაიწყო საკადრო რეფორმა, რადგან საბაჟო პერსონალისა და მათი მოტივაციების შეცვლის გარეშე, მხოლოდ საკადრო რეგულაციებით რეფორმის შედეგი სათანადო არ იქნებოდა. როგორც მსოფლიო ბანკის ექსპერტები აღნიშნავდნენ, საბაჟო სამსახურის თანამშრომელთა უმრავლესობა კორუმპირებული იყო და მათი სამსახურიდან დათხოვნა არც ისე ადვილი იყო, რადგან ბევრი მათგანის დასაცავად პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდებოდა. საწყის ეტაპზე, მეზაჟეებს ჩაუტარეს ტრენინგები იმ იმედით, რომ ისინი ახალი გარემოს შესაბამისად შეიცვლებოდნენ. საბოლოოდ, საბაჟოს თანამშრომლების 80% სამსახურიდან დათხოვნილ იქნა და ისინი ახალგაზრდა, გამოუცდელი კადრებით ჩაანაცვლეს.³²²

³²¹ ი.ხ. სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო, დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის მიერ 2012 წლის 01 თებერვალს, გვ. 2-5.

³²² იხ. სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო, დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის მიერ 2012 წლის 01 თებერვალს, გვ. 2-5.

ახალ კადრებს ექვსთვიანი ინტენსიური სწავლების კურსი ჩაუტარდათ. კურსდამთავრებულებიდან კი ტესტირების მეშვეობით შეირჩნენ საუკეთესონი, რომლებიც გადანაწილდნენ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე სტაჟირების გასავლელად. უკეთესი კადრების აყვანა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საბაჟო თანამშრომელთა ხელფასები 30 ლარიდან 800 ლარამდე გაიზარდა.

თუმცა, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ კორუფციის აღსაკვეთად არ იყო საკმარისი არც ახალი კადრების აყვანა და მათი მომზადება, არც ხელფასების გაზრდა, ექსპერტების რეკომენდაციების მიხედვით, საჭირო იყო საბაჟოს ინფრასტრუქტურის საფუძვლიანი განვითარება. აღნიშნულის საფუძველზე, 2005 წლის მაისში აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე „წითელ ხიდთან“ პირველი განახლებული ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიხსნა, რომელშიც ახალი კვალიფიცირებული კადრები განწესდნენ. საბაჟო-გამშვები პუნქტების მოდერნიზება-განახლება, ფაქტიურად, 2010 წლამდე გაგრძელდა.³²³

როგორც მსოფლიო ბანკის ექსპერტები აღნიშნავენ, მათ მიერ საქართველოს სათანადოდ უფლებამოსილ პირებთან ერთად ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე საინტერესო შედეგი წარმოჩინდა. კერძოდ, ისინი აკვირდებოდნენ ორი სხვადასხვა ჯგუფის ქცევას, რომლებიც ახალბედა თანამშრომლებით - ახლად მომზადებული კადრებით იყო დაკომპლექტებული. ამ ორი ჯგუფიდან ერთი გაიგზავნა მოდერნიზებულ, განახლებულ საბაჟო პუნქტზე, მეორე კი ძველ შენობაში, სადაც აღჭურვილობაც, სისტემაც და პროცედურებიც ძველი დარჩა. რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, ძველ საბაჟო პუნქტზე გაგზავნილი ჯგუფის წევრებმა ძველი მეზაჟეების მსგავსად მექრთამეობას მიჰყვეს ხელი, ხოლო „წითელ ხიდზე“, ახალ საბაჟო-გამშვებ პუნქტზე გამწესებული მეზაჟეებისთვის კი ამგვარი საქციელი ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა.³²⁴

საბაჟო სისტემაში არსებული გარემოს შესაცვლელად უმთავრესი იყო კორუფციის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის დანერგვა ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. კორუფციის დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საბაჟო სტრუქტურებში კოლექტიური პასუხისმგებლობის დანერგვა, კერძოდ, ქრთამის აღების ფაქტზე ერთი თანამშრომლის დაჭერის შემთხვევაში ცვლაში მომუშავე ყველა

³²³ „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 12.

³²⁴ „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 10.

თანამშრომელი ისჯებოდა. ამდენად, უგულებელყოფილი იყო პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი,³²⁵ კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი ყოვლად მიუღებელია, რადგან პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს კანონმდებლობაში დეკლარირებულ სამართლებრივ პრინციპებს. საბოლოოდ, ესეც არ იყო საკმარისი, უნდა შეცვლილიყო „მოვაჭრეთა აზროვნების წესიც“, რომლებიც აგრძელებდნენ საბაჟო-გამშვები პუნქტების თანამშრომლებისთვის ქრთამის შეთავაზებას. აღნიშნული ქმედებების აღმოფხვრის მიზნით, საბაჟოს თანამშრომლები საბაჟო-საკონტროლო პუნქტებში სხვადასხვა ენაზე ავრცელებდნენ განცხადებას, რომ განურჩევლად ეროვნებისა და ქვეყნის მოქალაქეობისა, მკაცრად დაისჯებოდა ყველა, ვინც ეცდებოდა მოექრთამა ქართველი მებაჟე. მეზობელი ქვეყნების რამდენიმე მოქალაქე კიდევ იქნა დაპატიმრებული მებაჟეების მოქრთამვის მცდელობისთვის, რომელთაც დაეკისრათ ჯარიმა და რამდენიმე დღით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნულმა ქმედებამ, მალევე მოახდინა სათანადო ეფექტი, სწარფად გავრცელდა ამბავი, რომ საქართველოს საბაჟო სისტემაში გარემო შეიცვალა და, რომ ქართველი მებაჟეების მოქრთამვა შეუძლებელი იყო.

აქვე, არ შეიძლება არ შევეხოთ საქართველოს საზღვრებზე არსებულ ინსტიტუციურ ქაოსს, რომელიც მკვეთრად ანელებდა იმ პერიოდში დაწყებულ საბაჟო რეფორმების პროცესს. კერძოდ, 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოს სასაზღვრო პუნქტებზე 9 სააგენტო (რომლებიც ექვემდებარებოდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საზღვრის დაცვის სტრუქტურას), ახორციელებდა კონტროლს, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ყველა მათგანი კორუმპირებული და თითოეული გამვლელისგან ქრთამის გამოძალვაზე კონცენტრირებული. ამავე პერიოდიდან თანდათან დაიწყო და მოხერხდა სასაზღვრო სამსახურების ორამდე შემცირება - დარჩა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული სასაზღვრო (საპასპორტო) კონტროლი და ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული საბაჟო სამსახური, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის თვალსაზრისით. კერძოდ, ამ ორი სამართალდამცავი უწყების ქოლგის ქვეშ საბაჟო კონტროლის განხორციელების ფუნქციის გადასვლამ უფრო ეფექტური გახადა კორუფციის ფაქტების პრევენცია საბაჟო ურთიერთობების სფეროში. 2008 წელს საპასპორტო კონტროლზე პასუხისმგებელი სასაზღვრო პოლიცია შეიცვალა საპატრულო პოლიციით. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით

³²⁵ იხ. „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 10.

მოქმედი ორი სამინისტროს თანამშრომლები, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უწყებას ექვემდებარებიან, მჭიდროდ თანამშრომლობენ ლოჯისტიკის საკითხებში და იყენებენ საერთო მონაცემთა ელექტრონულ ბაზას. დღესდღეობით, ფუნქციები გადანაწილებულია ორივე უწყების მოხელეებს შორის. 2009 წელს, როგორც უკვე აღინიშნა, საბაჟო სამსახური შეუერთდა საგადასახადო სამსახურს და ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში ჩამოყალიბდა შემოსავლების სამსახურის სახით.

2008 წლიდან საბაჟო-გამშვებ პუნქტებში დამონტაჟდა სათვალთვალ კამერები, რომელთა საშუალებითაც შესძლებელი გახდა საბაჟო მოხელეების საქმიანობის კონტროლი, რათა მათი მხრიდან არ ყოფილიყო დაშვებული შეცდომები და წესების დარღვევა.

თუ დავეყრდნობით ექსპერტთა შეფასებებს, რაც სავსებით რეალურად ასახავს საბაჟოზე არსებულ ვითარებას, პრობლემებს იმ პერიოდში კიდევ უფრო ამწვავებდა მოძველებული პროცედურები. კერძოდ, მაგ., დასაბეგრი საქონლის ღირებულების დადგენა, რომელიც ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. უმეტეს შემთხვევაში, იმპორტიორთა მიერ წარმოდგენილ ინვოისში დაფიქსირებული ღირებულება არ შეესაბამებოდა რეალურს. მეზაჟეებს ოფიციალურად ჰქონდათ მინიჭებული უფლება, საქონლის ღირებულების დადგენისას ეხელმძღვანელათ ისეთი მეთოდებით, რომლებიც ბევრ იმპორტიორში უკმაყოფილებას იწვევდა. თავდაპირველად, ტარიფების მონაცემთა ბაზა და მეთოდები არ იყო იმდენად დახვეწილი, რომ უზრუნველყო ობიექტური შეფასება, რასაც თან ემატებოდა დეტალური შემოწმება სათანადოდ უფლებამოსილი პირების მხრიდან (ფინანსური პოლიცია) ეს ყოველივე საგრძნობლად ანელებდა განბაჟების პროცესს, რადგან მოწმდებოდა თითქმის ყველა ჩანთა, რომელიც საზღვარზე გადაჰქონდათ და რომლებიც ხშირად ზედმეტად იბეგრებოდა.³²⁶

2004 წლიდან საქართველოს საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ამოქმედდა წესი, რომელიც საშუალებას აძლევდა ფიზიკურ პირებს, 20 კგ-ზე ნაკლები წონის ერთგვაროვანი საქონელი ქვეყანაში შემოეტანათ სრული საბაჟო პროცედურების გავლისა და ბაჟის გადაუხდელოდ. კონტრაბანდისტებს სრული საფუძველი მიეცათ, ბოროტად ესარგებლათ აღნიშნული რეგულაციით, რაც შემდეგში გამოიხატებოდა, ისინი თავიანთ ბარგს ანაწევრებდნენ მცირე ფუთებად და 2-3 ლარად დაქირავებული ადგილობრივების მეშვეობით დაუბრკოლებლად გადაჰქონდათ საზღვარზე თავიანთი საქონელი. ხშირად მოსახლეობა კონტრაბანდისტების დასახმარებლად ქმნიდა არეულობას, რომ საბაჟო

³²⁶ იხ. „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 5.

მოხელეებს მათზე გადაეტანათ ყურადღება და ამით ხელი შეეწყობოთ კონტრაბანდისტებისთვის. თუმცა, სახელმწიფო მოხელეები კიდევ უფრო ამკაცრებდნენ საბაჟო კონტროლს, რასაც ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური დაპირისპირების შედეგებამდე მივყავდით.³²⁷

საბაჟო მოხელეებთან ერთად საზღვრის დაცვის ღონისძიებებში კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ძალებიც ერთვებოდნენ. კონტრაბანდული საქონლის აღმოსაჩენად ჩატარებული ჩხრეკები კიდევ უფრო ზრდიდა საბაჟო კონტროლის გასავლელად დაყენებულ გრძელ რიგებს. რიგში დგომა ხანდახან რამდენიმე კვირასაც გრძელდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, ზრდიდა უკმაყოფილებას, პარალელურად იზრდებოდა უკმაყოფილება საბაჟო მოხელეთა არაკეთილგანწყობილების გამოც.

არსებული ვითარებიდან გამოსვლა მოხერხდა გატარებული ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად, ე. წ. „ერთი სარკმლის“ პრინციპის შემოღებით. კერძოდ, რას გულისხმობდა ეს პრინციპი, აღნიშნულის შემოღებამდე, იმპორტიორებს თავიანთი საქონლის განბაჟებისთვის საბაჟოს სხვადასხვა განყოფილებისთვის უნდა მიემართათ, ხოლო „ერთი სარკმლის“ პრინციპით ისინი ყველა საჭირო დოკუმენტს ერთ ადგილზე აფორმებდნენ. დოკუმენტს ენიჭებოდა სარეგისტრაციო ნომერი და გასაფორმებლად გადაეცემოდა ე.წ. უკანა ოფისს, სადაც არ არსებობდა იმპორტიორსა და საბაჟო მოხელეს შორის კონტაქტის შესაძლებლობა, რაც საბაჟო პროცედურების დაჩქარებასთან ერთად კორუფციის მცირე შესაძლებლობასაც არ უშვებდა.

2009 წლიდან საბაჟო სფეროში არსებული ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა ავტომატიზებული რისკის მართვის სისტემის შემოღებით. აღნიშნული სისტემა რისკის შეფასების 15 კრიტერიუმის მიხედვით ახდენდა იმპორტიორთა კლასიფიკაციას რისკის სხვადასხვა კატეგორიაში, კერძოდ, დაბალი რისკის კატეგორიაში მოხვედრილი პირები მალე გადიოდნენ საბაჟო კონტროლს, რაც ამცირებდა დათვალთქმობის რისკსა და შესაბამისად, ამარტივებდა საქონლის გაფორმების პროცესს. თუ დავეყრდნობით მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ კვლევებს, დავინახავთ, რომ წითელ დერეფანში, სადაც ხდება დოკუმენტური და ფიზიკური შემოწმება, 2009 წლის ივნისისთვის გატარებული ჰქონდათ დეკლარაციების საერთო რაოდენობის 15 პროცენტი, ხოლო 2011 წლის ივნისისთვის რისკის მართვის სისტემამ ეს მაჩვენებელი 7 პროცენტამდე შეამცირა. რისკის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს კრიტერიუმებს,

³²⁷ იხ. „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 5.

რომელიც შემოწმებისთვის დეკლარაციებს განსაზღვრავს შემთხვევითი შერჩევით, რაც მთლიანი დეკლარაციების ოდენობის დაახლოებით 1-2%-ია.³²⁸

როდესაც საბაჟო სფეროში განხორციელებულ რეფორმებს ვიხილავთ, რომელმაც აქტიურად შეუწყო ხელი საბაჟო სისტემაში გაბატონებული კორუფციის ფაქტების მინიმუმამდე დაყვანასა და აღმოფხვრას, არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ რეფორმების პროცესის ფარგლებში, კერძოდ 2010 წელს გაიხსნა გაფორმების სამი ახალი ეკონომიკური ზონა (განბაჟების ზონა), რამაც, ასევე, უზრუნველყო საბაჟო ოპერაციების გამარტივება, პროცედურების რაოდენობის შემცირება და დროის დაზოგვა, რაც, რა თქმა უნდა, დადებითად აისახა მომხმარებლებზე. აგრეთვე, დაინერგა ელექტრონული დეკლარირებისა და წინასწარი დეკლარირების სისტემა, განბაჟების პროცესი საზღვარზე ტრანზიტული ტვირთების მიმართ თითქმის აღარ ხდება - სასაზღვრო ოფიცერი (იმიგრაციის სამსახურის ან საბაჟოს უფლებამოსილი პირი) უბრალოდ ამოწმებს მძღოლის პასპორტს, სატრანზიტო დოკუმენტებს, ლუქებს სატვირთო მანქანაზე, და თუ ყველაფერი წესრიგშია, სულ რამდენიმე წუთში სატრანზიტო ტვირთი თავისუფალია. საქართველოსთვის განკუთვნილი ტვირთის გადამზიდი მანქანა იგზავნება შესაბამის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, წინასწარი დეკლარირების შემთხვევაში კი, პირდაპირ იმპორტიორის ოფისში, სადაც ფორმდება საბუთები.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის საბაჟო ურთიერთობების სფეროში განსაზღვრულ ფუნქციებს, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ორი სტრუქტურის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო პოლიციისთვის, ასევე, საქართველოს საზღვაო სივრცეში კომპეტენციების გათვალისწინებით კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის, მათ შორის, - ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, მასობრივი განადგურების საშუალებების, რადიაციული ნივთიერებების, და სხვა

³²⁸ იხ. „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 5.

კანონმდებლობით აკრძალული მოქმედებების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა.³²⁹

როგორც ყოველივე ზემოხსენებული ცხადყოფს, საბაჟო ურთიერთობების სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლის პროცესი თითქმის 7 წელი გარძელდა, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის ცალკეული მიმართულებების დანერგვამ და სამართლებრივი რეგულაციების იმპლემენტაციამ საკმაოდ კარგი შედეგი მოგვითანა. კერძოდ, გატარებული საკადრო, ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული და სისტემური რეფორმის შედეგად, დღესდღეობით, საქართველოს საბაჟო სისტემა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, სათანადო ინფრასტრუქტურით, კლიენტზე ორიენტირებული მომსახურებით და წარმატებით დანერგილი ინტეგრირებული საზღვრის ადმინისტრირებით, რაც მოიცავს სასაზღვრო მოხელეების ფუნქციების ურთიერთკვეთას, ძალაუფლების დელეგირებას სტრუქტურებს შორის და საერთო მონაცემთა ბაზას.

თუ დავეყრდნობით მსოფლიო ბანკის შეფასებებს საქართველოს საბაჟო სისტემაში განხორციელებული რეფორმების თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ 2003 – 2010 წლებში განხორციელებულმა რეფორმამ საქართველოში მნიშვნელოვნად იმოქმედა ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე, კერძოდ, 2010 წლისთვის რეგიონის 181 (ევროპა და ცენტრალური აზია) დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებს შორის საქართველო მე-5 ადგილზე იყო ყველაზე დაბალი ტარიფითა და სავაჭრო ბარიერების სიმცირით. იმ პერიოდში, რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველოში ყველაზე მაღალი იყო ნულოვანი ტარიფით დაბეგრული პროდუქციის (86 პროცენტი) წილი და, ასევე, ყველაზე მაღალი ამ პროდუქციის წილი საქართველოს შემოსავლების კატეგორიაში. მრავალმხრივი მომსახურების ლიბერალიზაციის კუთხით შესრულებული ვალდებულების მიხედვით საქართველო მე-3 ადგილზე გავიდა „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ (GATT) ვალდებულებათა ინდექსში, გაიზარდა ვაჭრობისა და შემოსავლების მოცულობა.³³⁰

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მუდმივი გამოწვევაა და საქართველო საბაჟო სისტემაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის განსახორციელებელი, განსაკუთრებით ინსტიტუციონალური რეფორმების თვალსაზრისით.

³²⁹ შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის ბრძანება № 786 და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულება“ - შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 31 დეკემბრის ბრძანება № 993.

³³⁰ იხ. „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში: საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“, თბილისი, 2012, გვ. 8.

საიმპორტო რეჟიმის გამარტივების, პროცედურების მოდერნიზებისა და საბაჟო სამსახურის გარდაქმნის მიზნით განხორციელებულმა რეფორმამ საკმაოდ კარგი შედეგი მოუტანა ქვეყანას, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი კადრების მიღებამ და მომზადებამ, ხელფასების გაზრდამ და დიდი ინვესტიციების განხორციელებამ ახალ ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურაში. რეფორმის შედეგად შეიცვალა მოტივაცია და თამაშის წესები, გაძლიერდა ანგარიშვალდებულებათა სისტემა.

დასკვნა

ჩვენს თანამედროვეობაში ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ისევე, როგორც საქართველოსთვის, საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა დროის აქტუალურ პრობლემად რჩება, რადგან საქართველო თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით ყოველთვის მიმზიდველი იყო დამნაშავეთა სამყაროს სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, რა თქმა უნდა, საბაჟო საზღვარზე აკრძალული თუ შეზღუდული რაოდენობის მოძრავი ნივთების გადამზიდველებისთვის და კონტრაბანდისტებისთვის. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მიერ განხილულ იქნა საბაჟო ურთიერთობების სფერო და ამ სფეროში საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებული რეგულაციები.

წარმოდგენილი კვლევის შესავალ ნაწილსა და ნაშრომის ცალკეულ თავებში ძირითადი აქცენტი გადატანილია საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულაციების პრობლემებზე, ხოლო სხვა საკითხები, განხილულ იქნა საბაჟო წესების დარღვევასთან კავშირში.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიცაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისათვის (საბაჟო წესის დარღვევისათვის). ამ საკითხზე სისხლის სამართლის კუთხით საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა მეცნიერული კვლევა.

ცნობილია, რომ სამართლის ნებისმიერი დარგის საგანია კონკრეტული დარგობრივი ნორმებით რეგულირებული სოციალური ურთიერთობების წრე. დისერტაციაში განხილულია საბაჟო სამართლის საგანი - საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც ემსახურება ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის უზრუნველყოფას და საბაჟო წესების დაცვას, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების და სოციალური მდგრადობის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია. ამ საკითხზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნა, რომ სხვადასხვა სამართლებრივ თუ ინდივიდუალურ აქტში გაბნეული ნორმებისა და დეფინიციების კოდიფიკაცია უნდა მოხდეს ერთ ნორმატიულ დოკუმენტში, რომელსაც თუნდაც საბაჟო სამართალი, ან საბაჟო კოდექსი, ან თუნდაც სულ სხვა სახელწოდება მიენიჭებოდა.

აღსანიშნავია დისერტაციაში განხილული საბაჟო ღირებულების ცნება, მისი არსი და განსაზღვრის კრიტერიუმები, რის შედეგადაც მივედით იმ დასკვნამდე, რომ ტვირთის საბაჟო ღირებულება დგინდება სისხლის სამართლის პროცესის გარეთ, ხოლო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე კონკრეტული მეწარმე, რომელსაც შემდგომში ბრალს სდებენ საბაჟო წესის დარღვევაში, მაშინ ხდება პროცესის მონაწილე, როდესაც ტვირთის საბაჟო

ღირებულება უკვე დადგენილია. დავასკვნით, რომ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდების გამოყენება უნდა დავიწყოთ გადასახადის გადამხდელისთვის ყველაზე ხელსაყრელი პოზიციიდან გამომდინარე, რომელიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს მის უფლებებსა და თავისუფლებებს. როდესაც მიდგება ჯერი იდენტური მეთოდის ან მსგავსი მეთოდის გამოყენებაზე, რამდენიმე იდენტური/მსგავსი მეთოდი უნდა იქნას აღებული და უნდა შეირჩეს მათში ყველაზე იაფი საბაჟო ღირებულება, რათა არ მოხდეს ბრალდებულის უფლებების შეზღუდვა. მას შემდეგ, რაც გადასახადის გადამხდელს ბრალს წაუყენებენ, იგი სარგებლობს ბრალდებულის უფლებებით, მათ შორის კი მთავარია ის, რომ „ყოველგვარი გონივრული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება“. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ გამოძიების გაჭიანურება და ბრალდებულის უფლებები არ დაირღვევა. გამოძიებას დიდი ძალისხმევა სჭირდება საბაჟო ღირებულების დასადგენად, ზოგიერთ შემთხვევაში კი პირდაპირ ენდობა საგადასახადო ორგანოს მიერ მიწოდებულ მასალებს.

2000 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, დიდ ოდენობად ითვლებოდა ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებდა 800 ლარს. ოდენობაში იგულისხმებოდა არა ნივთის ღირებულება, არამედ გადაუხდელი თანხის ოდენობა. ხოლო, დღეს, დიდ ოდენობას განსაზღვრავს ნივთის საბაჟო ღირებულება, რომელიც უნდა აჭარბებდეს 15 000 ლარს. მიუხედავად ამ თანხების სხვაობისა, საბოლოო ჯამში, თითქმის თანაბარი თანხა გამოდის, რადგან იმპორტის გადასახადი ძირითად ნივთებთან მიმართებაში არის 5%. 15 000 ლარის 5% კი უდრის 750 ლარს. აღნიშნული საკითხი არაა გადაწყვეტილი პირის სასარგებლოდ, არამედ, პირიქით, რადგან, დღეის მდგომარეობით, დიდი ოდენობის ზღვარი შემცირებულია. დღეს მოქმედი რედაქცია პირის საზიანოდ არის გადაწყვეტილი, აგრეთვე, იმიტომ, რომ იმ ნივთების არალეგალურ შემოტანაზე, რომლებზეც იმპორტის გადასახადი 0%-ის ტოლია, ძველი რედაქციის შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, რადგან დიდ ოდენობად ითვლებოდა 800 ლარზე მეტი საბაჟო გადასახდელი. დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით კი საბაჟო გადასახდელს მნიშვნელობა არ აქვს და პირს მაინც დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როდესაც შემოიტანს 15 000 ლარის საბაჟო ღირებულების ნივთს მაშინ, როდესაც ამ ნივთის შემოტანით სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანი არ ადგება.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ისეთი საინტერესო საკითხი, როგორცაა საფოსტო გზავნილის შემთხვევა, კერძოდ, უნდა დაისაჯოს თუ არა პირი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით, რომელმაც საზღვარგარეთიდან მიიღო საფოსტო გზავნილი და არ მოახდინა საქონლის განბაჟება. შედეგად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული დისპოზიციით კანონმდებელმა იმპერატიულად დაადგინა საბაჟო წესის დარღვევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრები. კერძოდ, აღნიშნული

მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, სახეზე იყოს სახელმწიფო საზღვარზე დიდი ოდენობით ნივთის გადატანის ან გადმოტანის შემთხვევა. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ადგილს - საბაჟო საზღვარს, რაც დამნაშავეს ქმედებით უნდა გადალახოს საქონელმა. აღნიშნული კი გულისხმობს, ამსრულებლის მიერ აქტიური ქმედების განხორციელებას. რაც, თავის მხრივ, გამორიცხვას უმოქმედობით მოცემული დანაშაულის ჩადენას საფოსტო გზავნილის მიმღების მიერ.

დისერტაციაში ნამსჯელია საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული წესით შევსების შემთხვევებზე. კერძოდ, ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანების მიხედვით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, უმეტეს საქონელზე იმპორტიორს შეუძლია გამოიტანოს საქონელი და გადაიხადოს იმპორტის გადასახდელი 05 კალენდარული დღის ვადაში. მსჯელობის შედეგად დავასკვნით, რომ აღნიშნული შემთხვევა ვერ ჩაითვლება სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად, რადგან ამ დროს მეწარმეს მოტყუებით გააქვს საქონელი ისე, რომ არ აქვს გადასახადის გადახდის განზრახვა. ასეთი სახის მოტყუების შესახებ კი სსკ-ის 214-ე მუხლის დისპოზიციაში ნახსენები არ არის.

ასევე, დავადგინეთ, რომ ექსპორტის დროს უნდა იყოს განსხვავებული ზღვარი - საქონლის საბაჟო ღირებულების განსხვავებული ოდენობა. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი ოდენობით უნდა იყოს დაწესებული ნივთის საბაჟო ღირებულება საქონლის გატანის დროს და არა 15 000 ლარი, როგორც შემოტანის დროს. ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში ექსპორტი იბეგრება ნულოვანი პროცენტით.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია საინტერესო საკითხი: წარმოადგენს თუ არა საზღვარზე საქონლის ფიზიკური გადატანა ყოველთვის ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთას, რის შედეგადაც დავადგინეთ, რომ სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა წარმოადგენს ფიზიკურ მომენტს, ხოლო ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთა გულისხმობს (როდესაც შემოტანილ საქონელზე ჩასატარებელია პროცედურები) - სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომ მასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ამოწურვას.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ სსკ-ის 214-ე მუხლის ყველა დამამძიმებელი გარემოება, ამასთან, მრავლადაა წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებები სსკ-ის 214-ე მუხლთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მივედით იმ დასკვნამდე, რომ საბაჟო საზღვარზე ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ნივთის გადმოტანის დროს, მოცემული რედაქციით პირი უნდა დაისაჯოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საბაჟო საზღვარზე თუნდაც ერთ ლარად ღირებული ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ნივთის გადატანის/გადმოტანის შემთხვევაში, მაშინ როდესაც აღნიშნული ქმედებით ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს ზიანი არ ადგება. პრაქტიკაში

სამართალდამცავი ორგანოები მხოლოდ მაშინ აკისრებენ პასუხისმგებლობას მსგავსი ქმედებისათვის, როდესაც ნივთი საბაჟო ღირებულება აღემატება 15 000 ლარს. ამისათვის კი აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებება, რათა მოხდეს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში საბაჟო ღირებულების ცნება არაერთგვაროვნად არის გაგებული. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ მიერ ჩამოყალიბდა პოზიცია, რომლის მიხედვითაც საბაჟო ღირებულების ცნება უნდა ამოვიდეს სახელმწიფოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაზრო ღირებულებიდან, რომელიც განცალკევებული არის საბაჟო გადასახდელებისგან, რადგან საბაჟო წესის დარღვევისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენი იყო გადასახადი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯელობის შედეგად დავადგინეთ, რომ 100 წელზე მეტი ხნის მონეტის შემოტანისათვისაც/გატანისათვისაც კი აუცილებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობა, რის გამოც 100 წელზე მეტი ხნის ერთი მონეტის საქართველოში შემომტანი დაისჯება სისხლის სამართლის წესით, მიუხედავად ამ მონეტის ღირებულებისა. მაშინ, როდესაც მოძრავი ნივთის შემოტანის დროს დაწესებულია ღირებულების ზღვარი, რომლის მინიმუმი საზღვარზე მალულად შემოტანის შემთხვევაში 5 000 ლარია. აღნიშნული არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად, რის გამოც საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის შემოტანა/გატანის შემთხვევაშიც მოქმედებდეს 214-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული ზღვარი. ისეთივე ღირებულებითი ზღვარი, როგორც ეს 214-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებისთვის არის დაწესებული.

საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, როდესაც შეცდომა მისატყვევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება ამ კოდექსით. ამდენად, როცა პირი არ მალავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და ისე გადაადგილდება საბაჟო საზღვარზე, ასეთი ქმედების ჩადენა დასჯადია მხოლოდ განზრახვისას, მიუტყვევებელი შეცდომის ჩამდენი სისხლისსამართლებრივი წესით ვერ დაისჯება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინაიდან სსკ-ის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ბრალის ფორმის მიხედვით განზრახია, მისი გაუფრთხილებლობით ჩადენა გამორიცხულია. სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. მსგავს დათქმას კი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლი არ იცნობს. ამდენად, როცა პირი არ მალავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, სახეზეა

პროცედურის არ ცოდნის შემთხვევა, რომელიც არის მიუტევებელი შეცდომა, მაგრამ დეკლარანტი არ ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით, რადგან მისი გაუფრთხილებლობით ჩადენას არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსით არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს საბაჟო საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გადაადგილებისათვის, რის გამოც აუცილებელია საგადასახადო კოდექსში მოხდეს აღნიშნული ტიპის სამართალდარღვევაზე შესაბამისი ნორმის განსაზღვრა, რათა არ მივიღოთ ამ მხრივ სამართლებრივად მოუწესრიგებელი მდგომარეობა.

ამასთან, სსკ-ის 214-ე მუხლის დეფინიციაში უბრალოდ „შემოტანის/გატანის“ ცნების არსებობა არ არის საკმარისი, რადგან სახელმწიფოს საზღვრის შიგნით საქონლის შემოტანაც და გატანაც შეიძლება გულისხმობდეს მრავალ სხვადასხვა საქმიანობას იქნება ეს იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, დროებითი შემოტანის რეჟიმი, შიდა გადამუშავების რეჟიმი, გარე გადამუშავების რეჟიმი და საწყობის რეჟიმი. ამათგან, ნაწილის განხორციელება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფოს მატერიალურ ზიანს აყენებს, ნაწილი კი - არა. მსჯელობის შედეგად დავადგინეთ, რომ საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს მხოლოდ იმპორტი, რეექსპორტი და დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია უქმნის საფრთხეს, რის გამოც სსკ-ის 214-ე მუხლში სწორედ ამ სამი სასაქონლო ოპერაციის თაობაზე უნდა იყოს აღნიშნული. პირი, რომელიც საქონელს დანარჩენ სასაქონლო ოპერაციებში მოაქცევს, არ უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, იგი უნდა დაისაჯოს ადმინისტრაციული წესით, რადგან მისი საერთოდ დაუსჯელობის შემთხვევაში ზიანი მიადგება სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ინტერესებს.

სადისერტაციო ნაშრომში მივედით იმ დასკვნამდე, რომ შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების დეფინიცია არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის ასახული. საშიში ქიმიური ნივთიერებების დეფინიცია ჩამოყალიბებული იყო საქართველოს კანონში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ, რომლის მიხედვითაც საშიში ქიმიური ნივთიერება განსაზღვრული იყო ისეთ ნივთიერებად და პრეპარატად, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ამასთან მიკუთვნებული იყო ტოქსიკურობისა და საშიშროების შემდეგ კლასებში: ფეთქებად ნივთიერებები, დამყანგავი ნივთიერებები, უკიდურესად აალებადი და ადვილად აალებადი ნივთიერებები. თუმცა აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2010 წლის 08 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც, თავის მხრივ, საერთოდ არ შეიცავდა დეფინიციას, თუ რა იგულისხმებოდა საშიშ ქიმიურ ნივთიერებებში. ამდენად, ქართული კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ ქიმიურ ნივთიერებათა ცნებას და სპეციალური რეესტრით ადგენს მათ მახასიათებლებს და კატეგორიებს, მაგრამ ცალკე გათვალისწინებული არ არის შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების

ჩამონათვალი. საქართველოს კანონმდებლობით ეს ორი ცნება არ არის განსაზღვრული და გამოყენებულია მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლში. სსკ-ის 214-ე მუხლი ბლანკეტურია, მაგრამ ამ ორ ცნებასთან მიმართებით არ არსებობს სპეციალური ნორმა, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების დადგენისათვის. ამდენად, აუცილებელია ამ ორი კატეგორიის ნივთიერების გათვალისწინება და მათი დახარისხება სპეციალური ნორმებით, ან მათი ამოღება სსკ-ის 214-ე მუხლის შემადგენლობიდან.

მასობრივი განადგურების ნივთის შემოტანის დროს ინიშნება ექსპერტიზა, რომელიც ადგენს, კონკრეტული ნივთიერება არის თუ არა მასობრივი განადგურების იარაღი ან მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად გამოიზნული. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კი უწევს ექსპერტს, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი რომელიმე ნორმატიული აქტით, რომელშიც იქნებოდა ჩამოთვლილი მასობრივი განადგურების იარაღის ცნება და თუ რა ნივთიერებები განეკუთვნება მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად საჭირო ნივთებს. დღეის მდგომარეობით, ასეთი ნორმატიული აქტი არ არსებობს, რის გამოც ტერმინი „მასობრივი განადგურება“ უნდა იქნეს განსაზღვრული. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში ზოგადად არის მითითებული, რადიაქტიული ნივთიერების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანაზე/გადმოტანაზე. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის საფუძველზე, პირი დაისჯება ნებისმიერი სახის რადიაქტიული ნივთიერების გადატანისათვის ან გადმოტანისათვის. პირველი ჯგუფის რადიაქტიური ნივთიერებები არ წარმოადგენენ ისეთ საშიშროებას, რომ პირს აღნიშნული საგნების გადატანა ან გადმოტანისათვის დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სინამდვილეში, პირველი ჯგუფის რადიაქტიული ნივთიერებების საბაჟო წესის დარღვევით საქართველოს საზღვარზე გადატანა ან გადმოტანა საფრთხეს ვერ შეუქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. იგი საფრთხეს შეუქმნის მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს, ვინაიდან ბიუჯეტში არ შედის საბაჟო გადასახადები. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად მიმართულია სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანისათვის, რაც სრულიად საკმარისია.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ისჯება საქართველოს საბაჟო საზღვარზე რადიაქტიური ნივთიერების წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა. ამავე დროს სსკ-ის 230-ე მუხლით ისჯება რადიაქტიური ნივთიერების, აგრეთვე, ნებისმიერი სახისა და დანიშნულების მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყოს ან ნაკეთობის, რომელიც შეიცავს რადიაქტიურ ნივთიერებას უკანონო შექმნა, შენახვა, ფლობა ან განკარგვა, გამოყენება, გადამუშავება, გამოცდა, გადაცემა,

გადაზიდვა, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობა ან მათდამი სხვა უკანონო მოპყრობა. ამდენად, სსკ-ის 230-ე მუხლში ჩამოთვლილი „უკანონო ექსპორტი, იმპორტი“ სწორედაც, რომ სსკ-ის 214-ე მუხლში ნახსენები „საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანას“ გულისხმობს. გამოდის, რომ ეს ერთი ქმედებისათვის (რადიაქტიური ნივთიერების უკანონო გადატანა - გადმოტანა) სს პასუხისმგებლობა ფაქტობრივად გათვალისწინებულია საქართველოს სს კოდექსის ორი სხვადასხვა მუხლით, რაც ნორმათა კოლიზიის შემთხვევას წარმოადგენს. შესაბამისად, სსკ-ის 230-ე მუხლის დისპოზიციიდან ამოსაღებია „ექსპორტი და იმპორტი“, რათა ამგვარი ქმედების კვალიფიკაციისას სასამართლო პრაქტიკას პრობლემა არ შეექმნას.

საბაჟოზე შემოტანისას პირს შეიძლება წესრიგში ჰქონდეს ყველა დოკუმენტაცია, თუმცა არ ჰქონდეს ტვირთი ეტიკეტირებული. სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში არ არის იმ დანაშულის ხერხების შესახებ მითითებული, რაც ამ მუხლის პირველ ნაწილშია ჩამოთვლილი, ამდენად, გაურკვეველია, არის თუ არა აუცილებელი სსკ-ის 214-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ხერხების გამოყენება სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით პასუხისმგებლობისათვის, რადგან მასში აღნიშნულია მხოლოდ დადგენილი წესის დარღვევით შემოტანის თაობაზე, რაც უნდა გულისხმობდეს ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის, N263-ით, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის (რომლის მიხედვითაც საჭიროა, ფეთქებადი ნივთიერების ნიშანდება და ეტიკეტირება), დადგენილი წესის დარღვევით შემოტანას. ამდენად, ეტიკეტირების გარეშე შემოტანა ჩაითვლება საბაჟო წესის დარღვევად, რის გამოც პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნული არ უნდა ჩაითვალოს სწორად. საჭიროა სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნაში დაემატოს ის, რომ თუ პირი ყველა საჭირო დოკუმენტაციას წარადგენს საბაჟოზე და არ მოხდება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ტვირთის შემოტანა, პირი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, რის შედეგადაც პირი უნდა დაისაჯოს მხოლოდ ადმინისტრაციული წესით.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს დებულებაში „შეიარაღება“ და „საბრძოლო მასალა“ ცალ-ცალკეა მოხსენიებული, რაც გულისხმობს იმას, რომ საბრძოლო მასალის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანა არ გავაძლევს სსკ-ის 214-ე მუხლის შემადგენლობას. სსკ-ის 236-ე მუხლი დასჯადად აცხადებს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის შეძენას, შენახვას, ტარებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას. თუნდაც ერთი საბრძოლო ვაზნის ტარება, უკვე გვაძლევს სსკ-ის 236-ე მუხლით

გათვალისწინებული დანაშულის შემადგენლობას. აღნიშნული მიუთითებს კანონმდებლის ნებაზე, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ საბრძოლო მასალის და ცეცხლსასროლი იარაღის ტარება თანაბრად უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. აღნიშნულის გამო გასაგები ხდება, რომ კანონმდებელმა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში განსაზღვრულ შეიარაღებაში იგულისხმა საბრძოლო მასალაც, თუმცა აღნიშნული არ გამომდინარეობს კანონიდან. აქედან გამომდინარე, გამო საჭიროა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილის დისპოზიციაში აღნიშნული იყოს საბრძოლო მასალის დასჯადობის თაობაზე. რადგან, დღევანდელი რედაქციის მიხედვით, საბრძოლო მასალის საზღვარზე შემოტანის დროს პირი უნდა დაისაჯოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საბრძოლო მასალის ტარებისათვის.

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში ერთადაა მოქცეული საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის და მასობრივი განადგურების იარაღის გადმოტანის შემთხვევები. გამოდის, რომ ერთი პისტოლეტის გადატანა ან გადმოტანა იმავე საფრთხის შემცველია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, როგორც მასობრივი განადგურების იარაღი. უმჯობესი იქნება აღნიშნულ ნორმაში ცვლილების შეტანა და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება, რადგან მასში მოქცეულია ისეთი ნივთები, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას. ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით შემოტანა უნდა გადავიდეს თავში - დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლი ცალკე აწესებს პასუხისმგებლობას საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გადატანაზე ან გადმოტანაზე. ანალოგიურად უნდა იყოს მოწესრიგებული ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევაშიც.

სადისერტაციო ნაშრომში მივედით იმ დასკვნამდე, რომ არაერთგზის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები სუბიექტური ნიშნითაა დამძიმებული, ხოლო საბაჟო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით ჩადენილი ქმედებისა და პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედებების პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მახასიათებელი ობიექტური ნიშანია, რადგან ამ დროს ამაღლებულია უმართლობის ხარისხი. სუბიექტური ნიშნით დამძიმებული შემადგენლობა კი როგორცაა არაერთგზის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, როგორც უკვე აღინიშნა, არ გულისხმობს უმართლობის ხარისხის გაზრდას, არამედ იგი ამსრულებლის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანია, ხოლო ობიექტური ნიშნით კვალიფიცირებული შემადგენლობა გულისხმობს არა პიროვნებისათვის (ან ბრალისათვის) დამახასიათებელ ნიშანს, არამედ უმართლობის ხარისხის გაზრდას და იგი სახეზეა მაშინ, როცა

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, ამსრულებელთა ან დაზარალებულთა რაოდენობა ან დანაშაულის რომელიმე ობიექტური ნიშანი (ხერხი, საშუალება და ა.შ.) არის ამა თუ იმ უმართლობის დამამძიმებელი გარემოება.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო წესის დარღვევით ნარკოტიკული საშუალების შემოტანა ცალკე არის გამოყოფილი, მისი საშიშროებიდან გამომდინარე. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის სახით გათვალისწინებულია ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნაკროტიკული საშუალების შემთხვევაში მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილი კი, რომელშიც დანაშაულის საგნად სხვა ნივთებთან ერთად მოხსენიებულია ცეცხლსასროლი იარაღის საბაჟო წესის დარღვევით შემოტანა, სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ ხუთიდან რვა წლამდე. საინტესოა, რატომ ჩათვალა ნარკოტიკული საშუალების საბაჟო საზღვარზე შემოტანა კანონმდებელმა უფრო მძიმე დანაშაულად, ვიდრე შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების შემოტანა, მაშინ როდესაც ამ ნივთიერების შემოტანით ბევრად უფრო მძიმე შედეგი შეიძლება დადგეს? ამდენად, დავადგინეთ, რომ აუცილებელია მოხდეს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული არაადეკვატური სასჯელის უფრო სამართლიანი განსაზღვრა.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების, დანიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და დიდი ბიტანეთის სამართლებრივი რეგულაციები საბაჟო ურთიერთობების სფეროში, ასევე, შედარებულია ქართულ კანონმდებლობასთან, რის შედეგადაც მივედით იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში საგადასახადო სასამართლოს ინსტიტუტის შემოღებით, რომელიც საბაჟო ურთიერთობების სფეროში საქმეებს განიხილავს როგორც ადმინისტრაციული, ასევე, სისხლის სამართალწარმოების წესით, დავის განხილვა განხორციელდება სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მქონე მოსამართლეების მიერ. აუცილებელია, აღნიშნული კატეგორიის საქმეები განიხილონ სპეციალურად მომზადებულმა მოსამართლეებმა, როგორც ეს არის დარეგულირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლში, რომელშიც მოცემულია ტერმინთა განმარტება, აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მწარმოებელ პირს, ასევე, პროცესის მონაწილეს უნდა ჰქონდეს გავლილი სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. აგრეთვე, მთავარი პროკურორის ბრძანებით ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე როგორც გამოძიებაში, ასევე, სასამართლოში უნდა მონაწილეობდნენ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორები, ხოლო გამოძიებაში, ასევე, სპეციალიზებული გამომძიებლებები.

სადისერტაციო ნაშრომში გაკეთებული დასკვნები, საშუალებას მისცემს საკანონმდებლო ხელისუფლებას აღმოფხვრას ხარვეზები და გამიჯნოს საბაჟო წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას დაეხმარება უფრო ნაყოფიერი და ეფექტიანი გახადოს საბაჟო ურთიერთობების სფეროში განხორციელებული საქმიანობა.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ა.ბ. ჟუკი, შაშხანები და ავტომატები, მოსკოვი 1988 წ. გ. ინწვირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია (ძირითადი ცნებები და მიმართულებები), თბილისი, 1997.
2. ბ. ურიდია, საერთაშორისო საბაჟო კონვენციების კომენტარები, თბილისი, 2006.
3. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2015.
4. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2011.
5. გ. ხუციშვილი სამხედრო საინჟინრო საქმე, თბილისი 2004.
6. გ. ძაბუნძიძე იარაღის შესახებ, თბილისი, 2004.
7. გ. ურიდია, ფრიდონ რუხაია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009.
8. გ. მამულაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარები, წიგნი 1, 2011.
9. გ. ურიდია, ფ. არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2007.
10. 12. ე. ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002.
11. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2011წელს - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასება, თბილისი, 2012.
12. ვ.ი. მურახოვსკი, ს.ი. ფედოსევი, ფეხოსანთა იარაღი, მოსკოვი, 1992.
13. თ.წერეთელი, დანაშაული მომზადება და მცდელობა, 1961 წ.
14. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბილისი, 2007.
15. ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ. 2008.
16. ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2013 .
17. ი. ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, 2013.
18. ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2014.
19. ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2011.
20. კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში - საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, თბილისი, 2012.

21. ლ. ნადარაია, ზ. როგავა, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეორე, 2012.
22. საქართველოს მთავრობის „50-დღიანი პროგრამა“ ანალიზი და შეფასებები, ფონდი: „ღია საზოგადოება - საქართველო“, N15, 2008.
23. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011.
24. ნ. გიუაშვილი, ა. დოლიძე, ლ. ზეიკიძე, ი. ლევაშვილი, კ. რუხაია, ჯ. ქარჩავა, მ. ღვინევაძე, ა. ჩანქელიანი, ი. ცომაია, საქართველოს ქიმიური პროფილი, თბილისი 2009.
25. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარები, წიგნი I, 2016.
26. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წელი,
27. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, 2018.
28. წმინდა ელენეს პატიმრის მაქსიმები და აზრები, თბილისი, 2014.

ნორმატიული მასალა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმების II ოქმი „საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“, 25.11.2013.
2. საქართველოს კანონი ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ. 17.09.1998.
3. ნაირობის 1977 წლის 9 ივნისის საერთაშორისო კონვენცია „საბაჟო სამართალდარღვევების თავიდან აცილების, გამოძიების და აღკვეთის მიზნით ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“.
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 17.09.2010.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 22.07.1999
6. საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“. 08.05.2003
7. საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“. 12.06.1998.
8. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ“. 20.06.2003
9. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. 24.06.2005.
10. საქართველოს კანონი „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“. 28.04.1998

11. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“. 12.08.2003
12. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“. 14.05.2002,
13. საქართველოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“. 08.02.1995.
14. საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“. 08.05.2007.
15. საქართველოს კანონი კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ. 22.06.2001.
16. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 სექტემბერის 408 ბრძანებულება - “საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის საკითხთა გადაწყვეტის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.
17. საქართველოს მთავრობის დადგენილება „შავი ანდა ფერადი ლითონების ჯართის და შავი ანდა ფერადი ლითონების ნარჩენის ექსპორტის მომსახურების ტარიფის ოდენობისა და გადახდის წესის განსაზღვრის თაობაზე“. 08.02.2012.
18. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის ბრძანება №132/ნ „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“.
19. საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ. 20.03.1998.
20. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის ბრძანება №786 „სასაზღვრო პოლიციის დებულების დამტკიცების თაობაზე“.
21. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №996 „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების დამტკიცების თაობაზე“.
22. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №985-№1187 „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“.
23. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №988-№1188 „კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.
24. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №944 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების

სამსახურის მიერ საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ (გაუქმებულია 2011 წლის 31 დეკემბრის №944 ბრძანებით).

25. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №944 „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“.

26. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება №303 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

27. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბრის N451 დადგენილება, „ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესისა და ნებართვის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

28. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N443 დადგენილება, „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“.

29. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის ბრძანება №290 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

30. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დებულების დამტკიცების შესახებ“.

31. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები, დანართი №1.

32. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, ნორმატიული აქტების კრებული, თბილისი, 2002 წ.

33. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს ფუნქციონირების წესისა და რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

34. შეთანხმება საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, 01.01.2001.

35. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ, 19.02.2018.

36. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ, 23.06.2015.

37. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ, 01.02.2013.

38. შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ, 02.09.2018.

39. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ, 23.04.2016.

40. ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ” 1998 წლის 10 სექტემბრის როტერდამის კონვენცია.

41. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება N12858 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“

42. ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე. 25.11.2004.

43. 1991 წლის 1 მარტის მონრეალის კონვენცია „პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშნადების შესახებ მათი გამოვლენის მიზნით“.

44. 2010 წლის 24 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება N397 „საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას განგაშზე ერთობლივი მოქმედების წესის დამტკიცების შესახებ“.

ფრანგულენოვანი ლიტერატურა

1. R. Cren, Poursuites et sanctions en droit pénal Douanier, Université Panthéon-Assas école doctorale de Droit privé, 2011.
2. <http://www.douane.gouv.fr/articles/a11072-infractions-douanieres-en-matiere-de-contrefacon> (2019 წლის 15 იანვრის რედაქციით).
3. Le code des doanes (2017 წლის 20 იანვრის რედაქციით).

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

1. Argonne National Laboratory, 1992
2. ANNUAL YLS ISSUE: AN OVERVIEW OF AN INTERNATIONAL TRADE AND CUSTOMS PRACTICE, David G. Forgue, LEXISNEXIS.ORG, Monday, April 08, 2013.
3. Ashton B. Carter, “How to Counter WMD,” Foreign Affairs (სექტემბერ–ოქტომბერი 2004).
4. Customs Valuation and Customs Enforcement, heinonline.org. Mon Apr 8 2013.
5. Customs Classification and the Use of Foreign Trade Zones , Thomas G. Travis*, heinonline.org, Mon Apr 8 05:31:18 2013.
6. Determinants of the Contribution of Customs Duties to Budgetary Revenue in Less Developed Countries, Lue De Wulf, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013.
7. Economic Problems of the Foreign-Exchange and Customs System, Ivan A. Rankov heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013.
8. Effects of a Turkey-European Union Customs Union and Prospects for the Future, Subidey Togan, heinonline.org Mon Apr 8 05:31:18 2013.
9. European tax law, Ben Terra, Peter Wattel, Kluwer law international, 1997.
10. Gert G. Harigel, “Chemical and Biological Weapons: Use in Warfare, Impact on Society and Environment,” Nuclear Age Peace Foundation, ნოემბერი, 2001; www.wagingpeace.org/articles/2001/11/00_harigel_cbw.htm.
11. <http://www.world-nuclear.org/info/Safety-and-Security/Radiation-and-Health/Naturally-Occurring-Radioactive-Materials-NORM/> (2013 წლის იანვრის თვის განახლებით).
12. PRACTICE, David G. Forgue, LEXISNEXIS.ORG, Monday, April 08, 2013.
13. RECENT DECISION, CUSTOMS VALUATION AND THE DECLINING DOLLAR, heinonline.org. Mon Apr 8 05:30:55 2013.
14. Rationale of Valuation of Foreign Money Obligations, Charles Evan, heinonline.org. Mon Apr 8 2013. Significant New Developments Every Business Lawyer Should Know About Customs Law, KENNETH G. WEIGEL, HeinOnline.org Mon Apr 8 05:30:31 2013.
15. School Trademarks, Price Discrimination and the Bureau of Customs, Kenneth w. Dam, heinonline.org Mon Apr 8 2013.

16. The Select and Ultimate Method of Valuation, heinonline.org. Mon Apr 8, 2013.
17. UNITED STATES CUSTOMS SERVICE APPRAISALS: THE DUTIABILITY OF BUYING AGENT COMMISSIONS – AN APPLICATION OF THE TRADE AGREEMENTS ACT OF 1979, heinonline.org. Mon Apr 8 05:31:18 2013.
18. W. Seth Carus, Defining “Weapons of Mass Destruction”, National Defense University, 2012, ონლაინ; (http://www.ndu.edu/press/lib/pdf/CSWMD-OccasionalPapers/CSWMD_OccationalPaper-8.pdf).

რუსულენოვანი ლიტერატურა:

1. А.И. Лукашов, Преступления против порядка осуществления экономической деятельности, 2002.
2. А.И. Бойко, Л.Ю. Родина, Контрабанда, 2002.
3. В. Г. Драганова, М. М. Рассалова, Таможенное право, Закон и право, 2011.
4. В.И. Михайлов, А.В. Федоров, Таможенные Преступления, 1999.
5. Доказывания по делам о контрабанде, Беспалов В.Г. 2001.
6. О таможенном регулировании в Российской Федерации, Федеральный закон №311-ФЗ . 27.11.2010.